ვაჟა თვალავაძე

ახალი ისტორია

1640-1815 წლები

ნაკვეთი I

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2006

უაკ (UDC) 940
თ 522

სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია იმ ქვეყნების ისტორიასა და ისტორიულ მოვლენებზე, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში (1640-1815) განაპირობებდნენ მსოფლიო ისტორიული პროცესების განვითარების ტენდენციებს, თავის დაღს ამჩნევდნენ მსოფლიო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას.

ავტორი მადლობას უხდის გერმანიის ქ. ბრაუნშვაიგის გ. ეკერტის სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლებს სათანადო მასალების მოწოდებისათვის.

ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის. ბევრ საინტერესო მასალას ნახავს წიგნში ახალი ისტორიით დაინტერესებული მკითხველიც.

ავტორი სთხოვს მკითხველებს თავიანთი შენიშვნები და სურვილები გამოაგზავნონ შემდეგი მისამართით: 380028. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი №1, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი, ვაჟა თვალავაძეს.

რედაქტორი **პროფ: გ. მანჯგალაძე**
რეცენზენტები: **†პროფ. არ. ჩხეიძე**
დოც. ნ. ნამორაძე

გარეკანის პირველ გვერდზე:
იერიში ბასტილიის ციხეზე (1794 14 ივლისი)

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2006
© ვ. თვალავაძე

ISBN 99940-46-31-4 (სერია)
ISBN 99940-46-32-2

შესავალი

ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციით ახალ ისტორიას უწოდებენ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ისტორიას XVII ს. შუახანებიდან, ე. ი. ინგლისის რევოლუციიდან 1918 წლამდე, ანუ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე პერიოდს. რა თქმა უნდა, ეს სახელწოდება პირობითია, თუმცა მას გარკვეული საფუძველი გააჩნია: წინა ეპოქებისაგან განსხვავებით, ეს პერიოდი გამოირჩევა მოვლენების მრავალფეროვნებით, საზოგადოებრივი პროცესების მასშტაბურობითა და ინტენსიურობით, გარდაქმნათა სიღრმით, არსებითად ახალი ცივილიზაციის შექმნით. ჭეშმარიტად ეს იყო სხვა, ახალი დროება.

ახალი ისტორია არის ფეოდალიზმზე კაპიტალისტური წყობის გამარჯვების ისტორია. სხვადასხვა ქვეყნებში ეს პროცესი სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა და გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. მაგრამ ამ განსხვავებების მიუხედავად, კაპიტალისტურ წყობას გააჩნია საერთო ნიშნები და კანონზომიერებანი.

უკვე XVI საუკუნიდან მოყოლებული ახალი ისტორიისათვის დამახასიათებელი პროცესები და მოვლენები ჩქარი ტემპით ვითარდება. ქალაქებსა და სოფლებში საფუძველი ეყრება და იზრდება კაპიტალისტური ურთიერთობები. სოფლად პირადი ბატონყმური დამოკიდებულებების შესუსტებას ხშირად თან ახლავს გლეხების მიწიდან აყრა, რის შემდეგაც უმიწო გლეხების უმრავლესობა უსახლკარო ღარიბ-ღატაკებად (პაუპერებად) იქცევიან. ქალაქი, სადაც ძირითადად შუა საუკუნეების სახელოსნო საამქროები არსებობდა, ვერ იტევდა ათეულ ათასობით სოფლებიდან სამუშაოდ ჩამოსულებს, ხოლო წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმა — მანუფაქტურა ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული. მისი შექმნისათვის საჭირო იყო არა მარტო თავისუფალი მუშახელი, არამედ დიდი რაოდენობით კაპიტალიც. ასეთი დიდძალი კაპიტალის დაგროვება შესაძლებელი გახდა მაშინ, როდესაც დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ ევროპელებმა დაიწყეს ოკეანეს გაღმა ქვეყნების განუკითხავი ძარცვა.

ეკონომიკურად მომძლავრებულ ბურჟუაზიას თანდათანობით ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის პრეტენზიებიც უჩნდება.

ფეოდალების ბატონობას ორმხრივი საფრთხე შეექმნა — გლეხობის მხრიდან, რომელსაც ფეოდალური ჩაგვრის მოსპობა სურდა და აღმავალი ბურჟუაზიის მხრივ. ასეთ ვითარებაში დაუძლურებული ფეოდალური კლასი ხსნას სამეფო ხელისუფლების გაძლიერებაში ხედავდა. მაგრამ ჯერ კიდევ სუსტ ბურჟუაზიასაც ფეოდალების ძალაუფლების დასუსტებისათვის ბრძოლაში თავიანთ მოკავშირედ სამეფო ხელისუფლება ესახება. სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის ფეოდალებისა და ბურჟუაზიის ასეთი ორმხრივი დაინტერესების შედეგად ბევრ ქვეყანაში (საფრანგეთი, ესპანეთი და სხვ.) აბსოლუტური ფეოდალური მონარქია ჩამოყალიბდა.

ევროპაში ინგლისი იყო ერთადერთი სახელმწიფო, სადაც ჯერ კიდევ XIV საუკუნეში ჩამოყალიბებული შეზღუდული წოდებრივი მონარქია არსებობდა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში პოლონეთს, სადაც XVII ს. შუა ხანებისათვის მეფის ხელისუფლებაცა და წოდებრივი სეიმიც დასუსტდა).

ფეოდალური წყობილების ნგრევა აბსოლუტიზმმაც ვერ შეაჩერა, რადგანაც ფეოდალური საწარმოო ურთიერთობები ამუხრუჭებდა საწარმოო ძალების განვითარებას და ახალი, განვითარებადი კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრებას. XVI საუკუნიდან ფეოდალური საზოგადოების საფუძვლებს არყევდა მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი მოვლენები, როგორიც იყო რეფორმაცია ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში (XVI ს.) და გლეხთა ომი გერმანიაში (1524-1525), რევოლუცია ნიდერლანდებში (1566-1609) და ბოლოს, XVII საუკუნეში — რევოლუცია ინგლისში (1640-1660).

გლეხთა დიდი ომისა და რეფორმაციის დროს გერმანიაში ბურჟუაზიული წყობის გამარჯვებისათვის აუცილებელი ბევრი პირობა ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული და ამიტომ მაშინ ბურჟუაზიამ მარცხი განიცადა. ცალკეულ სამთავროებში აბსოლუტიზმის გამარჯვებამ, გერმანიის ქალაქებში შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი საამქროების მომრავლებამ და ცენტრალური ევროპიდან ატლანტის ოკეანესაკენ სავაჭრო გზების გადაადგილებამ განაპირობა გერმანიის ეკონომიკური განვითარების ნელი ტემპი, დიდი ხნით პოლიტიკური დაქუცმაცებულობა და ფეოდალური წყობილების არსებობა.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ოცდაათწლიანმა ომმა (1618-1648) მთელი ოლქები გააჩანაგა.

მართალია, 1566 წლის ნიდერლანდების რევოლუცია გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ მან ვერ დაუდო სათავე კაპიტალიზმის ფეოდალიზმზე გამარჯვებას. ამ რევოლუციამ მოიცვა ნიდერლანდების მხოლოდ ჩრდ. ნაწილი და ამის შემდგომ შექმნილი „შეერთებული პროვინციების რესპუბლიკა“ (ჰოლანდია) პატარა სახელმწიფო იყო. ადგილობრივი ბურჟუაზია დიდ ქონებას ფლობდა, მაგრამ იგი დაკავებული იყო არა სამრეწველო სქმიანობით, არამედ საშუამავლო ვაჭრობითა და ზღვაოსნობით. ნიდერლანდების რევოლუციამ გარკვეული როლი შეასრულა კაპიტალიზმის ფეოდალიზმზე გამარჯვების საქმეში, მაგრამ მისი გავლენა სხვა ქვეყნებზე არც თუ ისე დიდი იყო და გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია.

გაცილებით მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა XVII ს. შუა ხანების ინგლისის რევოლუციის გამარჯვებას. ამ გამარჯვებამ დააჩქარა კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება ინგლისში და მოამზადა პირობები მსოფლიოში პირველი სამრეწველო რევოლუციისათვის, რომელიც XVIII ს. მეორე ნახევარში დაიწყო. ინგლისი დიდი ხნით გაბატონდა მსოფლიო ვაჭრობასა და მრეწველობაში და იქცა უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოდ. ინგლისის რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა ევროპის სხვა ქვეყნებზეც, ფაქტიურად ეს იყო „ევროპული მასშტაბის“ პირველი რევოლუცია. ამიტომ იგი შეიძლება მივიჩნიოთ ახალი ისტორიის დასაწყისად.

ფეოდალიზმზე კაპიტალიზმის გამარჯვების პროცესი დიდხანს გაგრძელდა, ამიტომ XVII ს. ინგლისის რევოლუცია არ შეიძლება იყოს შუა საუკუნეებიდან ახალ ისტორიაზე გადასვლის მკვეთრი, უალტერნატივო საზღვარი. ამ რევოლუციის გავლენა სხვა ქვეყნებზე თანდათანობით, თითქმის საუკუნენახევრის განმავლობაში შეიმჩნეოდა. XVII ს. შუახანებისათვის ინგლისი ჯერ კიდევ არ მიეკუთვნებოდა ევროპის უძლიერეს სახელმწიფოებს. ევროპის კონტინენტზე ფეოდალიზმს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ.

ახალი დროის უდიდესი მიღწევა იყო ფეოდალურ-პატრიარქალური

ყოფის ნგრევა და ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებების გამოცხადება. ამ ფაქტმა მოქმედების ხელსაყრელი პირობები შეუქმნა უდიდეს შემოქმედებით ძალებს, რამაც სახე უცვალა მსოფლიოს, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა ადამიანთა მცირერიცხოვან ჯგუფებს მოეხდინათ ქონებისა და ხელისუფლების კონცენტრაცია თავიანთი პირადი მიზნებისათვის.

ახალი დროის ისტორიის შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია „რეალური სოციალიზმის" რღვევის შემდეგ, ახლა, როდესაც ჩვენ ვცდილობთ დავუბრუნდეთ დასავლურ ცივილიზაციას, ანუ ვეზიაროთ „გლობალურ ცივილიზაციას".

მაგრამ დასავლური ანუ გლობალური ცივილიზაციის მიღწევების გათავისებისათვის საჭიროა ახალი ისტორიის ობიექტური თვალთახედვით, სხვადასხვა იდეოლოგიური ჩარჩოებისაგან (ჩვენში უპირველესად მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან) დამოუკიდებლად შესწავლა. ამასთანავე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ მარქსმა და მისმა მიმდევრებმა დიდი წვლილი შეიტანეს საზოგადოების განვითარების დიალექტიკის გარკვევაში, განსაკუთრებით კაპიტალის, წარმოების, კლასების, რევოლუციების როლის განსაზღვრაში. მაგრამ, როგორც ისტორიული გამოცდილება მოწმობს, ისინი საზოგადოების განვითარების პროცესის ამ ელემენტების მნიშვნელობას გადაჭარბებით აფასებდნენ. მათი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ შესაძლებლად მიიჩნევდნენ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, წარმოების საშუალებათა განზოგადოების საფუძველზე თითოეული ადამიანის თავისუფალ განვითარებას. მითუმეტეს აუცილებელია ამ შეცდომასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ცრურწმენის დაძლევა, უპირველეს ყოვლისა იმის აღიარება, რომ არავის არ შეიძლება ჰქონდეს კაცობრიობის განვითარების გზებისა და აზრის ცოდნაზე პრეტენზია. „სოციალიზმის მშენებლობის" კრახი კარგი გაკვეთილი უნდა იყოს იმისათვის, რომ არ გავაფეტიშოთ საზოგადოებრივი ინტერესები და სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების სქემები, აგრეთვე არ მოვახდინოთ რევოლუციების, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის მთავარი ფორმების აბსოლუტიზაცია. არც პროგრესის კრიტერიუმების დაკავშირება შეიძლება სოციალიზმისა

და კომუნიზმის შესახებ საეჭვო წარმოდგენებთან. ალბათ, უნდა შემოვიფარგლოთ იმის აღიარებით, რომ პროგრესის შედარებით მისაღები კრიტერიუმი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნაა.

დაუშვებელია ისიც, რომ თითქმის ყოველი საზოგადოებრივი მოვლენა და პროცესი კლასობრივ ბრძოლამდე დავიყვანოთ, უგულვებელვყოთ კლასების თანამშრომლობის იდეა, რაც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ქვაკუთხედს წარმოადგენდა; სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ეთნიკურ, კონფესიონალურ და სხვა რთულ ურთიერთობებს. ახლა ნათელი გახდა, რომ მუშათა კლასმა ვერ შესძლო მასზე დაკისრებული გამათავისუფლებელი მისიის შესრულება, რასაც მას მარქსიზმი აკისრებდა და რომლის გარკვევა მიაჩნდათ კ. მარქსის მთავარ დამსახურებად. რაც შეეხება XIX ს. კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების გზებს, ისინი სულ სხვა მიმართულების აღმოჩნდა იმასთან შედარებით, რასაც მარქსი წინასწარმეტყველებდა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში განვითარებული ქვეყნების თანამედროვე საზოგადოება სრულებით არ ჰგავს გასული საუკუნის კაპიტალისტურ საზოგადოებას. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მარქსისტულ-ლენინური წარმოდგენა კლასებისა და ახალი დროის კაპიტალიზმის შესახებ კორექტირებას საჭიროებს. ამიტომ ამბობს ზოგიერთი ისტორიკოსი — „ბაბუა მარქსის“ მოძღვრება მოძველდაო.

მრავალი ათეული წლის განმავლობაში ახალი ისტორიის სწავლება საქართველოში აუცილებლად ორიენტირებული უნდა ყოფილიყო მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე კაპიტალისტური ფორმაციის, მისი კლასებისა და მათი გარდუვალი მომავლის შესახებ. ამ და სხვა ამგვარი მოძღვრებებისაგან განთავისუფლება ჩვენს ისტორიოგრაფიაში ახლა იწყება. ამიტომ ავტორს მთელი რიგი პრობლემების დაძლევა მოუხდა ახალი ისტორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის გაშუქებისას. თუ რამდენად გავართვით თავი აღნიშნულ სიძნელეებს, მკითხველმა განსაჯოს.

მე კი მინდა შეგახსენოთ სულხან-საბას შეგონება „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ — სრული გვიან საპოვნელია“.

თავი I. XVII საუკუნის ინგლისის რევოლუცია

§1. რევოლუციის წინაპირობანი და დასაწყისი

ვაჭრობა. XVI საუკუნემდე ინგლისი ძირითადად მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ქვეყანა იყო. მის პროდუქტებს, განსაკუთრებით მატყლს, ფლამანდიელები ყიდულობდნენ; ინგლისელ ვაჭრებს საქონელი ჩაჰქონდათ საფრანგეთისაგან წართმეულ ქ. კალეში, საიდანაც შემდეგ იგი ვრცელდებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. მხოლოდ XV ს. დასასრულს შეიქმნა ვაჭარ „ავანტიურისტთა" კომპანია, რომლის წევრები ცდილობდნენ კონტინენტური ევროპის სიღრმეში შეღწევას, გერმანიაში, ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების მიმართულებით თავიანთი საქმიანობის მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებას, განვრცობას. XVI საუკუნიდან ინგლისის სავაჭრო კონტაქტები სხვა ქვეყნებთან მნიშვნელოვნად იზრდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ტიუდორთა დინასტიის წარმომადგენლები მოვიდნენ სახელმწიფოს სათავეში (1485). მაგრამ ამ დროისათვის ზღვებზე სხვა სახელმწიფოები ბატონობდნენ და ამიტომ ინგლისს სასურველი პოზიციების მოსაპოვებლად დაუნდობელი ბრძოლა უნდა ეწარმოებინა მათთან, განსაკუთრებით ესპანეთთან, რომლის საზღვაო ფლოტი იმდროინდელ მსოფლიოში უძლიერესი იყო. აქედან გამომდინარე, ინგლისის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრობლემას ესპანეთთან დამოკიდებულების საკითხის გარკვევა წარმოადგენდა: მშვიდობიანი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებისათვის ინგლისისა და ესპანეთის სამეფო სახლები ორჯერ დაუახლოვდნენ ერთმანეთს ქორწინებითი კავშირებით, მაგრამ უშედეგოდ; პირველად მაშინ, როდესაც ჰენრი VIII ჩამოშორდა რომის ეკლესიას, ხოლო მეორედ ფილიპე II მეუღლის მარიამ (მერი) „სისხლიანის" სიკვდილის შემდეგ, როდესაც ელიზაბეთმა (1558-1603) უარი განაცხადა ესპანეთის მეფეზე დაქორწინებულიყო.

ელიზაბეთი ყველგან და ყოველთვის მხარს უჭერდა ესპანეთის მტრებს: შოტლანდიელ კალვინისტებს იგი ეხმარებოდა მათი მეფის

კათოლიკე მარიამ (მერი) სტიუარტის წინააღმდეგ, ნიდერლანდელ გიოზებს — ესპანელების წინააღმდეგ, ფრანგ ჰუგენოტებს — ვალუების, გიზებისა და ლიგის წინააღმდეგ. მთავარი მიზნის — ესპანეთის საზღვაო ძლიერების დაკნინების გარდა, ელიზაბეთი თავის პირად ინტერესებსაც არ ივიწყებდა: ჰუგენოტებთან ერთ-ერთი შეთანხმებით, მან დაისაკუთრა მდ. სენის შესართავში ჰავრის პორტი; ეხმარებოდნენ რა ჰუგენოტებს საფრანგეთის დასავლეთში, იმავდროულად ინგლისელები გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდნენ პროტესტანტულ ლაროშელთან. ზღვაზე განუწყვეტელი სავაჭრო ომები წარმოებდა; ინგლისელი მეკობრეები შიშის ზარს სცემდნენ მოწინააღმდეგეებს. ცნობილი მეკობრეები დრეიკი, რალეი გაბედულად იჭრებოდნენ ესპანეთის სამფლობელოებში, თავს ესხმოდნენ ოქრო-ვერცხლითა და სხვა ძვირფასეულობებით დატვირთულ მათ გემებს, ანადგურებდნენ ვესტინდოეთის სანაპიროებს. ნაძარცვიდან თავის წილს ინგლისის დედოფალიც იღებდა.

მთავრობა კანონიერი გზებითაც ხელს უწყობდა ვაჭრობისა და სამრეწველო წარმოების განვითარებას. მიწათმოქმედების გაუმჯობესების მიზნით, ელიზაბეთმა გამოსცა რამდენიმე ბილი, რომლებიც ნებას რთავდა ინგლისიდან ხორბლის გატანას იმ შემთხვევაში, თუ მისი ფასი ქვეყნის შიგნით არ აღემატებოდა დადგენილ ნორმას, ე. ი. ზედმეტი რაოდენობით იყო. ეს კანონები, რასაკვირველია, სტიმულს აძლევდა მიწათმოქმედებას, მაგრამ მათი მთავარი დანიშნულება ინგლისის ზღვაოსნობისათვის ხელშეწყობა იყო — ხორბლის გატანა მხოლოდ ინგლისური გემებით იყო ნებადართული. ვაჭრობას სხვა ღონისძიებებითაც ეხმარებოდნენ: ცნობილ სავაჭრო კომპანიებს მონოპოლიური ვაჭრობის უფლებას აძლევდნენ ე. ი. გარკვეული ნედლეულით მაგ., რკინით, ფოლადით, ბეწვეულით, მარილით და ა. შ. ვაჭრობა მხოლოდ იმ კომპანიებს შეეძლოთ, რომლებსაც მეფის მიერ ხელმოწერილი სათანადო დოკუმენტი ჰქონდათ.

ასეთი უფლებით სხვა ქვეყნების სავაჭრო კომპანიებიც სარგებლობდნენ, მაგ., ლევანტის, რუსული, აფრიკული და ა. შ. ინგლისური ვაჭრობის განვითარების შედეგად შეიქმნა ლონდონის ბირჟა (1568), რომლის დამაარსებელი იყო გრეშემი; ბირჟის საზეიმო გახსნას დედოფალიც ესწრებოდა.

კანონები მუშათა და ღარიბებზე მზრუნველობის შესახებ. არც ერთი სხვა სახელმწიფოს მთავრობა ისე არ ერეოდა სამრეწველო საქმიანობაში, როგორც ინგლისის მთავრობა. ამავე დროს, იგი მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებზეც ამახვილებდა ყურადღებას. მაშინ, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა სოფლად ცხოვრობდა და ბატონყმურ შრომას ეწეოდა, ხოლო ქალაქის საწარმოებში მომუშავენი სპეციალობების მიხედვით ამქრებში იყვნენ გაერთიანებული, მთავრობა არ ერეოდა მათი სამუშაო პირობების განსაზღვრაში. XIV საუკუნის შუა ხანებიდან კი, როდესაც ინგლისის გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი შემოღობვების შედეგად უმიწოდ დარჩა და ქალაქს მიაშურა, რამაც ხელი შეუწყო ხელოსნობის განვითარებას, მეფემ პარლამენტთან ერთად გამოსცა ბილი მუშათა შესახებ (1349). მხოლოდ მთავრობას ჰქონდა უფლება დაედგინა თუ ვის უნდა ემუშავა, რომელ დარგში და რა რაოდენობის ხელფასი მიეღო. მას შემდეგ თითქმის ორასი წელი გავიდა; ამ ხნის განმავლობაში ინგლისში ბევრი რამ შეიცვალა; მიწათმოქმედება შემცირდა და ხელოსნობა გაიზარდა. მაგრამ მთავარი ცვლილება მაინც XVI საუკუნეში მოხდა — ფასების რევოლუცია. იმ დროს, როდესაც სურსათზე ფასები 2-3-ჯერ გაიზარდა, ხელფასებმა უმნიშვნელოდ მოიმატა. ელიზაბეთის მთავრობა ასეთ მდგომარეობას უსამართლოდ მიიჩნევდა და გამოსცა ახალი კანონი „ქარგლების შესახებ". ყოველწლიურად, სოფლებში და ქალაქებში, მოსამართლეებს უნდა განესაზღვრათ ხელფასის ოდენობა წარმოების ყველა დარგში, ანუ დაედგინათ საცხოვრებელი მინიმუმი; თუ მეწარმე არ შეასრულებდა ამ დადგენილებას და მუშას საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლებს გადაუხდიდა, იგი მკაცრად დაისჯებოდა. კანონი ადგენდა, აგრეთვე, სამუშაო დროის ხანგრძლივობას. ამავე დროს, მთავრობა გამოხატავდა საწარმოთა მფლობელების ინტერესებს, იცავდა მათ მუშათა მხრიდან ზეწოლისაგან. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე სამუშაოს მიტოვება ისჯებოდა; ახალ სამუშაოზე მოწყობისას მუშას საწარმოს მფლობელისათვის უნდა წარედგინა თავისი კეთილსინდისიერების დამადასტურებელი დოკუმენტი. კანონში დაწვრილებით იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ჩაებათ იძულებით შრომაში: ისინი, ვისაც მიწიდან 40 შილინგზე, ან სხვა საკუთრებიდან 10

გირვანქა სტერლინგზე მეტი შემოსავალი არ ჰქონდა, ვინც არ მუშაობდა მემამულესთან, ან არ ფლობდა საიჯარო მიწას, აგრეთვე, უცოლოები და 30 წელზე ნაკლები ხნისანი.

ამგვარად, სახელმწიფო თავის თავზე იღებდა მუშებზე მეთვალყურეობას, იმ ფუნქციებს, რომლებსაც შუა საუკუნეებში ახორციელებდნენ ქალაქები, გილდიები, ამქრები და კორპორაციები. სამეფო ხელისუფლება ამ შემთხვევაში მოქმედებდა პარლამენტთან ერთად. პარლამენტი კი შედგებოდა მემამულეებისაგან, რომლებიც მუშახელს საჭიროებდნენ, მსხვილი ვაჭრებისა და მრეწველებისაგან. მთავრობა ცდილობდა მეთვალყურეობის ქვეშ ჰყოლოდა, აგრეთვე, უმუშევრები და ღარიბები. შემოღობვების შედეგად გაღატაკებული ამ კატეგორიის ადამიანები კი XVI საუკუნის ინგლისში დიდი რაოდენობით იყო. შრომისუუნარო პირებზე საეკლესიო მრევლს უნდა ეზრუნა; მრევლის შეძლებული ადამიანები ვალდებული იყვნენ გადაეხადათ გარკვეული გადასახადი ღარიბების სასარგებლოდ; ვინც ამ მოთხოვნას არ შეასრულებდა მათ მომრიგებელი მოსამართლეები მკაცრად სჯიდნენ; ისინი ადგენდნენ, აგრეთვე, თავიანთი უბნების ღარიბთა სიებს, განაგებდნენ მათთვის გამოყოფილ თანხებს და ხელმძღვანელობდნენ უპოვართათვის სახლების მშენებლობას. ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებული იყო იძულებით მოეთავსებინა „მუშათა სახლებში“ ყველა ჯანმრთელი ღარიბი, მოხეტიალე ადამიანები, ოინბაზები (მეფოკუსეები), ექიმბაშები, დანის მლესავები და მეძავეები, უმუშევარი მატროსები, თუ ისინი მათხოვრობდნენ...

ელიზაბეთის დროინდელმა ყველა ზემოთ დასახელებულმა კანონმა და დაწესებულებამ „სამრეწველო რევოლუციის“ დაწყებამდე იარსება, ე. ი. დაახლოებით ორასი წლის განმავლობაში. ის კლასები, რომლებსაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ პარლამენტში, კმაყოფილნი იყვნენ ელიზაბეთის მმართველობით; ესპანეთთან ომი, საზღვაო ღონისძიებები, კონტინენტური ევროპის საქმეებში მონაწილეობა ფართო სამოქმედო ასპარეზს აძლევდა თავადაზნაურთა (ჯენტრი) და ტიტულოვანი არისტოკრატიის (ნობილიტეტი) ენერგიულ, მებრძოლ ნაწილს. მიწის მეპატრონეები დიდ მოგებას იღებდნენ ხორბლის თავისუფალი ექსპორტით და ქვეყნის შიგნით მატყლზე მაღალი ფასებით. სწრაფი ტემპით

ვითარდებოდა ინგლისის ვაჭრობა და ზღვაოსნობა. მატერიკის ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოებით მოხერხებულად სარგებლობდა დედოფალი; იგი განსაკუთრებით მფარველობდა პროტესტანტებს და ამიტომ ინგლისი ითვლებოდა კათოლიკობისაგან განდგომილთა თავშესაფრად.

ინგლისში „ელიზაბეთის საუკუნეს" გმირულ ეპოქად მიიჩნევენ. ეს ეპოქა შემდგომი დროისაგან ერთი დამახასიათებელი ნიშნით გამოირჩევა, სახელდობრ, ადამიანზე და ცხოვრებაზე ახლებური წარმოდგენებით, რაც დროის მოთხოვნებით იყო განპირობებული. აღორძინების ხელოვნებამ და ლიტერატურამ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ინგლისში გვიან შეაღწია; მაგრამ, ამას გარდა, აღორძინება აქ თავისებური ფორმით გამომჟღავნდა — სახალხო თეატრის განვითარებით. თეატრალურ წარმოდგენებს ესწრებოდნენ ყველა კლასის წარმომადგენლები, არისტოკრატიიდან დაწყებული და მუშებით დამთავრებული. მართალია, ელიზაბეთი თვითონ არ დადიოდა თეატრში, მაგრამ ხშირად თავისთან იწვევდა დასის წევრებს, ესმარებოდა, ესაუბრებოდა მათ გეგმებზე. სწორედ ამ დროს მოღვაწეობდა ყველა დროის უდიდესი დრამატურგი უილიამ შექსპირი (1564-1616), რომელიც თავისი შემოქმედებით ებრძოდა სქოლასტიკურ აზროვნებას და ქადაგებდა მოვლენების თავისუფალი, კრიტიკული შეფასების აუცილებლობას.

შექსპირის ადრინდელი შემოქმედების წამყვანი ჟანრი პოეზია იყო. ინგლისელები შექსპირს დღესაც თავიანთ უდიდეს პოეტად მიიჩნევენ. მისი „სონეტები" მართლაც მსოფლიო პოეზიის საგანძურშია შესული, მაგრამ შექსპირის შემოქმედების უკვდავება მაინც მისმა ტრაგედიებმა, ისტორიულმა დრამებმა და კომედიებმა განაპირობა. ისტორიული პიესებიდან გამოირჩევა „რიჩარდ მესამე", როგორც მკაცრი კომპოზიციური კანონებით შეკრული ტრაგედია. ისტორიული რიჩარდისაგან განსხვავებით, შექსპირის გმირის ხასიათი მეტად ჩამუქებულია. იგი აბსოლუტური მონარქიის განმტკიცებისათვის იბრძვის, რაც თითქოს არ ეწინააღმდეგება შექსპირის რენესანსულ მსოფლაღქმას, მაგრამ რიჩარდისათვის სამეფო ძალაუფლება საბოლოოდ მხოლოდ სხვისი ნების ჩაკვლისა და საკუთარი, ეგოცენტრული ჟინის დაკმაყოფილების საშუალებაა.

საქართველოში შექსპირს იცნობენ XIX ს. დასაწყისიდან. პირვე-

ლად მას თარგმნიდნენ რუსულიდან (გ. ერისთავი, ლ. არდაზიანი და სხვ.). ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის მიერ თარგმნილმა „მეფე ლირმა“ საფუძველი ჩაუყარა შექსპირის ქართულად თარგმნის კლასიკურ ტრადიციას. ქართულ თეატრში იდგმებოდა შექსპირის საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლები „ჰამლეტი“, „ოტელო“, „რიჩარდ მესამე“ და სხვ.

პურიტანიზმი. ელიზაბეთის დროს ინგლისში გაძლიერდა პურიტანული მოძრაობა, რასაც შემდეგ, XVII საუკუნეში, რელიგიურ შეხედულებათა ნამდვილი რეფორმაცია მოჰყვა; XVI საუკუნეში, ტიუდორების მმართველობის ეპოქაში კი, ანგლიკანური ეკლესიის შემოღებით[1], ეკლესიის მოწყობის მხოლოდ გარეგნული ცვლილებები განხორციელდა.

კათოლიკური რეაქციის შემდეგ ტახტზე ასვლისთანავე, ელიზაბეთმა სცნო სუპრემატია (ე.ი. ეკლესიის პრიმასად სახელმწიფოს მეთაურის აღიარება) და რწმენის ერთსახეობა, ანუ პარლამენტის მიერ დამტკიცებული დოგმატები, რომლებიც შედგენილი იყო კრანმერის პროტესტანტული ლოცვანის მიხედვით; თუმცა აქა იქ მაინც შემორჩა კათოლიკური წეს-ჩვეულებანი და იერარქია. ოფიციალურმა ეკლესიამ (ანგლიკანობამ) ინგლისში შეინარჩუნა არისტოკრატიული ხასიათი და ამასთანავე, მიიღო ბიუროკრატიული მიმართულება: ეპისკოპოსებს ირჩევდნენ მდიდარი ფეოდალური საგვარეულოდან, რომლებიც თავიანთი როლის მიხედვით (მოსახლეობის განწყობაზე ზედამხედველობის თვალსაზრისით) უპირველესი მოხელეთაგანი იყვნენ. ასეთი დაუმთავრებელი რეფორმაცია კარგ საფუძველს ქმნიდა საეკლესიო დარგში უფრო გაბედული ცვლილებებისათვის, და მართლაც, სულ მალე გამოჩნდნენ კალვინის მოძღვრების მიმდევარნი, რომლებიც თავიანთი სურვილით, ან მრევლის მოთხოვნით, უარყოფდნენ კათოლიკობისათვის დამახასიათებელ ცერემონიებს, კათოლიკურ ფერად სამოსელს ცვლიდნენ შავი ლაბადით, ეკლესიის შუაში საკურთხევლის მაგივრად დგამდნენ სადა მაგიდას და კრძალავდნენ თავის დახრას ქრისტეს სახელის წარმოთქმის დროს.

---

[1] ანგლიკანური ეკლესია, ერთ-ერთი პროტესტანტული ეკლესია, კულტითა და ორგანიზაციული პრინციპებით ახლოს დგას კათოლიკობასთან.

ამგვარად გამარტივებული და „გაწმენდილი“ რელიგიის მიმდევრებს ჰქონდათ იმის საფუძველი, რომ თავიანთი თავისათვის პურიტანები (პურიტანი — ლათ., purus წმინდა, სუფთა) ეწოდებინათ. კემბრიჯის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორის, ქართრაითის (იგი უნივერსიტეტიდან დაითხოვეს თავისი რწმენის გამო) ნაშრომში — „დარიგება პარლამენტისადმი“, დაუნდობლად არის გაკრიტიკებული ანგლიკანური ეკლესია. პურიტანებისათვის მიუღებელი იყო ადამიანური ლტოლვა სხვადასხვა სახის გართობებისადმი, მდიდრული ღია ფერის კოსტიუმები, მხიარული დღესასწაულები, მუსიკა, სურათები, ნადირობა, ე. ი. ყველაფერი ის, რაც ადამიანის სულსა და გულს ახარებს. ასეთი მკაცრი მოძღვრების გავლენით ინგლისის საზოგადოებაში გამოჩნდნენ განსაკუთრებული ხასიათის მქონე პირები. პურიტანი ცხოვრების აზრს უმაღლესი მოვალეობის შესრულების განუწყვეტელ მცდელობაში ხედავს. იგი ნებისყოფიანი, მეთოდური, სიტყვაძუნწი ადამიანია, არ იცინის, არ ფანტაზიორობს, კარგი მუშაა და ვერ იტანს უსაქმურებს. მის ყოველ ქცევაში, ჩაცმულობაში, სიტყვებში გამოსჭვივის ერთფეროვანი მოღუშულობა, რაღაცნაირი მუდმივი გლოვა. კვირა, დასვენებისა და გართობის დღე, პურიტანებმა გადააქციეს იუდეველთა შაბათის მსგავს დღედ — სახლიდან გარეთ არ გამოდიოდნენ და დროს ფსალმუნების კითხვაში ატარებდნენ. პურიტანი სკვაირი (მემამულე) ან ვაჭარი სანიმუშო მეურნე და მეოჯახეა; მისი პირადი ცხოვრება უნაკლოა, მას ძლიერ აქვს განვითარებული საკუთარი ღირსების გრძნობა. მაგრამ იგი არასასიამოვნოა თავისი პედანტიზმის, ადამიანური გატაცებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების, ყოველგვარი ფუფუნებისა და თავისუფალი ქცევის სიძულვილის გამო. ბიბლიაში, განსაკუთრებით ძველ ალთქმაში, ჩამოყალიბებული დოგმები და მოსაზრებები ავსებენ მთელ მის ცხოვრებას. ღვთის კანონებისადმი უსიტყვო მორჩილების მიუხედავად, პურიტანებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ინგლისის რევოლუციაში, რაც იმითაც იყო განპირობებული, რომ მეფეები რელიგიურ შემწყნარებლობას უარყოფდნენ.

პურიტანებში ორი მიმართულება შეიმჩნეოდა: პრესვიტერიანული

და ინდეპენდენტური. თავიანთი შეხედულებების მიხედვით, პირველები ზომიერებს მიეკუთვნებოდნენ, მეორენი — რადიკალებს. ზომიერები კალვინისტური მოძღვრების მიმდევრები იყვნენ. მისი დამაარსებელი იყო შოტლანდიელი ჯონ ნოქსი. პრესვიტერიანული ეკლესია წარმოადგენდა მორწმუნეთა თემების გაერთიანებას. თითოეულ თემს სათავეში ედგა პრესვიტერთა (ბერძ., presbjteros — უხუცესი) კონსისტორიუმი (რომლის წევრებს საერო პირთაგან ირჩევდნენ) და პასტორი. რამდენიმე თემი ქმნიდა ასოციაციას, რომელსაც მართავდა ამ თემების პასტორებისა და პრესვიტერების პრესვიტერიუმი (კოლოკვიუმი). ასოციაციებს ხელმძღვანელობდნენ პროვინციული და ეროვნული სინოდები. როგორც ვხედავთ, პრესვიტერიანელებში საეკლესიო იერარქია შენარჩუნებული იყო.

ინდეპენდენტური (ინგლ. independents — დამოუკიდებელნი) მიმართულების დამაარსებელი ბრაუნი პრესვიტერიანელებს ფარისევლებს უწოდებდა, რომლებიც შუა გზაზე შეჩერდნენ. მისი აზრით, სახელმწიფო რელიგია ცოდვილ ბაბილონს წარმოადგენდა. მხოლოდ ისეთი საეკლესიო წყობა არის მართებული, როდესაც თითოეული საეკლესიო თემი სრულიად დამოუკიდებელია და დემოკრატიულად იმართება — ამბობდა იგი. მღვდლებისა და უხუცესების ავტორიტეტი ტირანიას წარმოადგენს; თემის ყველა წევრი თანასწორია და ყველა შეიძლება იყოს მღვდელი, რადგანაც ქადაგება და ღვთის სიტყვის ინტერპრეტაცია შთაგონების, სულიერი აღმაფრენის დროს უნდა ხდებოდეს და არა წინასწარი მომზადებით. ინდეპენდენტების რელიგიური რიტუალი შემოიფარგლებოდა ფსალმუნების გალობითა და ბიბლიის ერთობლივი კითხვით.

ელიზაბეთის დროს პურიტანები მცირერიცხოვანნი იყვნენ. ანგლიკანური ეკლესიის მხრიდან დევნა-შევიწროების გამო, ბრაუნის ბევრი მიმდევარი იძულებული გახდა ჰოლანდიასა და ამერიკაში გაქცეულიყო.

მეფე და პარლამენტი XVII ს. პირველ მესამედში. ელიზაბეთის გარდაცვალების შემდეგ (1603) მდგომარეობა შეიცვალა. **ტიუდორების დინასტიის ნაცვლად სახელმწიფოს სათავეში შოტლანდიელი სტი-**

უარტები მოვიდნენ. შოტლანდია ინგლისთან ერთად ერთ სამეფოს წარმოადგენდა, მაგრამ მას ჰქონდა განსაკუთრებული პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობა. ახალი მეფე ჯეიმზ I სიკვდილით დასჯილი მარიამ (მერი) სტიუარტის შვილი იყო. იგი თავის სამეცნიერო ნაშრომებში, სიტყვებში, მანიფესტებში ასეთ მოსაზრებებს გამოთქვამდა: ღმერთი განსაკუთრებით მფარველობს მემკვიდრეობით მონარქიას; მონარქიას აქვს იმის უფლება, რომ იყოს დესპოტი; ის კანონებს კეთილი ნების გამო ასრულებს; ყველა კანონი, რომელიც მეფის პრეროგატივებს ზღუდავს მონარქიის წყალობის შედეგია და როდესაც ისურვებს, შეუძლია უარი თქვას მათზე; იურისტებს არა აქვთ იმის უფლება, რომ იმსჯელონ სამეფო ხელისუფლების საკითხებზე, რადგანაც მკრეხელობაა განსაჯო ის, რაც ღმერთმა დაადგინა.

ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ მოსაბეზრებელი მსჯელობა მით უფრო გამაღიზიანებელი უნდა ყოფილიყო, რომ თვითონ მეფე იყო უტაქტო და არათანმიმდევრული; პარლამენტთან სერიოზული უთანხმოების დროს ყოველთვის უკან მიჰქონდა თავისი მოთხოვნები. ჯეიმზ I, დარწმუნებული იმაში, რომ „თუ არ არის ეპისკოპოსი, არ არის მეფე“, თავისი მისწრაფებების განხორციელებისათვის საიმედო დასაყრდენს ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსებში ხედავდა. მისი შეხედულებით, აბსოლუტური მონარქია ერთადერთი მისაღები ფორმაა, რომელიც ითვალისწინებს ღმერთის ნებას და ადამიანურ ბუნებას. ის მოთხოვნები კი, რომლებსაც პარლამენტი აყენებს, უღმერთოების გამოვლენაა; ხალხი „მოუწესრიგებელი ბრბოა“, ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს ხელისუფლების საწყისი.

უმაღლესი სამღვდელოების გავლენით, ოქსფორდის უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ ქვეშევრდომებს არ აქვთ ხელმწიფის წინააღმდეგ გამოსვლის უფლება, თუნდაც იგი თავდაცვის მიზნით იყოს ნაკარნახევი. ასეთი განცხადება ეწინააღმდეგებოდა ჯერ კიდევ თავისუფლების დიდ ქარტიაში (1215) ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს.

ჯეიმზ I მეფობის (1603-1625) დასაწყისიდანვე ინგლისში დაიწყეს პურიტანების დევნა, ეკლესიის ბევრ მსახურს აყარეს ღირსება.

ამან პარლამენტის უკმაყოფილება გამოიწვია (პარლამენტში პურიტანი დეპუტატების რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა). მეფესთან დაპირისპირების მიზეზი ფინანსური საკითხებიც გახდა. XVI საუკუნის ბოლომდე, ფლობდნენ რა დიდ დომენებს, მეფეები ფინანსურად ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი პარლამენტზე. ამ დროისათვის ევროპაში საერთაშორისო მდგომარეობის გართულების გამო, რასაც მოჰყვა ინგლისის გამუდმებული შეჯახებები ესპანეთთან და საფრანგეთთან, საგრძნობლად გაიზარდა სახელმწიფოს ხარჯები, რასაც თან დაერთო ინფლაცია და, სამეფო მიწებიდან შემოსავალი შემცირდა. საჭირო იყო ახალი ფინანსური წყაროების მოძიება. თავისი მეფობის მიწურულს, დედოფალი ელიზაბეთი შეეცადა მიეღო დამატებითი სახსრები ინგლისის მზარდი ვაჭრობისაგან: მან დაიწყო მონოპოლიების გაყიდვა, ე. ი. ცალკეულ ვაჭრებსა და კომპანიებს აძლევდა გარკვეული საქონლით ვაჭრობის განსაკუთრებულ უფლებას. მაგრამ პარლამენტის მედგარი წინააღმდეგობის გამო, დედოფალი იძულებული გახდა ამ განზრახვაზე უარი ეთქვა.

სტიუარტებს ინგლისის მართვა მოუხდათ კრიტიკულ ეპოქაში, როდესაც ფინანსურმა სიძნელეებმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია: ყოველი ახალი გადასახადის შემოღების მცდელობისას, ისინი პარლამენტის წინააღმდეგობას ხვდებობდნენ; დეპუტატები ფინანსების უქონლობას უგუნურ პოლიტიკაში და მეფის მოხელეების დანაშაულებრივ ქმედებებში ხედავდნენ. ჯეიმზ I პარლამენტს შესთავაზა ძველი ფეოდალური გამოსასყიდლებისა და გადასახადების სანაცვლოდ დაეწესებინათ მუდმივი გადასახადი 200 000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით. როდესაც ეს წინადადება არ იქნა მიღებული, მთავრობამ კვლავ მონოპოლიებით ვაჭრობა დაიწყო.

შვიდწლიანი შესვენების შემდეგ, 1621 წელს მოწვეული პარლამენტი არაკანონიერად მიიჩნევდა ამგვარ გადასახადებს და მოითხოვდა მეფის იმ მოხელეების გასამართლებას, რომლებიც სამრეწველო პრივილეგიების გაცემით მდიდრდებოდნენ; ბრალდებულთა შორის იყო დიდი მეცნიერი ფრანსის ბეკონი. იგი ქრთამის აღებისათვის გაასამართლეს და კანცლერის პოსტიდან გადააყენეს. მეფესა და პარლა-

მენტს შორის ურთიერთობა დაიძაბა; პურიტანებმა წამოაყენეს თეორია სახალხო ხელისუფლების შესახებ. ორივე მხარე ეყრდნობოდა ბიბლიას და ინგლისის ისტორიას, რომლებსაც თავიანთთვის სასარგებლო ინტერპრეტაციით განიხილავდნენ. მეფის მოწოდებას — არ დაეწყოთ პოლიტიკური საკითხების განხილვა, დეპუტატებმა უპასუხეს: „პარლამენტის თავისუფლება ინგლისელების უძველესი და უპირობო მონაპოვარია... საკითხების განხილვის დროს პალატის თითოეულ წევრს აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება". ასეთი პასუხით განრისხებულმა ჯეიმზმა ბრძანა მისთვის მოეტანათ პარლამენტის ოქმები და თავისი ხელით ამოგლიჯა ის ფურცლები, სადაც ჩაწერილი იყო ეს პროტესტი.

ტიუდორების დროს უფლებაშელახული პარლამენტი კვლავ იკრებს ძალებს. XVII საუკუნის დასაწყისისათვის ინგლისის საზოგადოებაში პროტესტის ბევრი საფუძველი არსებობდა, მათ შორის მთავარი იყო სტიუარტების უსუსური და გაუმართლებელი სავაჭრო და, სერთოდ, საგარეო პოლიტიკა; პურიტანებმა კიდევ უფრო გაამძაფრეს მეფის წინააღმდეგ მიმართული უკმაყოფილება.

მეფესა და პარლამენტს შორის უთანხმოებამ კიდევ უფრო ღრმად გაიდგა ფესვები ჯეიმზ I მემკვიდრის ჩარლზ I დროს (1625-1649). მამასთან შედარებით, იგი უფრო მოქნილი იყო და ამიტომაც მოწინააღმდეგეებისათვის უფრო საშიშიც. მეფის აზრით, პოლიტიკური საკითხების განხილვის დროს მიცემული სიტყვისა და პირობის შეუსრულებლობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მეფის მოვალეობაა პრეროგატივების შენარჩუნება და განმტკიცება; ყველა საშუალება კარგია, თუ ამ მიზანს ემსახურება, — ამბობდა იგი.

ინგლისი აგრძელებდა წარუმატებელ საგარეო პოლიტიკას: მეფის ფავორიტი ბეკინგემი უშედეგო საზღვაო ექსპედიციებს აწყობდა ხან ესპანეთის, ხან კი საფრანგეთის წინააღმდეგ. მთავრობის ფინანსური საშუალებები არ შეესაბამებოდნენ საგანგებო ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულ დიდ ხარჯებს. როდესაც მეფე პარლამენტს სთხოვდა დამატებით თანხებს, ქვედა პალატა, მცირეოდენი სახსრების გამოყოფის სანაცვლოდ, თავის მოთხოვნებს აყენებდა, აკრიტიკებდა

მმართველობას და მოითხოვდა ბეკინგემის გადადგომას. მეფე ამ-ჯობინებდა პარლამენტის გვერდის ავლით ემოქმედა: დაწესებულ საბაჟო გადასახადზე მეტს იღებდა და მოსახლეობისაგან კრეფდა ფულს იძულებითი სესხის სახით; მას, ვინც უარს იტყოდა სესხის მიცემაზე, სამხედრო სამსახურში იწვევდნენ ჯარისკაცად, ან ციხეში სვამდნენ.

საპროტესტო გამოსვლები პარლამენტში თანდათან გახშირდა. ოპოზიციონერებს სათავეში ედგნენ უენტუორთი და ელიოტი. მართალია, უენტუორთი ძლიერი სამეფო ხელისუფლების მომხრე იყო, მაგრამ ამავე დროს მოითხოვდა კანონებისა და პარლამენტის უფლებების დაცვას. ელიოტს, პირიქით, ძლიერი პარლამენტი უნდოდა. მისი ინიციატივით 1628 წელს პარლამენტს წარუდგინეს „პეტიცია უფლებათა შესახებ", რომლის შემდგენლები, თავისუფლების დიდ ქარტიაზე დაყრდნობით, მთელ რიგ მოთხოვნებს აყენებდნენ: 1. სახელმწიფოში არ შეიძლება აიკრიფოს რაიმე გადასახადი პარლამენტის თანხმობის გარეშე, 2. სახელმწიფოში უნდა აიკრძალოს მოქალაქეთა თვითნებური დაპატიმრება, მათთვის ქონების ჩამორთმევა, კანონიერი ბრალდების წაყენების, ქვეყნად მოქმედი კანონების საფუძველზე გამოტანილი განაჩენის გარეშე, 3. მშვიდობიან დროს სახელმწიფოში უნდა აიკრძალოს მოქალაქეთა დაპატიმრება და რეპრესირება საგანგებო სამხედრო წესების შესაბამისად, 4. აიკრძალოს მოქალაქეთა სახლებში ჯარის ჩასახლება, ჯარის შენახვა მოსახლეობის ხარჯით. პირველი მოთხოვნა აბსოლუტიზმის ეკონომიკური დესპოტიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული, დანარჩენები კი პოლიტიკური დესპოტიზმის წინააღმდეგ.

ხანგრძლივი დავის შემდეგ, მეფემ განაცხადა: „დაე, იქცეს კანონად ის, რაც თქვენ გსურთ" (ნორმანულ-ფრანგული ფორმულა: „Soit droit feit comme est desire"). ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან პეტიციამ კანონის ძალა მოიპოვა. ინგლისში საზეიმო განწყობა სუფევდა: იმართებოდა მანიფესტაციები, გაისმოდა ზარების რეკვა. საღამოს ლონდონში სიტზე მოეწყო ილუმინაციები, საზეიმო კოცონები, მოსახლეობა მაშხალებით ხელში ქუჩებში გამოეფინა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი ეს ნაადრევი იყო. მეფე თვალთ-

მაქცობდა, იგი პეტიციის მიღებაზე გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებით დათანხმდა. მას სურდა რაც შეიძლება მალე მიეღო სანუკვარი სუბსიდია. ასეც მოხდა, პარლამენტმა მას საკმაოდ მოზრდილი თანხა გამოუყო — 350 000 გირვანქა სტერლინგი. მეფემ პეტიციის დარღვევა მისი მიღებისთანავე დაიწყო, რამაც ოპოზიციის გააქტიურება გამოიწვია. ჩარლზ I გადაწყვიტა ურჩი პარლამენტის დათხოვნა. მოხდა ისტორიაში გაუგონარი რამ — პარლამენტი არ დაემორჩილა მეფის ბრძანებას. დეპუტატებმა ელიოტის წინადადებით მიიღეს ასეთი რეზოლუცია: „ყველა, ვინც ანგლიკანურ ეკლესიაში შეიტანს პაპისტურ სიახლეს, ყველა მინისტრი, ვინც მეფეს ურჩევს აკრიფოს გადასახადები პარლამენტის ნებართვის გარეშე, სახელმწიფოსა და საზოგადოების მტერია; ყველა ქვეშევრდომი, ვინც ნებაყოფლობით დაემორჩილება კანონსაწინააღმდეგო აქტებსა და მოთხოვნებს ინგლისის თავისუფლების მოღალატე და მტერია“. 1629 წლის 10 მარტს მეფემ პარლამენტი ოფიციალურად დაითხოვა და ოპოზიციის 11 ლიდერი ციხეში გაგზავნა. პატიმრებმა „მოინანიეს“ შეცოდებანი და საპყრობილედან გამოვიდნენ. ელიოტმა პრინციპების ღალატს ციხე ამჯობინა, სადაც ის 1632 წელს გარდაიცვალა.

უპარლამენტო მმართველობა. ჩარლზ I გადაწყვიტა პარლამენტის გარეშე ემართა ქვეყანა და 11 წლის განმავლობაში (1629-1640) იგი არ მოუწვევია. პარლამენტის ბოლო სხდომაზე ჯონ ელიოტი ამბობდა: „ყველა, ვინც შეეცადა პარლამენტის უფლებების დარღვევას, ბოლოსდაბოლოს მაინც პარლამენტის მიერ იქნა ძლეული“. ეს სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგა.

მოულოდნელად მეფის მხარეზე გადავიდა ოპოზიციის ბელადი უენტუორთი[1].

---

1. უენტუორთის ღალატის მიზეზს სხვადასხვაგვარად ხსნიან. ზოგის აზრით, იგი სამეფო კარმა მოისყიდა, ზოგს მიაჩნია, რომ მისთვის დამახასიათებელი იყო კარიერიზმი, პატივმოყვარეობა, ხელისუფლებისადმი ავადმყოფური ლტოლვა და ეს წმინდა სუბიექტური ფაქტორი განაპირობებდა სტრაფორდის გრაფის ღალატს. უენტუორთი პირწავარდნილი მონარქისტი და აბსოლუტისტი იყო, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ მეფეს გვერდში უნდა ედგას ჭკვიანი მრჩეველები და არა შემთხვევითი ხალხი. მისი აზრით, ბრბოს მართვა ძალისა და დაშინების გარეშე არ შეიძლება (რადგან არსებობენ ორი კატეგორიის ადამიანები: ერთნი, რომელთა მოსყიდვა

მეფემ სიამოვნებით მიიღო იგი, პერობა უბოძა (გახდა სტრაფორდის გრაფი) და საიდუმლო საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანა. „თქვენ თავს დაღუპვას უმზადებთ. მართალია, ახლა თქვენ გვტოვებთ, მაგრამ ჩვენ დაგტოვებთ მაშინ, როცა თავი მხრებზე აღარ გექნებათ“, — უთხრა რენეგატს ჯონ პიმმა.

უენტუორთი მეფეს ურჩევდა ოპოზიციის წინააღმდეგ მკაცრი ღონისძიებებით ემოქმედა; ორივე, მეფე და მისი მინისტრი, რიშელიეს წარმატებების შთაბეჭდილებათა ქვეშ იმყოფებოდნენ. სტრაფორდის აზრით, სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის მთავარი დასაყრდენი ჯარი უნდა ყოფილიყო. მან ისარგებლა იმით, რომ ირლანდიაში, სადაც ის მეფისნაცვლად დანიშნეს, დაიწყო აჯანყება და სამხედრო რაზმები ჩამოაყალიბა. მონარქიის დასაცავად განსაკუთრებული თავდადებით იბრძოდა აგრეთვე არქიეპისკოპოსი ლოდი — პურიტანიზმის სასტიკი მოწინააღმდეგე. ელიზაბეთის დროს ჩამოყალიბებული საეკლესიო საქმეების უმაღლესი კომისიაც პურიტანებს ებრძოდა, როგორც ნამდვილი ინკვიზიცია. ბევრი პურიტანი იძულებული გახდა ამერიკაში გადასახლებულიყო.

ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, ვერც საერო და ვერც საეკლესიო ხელისუფლებამ ვერ შესძლო ინგლისში მიეღწია ისეთი შედეგებისათვის, როგორც ესპანეთში და საფრანგეთში — მათ ვერც კათოლიკობა აღადგინეს და ვერც ბიუროკრატიული მმართველობა შექმნეს. იმ დროს, როდესაც ესპანეთში მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკობას უჭერდა მხარს და პროტესტანტული მოძრაობა განათლებული ადამიანების მცირე ნაწილში შეიმჩნეოდა, ინგლისში პირიქით, პურიტანიზმი ფართოდ იყო გავრცელებული ხალხში, კათოლიკობისადმი სიმპათიებს კი საზოგადოების მაღალი ფენების ზოგიერთი წარმომადგენელი ამჟღავნებდა. განსხვავება საფრანგეთთან შედარებითაც დიდი იყო. ინგლისის პარლამენტს ჰქონდა უფრო

ადვილად შეიძლება და მეორენი — ძნელად მოსასყიდნი, მათ წინააღმდეგ საჭიროა ძალა, დაშინება). უენტუორთის პოლიტიკური შეხედულებებით, ხელისუფლება უნდა ემორჩილებოდეს არა კანონს და საზოგადოებრივ აზრს, არამედ ძლიერ პიროვნებას. თავისი თავი მას სწორედ ასეთად ჰქონდა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, სწორედ ამ მოსაზრების გამო მიემხრო იგი თავის დროზე საპარლამენტო ოპოზიციას.

მყარი ტრადიციები, ვიდრე გენერალურ შტატებს: ათეული წლების განმავლობაში, შტატებისაგან განსხვავებით, მას რეგულარულად იწვევდნენ. ინგლისის მეფეს არ ჰყავდა სახელმწიფო მოხელეთა მთელი არმია, მაგრამ სანაცვლოდ საგრაფოებში არსებული საბჭოები და პასუხისმგებელი პირები განაგებდნენ გადასახადების გაწერასა და აკრეფას, იცავდნენ წესრიგს. რიშელიეს ყოვლისშემძლე ინტენდანტების მსგავსი მოხელეები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ადმინისტრაციას და მოსახლეობას, ინგლისში არ იყვნენ.

საფრანგეთთან შედარებით კიდევ ერთი სასარგებლო განმასხვავებელი ნიშანი ინგლისისათვის იყო ის, რომ ინგლისური სამართალი უკეთ იყო მოწყობილი. საუკუნეების მანძილზე ინგლისელებში ღრმად იყო გამჯდარი აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოში ყველასათვის ერთიანი კანონები, „საერთო სამართალი" უნდა არსებობდეს. მეფეებიც ხელს უწყობდნენ ამ აზრის დამკვიდრებას; ისინი თანდათანობით ავიწროებდნენ თვითნებურ და დაქუცმაცებულ ფეოდალურ სასამართლოებს, ქმნიდნენ თავიანთ იუსტიციას და ადგილობრივი მოსახლეობიდან ირჩევდნენ ნაფიც მსაჯულებს. ფრანგულ სასამართლოს არ ჰქონდა ასეთი საჯარო ხასიათი, მასში არ მონაწილეობდნენ საზოგადოების წარმომადგენლები; განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებს ცალკე გამოყოფდნენ და მთავრობა თვითონ წყვეტდა დამნაშავის ბედს; დამნაშავე სახელმწიფო მოხელეების სასამართლო ფარულად ეწყობოდა; **საფრანგეთში არ იყო იმის შეგნება, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია.**

ინგლისურ სასამართლოზე ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ერთი პროცესი, რომელიც მოეწყო უპარლამენტო მმართველობის დროს. სტრაფორდის რჩევით მეფემ განიზრახა „**სახომალდო გადასახადის**" შემოღება (ასე ეწოდებოდა გადასახადს, რომელსაც იხდიდა ინგლისის მოსახლეობის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ნაწილი დანიელთა[1] შემოსევის წინააღმდეგ ფლოტის აღჭურვის და სანაპირო ზოლის გასამაგრებლად). გადასახადის რაოდენობა არც თუ ისე დიდი იყო, მაგრამ მთავრობისათვის მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

[1] ნორმანებს ინგლისსში დანიელებს უწოდებდნენ.

იმიტომ, რომ იგი დაწესებული იყო 500 წლის წინ, ე. ი. თავისუფლების დიდ ქარტიამდე (ქარტიის მიხედვით, გადასახადების დაწესება პარლამენტის პრეროგატივა იყო). ამგვარად, თითქოს მეფის განზრახვა არ ეწინააღმდეგებოდა ინგლისის კანონებს; იგი ახალ გადასახადს კი არ აწესებდა, არამედ მხოლოდ აღადგენდა ქარტიამდე არსებულს. მეფე და მისი მრჩეველი იმედოვნებდნენ, რომ ამ აქტით შექმნიდნენ პრეცედენტს, რომელზე დაყრდნობითაც შემდეგ გააფართოვებდნენ სამეფო პრეროგატივას საერთო გადასახადების აკრეფის საქმეში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისელი მოსამართლეების გადაწყვეტილებას — მათ კანონიერად ცნეს სახომალდო გადასახადის შემოღება.

მაგრამ აზნაურმა ჰემპდენმა გადაწყვიტა სასამართლოზე დაემტკიცებინა ახალი გადასახადის არაკანონიერება. მან არ გადაიხადა თავისი წილი და, როგორც დამნაშავე, წარსდგა სასამართლოს წინაშე. თავის მხრივ, მეფესაც სურდა ამ საქმის სასამართლოზე განხილვა, რადგან დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში. თორმეტი მოსამართლიდან ხუთმა ჰემპდენი გაამართლა, შვიდმა დამნაშავედ სცნო. მართალია, მან წააგო სასამართლო პროცესი, მაგრამ მორალურად გაიმარჯვა: არსებითად ასამართლებდნენ არა მას, არამედ მეფის პოლიტიკას; მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ უბრალო მოქალაქე იყო მომჩივანი. მეფემ ხმების მცირეოდენი უპირატესობით გაიმარჯვა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ სტრაფორდის მიერ დასახული გზით (ოპოზიციის წინააღმდეგ ძალით მოქმედება) სვლა უპერსპექტივო იყო.

მეფის ხელისუფლების დაცემა დაიწყო 1637 წლიდან, შოტლანდიელების აჯანყებით. ჩარლზ I და არქიეპისკოპოსი ლოდი ცდილობდნენ კათოლიკური ნიშნებით შეფერადებული ეპისკოპალური (ანგლიკანური) ეკლესიის გავრცელებას შოტლანდიაშიც, სადაც პრესვიტერიანელობა 70 წლის წინ იყო დამკვიდრებული. ინგლისელი პურიტანები აღშფოთებული იყვნენ: პრაინმა გამოსცა პამფლეტი, რომელშიც ეპისკოპოსებს უწოდებდა „ანაფორაში გადაცმულ ეშმაკებს, სულების მძარცველებს, ანტიქრისტეს მოციქულებს". მთავრობამ ამჯერადაც დააპატიმრა რამდენიმე პამფლეტისტი, მაგრამ მათ მიმა-

რთ ლონდონის მოსახლეობა დიდ სიმპათიებს ამჟღავნებდა. შოტ-ლანდიელებმა შეადგინეს კოვენანტი, შეთანხმება მეფისა და ოფი-ციალური ეკლესიისადმი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ; აჯანყე-ბულმა შოტლანდიელებმა დაიკავეს ინგლისის ჩრდილოეთი; მათთან საომრად ჩარლზ I ფული არ ჰქონდა. მაშინ მეფემ გადაწყვიტა კვლავ მიემართა პარლამენტისათვის.

ხანგრძლივი პარლამენტის რეფორმები. რევოლუციის დაწყება. 1640 წლის 3 ნოემბერს შეიკრიბა ინგლისის ისტორიაში ყველაზე ცნობილი ე. წ. ხანგრძლივი პარლამენტი. (მან 12 წელზე მეტხანს იარსება, „ხანმოკლე პარლამენტი" კი მოქმედებდა 1640 წლის 13 აპრილიდან 6 მაისამდე). მისი წევრები იყვნენ ცნობილი მწერლები, იურისტები, ორატორები და პუბლიცისტები; ხანგრძლივი პარლამენ-ტი ძირითადად იმით განსხვავდებოდა თავისი წინამორბედებისაგან, რომ მასში იმთავითვე გამოიკვეთა ორგანიზებული პარტიები. ოპოზიციის გამოჩენილი ლიდერი ჯონ პიმი მთელს ინგლისში მოგზაურობდა, ხალხს აცნობდა თავისი პარტიის იდეებს და ასე ცდილობდა მათ მომხრობას; თვით პარლამენტში კი მისი ხელმძღვანელობით შეი-შუშავეს სხდომების სწორად წარმართვის მეთოდი.

პარლამენტმა მთავარ პრობლემად მიიჩნია იმ მექანიზმების მო-სპობა, რომლებიც ხელს უწყობდნენ აბსოლუტური მონარქიის ჩამოყ-ალიბებას. ასევე ძალზე მნიშვნელოვანი იყო უპარლამენტო მმართველობის წლებში მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმება. მან გააუქმა „ვარ-სკვლავის პალატა"[1] (სასამართლო, რომელიც მეფის მოღალატეების საქმეებს განიხილავდა) და უმაღლესი საეკლესიო სასამართლო „უმაღ-ლესი კომისია", არაკანონიერად ცნო სახომალდო გადასახადი და აკრძალა ყოველგვარი გადასახადის აკრეფა პარლამენტის თანხმობის გარეშე, გააუქმა ჰემპდენის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილება, პატიმრობიდან გაათავისუფლა პრაინი და პურიტანელობის გამო სხვა მსჯავრდებულნი. ამიერიდან სასამართლოები „საერთო სამართალს"

[1] „ვარსკვლავის პალატა" იყო უმაღლესი სასამართლო დაწესებულება XVI-XVII სს. ინგლისში. სახელი ეწოდა უესტმინსტერის სამეფო სასახლის დარბაზიდან, რომლის ჭერი მოხატული იყო ვარსკვლავებით.

დაექვემდებარა, გაიზარდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს როლი. ბევრი მოსამართლე გადააყენეს. მოსამართლეების შერჩევის ძველი პრინციპი — „თავის ადგილზე იქნებიან, სანამ მეფეს სურს“ — შეიცვალა პრინციპით — „თავის ადგილზე იქნებიან, სანამ კარგად მოიქცევიან“. ბაჟის ნაცვლად, რომელსაც მომჩივანი იხდიდა, მოსამართლეებს დაენიშნათ ხელფასი. საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, ქვედა პალატამ სახელმწიფოს ღალატში დაადანაშაულა ხალხისათვის საძულველი სისტემის ერთგული დამცველი **გრაფი სტრაფორდი**. პიმის დიდი მცდელობის მიუხედავად, სტრაფორდს ვერ დაუმტკიცეს დანაშაული[1]. მაშინ მის წინააღმდეგ გამოიყენეს ე. წ. „ბილი შერისხვის (სიკვდილით დასჯის) შესახებ“. ამ საგანგებო კანონს იყენებდნენ XV საუკუნეში (განსაკუთრებით „ვარდების ომის“ დროს), პარლამენტისათვის ძალზე საშიშ პიროვნებათა წინააღმდეგ, რომლებსაც სახელმწიფოს მოღალატის კატეგორიას მიაკუთვნებდნენ. მეფე იძულებული გახდა უარი ეთქვა თავისი ფავორიტის დაცვაზე. სტრაფორდი სიკვდილით დასაჯეს. მეფის მხრიდან ტრადიციების დარღვევას პარლამენტის სათანადო რეაქცია მოჰყვა: გადაწყდა პარლამენტის მოწვევა და დათხოვნა მეფის ნებაზე აღარ ყოფილიყო დამოკიდებული; იმ შემთხვევაში, თუ მეფე სამი წლის განმავლობაში არ მოიწვევდა პალატებს, ამომრჩევლები თვითონ აირჩევდნენ დეპუტატებს და შეკრებდნენ პარლამენტს. ჩარლზ I ყველაფერზე თანხმდებოდა იმ იმედით, რომ უცხო ძალის დახმარებით გაუსწორდებოდა ოპოზიციას. ამ დროს (1641) ირლანდიაში დაიწყო აჯანყება, რომელმაც ათასობით პროტესტანტისა და ინგლისელი ახალმოსახლის სიცოცხლე შეიწირა.

გარკვეულ დრომდე პარლამენტი ერთსულოვნად მოქმედებდა: მეფეს ჩამოართვეს თვითნებურად მართვის უფლება, მაგრამ ძველი მმართველობის მაგივრად ახალი არ შეუქმნიათ. ბოლოს პარლამენტის უმრავლესობამ, პიმის მეთაურობით, გადაწყვიტა მეფისათვის წარედგინათ

---

[1] ინგლისური კანონების თანახმად (ედუარდ III სტატუტი), სახელმწიფოს ღალატად ითვლებოდა ღალატი მხოლოდ მეფის მიმართ, მის წინააღმდეგ გამართული ომი, ასეთი ომისათვის წაქეზება, ან მის პიროვნებაზე (აგრეთვე დედოფალზე და მემკვიდრე პრინცზე) თავდასხმა; სტრაფორდი კი ყოველთვის მეფის კარნახითა. და მასთან შეთანხმებით მოქმედებდა, იგი უპირისპირდებოდა არა მეფეს, არამედ პარლამენტს.

„დიდი რემონსტრაცია“ (დიდი პროტესტი. 1641 წლის 22 ნოემბერი), რომელიც ძირითადად პოლიტიკურ რეფორმებს ითვალისწინებდა; უმრავლესობა მოითხოვდა: 1. საეკლესიო საქმეებში მეფის მაგივრად პარლამენტის უზენაესობას, ანუ პრესვიტერიანელობის შემოღებას, 2. პარლამენტის წინაშე მეფის მინისტრების პასუხისმგებლობას. რემონსტრაცია მიმართული იყო იქეთკენ, რომ მეფისათვის ჩამოერთვათ დამოუკიდებლობა და იგი პარლამენტის ნების აღმსრულებლად ექციათ. ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი კამათი გაიმართა: პარლამენტში ჩამოყალიბდა ზომიერების მნიშვნელოვანი რაოდენობა, ჯგუფი, რომელსაც არ სურდა მეფის ერთპიროვნული მმართველობა, მაგრამ, ამავე დროს, არც პარლამენტის ბატონობას უჭერდა მხარს. ამ ჯგუფს ჩარლზ I არ ენდობოდა; მას შეექმნა იმის ილუზია, რომ ძალით, სახელმწიფო გადატრიალებით, მოაგვარებდა ყველა პრობლემას. მეფემ დაარღვია შუასაუკუნეების ტრადიცია და 1642 წლის 4 იანვარს, დაახლოებით ხუთასკაციანი შეიარაღებული რაზმით, თვითონვე გამოცხადდა უესტმინსტერში და მოითხოვა ოპოზიციის ხუთი ლიდერის, მათ შორის პიმისა და ჰემპდენის, დაპატიმრება. მაგრამ ისინი სასახლეში არ აღმოჩნდნენ: მოსალოდნელი საფრთხის შესახებ წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული. მეფემ დარბაზს გადახედა და აღშფოთებულმა თქვა: „ვხედავ ჩიტები გაფრენილან“ და გაწბილებულმა დატოვა პარლამენტის შენობა.

გაქცეულმა ხუთმა პარლამენტარმა ლონდონის სავაჭრო ცენტრს — სიტის შეაფარა თავი. მთელი ქალაქი ბობოქრობდა. დუქნები დაიკეტა, ვაჭრობა შეწყდა. ყველა ლაპარაკობდა პაპისტურ-კონტრრევოლუციური შეთქმულების შესახებ. გაისმოდა მოწოდება აჯანყებისაკენ. მეფემ კარგად იცოდა, რომ ძალთა თანაფარდობა აშკარად პარლამენტის მხარეზე იყო, ხოლო ამ უზარმაზარი, რევოლუციურად ეგზალტირებული მასის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი იყო. ამიტომ 1642 წლის 10 იანვარს მან ლონდონი დატოვა. სხვადასხვა ადგილებში მოგზაურობის შემდეგ იგი ქ. იორკში დაბინავდა. 11 იანვარს დევნილი დეპუტატები საყოველთაო-სახალხო ზეიმის ვითარებაში უენსტმინსტერის სასახლეში დაბრუნდნენ.

ამგვარად, 1640-1642 წლებში მეფისა და პარლამენტის დაპირისპირება უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა: უმაღლესი კანონმდებელი, უმაღლესი მოსამართლე, ფინანსებისა და შეიარაღებული ძალების გამგებელი, ომისა და მშვიდობის მოთავე, უმაღლესი ადმინისტრატორი — ასეთი იყო პარლამენტი 1642 წლისათვის.

§2. სამოქალაქო ომები ინგლისში

პირველი სამოქალაქო ომი. მეფესა და პარლამენტს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. ორივე მხარე ჯარებს აგროვებდა. მოწინააღმდეგე ძალებს შორის ინგლისის მოსახლეობა თითქმის თანაბრად განაწილდა. არისტოკრატიისა და ჯენტრის უმრავლესობა მეფეს მიემხრო, პროვინციელი აზნაურებიც მას უჭერდნენ მხარს. თავადაზნაურთა გარკვეული ნაწილი, ე. წ. **„ახალი თავადაზნაურები“**[1], სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობით დაკავებული ადამიანები, წვრილი მიწათმფლობელები (იომენები) პარლამენტს ემხრობოდნენ.

პარტიები, თანამედროვე გაგებით, მაშინ არ არსებობდა. ამიტომ სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის მქონე ადამიანები ამა თუ იმ რელიგიური მიმდინარეობის გარშემო ერთიანდებოდნენ. ასე აღმოჩნდნენ კათოლიკები და ანგლიკანები მეფის ბანაკში, პურიტანობა და უკიდურესი სექტანტების მსოფლმხედველობა კი პარლამენტის მომხრეთა იდეოლოგიურ საფუძვლად იქცა.

პოლიტიკური და რელიგიური დაყოფა ნაწილობრივ გეოგრაფიულსაც დაემთხვა: ინგლისის შედარებით ნაკლებად დასახლებული ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილი და განვითარების დონით ჩამორჩენილი ადგილები, აგრეთვე უელსი მეფის მხარეზე აღმოჩნდნენ, ხოლო სამხრეთი და აღმოსავლეთი ინგლისი, ლონდონითა და სხვა მნიშვნელოვანი ქალაქებით, მჭიდროდ დასახლებული, მდიდარი და განათლებული ოლქები პარლამენტის დასაყრდენი გახდა.

---

[1] „ახალი თავადაზნაურები“, ინგლისელი თავადაზნაურების ის ნაწილი, რომლებმაც თავიანთი მეურნეობა კაპიტალისტურ ყაიდაზე გადაიყვანეს.


ბალტიკა
ბერლინი
ინგლისი
ეკლესიები
ეკლესიები
ეკლესიები

ამგვარად, სამოქალაქო ომის წინ, ინგლისი სოციალური, რელიგიური და გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით გაიყო ორ ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილად.

მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს ზედმეტი სახელები შეარქვეს: „კავალრები“ და „მრგვალთავიანები“.[1]

თავდაპირველად, ომი უღიმღამოდ მიმდინარეობდა; მოწინააღმდეგეები ერთმანეთთან შესათანხმებელ გზებს ეძებდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით მოწადინებული გახლდნენ პარლამენტის ჯარის სარდლები, რომლებიც პრესვიტერიანელები იყვნენ. პრესვიტერიანელები კი ინგლისის ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის, „ფულის ტომრის ხალხის“ ინტერესებს გამოხატავდნენ. მათ მუდამ ეშინოდათ სამოქალაქო ომის გაჩაღების, რადგანაც იგი აუცილებლად გამოიწვევდა ხალხთა მასების შეიარაღებას და მათი რევოლუციური აქტიურობის ზრდას. ამიტომ ისინი მუდამ მზად იყვნენ მეფესთან კომპრომისის მისაღწევად. მათ მონარქიის დამხობა კი არ სურდათ, არამედ მისი შეზღუდვა, ანუ მეფე, რომელიც „მეფობს და არ მართავს“, ე. ი. კონსტიტუციური მონარქია. პრესვიტერიანელი გენერლების ასეთი განწყობის გამო, პარლამენტის ჯარის რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, თავდაპირველად წარმატებებს მეფის არმია აღწევდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მეფის არმიაში იბრძოდნენ ოცდაათწლიან ომში გამობრძმედილი ჯარისკაცები და ოფიცრები, პარლამენტის მომხრე ჯარისკაცებს კი ასეთი საომარი გამოცდილება არ ჰქონდათ.

შემდგომში პარლამენტის სასარგებლოდ საომარი მოქმედებების წარმართვას ორმა გარემოებამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი. პირველ რიგში პიმმა ხელშეკრულება დადო შოტლანდიელ პრესვიტერიანელებთან, რომლის მიხედვითაც ინგლისშიც ისეთივე საეკლესიო წყობა მყარდებოდა, როგორც შოტლანდიაში იყო ანუ გაუქმდა ეპისკოპატი. ამ გადაწყვეტილებამ პარლამენტს შოტლანდიელთა მხარდაჭ-

---

[1] მეფის არმია ძირითადად კავალერიისაგან – ცხენოსანი ჯარისაგან შედგებოდა და ამიტომ, საერთოდ, მის მომხრე რაინდებს, აზნაურებს „კავალრებს“ უწოდებდნენ. პარლამენტის მომხრეები თმას მოკლედ იკრეჭდნენ; აქედანაა მათი ზედმეტი სახელი – „მრგვალთავიანები“". „კავალრები“", როგორც წესი, ხელოვნურ პარიკებს ატარებდნენ, „მრგვალთავიანებს“ კი სადად ეცვათ.

ერა მოუპოვა. გარდა ამისა, არმიის სათავეში მოვიდნენ ინდეპენდენტები (1644 წლის ოქტომბერი), პურიტანობის რადიკალური მიმართულების წარმომადგენლები, რომელთა ბელადი იყო პარლამენტის წევრი, 45 წლის გენერალ-ლეიტენანტი ოლივერ კრომველი.

ო. კრომველი დაიბადა 1599 წლის 25 აპრილს აღმოსავლეთ ინგლისში, ჰანტიგდონის საგრაფოში, საშუალო შემძლების სოფლელი ჯენტლმენის ოჯახში. იგი ტიტულით სკვაირი იყო. პოლიტიკურ ასპარეზზე კრომველი 1628 წელს გამოვიდა, როდესაც პარლამენტის წევრად აირჩიეს. ამ ფაქტმა მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა. პარლამენტში მიიღო მან პოლიტიკური განათლება; განსაკუთრებით ბევრი რამ ისწავლა ოპოზიციის ლიდერების: ელიოტის, კოკის, პიმის, ჰემპდენისა და სხვათა მეშვეობით. საბოლოოდ აქვე გამოუმუშავდა ეპისკოპალური, ოფიციალური ეკლესიის დანგრევის აუცილებლობის შეგნება, აქვე განუმტკიცდა ფანატიკური მოწიწება და ერთგულება საკუთრებისადმი, როგორც საზოგადოების ძირითადი საფუძვლისადმი.

კრომველის პოლიტიკური კარიერა მნიშვნელოვნად განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ, ისევე როგორც რობესპიერს, მასაც სწამდა ის, რასაც აკეთებდა. იგი იყო ინდეპენდენტი, რომელიც ჩარლზ I უპარლამენტო მმართველობის წლებში, პურიტანების წინააღმდეგ რეპრესიების გამო, ამერიკაში გადასახლებას აპირებდა. ღრმად რელიგიურობა კრომველს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, სრულიადაც არ უშლიდა ხელს ყოფილიყო რეალისტი. იგი მოქმედებდა დევიზით — „იქონიე ღმერთის იმედი, მაგრამ თავადაც მარჯვედ იყავი“.

ასეთი ბიოგრაფიისა და შეხედულებების მქონე პიროვნებამ გადაწყვიტა საომარ მოქმედებათა მსვლელობაში გარდატეხის შეტანა და ამ მიზნით თავის საგრაფოში ჩამოაყალიბა სამხედრო რაზმი, რომელიც ძირითადად შედგებოდა ინდეპენდენტი იომენების, ფერმერების, ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრებისაგან. როდესაც ამ „რკინისგვერდიანებად“[1] წოდებულმა რაზმმა, პირველი გამარჯვება მოიპოვა მარ-

[1] მარსტონ-მურთან ბრძოლის შემდეგ, ჩარლზ I-ის დისშვილმა, პრინცმა რუპერტმა „რკინისგვერდიანი“ უწოდა კრომველს; შემდეგ რკინი გვერდიანებს უწოდებენ კრომველის ჯარისკაცებსაც.

სტონ-მურთან (1644 წ. 2 ივლისი), კრომველმა პარლამენტს შესთავაზა მთლიანად არმიის რეფორმირება, მასში ინდეპენდენტების დაშვება.

სამოქალაქო ომის ისტორიაში დაიწყო ინდეპენდენტური პერიოდი. აღნიშნული ეტაპის პირველი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელმაც არსებითად შეცვალა ომისა და თვით რევოლუციის მსვლელობა, იყო რეგულარული „ახალი ნიმუშის“ არმიის შექმნა. გადაწყვეტილება მისი შექმნის შესახებ პარლამენტმა მიიღო 1645 წლის 11 იანვარს. ლორდთა პალატამ იგი დაამტკიცა იმ იმედით, რომ ახალი არმიის ოფიცერთა შემადგენლობა 20 დღის ვადაში აღიარებდა პრესვიტერიანელობას, ცნობდა კოვენანტს (შოტლანდიელებთან დადებულ ხელშეკრულებას). „ახალი ნიმუშის“ არმია უნდა ყოფილიყო ეროვნული, რეგულარული, ცენტრალიზებული, უნიფიცირებული და პარლამენტზე დაქვემდებარებული. არმიის შესანახად ბიუჯეტიდან გამოყვეს თანხები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ადრე პარლამენტის არმიის შესანახი მუდმივი თანხა არ არსებობდა. ამიტომ ჯარისკაცებს დროზე ხელფასს ვერ აძლევდნენ, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ პარლამენტის ჯარისკაცები ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, დეზერტირობდნენ და აწყობდნენ ბუნტს.

„ახალი ნიმუშის არმია“ დაუმორჩილეს უმკაცრეს და ზოგჯერ უხეშ დისციპლინას. შემოიღეს გაროზგვა, მწკრივში გატარება, სიკვდილით დასჯა. ოფიცერს ნება მიეცა ფიზიკურად შეხებოდა ჯარისკაცს. ახალი წესდების თანახმად, აიკრძალა ლაშქრობისას ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა, პროდუქტისა და ფულის გამოძალვა, მათი საქონლის ან ფრინველის დაკვლა და სხვ. აიკრძალა სამხედრო ბანაკის თვითნებურად დატოვება. ბანაკიდან გასვლა 1 მილზე უფრო შორს ისჯებოდა სიკვდილით. სიკვდილი ელოდა გუშაგს, რომელიც დატოვებდა პოსტს, მორიგეობის დროს დათვრებოდა ან დაიძინებდა. სასტიკად ისჯებოდა გლეხის მინდვრის ცხენით გადათელვა ან მისთვის რაიმე ზიანის მიყენება, ხოლო საბრძოლო დროშის, იარაღის მიტოვება ან სიმხდალე, ასევე სიკვდილით ისჯებოდა. სამხედრო დანაშაულთა განსახილველად შეიქმნა სამხედრო ტრიბუ-

ნალები. სამხედრო პირნი სამოქალაქო, საერთო სასამართლოებს არ ექვემდებარებოდნენ.

„ახალი ნიმუშის არმიას“ დაუწესეს უნიფორმა (წითელი მუნდირები და ქურთუკები), გაუმჯობესდა შეიარაღება, გაძლიერდა საარტილერიო პოლკი.

პარლამენტის არმიის დაკომპლექტება იძულებით გადმობირებისა და დაქირავების გზით ხდებოდა. ამიტომ აქ თავს იყრიდნენ შემთხვევითი ადამიანები, ავანტიურისტები, ბედის მაძიებელნი, სისხლის სამართლის დამნაშავენი, ლოთები, სხვადასხვა ჯურის ნაძირალები, რომელთა ერთადერთი მიზანი იყო ფულის შოვნა და გამდიდრება. კრომველმა კი გადაწყვიტა „ახალი ნიმუშის არმიის“ დაკომპლექტება „სულით ძლიერი“ ადამიანებით. ახალი არმიის ჯარისკაცები (რომლებიც წარმოადგენდნენ იომენებს, ფრიჰოლდერებსა და კოპიჰოლდერებს, ხელოსნებს, ქარგლებს, შეგირდებს, ქალაქის პრეპროლეტარიატს) ომში მონაწილეობდნენ შეგნებით, მათ სწამდათ საკუთარი დიდი მისია — მოვალეობა ქვეყნის ტირანიისაგან განთავისუფლებისა; ეს კი მათ ღირსებას საკუთარ თვალში ამაღლებდა.

კრომველს მიაჩნდა, რომ ყველაზე საიმედო ჯარისკაცი არის ის, ვინც ყველაზე უკეთ „ლოცულობს და ქადაგებს“, რადგანაც მისი აზრით, „არაფერი არ იძლევა სიმამაცისა და საკუთარი ძალებისადმი რწმენას ისე ძლიერად, როგორც ქრისტეს ღმერთად რწმენა“. ამიტომ იყო, რომ იგი ყოველთვის უპირატესობას ანიჭებდა ღრმადმორწმუნე პურიტან-ინდეპენდენტებს, მემარცხენე სექტანტებს — ანაბაპტისტებს და სხვა. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რელიგიური ფანატიზმი პოლიტიკური შინაარსით ივსებოდა და „ძველი რეჟიმისადმი“ ასევე ფანატიკურ სიძულვილში ვლინდებოდა.

ფეოდალური ეპოქის არმიაში ოფიცრის შერჩევა მხოლოდ ერთადერთი ნიშნით — გვარიშვილობით ხდებოდა. ახლა ვითარება შეიცვალა. ბურჟუაზიული განახლების პირობებში ოფიცერთა შემადგენლობის შერჩევას საფუძვლად დაედო რევოლუციური, ჯანსაღი, ბუნებრივი სელექცია, რომლის მთავარი პრინციპი იყო: „ყველას თავისი ადგილი საზოგადოებაში, უნარის, ნიჭისა და შესაძლებლობის მიხედ-

ვით“. ჯანსაღმა სელექციამ არმიაში გზა გაუხსნა ტალანტებს. ხალხის წიაღიდან იყო გამოსული „ახალი არმიის“ რამდენიმე ცნობილი სარდალი: პოლკოვნიკი ტომას პრაიდი ადრე მეეტლე გახლდათ, პოლკოვნიკი ტომას რენსბორო ფლოტში შკიპერად მუშაობდა, პოლკოვნიკი ჯონ ჰიუსონი მეწაღეობას მისდევდა, პოლკოვნიკი ჯონ ფოქსი — მექვაბეობას და სხვა.

„ახალი ნიმუშის არმიამ“ პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო **სოფ. ნეიზბისთან ბრძოლაში 1645 წლის 14 ივნისს.** პარლამენტის ჯარისკაცები იბრძოდნენ თავგანწირვით და დიდი შემართებით. მეფის არმია დამარცხდა. ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტიურად პირველი სამოქალაქო ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მარსტონ-მურთან მეფემ ჩრდილოეთი ინგლისი დაკარგა, ნეიზბისთან ბრძოლაში კი — ქვეყნის ცენტრალური ნაწილი. მას ერთადერთ იმედად დარჩა ღარიბი, ნაკლებად დასახლებული, აწიოკებული და გაძარცვული ქვეყნის დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი.

მეფე იმედს მაინც არ კარგავს და პოლიტიკური ინტრიგების ახალ ქსელს აბამს. იგი დიდ იმედებს ამყარებს ინდეპენდენტებსა და პრესვიტერიანელებს შორის პარლამენტში წინააღმდეგობის გამწვავებაზე. „მთავარია, — ეუბნებოდა იგი ერთ-ერთ დაახლოებულ პირს, — მეამბოხეებმა მე მეფედ მცნონ. ამით შესაძლებლობა მომეცემა მოვიმხრო ან პრესვიტერიანელები ან ინდეპენდენტები, გადავკიდო ისინი ერთმანეთს და ერთნი მოვსპო მეორეთა საშუალებით“. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანის მცდელობად უნდა მივიჩნიოთ ერთი შეხედვით კურიოზული ფაქტი — მეფის კონტაქტები ინდეპენდენტებთან. მეფემ მათ შესთავაზა თანამშრომლობა „ტირანიის“ (პრესვიტერიანელების) აღმოფხვრისა და ურთიერთთავისუფლების უზრუნველყოფის საქმეში. ინდეპენდენტებმა მეფის ნამდვილი მიზნები ადვილად ამოიცნეს.

მეფე პარლამენტს სთხოვს ზავს და ბევრ დათმობებს პირდება. ამავე დროს, იგი დედოფალს წინადადებას აძლევს დააჩქაროს ჯარების დაქირავება კონტინენტზე. როდესაც მეფის ყოველგვარი მცდელობა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ამაო აღმოჩნდა, ამასთანავე, რამდენიმე ბრძოლაში დამარცხების შემდეგ უკანასკნელი იმედებიც

გადაეწურა, ჩარლზ I გადარჩენის ერთადერთი გზა დარჩა — ინგლისიდან გაქცევა.

1646 წლის 27 აპრილს, ღამით, მსახურის ტანისამოსში გადაცმულმა მეფემ, პირადი კაპელანისა და ერთგული ოფიცრის თანხლებით დატოვა ოქსფორდი და შოტლანდიელებს ტყვედ ჩაბარდა.

ამგვარად, პირველი სამოქალაქო ომი პარლამენტის გამარჯვებით დამთავრდა.

განხეთქილება გამარჯვებულთა ბანაკში. მეორე სამოქალაქო ომი. რევოლუცია ახალ ფაზაში შევიდა. მეფის უფლებების შეზღუდვის მომხრენი და პრესვიტერიანელები იძულებული გახდნენ ინდეპენდენტების — რესპუბლიკისა[1] და რწმენის თავისუფლების ქომაგთა გამარჯვება ელიარებინათ. პრესვიტერიანელებსა და ინდეპენდენტებს შორის დაიწყო ისეთივე შეჯახებები, როგორც ადრე ანგლიკანებსა და პურიტანებს შორის იყო. ახლა პრესვიტერიანელები გახდნენ იმ შეურიგებელი პოლიტიკის გამტარებლები, რომელსაც ადრე ეპისკოპალური ეკლესია ადგა. ცნობილი პრესვიტერიანელი პრაინი ახლა თვითონ გამოდიოდა რესპუბლიკელების (ინდეპენდენტების) წინააღმდეგ; თუ ადრე იგი თეატრალურ წარმოდგენებს ღვთის შეურაცხყოფად მიიჩნევდა, ახლა მისი დამცველის როლში გამოდის, რადგანაც სცენებზე დგამდნენ მეფის მადიდებელ პიესებს. პარლამენტის პრესვიტერული უმრავლესობა ცენზურის საშუალებით დევნიდა თავისუფალ შეხედულებებს; მიიღეს კანონი, რომელიც სექტებს მკრეხელობად მიიჩნევდა და კრძალავდა მათ.

ინდეპენდენტებსა და პრესვიტერიანელებს შორის დაპირისპირება ყველაზე მკვეთრად რელიგიურ სფეროში გამოვლინდა, მაგრამ ფაქტიურად რელიგიური საკითხი მხოლოდ ბრძოლის ფორმას წარმოად-

---

[1] რევოლუციის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე ინდეპენდენტები სამეფო ხელისუფლების გაუქმებას არ ითხოვდნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მონარქიზმის წინააღმდეგ ზოგიერთ ინდივიდუალურ გალაშქრებას. ინდეპენდენტები პრესვიტერიანელებთან შედარებით მეფის უფლებრივი შეზღუდვის საკითხში გაცილებით უფრო დიდ სიმკაცრეს ინენდნენ, მის არსებით შეზღუდვას ითვალისწინებდნენ. ინდეპენდენტები რესპუბლიკელები გახდნენ უფრო გვიან, როცა დღის წესრიგიდან მოიხსნა მეფესთან ყველანაირი შერიგების საშუალება. სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით მოვიხსენიებთ მათ, როგორც რესპუბლიკელებს.

გენდა. მისი შინაარსი უფრო ღრმა იყო და მოიცავდა სოციალურ პრობლემებს, ეკონომიკას, საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ინდეპენდენტებმა პრესვიტერიანულ უნიფიცირებულ ეკლესიას დაუპირისპირეს რელიგიური თავისუფლებისა და რჯულთშეწყნარების (გამორიცხული იყო კათოლიციზმი), სექტების თავისუფლების პრინციპი. რელიგიური თავისუფლება პოლიტიკურ თავისუფლებას გულისხმობდა, რასაც პრესვიტერიანელები ეწინააღმდეგებოდნენ. სინდისის თავისუფლებასთან ერთად ინდეპენდენტები იბრძოდნენ, აგრეთვე, ბურჟუაზიული თავისუფლების ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპებისათვის, როგორიც იყო აზრის, სიტყვის, ბეჭდვის, პეტიციისა და კრებების თავისუფლება. ისინი ებრძოდნენ პრესვიტერიანელების საგადასახადო პოლიტიკას, რომელიც მხოლოდ ინგლისის მესაკუთრე ზედაფენების ინტერესებით იყო ნაკარნახევი. მათ სურდათ გადასახადების სიმძიმე მეტნაკლებად გაენაწილებინა საზოგადოების ყველა ფენას. ინდეპენდენტები იბრძოდნენ კონკურენციის სრული თავისუფლებისათვის, იცავდნენ მეწარმეობისა და ვაჭრობის სრულ შეუვალობას. ინდეპენდენტები არ მოითხოვდნენ საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლებას. მათ მიაჩნდათ, რომ ქვეყანა უნდა მართოს მხოლოდ „მუდმივი ინტერესების მქონე“ ანუ მესაკუთრე მოქალაქემ. ისინი მხარს უჭერდნენ საარჩევნო რეფორმას მხოლოდ ერთი მოსაზრებით: ხელისუფლებას ზიარებოდა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ფართო ფენა. ამ მიზნით მოითხოვდნენ საარჩევნო ოლქების გადანაწილებას მიმდინარე ეკონომიკური ძვრების, ახალი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრების შესაბამისად, კლასობრივ ძალთა ახალი თანაფარდობის გათვალისწინებით.

ხალხს მოსწონდა ინდეპენდენტების პროგრამა და მხარს უჭერდა მათ. მაგრამ მათი დაპირებები დაპირებებად დარჩა, ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილებას არავინ ფიქრობდა. ინდეპენდენტთა პარტიაში განხეთქილება მოხდა, რაც რევოლუციაში კლასობრივ ძალთა თანაფარდობის განვითარების ლოგიკური შედეგი იყო. აუცილებელი გახდა ახალი პარტიის შექმნა და იგი შეიქმნა კიდეც ძირითადად მემარცხენე და უკიდურეს მემარცხენე ინდეპენდენტების ბაზაზე. მესაკუთრე ინგლისმა მას უწოდა მათთვის ყველაზე ოდიო-

ზური სახელი — ლეველერები, ანუ გამთანაბრებლები. მისი ხელმძღვანელი იყო ჯონ ლილბერნი. მართლაც, ლეველერების პარტია გამოირჩეოდა უკიდურესი რადიკალიზმით, პირველ ყოვლისა პოლიტიკური ეგალიტარიზმის — გათანაბრების სფეროში.

ამ დროს შოტლანდიელებმა მეფე პარლამენტს გადასცეს. როდესაც ლონდონის მოსახლეობის მხარდაჭერით გათამამებულმა პრესვიტერიანელებმა მოინდომეს ინდეპენდენტური არმიის თავიდან მოცილება მათი ნაწილის დაშლის, ნაწილის კი აჯანყებულთა წინააღმდეგ ირლანდიაში გაგზავნით, შეიარაღებული სექტანტები, რომლებიც რევოლუციას დაუმთავრებლად მიიჩნევდნენ, წინაღუდგნენ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას. ჯარისკაცებმა თავიანთი ნების გამოხატვის საუკეთესო ორგანიზაციული ფორმა გამონახეს: ისინი კრებებზე ირჩევდნენ თავიანთ წარმომადგენლებს, ე. წ. აგიტატორებს, რომლებიც უშუალო მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ არმიის ხელმძღვანელობასთან, ან სხვა გარეშე ძალებთან და, ამგვარად, ასრულებდნენ ჯარისკაცთა დეპუტატების როლს. ჯარისკაცებმა გადაწყვიტეს მეფე ჩამოეცილებინათ პარლამენტისათვის და დაეპატიმრებინათ. არმიამ მეფეს წარუდგინა მოსაზრებები პოლიტიკური რეფორმების შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია დოკუმენტში „ძირითადი წინადადებები“: პარლამენტი, რომელიც აირჩევა ორი წლით, განუწყვეტლივ უნდა მუშაობდეს; ყველა თანამდებობაზე უნდა ინიშნებოდნენ პარლამენტის თანხმობით; უნდა გამოცხადდეს რწმენის თავისუფლება, კათოლიკების გამოკლებით. მეფე ჩვეულებისამებრ აჭიანურებდა შეთანხმებას და ემზადებოდა გაქცევისათვის. ხალხი უკმაყოფილებას გამოხატავდა არმიის ბატონობისა და მათი შენახვისათვის საჭირო გადასახადების გამო; მალე შოტლანდიელი პრესვიტერიანელები შეიჭრნენ ინგლისში მეფის დასაცავად, მათ შეუერთდნენ ანგლიკანები და ადგილობრივი პრესვიტერიანელები.

დაიწყო მეორე სამოქალაქო ძმათამკვლელი ომი, რომელიც 1648 წლის მაის-ივნისში მიმდინარეობდა პრესვიტერიანელებსა და ინდეპენდენტებს შორის.. არმიამ, რომელშიც 1644 წლიდან გაბატონებული მდგომარეობა ინდეპენდენტებს ეკავათ, კვლავ გაიმარჯვა. ლონდონის დაკავების შემდეგ ჯარისკაცებმა თავიანთი უფროსებისაგან

(გრანდებისაგან) მოითხოვეს მკაცრი ღონისძიებების გატარება. მათი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ხელისუფლების შენარჩუნებისათვის, ფერფაქსისა და აირტონის რწმუნებით აღჭურვილმა პოლკოვნიკმა ტომას პრაიდმა 1648 წლის 6-7 დეკემბერს პარლამენტიდან (თემთა პალატიდან) პრესვიტერიანელები გააძევა, ანუ სახელმწიფო გადატრიალება განახორციელა, რომელიც ისტორიაში ცნობილია „**პრაიდის წმენდის**“ სახელით. მეორე დღეს „წმენდა“ კრომველის თანდასწრებით მიმდინარეობდა. „გაწმენდილი“ პარლამენტი ცნობილია „ნაბოლარა“ (კუდი) პარლამენტის სახელით (ასეთი სახელი მას მოწინააღმდეგეებმა შეარქვეს).

„პრაიდის წმენდის“ შემდეგ ინგლისის ფაქტიურ ხელისუფლებას და მმართველს წარმოადგენდა არმია, უფრო ზუსტად, ოფიცერთა საბჭო, პარლამენტი კი მისი ყურმოჭრილი მონა იყო. არმიის საბჭოს ფორმალურად სათავეში ედგა მთავარსარდალი **ტომას ფერფაქსი**; მეორე კაცად კი საბჭოში, ისევე როგორც არმიაში, ითვლებოდა ოლივერ კრომველი.

გადასაწყვეტი იყო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემა — მეფის გასამართლება. არმიამ მეფეს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. თემთა პალატამ მეფე დამნაშავედ აღიარა და მისი სასამართლოზე გადაცემა მოითხოვა. მას ბრალი დასდეს სახელმწიფოსა და პარლამენტისადმი ღალატში, სამოქალაქო ომის გაჩაღებაში და სხვა დანაშაულში. 1649 წლის 2 იანვარს თემთა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცა ლორდთა პალატას, ამას მოითხოვდა ინგლისის კანონები. ლორდთა პალატამ უარყო თემთა პალატის წინადადება. ლორდები თავიანთ უარს შემდეგი მოსაზრებებით ასაბუთებდნენ: „მხოლოდ მეფეს აქვს პარლამენტის მოწვევისა და დათხოვნის უფლება. ამდენად, უაზრობაა მას ბრალი დავდოთ პარლამენტისადმი ღალატში... ომი წამოიწყო პარლამენტმა და არა მეფემ, ამდენად, უაზრობაა მას ბრალი დავდოთ სახელმწიფოს ღალატში“.

ზედა პალატის უარს თემთა პალატის წევრებმა ყური არ ათხოვეს და თავი ხალხის რჩეულებად გამოაცხადეს (1649 წლის 4 იანვარი), რომელთა გადაწყვეტილება არ საჭიროებდა მეფის ან

პერების (ლორდთა პალატის წევრების) დასტურს.

სასამართლოს საბრალმდებელო დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ მეფეს ქვეყანა უნდა ემართა ქვეყნის კანონების შესაბამისად, ხალხის საკეთილდღეოდ, მაგრამ მეფემ მიზნად დაისახა დაესაკუთრებინა შეუზღუდველი და ტირანული ხელისუფლება, ემართა ქვეყანა თვითნებურად, მოესპო ხალხის უფლებები და პრივილეგიები. ამ მიზნების განხორციელებისათვის მან ვერაგული ომი გამოუცხადა თავისივე ხალხს და მის წარმომადგენელს — პარლამენტს. ჩარლზ I ბრალი ედებოდა უცხოეთის ინტერვენციის მომზადებაში. ბრალდების თანახმად მეფე მოქმედებდა ეგოისტური მოსაზრებებით — საკუთარი და სამეფო ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე.

მეფე სასამართლოს კომპენტენციას უარყოფდა, დაცვაზეც უარი თქვა და თვითონვე იკისრა დამცველის როლი (მეფე ბუნებით ბლუ იყო, მაგრამ დაცვის დროს ლაპარაკობდა თავისუფლად და ხატოვნად). მისი დაცვის მთავარი არგუმენტი ასეთი იყო: ქვეყნად არსებული არც ერთი სასამართლო არაა უფლებამოსილი გაასამართლოს მხოლოდ ღმერთის წინაშე პასუხისმგებელი პირი. ის კანონები, რომლებითაც თქვენ აპირებთ ჩემს გასამართლებას, დაწერილია თქვენთვის, უბრალო ხალხისათვის. მე მხოლოდ ღმერთის წინაშე ვარ პასუხისმგებელი, — ამბობდა ჩარლზ I. თავდასაცავად ნათქვამი ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებდნენ მეფეების ღვთითკურთხეულობის შესახებ იმ რწმენას, რომელიც ღრმად იყო გამჯდარი იმდროინდელ საზოგადოებაში. ის ვინც არ იყო „სამეფო ცომისაგან“ გამომცხვარი, სამეფო ტახტზე ვერ დაჯდებოდა.

თავდაცვისათვის წარმოთქმულმა მეფის სიტყვებმა სასამართლოს საბოლოო შედეგებზე ვერ იქონიეს გავლენა და იმ დროის ცნობილმა მოსამართლემ ბრედშოუმ ასეთი განაჩენი გამოიტანა: „ჩარლზ სტიუარტს, ვითარცა ტირანს, მოღალატეს, მკვლელსა და ხალხის მტერს მიესაჯოს სიკვდილი სხეულიდან თავის მოკვეთით“.

ასეთ განაჩენს სასამართლოს ბევრი წევრი არ ეთანხმებოდა, და რომ არა კრომველი, საქმე შეიძლება სულ სხვაგვარად წარმართულიყო. განაჩენი აღასრულეს **1649 წლის 30 იანვარს. უაიტჰოლის სასახლის ეზოში ჯალათმა მეფეს თავი მოჰკვეთა.**

მისი სიკვდილიდან სულ მოკლე ხანში გააუქმეს მონარქია და ლორდთა პალატა; 1649 წლის 19 მაისს კი პარლამენტმა სპეციალური აქტით ფაქტიურად არსებული რესპუბლიკა უკვე ოფიციალურად გამოაცხადა. დეკლარაცია ამ ფაქტის შესახებ პარლამენტმა მიიღო 1649 წლის 21 მარტს. მასში ნათქვამი იყო: „ინგლისის, ყველა მის ტერიტორიაზე და სამფლობელოში ამჟამად ან მომავალში მცხოვრები ხალხი ამ აქტით აფუძნებს, აყალიბებს და ამკვიდრებს თავისუფალ რესპუბლიკას და თავისუფალ სახელმწიფოს მეფისა და ლორდების გარეშე“.

§3. ინდეპენდენტური რესპუბლიკა (1649-1653)

პარლამენტმა 41 წევრისაგან შექმნა ახალი სახელმწიფო დაწესებულება სახელმწიფო საბჭო, რომელიც წარმოადგენდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელ, მის დამხმარე აღმასრულებელ ორგანოს. საბჭოს თავმჯდომარეობდა ბრედშოუ, წევრებად იყვნენ კრომველი, ფერფაქსი, ცნობილი ინდეპენდენტები: ჰენრი ვენი (უმცროსი), არტურ ჰეზლრიჯი და სხვები. რადგანაც „პრაიდის წმენდის“ შემდეგ პარლამენტში დეპუტატების მცირერიცხოვანი ჯგუფი დარჩა, სახელმწიფო საბჭოს წევრები ადვილად აღწევდნენ უმრავლესობას თავიანთთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მისაღებად. 1649 წლის მოვლენების დროს გამოაშკარავდა მონარქიისა და არისტოკრატიის მჭიდრო კავშირი „უმაღლეს“ ეკლესიასთან. რესპუბლიკის დამყარებასთან ერთად სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი კლასები; მაგრამ, რადგანაც ახალი წყობა ემყარებოდა იმ ძველ რელიგიურ პარტიებს, რომლებსაც უმრავლესობა მხარს არ უჭერდა, რესპუბლიკის არსებობას საფრთხე დაემუქრა. რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ ლონდონის სავაჭრო-სამრეწველო წრეები, სამღვდელოება; პროტესტის ნიშნად მოსამართლეების ნახევარმა დატოვა სამუშაო. მონარქიის მოწინააღმდეგეთა აზრით, მეფის სიკვდილს საფუძველი უნდა მოესპო მონარქიის აღდგენისათვის, მოხდა კი პირიქით —

გაიზარდა სიმპათიები ჩარლზ I მიმართ, რომელსაც წამებულის შარავანდედით ამკობდნენ. ყველგან გააქტიურდნენ რესპუბლიკის მტრები: შოტლანდიელი პრესვიტერიანელები, რომლებმაც სიკვდილით დასჯილი მეფის შვილი ჩარლზ II შეიფარეს და კვლავ ეხმარებოდნენ თავიანთ ინგლისელ ერთმორწმუნეებს, შემდეგ ირლანდიელი კათოლიკები. მაგრამ ინდეპენდენტურმა არმიამ, კრომველის წინამძღოლობით, ყველგან ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. მან სისხლში ჩაახშო ირლანდიელთა აჯანყება; შოტლანდია და ირლანდია აიძულა დაედოთ ინგლისთან უნია (კავშირი) და შეექმნათ ერთიანი საეკლესიო და პოლიტიკური კავშირი. რესპუბლიკა ერთგულად იცავდა ინგლისის საზღვაო და სავაჭრო ინტერესებს.

XVI საუკუნის ბოლოდან ჩრდილოეთში სავაჭრო უპირატესობები მოიპოვეს ჰოლანდიელებმა. მათი წარმატებები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ინგლისელებზე. სტიუარტები ცდილობდნენ მეგობრული ურთიერთობები ჰქონოდათ ჰოლანდიელებთან და ნათესაური კავშირებიც კი დაამყარეს ორანელთა სახლის წარმომადგენლებთან, მაგრამ ჰოლანდიელების მიერ სხვა ქვეყნების სავაჭრო საქმიანობის შეზღუდვა, განსაკუთრებით კოლონიებში, ინგლისელთა გაღიზიანებას იწვევდა. მთელს ჩრდილოეთში საქონლის ტრანზიტის (სხვადასხვა ქვეყნებიდან საქონლის გადაზიდვა) ხელში ჩაგდების შემდეგ ჰოლანდიელები ადგენდნენ ფასებს და დიდ მოგებას ნახულობდნენ. 1650 წელს გარდაიცვალა ჰოლანდიის შტატჰალტერი[1], ჩარლზ I სიძე;

მისი სიკვდილის შემდეგ ფაქტიურად მის ქვეყანას განაგებდნენ სავაჭრო არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომელთა ხელში იყო უდიდესი პორტები — ამსტერდამი და როტერდამი.

ინგლისის რესპუბლიკურმა პარლამენტმა გადაწყვიტა ბოლო მოელო ჰოლანდიელთა ბატონობისათვის ზღვაზე და 1651 წლის 9 ოქტომბერს მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება — „ინგლისელი ერის ზღვაოსნობის წახალისებისა და სავაჭრო ფლოტის გაზრდის შესახებ“, რომელიც ისტორიაში შევიდა „სანავიგაციო აქტის“ სახელით.

---

[1] შტატჰალტერი — გერმ. Statthalter — მეფისნაცვალი, ჰოლანდიაში — უმაღლესი ხელისუფლების მქონე პირის ტიტული.

აქტის თანახმად საქონლის შეტანა ინგლისში და მის კოლონიებში შეიძლებოდა მხოლოდ ინგლისის ან იმ ქვეყნების გემებით, რომლებსაც საქონელი ეკუთვნოდათ, თანაც კაპიტანი და ეკიპაჟის უმრავლესობა ინგლისის მოქალაქეები უნდა ყოფილიყვნენ. ინგლისელებს აეკრძალათ რომელიმე პუნქტიდან გამოეტანათ ისეთი საქონელი, რომელიც ადგილობრივი წარმოების არ იყო და აქ უცხოელების მიერ იყო შემოტანილი.

„სანავიგაციო აქტის" დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო საქონლისა და გემების კონფისკაცია სახელმწიფოს სასარგებლოდ. „აქტი" ძირითადად მიმართული იყო ჰოლანდიელების წინააღმდეგ (კონკრეტულად ჰოლანდია მასში ერთი სიტყვითაც კი არ იყო ნახსენები, მაგრამ, რადგანაც იგი სხვებთან შედარებით ნაკლებ საქონელს აწარმოებდა და უმთავრესად სატრანზიტო და კოლონიური ვაჭრობით იყო დაკავებული, ამიტომ ყველაზე დიდი ეკონომიკური დარტყმა მან მიიღო), მაგრამ აქტმა დიდი ეკონომიკური ზიანი მიაყენა ევროპის სხვა ქვეყნებსაც. ამ აქტმა ინგლისის საზღვაო-სავაჭრო ძლიერების უზრუნველყოფის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა, იგი წარმოადგენდა ბურჟუაზიული ინგლისის მსოფლიო ინტერესების დაცვისა და განმტკიცების პოლიტიკის თავისებურ გვირგვინს.

„სანავიგაციო აქტმა" გამოიწვია ინგლის-ჰოლანდიის ომი (1652-1654), რომლის დროს ახალშექმნილი რესპუბლიკის სამხედრო ფლოტმა, ადმირალ ბლეკის მეთაურობით, არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

მართალია, რესპუბლიკის გამოცხადება და რწმენის თავისუფლების შემოღება ინდეპენდენტების დამსახურება იყო, მაგრამ თვით ამ პარტიაში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც რევოლუციას დაუმთავრებლად მიიჩნევდნენ და მის შემდგომ გაგრძელებას მოითხოვდნენ.

უკიდურესი სექტანტები. ლეველერები. ინდეპენდენტური რესპუბლიკის პერიოდში მშრომელი მასებისადმი მიცემული არც ერთი დაპირება ხელისუფლებას არ შეუსრულებია: საგადასახადო ტვირთი კვლავ მძიმე იყო, უმუშევართა რიცხვი იზრდებოდა, სასამართლო რეფორმა არ განხორციელებულა, აგრარული პრობლემა ვერ გადა-

ჭრეს დემოკრატიულ საფუძველზე, შემოღობვის პროცესი გრძელდებოდა, საეკლესიო, სამეფო და დელიქვენტების მიწების ყიდვა-გაყიდვა ინგლისის „ახალი მდიდრების“ — „ნუვორიშების“ წარმოშობის მნიშვნელოვანი წყარო გახდა; ინდეპენდენტები ხალხს პირდებოდნენ სინდისის სრულ თავისუფლებას და მეათედის გაუქმებას, მაგრამ ეს დაპირებებიც განუხორციელებელი დარჩა; ინდეპენდენტთა ცენზურა უფრო მკაცრი იყო ვიდრე ტიუდორების დროს; მათ დაამკვიდრეს ყოფა-ქცევის ახალი ნორმები, რაც ხშირად ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ ტრადიციებს: აიკრძალა ძველი დღესასწაულები, დახურეს თეატრები და სხვა სანახაობითი დაწესებულებები, სასტიკ რეპრესიებს განიცდიდნენ რელიგიური სექტები, დევნიდნენ თავისუფალ აზრს, სიტყვას...

ლეველერებმა ინდეპენდენტურ რესპუბლიკას მოტყუებული ხალხის სახელით სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს. ეს ბრძოლა დაიწყო 1649 წლის იანვრიდან, როცა ლეველერები დარწმუნდნენ იმაში, რომ ინდეპენდენტებმა მთელი სახელმწიფო აპარატი თავიანთი პარტიის ინტერესებს დაუმორჩილეს. ამ ბრძოლის დასაწყისში ლეველერები ხალხისა და ჯარისკაცების მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

„მოყაყანე ხალხისაგან“ თავდაცვის მიზნით ინდეპენდენტებმა ახალი მოკავშირის ძებნა დაიწყეს პრესვიტერიანელებისა და სიტის მაგნატების სახით. ამ კავშირის ინიციატორი იყო ოლივერ კრომველი.

პარლამენტში წარდგენილ (1649 წ. 26 თებ.) თავის პამფლეტში „ინგლისის ახალი ბორკილები, ანუ ხალხის ნაწილის სერიოზული შეშფოთება რესპუბლიკის ბედით“, ლილბერნმა მოტყუებულ ხალხს მოუწოდა დაემსხვრია „ახალი ბორკილები“, რომელიც ინდეპენდენტებმა ხალხისათვის გამოჭედეს. მან პამფლეტში წარმოადგინა კონკრეტული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები: მონოპოლიებისა და პატენტების გაუქმება, გადასახადების შემცირება, აქციზების, ბაჟების, მეათედების, ცენზურის გაუქმება, სახელმწიფო საბჭოს შეცვლა მოკლევადიანი კომიტეტებით და სხვ. ინდეპენდენტები კიდევ უფრო აღაშფოთა „ახალი ბორკილების“ მეორე ნაწილმა, რომელშიც არსებული ხელისუფლების კრიტიკასთან ერთად, აღნიშნული იყო ისიც, რომ გრანდებმა არმია და ხელისუფლება გამ-

ოიყენეს საკუთარი ეგოისტური მიზნებისათვის, გამდიდრებისათვის. გრანდებმა პარლამენტს მიაღებინეს გადაწყვეტილება ლილბერნის და მისი უახლესი თანამებრძოლების სამართალში მიცემის შესახებ. 1649 წლის 28 მარტს ისინი დააპატიმრეს და ტაუერის ციხეში ჩასვეს. მათმა დაპატიმრებამ ხალხისა და ჯარისკაცთა მასის აღშფოთება გამოიწვია; აპრილში და მაისში აჯანყდნენ არმიის ლეველერულად განწყობილი შენაერთები. მათი გამოსვლები არ იყო სათანადოდ ორგანიზებული, და ამიტომ ადვილად ჩაახშეს, თუმცა არმიაში გამოსვლები შემდეგშიც გრძელდებოდა.

ციხის მკაცრი რეჟიმის მიუხედავად, ლილბერნი და მისი კოლეგები მაინც ამყარებდნენ კონტაქტს გარესამყაროსთან, აქვეყნებდნენ პამფლეტებს, სახავდნენ და ახორციელებდნენ ოპერატიულ ღონისძიებებს. 1649 წლის ოქტომბერში სასამართლო პროცესზე ლილბერნმა შესძლო თავის დაცვა; იგი და მისი მეგობრები ციხიდან გაათავისუფლეს. ლონდონელმა მედუქნეებმა, ხელოსნებმა, ვაჭრებმა, ქარგლებმა და შეგირდებმა „თავისუფლად შობილი ჯონი“ მუნიციპალიტეტში აირჩიეს, მაგრამ პარლამენტმა მისი არჩევა გააუქმა. ლეველელთა ბანაკში განხეთქილება დაიწყო. ბევრი მათგანი პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორდა და კერძო ბიზნესს მიჰყო ხელი, ზოგმა საერთოდ დაკარგა კლასობრივ-პოლიტიკური ორიენტაცია და ინდეპენდენტებისადმი პირადმა სიძულვილმა ისინი პრესვიტერიანელების ბანაკშიც კი მიიყვანა. ზოგი ლეველელი ინდივიდუალური ტერორის გზას დაადგა. საპნის წვრილმა მეწარმემ, ლილბერნმა, პოლიტიკას მაინც ვერ უღალატა. იგი აქვეყნებდა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ პამფლეტებს, რისთვისაც ინგლისიდან გააძევეს. ლილბერნი ჰოლანდიაში გაემგზავრა. აქ იგი უკავშირდება როიალისტებს და მათი დახმარებით კრომველის მოკვლას ცდილობს. 1653 წელს კი კრომველის მიერ „ნაბოლარა პარლამენტის“ გარეკვის შემდეგ, სამშობლოში ბრუნდება. აქ მას აპატიმრებენ, მაგრამ, სახალხო მღელვარების შიშის გამო, ამართლებენ, თუმცა ციხიდან მაინც არ უშვებენ. კრომველმა ლილბერნს თავისუფლება აღუთქვა, თუ პოლიტიკას ჩამოშორდებოდა. ლილბერნმა უარყო ეს წინადადება. ციხიდან გათავისუფლების (1657) ცოტა ხნის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

ლევერელები ცდილობდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებათ მოსახლეობის ფართო ფენები. მაგრამ მათი პროგრამის წვრილბურჟუაზიული შეზღუდულობა, საკუთრების ყოველმხრივი დაცვა, აგრარული პრობლემების თითქმის სრული იგნორირება, მათ ამის საშუალებას არ აძლევდა. ლეველერები მკვეთრად დაუპირისპირდნენ და გაემიჯნენ „დიგერებს", რომელთა სახით დაინახეს საკუთრების მტრები. „დიგერების" მოძრაობის ხელმძღვანელი და თეორეტიკოსი იყო ჯერარდ უინსტენლი. სახელწოდება „დიგერი" წარმოდგება ინგლისური სიტყვისაგან to dig, რაც მთხრელ-მბარავს ნიშნავს. ისინი მოითხოვდნენ მიწაზე კოლექტიური საკუთრების დაწესებას, და ამ მიზნით დაიწყეს დაუმუშავებელი ადგილების თვითნებურად დამუშავება; ამისათვის ხელისუფლებამ ისინი სასტიკად დაარბია, ნაწილი კი დააპატიმრა. თვითონ დიგერები ამჯობინებდნენ სახელწოდებას — „ჭეშმარიტი ლევერელები", ამით ისინი უპირისპირდებოდნენ ჯონ ლილბერნის ლეველერულ პარტიას, რომელიც მათი გაგებით არაჭეშმარიტი გამთანაბრებლები იყვნენ.[1] დიგერები ანუ „ჭეშმარიტი ლეველერები" სოციალური გამთანაბრებლები იყვნენ, ლევერელები კი — პოლიტიკური გამთანაბრებლები, ე. ი. დიგერები მოითხოვდნენ არა მარტო კანონის წინაშე ყველას თანასწორობას, საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლებას, არამედ, საერთოდ, სოციალურ თანასწორობას, რასაც მიწის ერთობაში, საზიარობაში, კოლექტიურ მფლობელობაში ხედავდნენ (ამიტომ მათ ზოგიერთი ისტორიკოსი კომუნისტური იდეოლოგიის წინამორბედადაც კი მიიჩნევს).

---

[1] ინდეპენდენტები იცავდნენ „ უთანასწორობის" პრინციპს, ანუ ქონებრივ განსხვავებას ადამიანთა შორის მიიჩნევდნენ ბუნებით და არა სოციალურ-ისტორიული წარმომავლობის მოვლენად. შრომისმოყვარეობის გარეშე ქონების დაგროვება არ ხდება, დაგროვება კი გათანაბრებას ვერ იტანს. ამიტომ ქონების განსაზოგადოების საფუძველზე სახელმწიფოს აშენება ფუჭ ოცნებას წარმოადგენს, — ამბობდა ცნობილი ინდეპენდენტი პარინგტონი; მისი აზრით, ხალხის ცხოვრების მოგვარება უნდა ვანდოთ არა თვით ხალხს, არამედ პოლიტიკოსებს. მაგრამ თუ ისინი ხალხს მიიყვანენ სოლტაკემდე და სასოწარკვეთამდე, მაშინ ხალხი თვითონ ხდება პოლიტიკოსი. მსგავსად ზოგიერთი ცხოველისა, რომელიც დაავადების შემთხვევაში განკურნებას სხვის დაუსმარებლად ცდილობს.

როგორც კი ხალხს პირიდან ლუკმა-პურს გამოაცლი, მაშინ იგი ლეველერი გახდება და მზადაა დაიწყოს სამოქალაქო ომი, — აღნიშნავდა პარინგტონი და დაასკვნიდა: ამიტომ ხელისუფლებამ ზედმეტად არ უნდა გაძარცვოს და შეაიწროოს იგი.

„ჭეშმარიტი ლევერელები“ არ წარმოადგენდნენ რომელიმე გამოკვეთილი კლასის იდეოლოგებს, ისინი გამოხატავდნენ ინგლისის ხალხის დაბალი ფენების ინტერესებს. მის სოციალურ ბაზას ქმნიდნენ სოფლის ღარიბ-ღატაკი, ბოგანო, უმიწო ან მიწით ნაკლებად უზრუნველყოფილი გლეხები და ქალაქის პლებეური მასა — პრეპროლეტარიატი.

ლეველერებისაგან განსხვავებით, დიგერები მოქმედებდნენ „ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის“ დევიზით და მშვიდობიან ბრძოლას ქადაგებდნენ, რეპრესიებს მხოლოდ პასიური პროტესტით უპირისპირდებოდნენ. მიუხედავად ამისა, მთავრობამ ისინი მაინც გაანადგურა „რევოლუციის გადასარჩენად და ხალხის საკეთილდღეოდ“.

გარდა ლეველერებისა და „ჭეშმარიტი ლეველერებისა“, რელიგიური მოსაზრებით, ინდეპენდენტებს გამოეყო ე. წ. „მეხუთე მონარქიის ადამიანთა“ სახელით ცნობილი სექტა, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა.

„მეხუთე მონარქიის ადამიანები“ მოითხოვდნენ სატანისეული „ნაბოლარა პარლამენტის“ დათხოვნას. კრომველმა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამოიყენა დასახელებული სექტა, მიზნის მიღწევის შემდეგ კი, ისევე, როგორც სხვა მემარცხენე სექტის წევრებს, მკაცრად გაუსწორდა.

§4. კრომველის პროტექტორატი (1653-1658)

ამავე დროს, საბოლოოდ შეირყა „ნაბოლარა პარლამენტის“ ავტორიტეტი. იგი წარმოადგენდა მმართველობის ოლიგარქიულ ორგანოს, მაგრამ მალე გადაიქცა გათავხედებულ საქმოსანთა საკრებულოდ, რომელიც სახელმწიფო ქონებას იყენებდა პირადი გამდიდრებისათვის. პარლამენტის წევრები ერთმანეთს ურიგებდნენ ჩამორთმეულ მამულებს, ჯილდოებს, თანამდებობებს, პენსიებს ქვეყნისა და ხალხის წინაშე დიდი „დამსახურებისათვის“ და სხვა. კომონერები (თემთა პალატის წევრები) ფართოდ ჩაებნენ სპეკულიაციაში, საბირ-

ჟო თამაშში, იღებდნენ ქრთამებს, ფლანგავდნენ სახელმწიფო სახსრებს. დაიწყო საყოველთაო კორუფცია, პროტექციონიზმი, ნეპოტიზმი, მოსყიდვა და სხვა, რაც ინგლისის მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილებას იწვევდა.

მესაკუთრე ინგლისის დიდი ნაწილისათვის ნათელი გახდა, რომ ასეთი პარლამენტი ვერ უზრუნველყოფდა მათი საკუთრების უსაფრთხოებას, ვერ ალაგმავდა ვერც მემარცხენეობას და ვერც როიალისტებს. „ნაბოლარა პარლამენტის" წინააღმდეგ ამხედრდა არმიაც. 1647 წლიდან, როდესაც ჯარისკაცებმა მეფე ხელთ იგდეს, რეფორმებს ინდეპენდენტური ჯარი ატარებდა. ახლა არმიაში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ერთი ტირანი (მეფე) შეიცვალა მეორეთი (პარლამენტით), რომ საჭიროა ახალი არჩევნების ჩატარება, „მეათედების" გაუქმება, სასამართლოს რეფორმა, ოფიცრები მოითხოვდნენ არმიისათვის ვალის გადახდას და სხვა. „ნაბოლარა პარლამენტის" საქმიანობას შეიძლება მოყოლოდა რევოლუცია, ამიტომ მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით შეძლებული ფენები, ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებისათვის ძლიერი ხელისუფლების დამყარებას მოითხოვდა. ასეთ პირობებში კრომველის სახით ხალხი ხედავდა ერთადერთ ძალას, რომელსაც შეეძლო „ნაბოლარა პარლამენტისაგან" ინგლისის ხსნა.

ითვალისწინებდა რა ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ აზრს, კრომველი ემზადებოდა სახელმწიფო გადატრიალებისათვის. თავის მხრივ, „ნაბოლარებმაც" იგრძნეს მოახლოებული საფრთხე და შეიმუშავეს ახალი პარლამენტის მოწვევის პირობები, რომელიც უზრუნველყოფდა არსებული პარლამენტისა და მისი წევრების ხელშეუხებლობას: შესაბამისად მომქმედი პარლამენტის წევრების გადარჩევა კი არ მოხდებოდა, არამედ ისინი ახალ პარლამენტში ავტომატურად შეინარჩუნებდნენ თავიანთ რწმუნებებს. ამასთანავე, ახალი წევრების არჩევის კანონიერების შემოწმების უფლება მხოლოდ მათ უნდა ჰქონოდათ, რათა პარლამენტში არ დაეშვათ არასასურველი პიროვნება. ასეთმა თავხედურმა გადაწყვეტილებამ დააჩქარა სახელმწიფო გადატრიალება. **1653 წლის 20 აპრილს**, კრომველი მუშკეტერთა რაზმის თანხლებით პარლამენტში გამოცხადდა და შეურაცხმყოფელი ეპითეტე-

ბის „ლოთები“, „გარყვნილები“, „გაფუჭებული და მატყუარა ხალხი“ ყვირილით პარლამენტის წევრები სხდომათა დარბაზიდან ძალით გაყარა. იმავე დღეს დაშალეს „სახელმწიფო საბჭო“. რამდენიმე დღის შემდეგ შექმნეს ახალი საბჭო სამი ოფიცრისა და სამი სამოქალაქო პირის შემადგენლობით. ერთადერთი, ვინც დათხოვნილ პარლამენტს გამოესარჩლა, ლონდონის სიტის მესვეურები იყვნენ. მაგრამ მათ პროტესტს რაიმე შედეგი არ მოჰყოლია.

ახალი პარლამენტის წევრები კრომველმა ოფიცერთა საბჭოსთან შეთანხმებით შეარჩია და დანიშნა. ეს პარლამენტი ისტორიაში შევიდა „მცირე, ანუ ბერბონის პარლამენტის“[1] სახელით. იგი წარმოდგენილი იყო ძირითადად ინდეპენდენტთა სხვადასხვა ჯგუფებით და „მეხუთე მონარქიის ადამიანებით“, რომლებსაც ხალხი დაცინვით „წმინდანებს“ უწოდებდა (ისინი ლაპარაკობდნენ ძველი აღთქმის ენით და ბევრს ლოცულობდნენ).

„მცირე პარლამენტი“ უფრო რადიკალურად მოქმედებდა ვიდრე ხანგრძლივი პარლამენტი, ან მისი „ნაბოლარა“: მათ სურდათ რწმენის თავისუფლების გამოცხადება, სამოქალაქო ქორწინების შემოღება, მრევლის მიერ მღვდლების არჩევის დაწესება, საეკლესიო მეათედის გაუქმება, სასამართლო პროცესის გამარტივება, სავალო ციხეებიდან პატიმართა განთავისუფლება, არმიის რიცხვის შემცირება და სხვა რადიკალური ხასიათის ცვლილებების გატარება. მაგრამ პოლიტიკური საქმიანობის გამოცდილების უქონლობის გამო, მათ მოქმედებას ხშირად წარმართავდა რელიგიური ფანატიზმი და ილუზია.

ბურჟუაზია, ახალი თავადაზნაურობა და პირადად კრომველი თავდაპირველად იწონებდნენ „მცირე პარლამენტის“ ღონისძიებებს, მაგრამ თანდათანობით მათი განწყობა შეიცვალა. მათ აღარ მოსწონდათ პარლამენტის ზედმეტი რადიკალიზმი. „წმინდანთა“ პოლიტიკით უკმაყოფილო იყო ეკლესია, ოფიცრობა და იურისტთა დიდი ამალა (სასამართლო რეფორმა მათ უფლებებს ლახავდა). კრომველმა გადაწყვიტა სხვისი ხელით გაერეკა „ტუტუცი წმინდანები“, თვითონ კი

[1] პ. ბერბონი იყო მცირე პარლამენტის წევრი, რომელიც გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით, ოპოზიციური და რეფორმატორული საქმიანობით.

ნეიტრალური პიროვნების როლს თამაშობდა და სურდა შეექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს თვითონ კი არ მიილტვის ხელისუფლებისაკენ, არამედ ხალხის უმრავლესობა მოუწოდებს მას აქეთკენ. ამით უნდა ავხსნათ კრომველის ფარისევლური გაოცება პარლამენტის „თვითგადადგომის“ გამო. ოფიცერთა უმრავლესობას და თვით კრომველს ღრმად სწამდათ, რომ რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებისათვის საჭირო იყო ძლიერი, ცენტრალიზებული, ერთპიროვნული, არმიაზე დაყრდნობილი ხელისუფლება. სწორედ ასეთი ხელისუფლების დამყარებას ისახავდა მიზნად უმაღლესი ოფიცრების მიერ შექმნილი კონსტიტუცია — „მმართველობის იარაღი“, რომელიც ოფიციალურად მიიღეს იმავე დღეს (1653 წლის 16 დეკემბერს), როდესაც კრომველს შესთავაზეს სახელმწიფოს მეთაურობა ლორდ-პროტექტორის ტიტულით. კრომველმა მიიღო ეს წინადადება და იგი ოფიციალურად იწოდებოდა „ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს ლორდ-პროტექტორად“, — ანუ რესპუბლიკის მფარველად.

„მმართველობის იარაღი“ ფაქტიურად აღადგენდა მონარქიას: ლორდ-პროტექტორი აღმასრულებელთან ერთად ფლობდა საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელსაც ახორციელებდა ერთპალატიან პარლამენტთან კავშირში. კონსტიტუციით დაწესებული საარჩევნო ცენზი — 200 გირვანქა სტერლინგი, პარლამენტში არჩევას უზრუნველყოფდა მხოლოდ მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურებისათვის. პარლამენტში ირჩევდნენ 460 დეპუტატს: 400 — ინგლისიდან, 30 — ირლანდიიდან და 30 — შოტლანდიიდან. „დამპალი დაბების“ ნაწილი გააუქმეს, მათ ნაცვლად მანდატები მიიღეს ახალმა ეკონომიკურად განვითარებულმა საგრაფოებმა და დიდმა ქალაქებმა. პარლამენტის რწმუნებანი განისაზღვრა სამი წლით. მისი დათხოვნა შეიძლებოდა მხოლოდ საკუთარი თანხმობით. პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გაუქმება ლორდ-პროტექტორს არ შეეძლო. იგი მხოლოდ ამტკიცებდა მას. მაგრამ, მეორე მხრივ, პარლამენტს არ ჰქონდა ნამდვილი კონტროლის უფლება: უმაღლესი თანამდებობის პირების (კანცლერი, ადმირალი, გუბერნატორი, უმაღლესი მოსამართლეები და სხვა) დანიშვნა პროტექტორზე იყო დამოკ-

იდებული, მანვე მიიღო ჯარისა და ფლოტის შენახვისათვის საჭირო გადასახადების აკრეფის უფლება. სესიებს შორის პროტექტორს შეეძლო გამოეცა ორდონანსები, რომლებიც კანონის უფლებით სარგებლობდა. საგარეო პოლიტიკა პროტექტორს სახელმწიფო საბჭოსთან ერთად უნდა წარემართა. მას შეეძლო პარლამენტის დათხოვა მოწვევიდან ხუთი თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ მისი არჩევა ყოველ სამ წელიწადში სავალდებულო იყო. პროტექტორს შეეძლო დამნაშავის შეწყალება, ქონების კონფისკაცია, რაინდად კურთხევა, საპატიო წოდებების მინიჭება.

ოფიციალურ რელიგიად ცხადდებოდა ქრისტიანობა, მაგრამ, ამასთანავე, სხვა რელიგიებსაც ეძლეოდათ თავისუფალი მოქმედების საშუალება, გარდა კათოლიკობისა და ანგლიკანიზმისა, რადგანაც ისინი წარმოადგენდნენ კლასობრივი მტრის — ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის მომხრეთა რელიგიებს.

როგორც ვხედავთ, პროტექტორი უფრო დამოუკიდებელი იყო, ვიდრე ჩარლზ I 1641 წელს, როდესაც პარლამენტმა დაიწყო მისი უფლებების შეზღუდვა; კონსტიტუცია ძალაში ტოვებდა რესპუბლიკას, მაგრამ, ფაქტობრივად, პარლამენტი და სახელმწიფო საბჭო პროტექტორის მორჩილ იარაღს წარმოადგენდა. ეყრდნობოდა რა არმიაში უმრავლესობის მხარდაჭერას, კრომველი ხუთი წლის განმავლობაში (1653-1658) შეუზღუდავად მართავდა ქვეყანას.

პროტექტორატის საშინაო პოლიტიკა. კრომველის საშინაო პოლიტიკა უპირველეს ამოცანად ისახავდა უზრუნველეყო რეჟიმის უსაფრთხოება როგორც მარჯვნიდან — როიალისტების მხრივ, ასევე მარცხნიდან — ხალხის მასების მხრივ. კრომველისათვის როიალისტი და ლეველერი ერთნაირად საშიშ ძალას წარმოადგენდა. როიალისტებს მან პოლიტიკური უფლებები აყარა, ქონება ჩამოართვა, ბევრი მათგანი დააპატიმრა და სიკვდილით დასაჯა; სასტიკი რეპრესიები განახორციელა დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგაც. ცენზურა დევნიდა სიტყვისა და აზრის თავისუფლებას, სასტიკად იკრძალებოდა ხალხის თავშეყრა, ქუჩაში დგომა, აიკრძალა სახალხო დღესასწაულები და შეკრებები, სიმღერა, ცეკვა, გასართობი სანახ-

ობები; დევნიდნენ მოხეტიალე მსახიობებს, მუსიკოსებს, მომღერლებს: მკაცრად ისჯებოდა ლოთობა, გარყვნილება, მრუშობა, მეძავეობა და სხვ. ყოველივე ეს, კრომველის აზრით, ინგლისის ხალხის ზნეობრივი სრულყოფისათვის კეთდებოდა. ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით, თავისი დაპირებებიდან კრომველმა მხოლოდ ერთის — სინდისის თავისუფლების განხორციელება შესძლო, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს; ფაქტიურად იგი მხოლოდ ინდეპენდენტებს მფარველობდა. დევნიდა კათოლიკებს, ანგლიკანებს, პრესვიტერიანელებს და სხვ. ახალი რეჟიმი განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა მემარცხენე სახალხო-რელიგიური სექტების მიმართ. პროტექტორს იგი მიაჩნდა რადიკალიზმის ბუდედ, ანარქისტულ დამანგრეველ ძალად, თავისუფლებისა და საკუთრების საშიშ მტრად. საკუთრების დაცვა კი მას თავისი მოღვაწეობის ქვაკუთხედად მიაჩნდა, რადგანაც, მისი აზრით, საზოგადოებაში უთანასწორობა აუცილებელია. ამიტომ ესხმოდა იგი თავს ასე გააფთრებით თანასწორობის პრინციპს და მის დამცველებს — ლეველერებს, დიგერებს, რადიკალურ სექტებს, „მეხუთე მონარქიის ადამიანებს“ და სხვ. „თუ ქვეყანას ტანჯვა უწერია — ამბობდა კრომველი, — დაე იგი იტანჯოს მდიდრებისაგან, ვიდრე ღარიბებისაგან, რადგანაც, თუ მჩაგვრელის როლში ღარიბობა მოგვევლინა, მაშინ, როგორც სოლომონმა თქვა, აღმოვჩნდებით გრიგალის წინაშე, რომელიც მოსპობს ყველაფერს და არ დატოვებს არაფერს“. პროტექტორის ასეთი რწმენის გამო, მისი ეკონომიკური პოლიტიკა მხოლოდ მდიდარი ინგლისის ინტერესებით იყო ნაკარნახევი. მის დროს დაადასტურეს და დააზუსტეს **1646 წლის 24 თებერვლის აქტი „სარაინდო მფლობელობის გაუქმების შესახებ“**, რომელმაც აგრარული პრობლემა მემამულეთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. ძველი რეჟიმის დროს გლეხის ექსპლუატაციის ნორმები უფრო ასატანი იყო: ძველი ფეოდალი გლეხის მიწიდან აყრით დაინტერესებული არ იყო, სამეფო ხელისუფლებაც შემოლობვათა პროცესის გარკვეულ რეგლამენტაციას ახდენდა; ახლა კი დაიმკვიდრეს რა მიწა პირდაპირ ბურჟუაზიულ საკუთრებაში, მიწათმფლობელებმა მოიპოვეს გლეხობის ექსპლუატაციისა და ექსპროპრიაციის (მიწიდან აყრის) შეუზღუდველი უფლება.

კრომველის რეჟიმი საკმაოდ ლოიალურად განეწყო მონოპოლიების, პატენტების და სხვა სავაჭრო-სამრეწველო პრივილეგიების მიმართ. ბევრი სავაჭრო-სამრეწველო თუ ფინანსური კორპორაცია ამ უფლებით სარგებლობდა. მსხვილ მიწათმფლობელებთან ერთად პროტექტორი აქტიურად იცავდა სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს. ამაზე მეტყველებს 1656 წლის 27 ნოემბერს მიღებული „აქტი ინგლისის სახელმწიფოში წარმოებული, აღმოცენებული, დამზადებული საქონლის გატანისათვის ხელშეწყობის შესახებ". აქტის თანახმად, ბევრი საქონლისათვის დაწესდა ექსპორტის შეღავათიანი პირობები.

კრომველის განსაკუთრებული რისხვა თავს დაატყდა **კვაკერების** სექტას[1] (ანუ შინაგანი ნათელის მეგობართა საზოგადოებას), რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა დემოკრატიულ წრეებში. კვაკერები ქადაგებდნენ ადამიანის განუსაზღვრელ თავისუფლებას. მათ ვერ წარმოედგინათ, თუ რაიმე გარეშე ძალას შეუძლია სულიერად დამოუკიდებელი ადამიანის ძლევა ან მისთვის რაიმე საშიშროების შექმნა. ამ სექტის წევრები უარყოფენ ომებს და არავითარ შემთხვევაში სამხედრო სამსახურში არ წავლენ; ისინი ყოველგვარ ფიცში ძალდატანებას ხედავენ; არც ერთი ხელისუფლების წინაშე ქედს არ მოიხრიან, მაგრამ იძულებას და ძალადობას ძალით წინააღმდეგობას არ გაუწევენ; ისინი მოითმენენ, იარაღს ხელს არ მოკიდებენ, მაგრამ არც დანებდებიან. კვაკერები უარყოფდნენ ტიტულებს, წოდებებს (მათ შორის მეფისას), ყველას მიმართავდნენ „შენობით". ადამიანთა ბუნებრივი თანასწორობიდან გამომდინარე, ისინი ქონებრივ თანასწორობასაც ქადაგებდნენ, გმობდნენ არსებულ რეჟიმს, კრომველს ბრალს სდებდნენ მონარქიზმში, ანტიდემოკრატიულ საქმიანობაში. კრომველმა კვაკერები განსაკუთრებით საშიშ ძალად მიიჩნია და დაიწყო მათი დარბევა, დაპატიმრება, წამება. ათასობით კვაკერი ამერიკის ახალშენში გარბოდა.

---

[1] კვაკერი (ინგ. quaker „მოცახცახე"") — ასე შეარქვეს ამ სექტის წევრებს არაბუნებრივი მოძრაობების გამო, რომელსაც ისინი ასრულებდნენ მათი ლოცვისათვის დამახასიათებელი ექსტაზის დროს.

მას შემდეგ, რაც კრომველი დარწმუნდა „წმინდანების“ პარლამენტის არასაიმედობაში (დეპუტატებმა განიზრახეს პარლამენტის უზენაესობის აღდგენა და პროტექტორის ერთპიროვნული უფლებების გადასინჯვა) არსებობიდან 140 დღის თავზე, 1655 წლის 22 იანვარს, მან დაითხოვა იგი და უპირატესობა კვლავ სამხედროებს მიანიჭა: ინგლისი დაჰყო 12 სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქად, რომელთა სათავეში გენერალ-მაიორები (ეს იყო თანამდებობა და არა წოდება), თავისუფალი ოფიცრები დააყენა. გენერალ-მაიორები ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებს, მილიციას, აკონტროლებდნენ სასამართლოს, ეკლესიას, წარმართავდნენ საგადასახადო პოლიტიკას, სდევნიდნენ როიალისტებს, კათოლიკეებს, რესპუბლიკელებს, სექტანტებს და, საერთოდ, ახალი რეჟიმის ყველა მოწინააღმდეგეს, ნერგავდნენ ახალ მორალურ ნორმებს და სხვ. მათ განკარგულებაში იყო ცხენოსანი პოლიციის გაძლიერებული რაზმები.

დიქტატორული რეჟიმის განმტკიცებისათვის კრომველმა შექმნა პოლიცია და საიდუმლო სამსახური, აგრეთვე პოლიტიკური დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახური. დაზვერვას ფართოდ იყენებდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ — საგარეო პოლიტიკაში და დიპლომატიაში. მაგრამ ყოველივე ეს სიახლენი ძალიან ძვირი ჯდებოდა. მთავრობა ხარჯავდა შემოსავალზე გაცილებით მეტს. ფინანსურმა სიძნელეებმა კრომველი აიძულა „წმინდანების“ დათხოვნიდან 20 თვის შემდეგ, 1656 წელს, მოეწვია ახალი, პროტექტორატის რეჟიმის მეორე პარლამენტი. არჩევნებს ხელისუფლება აკონტროლებდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გენერალ-მაიორები. ისინი საეჭვო ამომრჩევლებს კენჭის საყრელად არ უშვებდნენ, სინჯავდნენ და კვეცავდნენ ამომრჩეველთა სიებს. მიუხედავად ამისა, პარლამენტის შემადგენლობაში რესპუბლიკელებიც აღმოჩნდნენ. ბედის ირონიით, ოპოზიციის პირველი მსხვერპლი გენერალ-მაიორები გახდნენ — პარლამენტმა გააუქმა ხელისუფლების ეს ორგანო. როგორც ჩანს კრომველს არ მოსწონდა გენერალ-მაიორების ზედმეტი თავგასულობა და უკიდურესობამდე მისული ერთპიროვნული ხელისუფლება. შემდეგ პარლამენტმა გადასინჯა „მმართველობის იარაღი“ და 1657 წლის 22 თებერვალს განსახილ-

ველად წარმოადგინა კონსტიტუციის ახალი ვარიანტი, რომელიც ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებისათვის მონარქიისა და ორპალატიანი პარლამენტის აღდგენას ითვალისწინებდა. მეფის ტახტი თვით ოლივერ კრომველს შესთავაზეს. ამ დროისათვის მისი ავტორიტეტი, საგარეო პოლიტიკაში მოპოვებული დიდი წარმატებების გამო, მკვეთრად გაიზარდა. მეფის ხელისუფლების აღდგენა მოტივირებული იყო ასე: „ინგლისური სამართლისათვის პროტექტორის ტიტული სავსებით უცხოა, მაშინ, როდესაც მეფის წოდება არსებობს მრავალი საუკუნის განმავლობაში". მონარქიის აღდგენით ინგლისის ბურჟუაზიას და ახალ თავადაზნაურობას სურდათ საბოლოოდ განემტკიცებინათ და დაეკანონებინათ კრომველის რეჟიმი; ისინი იმედოვნებდნენ, რომ ახალი დინასტია საბოლოოდ აღმოფხვრიდა სტიუარტების რესტავრაციის საფრთხეს, დაიცავდა მათ როგორც როიალისტებისაგან, ასევე ხალხისაგან, ამასთანავე კრომველის მონარქია უზრუნველყოფდა ინგლისის ბატონობას ზღვებსა და ოკეანეებზე. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, **კრომველმა მეფის გვირგვინზე უარი თქვა**. იმ მოტივებს შორის, რომლებმაც განაპირობეს პროტექტორის უარი, მთავარი იყო ხალხის რწმენა ღვთითკურთხეული, ღმერთის მიერ მირონცხებული მეფის შესახებ. კრომველი კი წარმოშობით იყო სოფლის სკვაირი (მემამულე), რომელმაც ხელისუფლება პირადი ღირსებებით მოიპოვა. „მეფის ტიტულის მიღება მას სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენებდა, რადგანაც ეს წოდება ადამიანთა შეგნებაში გამოიწვევდა მისი ნამდვილი მდგომარეობისათვის არსებითად შეუსაბამო წარმოდგენებს" (გარდინერი).

მეფის გვირგვინზე უარის თქმის შემდეგ, კონსტიტუციის მიხედვით, პროტექტორის ხელისუფლება მემკვიდრეობითი გახდა. აღადგინეს ზედა (ლორდთა) პალატა, რომლის წევრებს თვითონ პროტექტორი ნიშნავდა, ხოლო სახელმწიფო საბჭო საიდუმლო საბჭომ შეცვალა. იურიდიულად გაუქმდა სტიუარტთა პრეტენზიები ინგლისის ტახტის მიმართ. **1657 წლის 26 ივნისს კრომველი მეორედ აკურთხეს პროტექტორად.**

ახალი რეჟიმის მეორე და უკანასკნელ პარლამენტში სულ მალე გაძლიერდა ოპოზიციის რესპუბლიკური ფრთა. მათ კონსტიტუციას,

პარლამენტსა და საზოგადოებაში დამკვიდრებულ რეჟიმს ბრძოლა გამოუცხადეს. განრისხებულმა პროტექტორმა 1658 წლის 4 თებერვალს პარლამენტი დაითხოვა. ამის შემდეგ მას დიდხანს არ უცოცხლია. ჯანმრთელობაშერყეული ოლივერ კრომველი 1658 წლის 3 სექტემბერს 59 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს უესტმინსტერის სააბატოში, ინგლისის მეფეთა საგვარეულო აკლდამაში.

კოლონიური პოლიტიკა. ინდეპენდენტური რესპუბლიკისა და კრომველის დროს საფუძველი ჩაეყარა ინგლისის კოლონიური პოლიტიკის სრულიად ახალ კურსს — კოლონიური პრობლემა საგარეო პოლიტიკის განუყოფელ და ძირითად საზრუნავად იქცა. მანამდე კი დომინირებდა ძველი ტრადიცია, როცა კოლონიური პოლიტიკა უპირატესად ხორციელდებოდა კერძო ინიციატივის საფუძველზე, კერძო პირების ან სავაჭრო კომპანიების მიერ.

კრომველის კოლონიური პოლიტიკის უპირველესი მიზანი იყო კოლონიების გადაქცევა მეტროპოლიის აგრარულ დანამატად, ნედლეულის წყაროდ და გასაღების ბაზრად. კოლონიებს აეკრძალათ უცხო ქვეყნებთან ვაჭრობა, უცხო ქვეყნებში ნედლეულის გატანა. კოლონიის ნედლეული უნდა გასულიყო მხოლოდ მეტროპოლიაში, საჭირო საქონელი კოლონიას უნდა შეეძინა მხოლოდ მეტროპოლიისაგან. ეკონომიკურ მორჩილებასთან ერთად მეტროპოლია ცდილობდა კოლონიებისათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის უმნიშვნელო მცდელობაც კი აღეკვეთა. ასეთი ვითარება იწვევდა კოლონიების უკმაყოფილებას და ზოგჯერ აშკარა წინააღმდეგობასაც.

კრომველის დროს ინგლისმა საზღვაო-სავაჭრო კოლონიურ ასპარეზზე უკან ჩამოიტოვა ყველა მნიშვნელოვანი მეტოქე, მათ შორის ესპანეთი, პორტუგალია და ჰოლანდია. მოგვიანებით, XVIII საუკუნეში, დაამარცხეს კიდევ ერთი მთავარი მეტოქე — საფრანგეთი. ამიერიდან ინგლისის კოლონიური და ეკონომიკური უპირატესობა მსოფლიო მასშტაბით კონკურენტგარეშე აღმოჩნდა. „დიდი ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის შემოქმედი“, — ასე შეაფასა კრომველის როლი მადლიერმა ბურჟუაზიამ.

ინგლისში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო,

„ხანგრძლივი პარლამენტი“ აქტიურ კოლონიურ პოლიტიკას ვერ აწარმოებდა. მისი მიზანი იყო მიემხრო კოლონიები მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, პირველ ყოვლისა, შეღავათებითა და დათმობებით, გაენთავისუფლებინა ისინი ბაჟებისაგან, მიეცა სავაჭრო პრივილეგიები და სხვ. მფარველობისა და დათმობების საპარლამენტო პოლიტიკამ ამერიკისა და ვესტინდოეთის ახალშენებში კიდევ უფრო განამტკიცა სეპარატიზმი. კოლონიები პირადი ინიციატივით, პარლამენტის სანქციის გარეშე მთელ რიგ მნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ღონისძიებებს ახორციელებენ. მაგალითად, 1643 წელს „ახალი ინგლისის“ ახალშენებმა ნიუ-ჰევენმა, ნიუ-პლიმუტმა, კონეკტიკუტმა, მასაჩუსეტსმა შექმნეს კონფედერაცია — „ახალი ინგლისის შეერთებული შტატები“. კოლონიები დამოუკიდებელ კონტაქტს ამყარებენ ჰოლანდიელებთან, ფრანგებთან, მეზობელ კოლონიებთან.

მეფის სიკვდილით დასჯისა და ინდეპენდენტური რესპუბლიკის გამოცხადების (1649) შემდეგ, გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ კოლონიური პოლიტიკის კურსი არსებითად შეცვალეს. მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის ურთიერთობის კომპრომისებით მოგვარების პრინციპი შეცვალა სასტიკი რეპრესიებით დამორჩილების პრინციპმა. ინგლისელები აღარ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ საკუთარი კოლონიებით, მათი აგრესიის ობიექტად იქცა სხვა ქვეყნების, მათ შორის ესპანეთის, პორტუგალიის, ჰოლანდიის და საფრანგეთის ოკეანეს იქეთა ტერიტორიები. ინგლის-ჰოლანდიის 1652-1654 წლების ომი არსებითად კოლონიური ომი იყო. 1652 წელს ინდეპენდენტურმა რესპუბლიკამ სასტიკად დასაჯა ვესტინდოეთის ინგლისის კუთვნილი კუნძულები და ვირჯინია როიალისტთა ბანაკში გადასელისათვის.

1652 წელს პარლამენტმა კოლონიური აგრესიის ფართო გეგმა შეიმუშავა. ამიერიდან კოლონიური პოლიტიკა სახელმწიფოს უშუალო ზრუნვის ობიექტი გახდა. კოლონიების მართვის ფუნქცია სახელმწიფო საბჭოს ნაცვლად გადაეცა პროტექტორატის საბჭოს, შეიქმნა ახალი კომიტეტები „იამაიკის (ჯამაიკის) კომიტეტი“ (1655), „ამერიკის კომიტეტი“ (1656). რესპუბლიკა და პროტექტორატი კოლონიებს ახალ პრეტენზიებს უყენებენ, ცდილობენ ისინი ჩააბან ინგლისის

მიერ წამოწყებულ ომებში. 1652 წელს „სახელმწიფო საბჭომ“ ამერიკის ინგლისურ ახალშენებს უბრძანა ჰოლანდიის წინააღმდეგ ომში ჩაბმა და „ახალი ჰოლანდიის“ დაპყრობა. ინგლის-ჰოლანდიის დაზავების გამო (1654), ეს გეგმა მაშინ არ განხორციელდა. „ახალი ჰოლანდიის“ „ახალი ინგლისის“ მეშვეობით დაპყრობის კრომველისეული გეგმა, მისი გარდაცვალების შემდეგ, 1664 წელს აღსრულდა, ჰოლანდიას წაართვეს „ახალი ამსტერდამი“ (მდინარე ჰუდსონის შესართავთან) და მას ამიერიდან ეწოდა „ნიუ-იორკი“. 1654 წელს კრომველმა ფრანგებს წაართვა ტერიტორია კანადაში — აკადია, ხოლო 1655 წელს ესპანელებს — იამაიკა (ჯამაიკა). დიდი წარმატება მოიპოვა ინგლისმა პორტუგალიის ხარჯზეც. 1654 წლის ხელშეკრულებით პორტუგალია მისი კოლონიებით (მათ შორის ყველაზე დიდი იყო ბრაზილია) ინგლისის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ამავე ხელშეკრულებით ინგლისმა შეაღწია აფრიკაში, სადაც პორტუგალიელებს მნიშვნელოვანი სამფლობელოები გააჩნდათ.

რესპუბლიკისა და პროტექტორატის პერიოდში ინგლისს აღმოსავლეთში, კერძოდ ინდოეთში, ოფიციალურად არც ერთი კოლონია არ ჰქონდა. აქ მოქმედებდა ოსტინდოეთის ინგლისური კერძო კომპანია. იგი ფლობდა ინდოეთის სანაპიროზე სავაჭრო ფაქტორიებს. კრომველი მფარველობდა ამ კომპანიას და, სწორედ მისი წყალობით, იგი გახდა ძირითადი ინსტრუმენტი ინდოეთში კოლონიური დაპყრობებისა, რაც XVIII საუკუნეში განხორციელდა.

რესპუბლიკისა და პროტექტორატის პერიოდიდან იწყებენ ინგლისიდან კოლონიებში დამნაშავეთა და სოციალურად დაჩაგრულთა — მაწანწალების, მათხოვრების გადასახლებას. ამ პროცესმა შემდეგში უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

თავი II. სტიუარტების რესტავრაცია და 1688-1689 წლების გადატრიალება

სტიუარტების რესტავრაცია. კრომველმა, გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე, მემკვიდრედ დაასახელა თავისი უფროსი ვაჟი 32 წლის რიჩარდ კრომველი. იგი მამის სრული ანტიპოდი იყო: რბილი ხასიათის, მშვიდი, თავდაჭერილი, თავაზიანი და ზრდილი. მას არ გააჩნდა მამისეული ენერგია, სამხედრო, ადმინისტრაციული და დიპლომატიური ტალანტი, საკუთარ ძალაში დარწმუნებულობა, რაიმე პოლიტიკური მრწამსი. უყვარდა მშვიდი ცხოვრება, ნადირობა, ცხენოსნობა, ერთი სიტყვით, იგი არ იყო იმ „ცომისაგან გამომცხვარი", რომლებიც მეფობენ.

დარწმუნდნენ რა ახალი პროტექტორის სისუსტეში, გააქტიურდნენ არსებული ხელისუფლებით უკმაყოფილონი: აბსოლუტური და კონსტიტუციური მონარქიის მომხრენი, ანგლიკანები და პრესვიტერიანელები, თავადაზნაურობა და ლონდონის სიტის მესვეურები. მაგრამ, ჯერ კიდევ, ყველას ეშინოდა ინდეპენდენტური არმიისა, თუმცა მასშიც შეიმჩნეოდა უთანხმოებანი. მოვლენების განვითარება დააჩქარა კრომველის ერთ-ერთმა გენერალმა, ფარულმა როიალისტმა, მონკმა, რომელმაც თავისი ჯარის ნაწილებით, 1660 წლის 3 თებერვალს, ლონდონი დაიკავა. მონკის მხარდაჭერით პარლამენტში დაბრუნდნენ 1648 წელს „პრაიდის წმენდის" შემდეგ განდევნილი პრესვიტერიანელი დეპუტატები. მათი საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა — 17 მარტს ხანგრძლივმა პარლამენტმა თავი დაშლილად გამოაცხადა. მონკის წინადადებით მოიწვიეს „თავისუფალი" (ე. ი. არმიის ზეწოლისაგან თავისუფალი) პარლამენტი (კონვენტი), რომელშიც უმრავლესობა პრესვიტერიანლებმა და როიალისტებმა მოიპოვეს. სწორედ ამ პარლამენტმა მოახდინა სტიუარტების რესტავრაცია — 1660 წლის 1 მაისს ჩარლზ I შვილი ჩარლზ II მეფედ გამოაცხადა. **იმავე წლის 26 მაისს ჩარლზ II ლონდონში შევიდა და სამეფო ტახტი დაიკავა.**[1]

---

[1] 1660 წლის მაისის დამდეგს რიჩარდ კრომველი გადადგა და თავის ერთ-ერთ მამულში

ცოტა ხნით ადრე, 4 აპრილს, ჰოლანდიის დაბა ბრედაში, მან ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომლითაც იგი ამინისტიას პირდებოდა მონარქიის მტრებს (იმ პირთა გარდა, რომელთა პატიებას პარლამენტი მიზანშეწონილად არ ჩათვლიდა), აცხადებდა სინდისის თავისუფლებას და რევოლუციის დროს საკუთრების გადანაწილებაში მომხდარი ცვლილებების ხელშეუხებლობის გარანტიას იძლეოდა.

პარლამენტი მიესალმა ამ მანიფესტს და დაადგინა, რომ „სამეფოს უძველესი და ძირითადი კანონების თანახმად, მთავრობა უნდა შედგებოდეს მეფის, ლორდებისა და თემებისაგან". პურიტანული რევოლუცია დამთავრდა. ინდეპენდენტური არმიის ჯარისკაცებს დაურიგეს ხელფასები და დაითხოვეს; სექტანტებიც მშვიდობიანად დაიშალნენ.

მაგრამ რეაქცია უფრო მძაფრი აღმოჩნდა, ვიდრე ამას თვით სტიუარტები ელოდნენ. რევოლუცია მოახდინეს პურიტანებმა და სექტანტებმა; მისი მამოძრავებელი ძალები იყვნენ საშუალო და დაბალი ფენები, რომლებიც დემოკრატიული მოძრაობის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ. ყველანი, ვინც რევოლუციის დროს ხელისუფლებას ჩამოაშორეს: ეპისკოპალური ეკლესიის მომხრენი, ტიტულოვანი არისტოკრატია და თავადაზნაურობა, ახლა დაბრუნდნენ და დაიწყეს ბრძოლა მათთვის საძულველი პიროვნებებისა და რევოლუციური გარდაქმნების წინააღმდეგ. მათი რეაქცია სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა: ამინისტიის მიუხედავად, ძველი მესაკუთრეები ძალით (დილობდნენ თავიანთი ქონების დაბრუნებას; შური იძიეს „მეფის მკვლელებზე", საფლავიდან ამოთხარეს და სახრჩობელაზე ჩამოკიდეს კრომველის, მოსამართლე ბრედშოუს და აირტონის (იგი დაჟინებით მოითხოვდა მეფის სიკვდილით დასჯას) გვამები, სიკვდილით დასაჯეს ვენი, პიმისა და სახელგანთქმული ადმირალის ბლეკის გვამებიც შეურაცხყვეს...

საეკლესიო იერარქიაშიც მწვავე რეაქცია დაიწყო. ხანგრძლივი პარლამენტისა და რესპუბლიკის დროიდან დარჩენილ თავისუფალ

დასახლდა, ხოლო სტიუარტთა რესტავრაციის შემდეგ ევროპაში გაიქცა. 1688 წლის „უსისხლო რევოლუციის" შემდეგ იგი ინგლისში დაბრუნდა, სადაც 1712 წელს გარდაიცვალა.

საეპისკოპოსო თანამდებობებზე კვლავ ანგლიკანური ეკლესიის წარმომადგენლები დაინიშნენ. ჩარლზ II დროს მოწვეულ პირველ პარლამენტში (1661) უმრავლესობა მოიპოვეს მეფის მომხრეებმა. მათ დაკავებული თანამდებობიდან არა მარტო ინდეპენდენტები, არამედ პრესვიტერიანელებიც გაათავისუფლეს; თანამდებობის მსურველთ სპეციალური ფიცით უნდა დაედასტურებინათ, რომ მეფის წინააღმდეგ იარაღის აღმართვა დანაშაულია. მღვდლებისაგან მოითხოვეს ანგლიკანური ლოცვანის მიღება; ბართლომეს ღამის წლისთავზე, პროტესტის ნიშნად 2000 პრესვიტერიანელმა მღვდელმა საეკლესიო სამსახური დატოვა. თავადაზნაურობის უმრავლესობამ ზურგი აქცია პრესვიტერიანელობას და მისი ერთგული მხოლოდ ქალაქების სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობა დარჩა. პრესვიტერიანელებს, რელიგიურ სექტებთან ერთად, არ შეეძლოთ თავისუფლად აღესრულებინათ ღვთის სამსახური. აღადგინეს კრომველის დროს აკრძალული თეატრალური წარმოდგენები; უშინაარსო და არაფრისმთქმელ პიესებში, რომლებიც ამ დროს იდგმებოდა, პროპაგანდას უწევდნენ აღვირახსნილობას, გარყვნილებას და ასე დასცინოდნენ პურიტანულ მორალს, შეხედულებებს.

§1. აბსოლუტიზმის აღდგენის უშედეგო ცდები. 1688 წ. გადატრიალება

პურიტანული რევოლუციის დამარცხების შემდეგ ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო: გაძლიერებული მიწათმფლობელი არისტოკრატია, სავაჭრო კომპანიებთან ერთად, წარმართავდა ქვეყნის პოლიტიკას. რესტავრაციის შემდეგ, მეფის მდგომარეობა ძლიერ შეიცვალა. პირველ სტიუარტებს ჰქონდათ თავიანთი შემოსავალი, თუმცა ის თანდათანობით კლებულობდა; დაბრუნებულ სტიუარტებს სამეფო მამულები უკვე აღარ გააჩნდათ, რადგანაც ისინი რევოლუციის დროს გაყიდეს, არც ფეოდალური ვალდებულებები არსებობდა, ვინაიდან მეფემ თავიდანვე დაადასტურა კრომველის მიერ მათი გაუქმება. ახლა პარლამენტი აძლევდა მეფეს

გარკვეულ თანხას და თან მიუთითებდა, რაში უნდა დაეხარჯა იგი. საზოგადოების ის ფენები, რომლებიც პარლამენტის საშუალებით მართავდნენ ქვეყანას, მეფის ერთგულნი იყვნენ, რადგან მასში ხედავდნენ რევოლუციისდროინდელი საშინელებებისაგან თავდაცვის გარანტს და სურდათ, რომ მეფეს საგარეო პოლიტიკა წარემართა მათი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად. თუმცა ასეთი ერთგულებაც ზღვარდადებული იყო: როგორც კი მეფეებმა გარეშე ძალებზე (საფრანგეთზე, კათოლიკობაზე) დაყრდნობით დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი გამოამჟღავნეს, ინგლისის მონარქისტების უმრავლესობამ რევოლუციის გზით გააძევა დაუმორჩილებელი დინასტია. მაგრამ ეს მეორე (1688 წ.) რევოლუცია იმ კლასებმა როდი მოახდინეს, რომლებიც პირველში მთავარ მოქმედ ძალებს წარმოადგენდნენ.

არისტოკრატიის გაძლიერება და ინგლისის სავაჭრო ინტერესების გაზრდა. ჩარლზ II თავისი პირველი როიალისტური პარლამენტი 18 წლის განმავლობაში არ დაუთხოვია; ეს იყო მეორე ხანგრძლივი პარლამენტი, რომელიც პირველისაგან რეაქციულობით განსხვავდებოდა. მის დროს და მისი საშუალებით აღადგინეს ინგლისის ძველი არისტოკრატიული საფუძვლები და საზოგადოების ზედა ფენების პრივილეგიები განმტკიცდა.

ჰერცოგები, ვიკონტები, მარკიზები, ბარონები ცდილობენ თავიანთი დიდი მამულების დაუნაწევრებლად შენარჩუნებას და ამკვიდრებენ ე. წ. „მაიორატის“ ადათ-წესებს: ახალგაზრდა მიწათმფლობელი თავის ახლადდაბადებულ (ან დასაბადებელ) პირმშოს უთმობს მიწაზე თავის უფლებებს, ამავე დროს ნათესავებს ჰპირდება, რომ მთლიანი მამულიდან მოსავლის გარკვეულ ნაწილს მათაც მისცემს. ამის შემდეგ ის ხდება ანდერძის აღმსრულებელი, რომელსაც „შვილის საკუთრების“ დანაწევრების ან გაყიდვის უფლება არ აქვს. მისი მემკვიდრეც ახალგაზრდულ ასაკში იმეორებს ასეთივე პირობას და ა. შ.

არისტოკრატიამ პარლამენტში გაინაღდა ბატონობა. ჩარლზ II მმართველობის დასაწყისშივე უარყვეს კრომველის მიერ ჩატარებული საარჩევნო რეფორმა და ახალ სამრეწველო ქალაქებს მანჩესტერს, ლიდსს და სხვ. წაართვეს დეპუტატების არჩევის უფლება.

სამაგიეროდ ეს უფლება დაუბრუნეს თითქმის დაუსახლებელ „დამპალ დაბებს“; არსებითად ეს ნიშნავდა იმას, რომ ქალაქელებისა და საშუალო ფენების წარმომადგენლების ნაცვლად დეპუტატების არჩევის უფლება მისცეს მცირერიცხოვან მსხვილ მიწათმფლობელებს, „დამპალი დაბების“ მფლობელებს, რომლებიც თავიანთი ქვეშევრდომებიდან წარმომადგენლებს პარლამენტში პირდაპირ ნიშნავდნენ. მოსახლეობის პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის მიზნით დააწესეს სხვადასხვა შინაარსის ფიცის ტექსტი, რომელიც უნდა მიეღოთ სახელმწიფო, სათემო და საქალაქო თანამდებობების, აგრეთვე დეპუტატად არჩევის მსურველთ; ფიცის ტექსტებში შეტანილი იყო ისეთი გამოთქმები, რომლებსაც დისენტერები[1] ან ნონკომფორმისტები[2] ვერ გაიზიარებდნენ, ესენი კი იყვნენ საშუალო ფენებისა და მცირე მამულის მქონე მიწათმფლობელთა წარმომადგენლები.

არისტოკრატიულმა პარლამენტმა გამოსცა კანონები საქონლის ექსპორტ-იმპორტის შესახებ წარმოების ისეთი დარგების განვითარებლად, რომლებითაც დაინტერესებული იყვნენ მსხვილი მიწათმფლობელები. ჩარლზ II დროს, შემოტანილ ხორბალზე დააწესეს ძალიან დიდი საბაჟო გადასახადი და ამით, ფაქტიურად, მისი შემოტანა არახელსაყრელი გახადეს; ამავე დროს, თავისუფლად შეიძლებოდა ადგილობრივი ხორბლის საზღვარგარეთ გატანა, რასაც ქვეყნის შიგნით პურზე ფასების ზრდა მოჰყვა.

არისტოკრატიას კარგად ესმოდა, თუ რა სარგებლის მოტანა შეეძლო ეროვნული ვაჭრობის განვითარებას და ამიტომ ყველანაირად უწყობდნენ ხელს ვაჭრებსა და გემთმშენებლებს. 1651 წელს რესპუბლიკის დროს გამოცემული „სანავიგაციო აქტი“ რამდენჯერმე განაახლეს ჩარლზ II მეფობის წლებში. ჰოლანდიელების მსგავსად, ლონდონის სიტის კომერსანტები და ლორდები ერთიანდებოდნენ საავაჭრო კომპანიებში. ოსტინდოეთის კომპანიის გვერდით შეიქმნა აფრიკის კომპანია, რომლის მთავარ საქმიანობას შეადგენდა მონებით

---

[1] დისენტერი (ლათ. dissentio — არ ვეთანხმები), ანგლიკანური ეკლესიისგან განდგომილი პირის ერთ-ერთი გავრცელებული სახელწოდება XVI-XVII ს.ს. ინგლისში.

[2] ნონკომფორმისტი, ადამიანი, რომელსაც გაბატონებული შეხედულებებისადმი საკუთარი კრიტიკული დამოკიდებულება აქვს.

ვაჭრობა; გვინეადან შემოჰქონდათ ოქროს ქვიშა (აქედან წარმოდგება ინგლისური სრულწონიანი მონეტის — გინეის სახელწოდება).

ყველა ამ ღონისძიებებს უნდა გაეძლიერებინა მტრობა ისედაც დაძაბული ურთიერთობების მქონე ინგლისსა და ჰოლანდიას შორის, რომლებიც ცდილობდნენ მსოფლიო გადაზიდვებზე მონოპოლიური უფლებების მოპოვებას. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ეჯახებოდნენ ზღვებსა და ოკეანეებში, განსაკუთრებით ამერიკის სანაპიროებზე, სადაც ჰოლანდიელებს ჰქონდათ კოლონია ახალი ამსტერდამი (ახლანდელი ნიუ-იორკი), და ოსტინდოეთში. ჩარლზ II დროს, ამ ქვეყნებს შორის, ევროპის კონტინენტზე, ორჯერ მოხდა ომი; ითვალისწინებდა რა სამოქალაქო ომების მწარე გამოცდილებას, ინგლისის პარლამენტს არ სურდა სახმელეთო ჯარების შექმნა, სამაგიეროდ სახსრებს არ იშურებდა ფლოტის გასაძლიერებლად.

ახალი კონფლიქტები სტიუარტებსა და პარლამენტს შორის. სტიუარტებმა მხარი ვერ აუბეს არისტოკრატიისა და ვაჭართა კლასის მისწრაფებებს და მათ საპირისპიროდ ვერც საშუალო და დაბალ ფენებში ჰპოვეს დასაყრდენი. მათ სურდათ დამოუკიდებელი მდგომარეობის მოპოვება ინგლისისადმი მტრულად განწყობილი ძალების — პაპის სასახლისა და იეზუიტების, კათოლიციზმისა და საფრანგეთის აბსოლუტური მონარქიის დახმარებით. პარლამენტი ახლა მეფისათვის საჭირო სახსრების რაოდენობის განსაზღვრით არ კმაყოფილდებოდა და მოითხოვდა წარედგინათ მისთვის ზუსტი ანგარიში დახარჯული თანხების მიზანშეწონილობის შესახებ. პარლამენტის მხრიდან ასეთ კონტროლს ვერ ეგუებოდა საფრანგეთის მეფის სასახლის კარზე აღზრდილი, ფრივოლური და მფლანგველი ჩარლზ II. ფლოტის საჭიროებისათვის პარლამენტის მიერ გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი სამეფო სალაროში შედიოდა და ხმარდებოდა დღესასწაულებს, გართობას, მეფის საყვარლების ვალებს; ამ დროს კი ჰოლანდიელთა ფლოტი ანადგურებდა ინგლისის სანაპიროებს, მდ. ტემზაშიც კი იჭრებოდა და წვავდა ინგლისის ხომალდებს. თავისი პირადი საჭიროებისათვის ფული რომ ეშოვა, ჩარლზ II ფრანგებს მიჰყიდა კრომველის მიერ შემოერთებული დიუნკერკი; იგი ამას არ

დასჯერდა და ლუი XIV დასდო ფარული შეთანხმება, რომლის ძალითაც მას უნდა მიეღო კათოლიკობა და დახმარებოდა საფრანგეთს მატერიკზე წარმოებულ დაპყრობით ომებში, სამაგიეროდ საფრანგეთის მეფისგან პენსია ენიშნებოდა. ამავე დროს, ჩარლზ II თავი გაკოტრებულად გამოაცხადა და ლონდონის იუველირებისაგან ნასესხები ფულის გადახდაზე უარი განაცხადა (იუველირები იმ დროს საბანკო ოპერაციებსაც აწარმოებდნენ), იუველირების მეანაბრე კი ათასობით ადამიანი იყო.

მეფის პოლიტიკით როიალისტური პარლამენტის უკმაყოფილება თანდათანობით იზრდებოდა. ჩარლზ II ცდილობდა დეპუტატების მოსყიდვას და რჯულთშეწყნარების გამოცხადებით ფიქრობდა კათოლიკებისა და დისენტერების თავის მხარეზე მომხრობას. მაგრამ დისენტერებმა არ ინდომეს „ანტიქრისტეს მსახურებთან“ თანაბრად მიეღოთ მეფის მოწყალება და უარი განაცხადეს ამ „საჩუქარზე“. მეფის დეკლარაციას რჯულთშეწყნარების შესახებ პარლამენტმა უპასუხა კანონით „ფიცის შესახებ“, რომლითაც კათოლიკებს ეკრძალებოდათ თანამდებობის დაკავება და პარლამენტში მოღვაწეობა.

ვიგები და ტორები. ინგლისელების უმრავლესობას საფრანგეთთან დადებულ ფარულ შეთანხმებაზე უარესად მიაჩნდა უშვილო მეფის ძმის, აშკარა და თავგამოდებული კათოლიკეს, ჯეიმზის სამეფო ტახტზე მოსალოდნელი ასვლა. კათოლიციზმის აღზევებას ინგლისში უკავშირებდნენ ქვეყანაში უცხო ძალის გაბატონებას, მისი დამოუკიდებლობისა და ტრადიციების შელახვას. ამ საშიშროების თავიდან აცილებისათვის ჩამოყალიბდა პარტია, რომელმაც გადაწყვიტა ტახტის მაძიებელთაგან ჯეიმზის გამოთიშვა. მაგრამ ტახტის კანონიერი მემკვიდრის უარყოფა ნიშნავდა მეფისადმი წინააღმდეგობის გაწევას, მეფის ღვთითმინიჭებული უფლებების ხელყოფას და ხალხის რევოლუციური მოძღვრებისაკენ დაბრუნებას. ამიტომ, ვისაც ახსოვდა რევოლუცია და ეშინოდა სამოქალაქო ომისა, ისინი ვერ ბედავდნენ ამ სახიფათო გზით სიარულს; ესენი იყვნენ ანგლიკანები, ოფიციალური ეკლესიის წარმომადგენლები, ჯენტრის დიდი ნაწილი, სოფლის სკვაირები (მემამულეები), რომლებსაც მეფე მიაჩნდათ თა-

ვიანთი საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტად. სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ იმ არისტოკრატიული საგვარეულოების წარმომადგენლები, რომლებსაც ქვეყნის მართვა პარლამენტის საშუალებით სურდათ. მათ ემხრობოდნენ ლონდონის სიტის ვაჭრები და დისენტერები. ოპოზიციას სათავეში ჩაუდგა ჩარლზ II ყოფილი მინისტრი შეფსტბერი, მდიდარი არისტოკრატი, რომელიც მზად იყო საჭიროების შემთხვევაში ძალით ემოქმედა.

მოკლე დროის განმავლობაში ჩარლზ II სამჯერ მოიწვია პარლამენტი. საარჩევნო ბრძოლაში, ისევე, როგორც 1641 წელს მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ამკობდნენ შეურაცხმყოფელი შერქმეული სახელებით: „მეამბოხენი", „ყაჩაღები", შემდეგ კი, თავდაპირველ მნიშვნელობას მოკლებული და დღესაც ჩვენს სალაპარაკო ლექსიკონში დამკვიდრებული სიტყვებით: **ტორები**[1] — მეფის მომხრეები და **ვიგები**[2] — მეფის მოწინააღმდეგეები.

თავდაპირველად ვიგებს ჰქონდათ უპირატესობა. 1679 წელს პარლამენტში გამოითქვა პროტესტი თვითნებური დაპატიმრებებისა და ოპოზიციის მომხრეთა ციხეებში გაუსამართლებლად დიდხანს გაჩერების გამო. მოქალაქეთა უფლებების დასაცავად და, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ოპოზიციის ინიციატივით, **1679 წლის 27 მარტს, პარლამენტმა მიიღო მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც ცნობილია „ჰაბეას კორპუს აქტის"** სახელით და წარმოადგენს ინგლისის კონსტიტუციური ტრადიციის (რადგანაც ინგლისი მიეკუთვნება იმ მცირერიცხოვან ქვეყნების ჯგუფს, რომლებსაც კონსტიტუცია არ გააჩნიათ) ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს „თავისუფლებათა დიდი ქარტიისა" (1215), 1628 წლის „უფლებათა პეტიციისა" და 1689 წლის „უფლებათა ბილის" შემდეგ. აქტი წარმოადგენს პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დაცვის იურიდიულ გარანტიას. ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ, ხელისუფლების მიერ შეპყრობილ

---

[1] ტორები — ირლანდიურად „ქურდი".

[2] ვიგები — შოტლანდიურად „ვიგამორი" ნიშნავს „მზიდავს", „მეფურგონეს", „მეეტლეს". ამ სახელით ცნობილი იყვნენ 40-იანი წლების შოტლანდიელი შეურიგებელი პროტესტანტები — კოვენანტრები, ანუ „ვიგამორები".

პიროვნებათა საპატიმროში გაჩერება ადმინისტრაციას არ შეეძლო მოსამართლის სანქციის გარეშე. მოსამართლეს უნდა დაედასტურებინა დაპატიმრების კანონიერება, დაპატიმრების მოტივი და კონკრეტული ბრალდება. ამ მიზნით მოსამართლე ბრძანებით მოითხოვდა ადმინისტრაციისაგან (შერიფი, ციხის უფროსი, ციხის ზედამხედველი და სხვ.) პატიმარი დაუყოვნებლივ მოეყვანათ მასთან დაპატიმრების კანონიერების დასადგენად და საქმის სასამართლოში გასარჩევად. აქტმა სახელწოდება მიიღო მოსამართლის ბრძანების პირველი სიტყვებისაგან — „გევალებათ მომიყვანოთ პატიმარი", რაც სიტყვასიტყვით ლათინურად (ინგლისში 1731 წლამდე სასამართლო ლათინურად წარმოებდა) ასე ჟღერს „ — Habeas Corpus ad sujciendum" — „შენ (პოლიციის მოხელე) ვალდებული ხარ მოიტანო სასამართლოში სხეული პატიმრისა".

ვიგებმა შეადგინეს კანონი, რომლითაც ჯეიმზს ეკრძალებოდა ტახტის დაკავება; ოპოზიციონერთა რიცხვი თანდათანობით მატულობდა და მათი მოთხოვნებიც სულ უფრო და უფრო კატეგორიულ ხასიათს იღებდა. ბოლოს, მეფემ გადაწყვიტა პარლამენტი შეეკრიბა არა ლონდონში, არამედ თავისი კონსერვატიზმით ცნობილ ოქსფორდში. მან თავისი დაცვა გააძლიერა, თავის მხრივ პარლამენტის სხდომაზე მიმავალმა ვიგებმა თან წაიღეს იარაღი (1681). ჰაერში თოფის წამლის სუნი დატრიალდა.

რეაქცია და სტიუარტების დამხობა 1688 წელს. კვლავ რეალური გახდა ახალი სამოქალაქო ომის დაწყება. სწორედ ამან განაპირობა მოვლენების განვითარება მეფის სასარგებლოდ: მოახლოებული არეულობები ბევრს უფრო საშინელებების მომტანად მიაჩნდა, ვიდრე ინგლისში კათოლიციზმის გავრცელების ბუნდოვანი პერსპექტივა. ჩარლზ II მიიღო თანაგრძნობის გამომხატველი მრავალი წერილი; ამან კიდევ უფრო მეტი თავდაჯერებულობა შემატა მეფეს და მან დაიწყო ანგარიშსწორება ვიგებთან: შეფსტბერი ჰოლანდიაში გაიქცა, სხვა ოპოზიციონერები შეთქმულების მოწყობის ბრალდებით გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. ვიგების გასამართლება ჭიანურდებოდა, რადგანაც ნაფიც მსაჯულებს შორის ბევრი

მათ ემხრობოდა და განაჩენი ვიგების სასარგებლოდ გამოჰქონდათ. ეს განსაკუთრებით ლონდონში შეიმჩნეოდა. მეფემ მოითხოვა სიტის თავისუფლებათა სიგელის გადასინჯვა; მან ქალაქს ჩამოართვა ლორდ-მაიორის (ქალაქის თავის) და საბჭოს სხვა დიდმოხელეების არჩევის უფლება, რადგანაც მათზე იყო დამოკიდებული ნაფიც მსაჯულთა სიების შედგენა. ასევე სხვა ქალაქებსაც ჩამოართვეს თვითმმართველობა; მეფის მოსამართლეები გადასინჯავდნენ ძველ ქარტიებს და თუ ისინი არ შეესაბამებოდნენ მათ ინტერესებს, ანადგურებდნენ.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ჩარლზ II ქვეყანას უპარლამენტოდ მართავდა. იგი გარდაიცვალა 1685 წელს რეაქციის მძვინვარების პერიოდში. მის მემკვიდრეს, ულტრააბსოლუტისტსა და ფანატიკოს კათოლიკე ჯეიმზ II, ურთიერთობა უხდებოდა თითქმის მთლიანად ტორებისაგან შედგენილ მორჩილ პარლამენტთან. ეს პარლამენტი დათანხმდა რეგულიარული არმიის შექმნას, რომლის საშუალებით მეფემ ჩაახშო დასავლეთ ინგლისში გლეხთა და დისენტერთა აჯანყება. თავის სიძლიერეში დარწმუნებულ მეფეს ეგონა, რომ კარგი დრო იყო კათოლიკობის შემოღებისათვის. იგი უხეშად არღვევდა „აქტს ფიცის დადების შესახებ", კათოლიკებს მასობრივად ურიგებდა სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო თანამდებობებს, აძლევდა საუნივერსიტეტო კათედრებს; უმაღლეს საიდუმლო საბჭოს წევრად მან დანიშნა თავისი ახლობელი პატრი-იეზუიტი. ბოლოს, პარლამენტის გვერდის ავლით, მეფემ გამოსცა დეკლარაცია რწმენის თავისუფლების შესახებ, რომლითაც კათოლიკებსა და დისენტერებს თავისუფალი საქმიანობის შესაძლებლობა ეძლეოდათ. დისენტერების უმრავლესობამ უარი თქვა ამ მოწყალებაზე, რადგანაც იგი პარლამენტის კანონით არ იყო განმტკიცებული. დეკლარაცია საფრთხეს უქმნიდა ანგლიკანური ეკლესიის ბატონობას, ამიტომ სამღვდელოებამ უარი განაცხადა ეკლესიებში მის საჯარო წაკითხვაზე, რასაც მეფე მოითხოვდა. პროტესტს განსაკუთრებით ძალა შემატა ანგლიკანური ეპისკოპატის პოზიციამ. მათ ინგლისის ეკლესიის პრიმასის, კენტერბერიის არქიეპისკოპოსის მეთაურობით უარყვეს დეკლარაცია იმ მოტივით, რომ იგი არის ნაყოფი მეფის მიერ დისპენსიური ვეტოს უფლების უკანონოდ გამოყენებისა და პარლამენტის უფლებების შე-

ლახვისა. ანგლიკანურ ეკლესიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის ხიდი საბოლოოდ ჩატყდა.

1688 წელს ჩამოყალიბდა მონარქიისა და კათოლიკების წინააღმდეგ მიმართული ერთიანი ფრონტი ვიგების, ტორებისა და დისენტერების ბლოკის სახით. ერთ ბანაკში აღმოჩნდნენ ანგლიკანები და მისი მოწინააღმდეგეები: პრესვიტერიანელები, ინდეპენდენტები, კვაკერები, ანაბაბტისტები და სხვა პურიტანული სექტების წარმომადგენლები. ტორების (ისინი ადრე მეფის ხელისუფლების ერთგული დამცველები იყვნენ) მეტამორფოზა განაპირობა იმან, რომ ახლა მათ კათოლიკობისაგან მომდინარე საფრთხე უფრო დამანგრეველად მიიჩნიეს, ვიდრე მეფის გადაყენების შემთხვევაში მოსალოდნელი ამბოხება.¬სტიუარტებმა გამარჯვებული კლასების იმედები — სტაბილიზაციის აღდგენა და მისი საბოლოოდ უზრუნველყოფა — ვერ გაამართლეს. საჭირო გახდა ხელისუფლების ახალი ვარიანტის გამონახვა. დაიწყეს სამეფო ტახტზე ჯეიმზ II შემცვლელი კანდიდატურის შერჩევა. საბოლოოდ არჩევანი გაკეთდა მეფის სიძეზე (ჯეიმზ II პირველი ცოლიდან ქალიშვილის მარიამის (მერის) მეუღლეზე), ჰოლანდიის შტატჰალტერ უილიამ III ორანელზე. მართალია, იგი კალვინისტი იყო, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა მას ინდეპენდენტთა სასურველი კანდიდატი ყოფილიყო; მათ პროტესტანტი ამჯობინეს კათოლიკეს. **1688 წლის 8 ნოემბერს** რამდენიმე ასეული ხომალდით და 15000 ჯარისკაცით უილიამ III მოადგა ნავსადგურ ტორბეის და ფაქტიურად თოფის გასროლის გარეშე დაეპატრონა ინგლისს. ჯეიმზ II საფრანგეთში გაიქცა.

1689 წლის 6 თებერვალს ლორდთა პალატამ დაამტკიცა თემთა პალატის დადგენილება, რომლის საფუძველზე უილიამ III ორანელი და მარიამი (მერი), მეფე და დედოფალი, ერთად აღჭურვეს ინგლისის მონარქის უფლებებით. ფაქტიურად კი მეფის ფუნქციას ასრულებდა მხოლოდ უილიამ ორანელი. ახალი მეფე მიიღეს განსაკუთრებული პირობებით, რომლებიც პარლამენტმა ჩამოაყალიბა „ბილი უფლებათა შესახებ"-ში (1688); შემდეგ მეფემ მისი შინაარსი გამოაქვეყნა „**უფლებათა დეკლარაციაში**" (1689), რომელიც იმავე წლის ოქტომბერში დამტკიცდა და ძალაში შევიდა სახელწოდებით „ბილი

უფლებათა შესახებ“. მასში გათვალისწინებული იყო ორივე პარტიის — ვიგებისა და ტორების — შეხედულებანი სამეფო ხელისუფლების მიმართ. ვიგები კმაყოფილი იყვნენ იმით, რომ დადასტურებული იყო „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ პრინციპი, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ მეფემ არ დაიცვა ძირითადი კანონები და ამით დაარღვია თავდაპირველი ხელშეკრულება მეფესა და ხალხს შორის, ტორების გულის მოსაგებად ნათქვამი იყო: მეფე ხალხმა თავისი უფლების საფუძველზე კი არ განდევნა, არამედ მან ხელისუფლება თვითონ დათმო.

შემდეგ გაიმეორეს და განავრცეს „პეტიცია უფლებათა შესახებ“-ში (1628) გამოთქმული მთავარი პირობები, რომლებიც ითვალისწინებდნენ მეფის პრეროგატივის შეზღუდვას. „ბილი უფლებათა შესახებ“ კონსტიტუციური მნიშვნელობის დოკუმენტია. მან საბოლოოდ განსაზღვრა მეფისა და პარლამენტის ურთიერთობა, ჩამოაყალიბა ინგლისის ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული კონსტიტუციური მონარქიის ძირითადი საფუძვლები.ბილი ადასტურებს პარლამენტის უზენაესობას საკანონმდებლო სფეროში. ამიერიდან მეფეს ეკრძალება კანონების აღსრულების შეჩერება (სუსპენსიური ვეტო) პარლამენტის ნებართვის გარეშე. მასვე საბოლოოდ ჩამოერთვა კანონის მოქმედებისაგან ვინმეს განთავისუფლების უფლება (დისპენსიური უფლება). ბილის თანახმად ინგლისში გაბატონებული მდგომარეობა მიენიჭა პროტესტანტულ ეკლესიას, იარაღის ტარების უფლება ეძლეოდა მხოლოდ პროტესტანტებს. ბილმა დაადასტურა პარლამენტის უზენაესობა საგადასახადო სფეროშიც; ერთხელ და სამუდამოდ დადგინდა, რომ გადასახადების დაწესების, მათი რაოდენობის განსაზღვრის და აკრეფის უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტს; კატეგორიულად იკრძალებოდა მუდმივი ჯარის შეკრება მშვიდობიანობის დროს, პარლამენტის სათანადო ნებართვის გარეშე; ბილი აცხადებდა სიტყვისა და პეტიციების წარდგენის თავისუფლებას, პარლამენტის წევრთა ხელშეუხებლობას; აიკრძალა ნაფიც მსაჯულთა ხელოვნურად შერჩევის პრაქტიკა, ამასთან ერთად დადგინდა, რომ ნაფიცი მსაჯულები უნდა იყვნენ თავისუფალი მიწათმფლობელები. ასეთი იყო ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის ძირითადი მოთხოვნები.

1689 წლის 3 ივნისს მიიღეს „რჯულთშეწყნარების აქტი“, რომელიც დისენტერებს ღვთისმსახურების აღსრულების ნებას რთავდა, მაგრამ კათოლიკეების წინააღმდეგ კანონებს კვლავ ძალაში ტოვებდა, უკიდურესი რადიკალური სექტების დევნაც გრძელდებოდა. ამავე დროს, თანამდებობის დასაკავებლად კვლავ საჭირო იყო ანგლიკანური ეკლესიის დოგმების აღიარება.

1688 წლის „უსისხლო რევოლუციის“ ისტორიული მნიშვნელობა. 1688 წლის გადატრიალებას ინგლისელებმა „სახელოვანი“ და „უსისხლო“ რევოლუცია უწოდეს. მართლაც, ამ დროს არ დაღვრილა სისხლი, მან განამტკიცა ძველი უფლებები: პეტიცია უფლებათა შესახებ, ჰაბეას კორპუსი და ბილი უფლებათა შესახებ წარმოადგენდნენ მხოლოდ დიდი ქარტიის (1215) დებულებების განვითარებას. მაგრამ ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს მეორე რევოლუცია XVII საუკუნის 40-იანი წლების რევოლუციასთან შედარებით ცალმხრივობით ხასიათდება: 1640-1660 წლებში, დიდი რევოლუციის დროს, ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა თავის საქმეს ხალხთან ერთად, საშუალო და დაბალ კლასებთან ერთად აკეთებდა და ამიტომ წარმოაყენეს მოთხოვნები სინდისის სრული თავისუფლებისა და დემოკრატიული მმართველობის შესახებ; ამჯერად კი მათ პრობლემა გადაწყვიტეს „ზემოდან“, სახელმწიფო, უფრო ზუსტად, „საოჯახო“ გადატრიალების გზით, „ბრბოს“, ამ უხეში ძალის ჩარევის გარეშე და ძირითადი სარგებელიც თვითონ (ანგლიკანურ ეკლესიასთან ერთად) ნახეს; სხვა კლასებისა და სარწმუნოების წარმომადგენლებს მცირეოდენი შეღავათები მიეცათ.

მიუხედავად ამისა, 1688 წლის „სახელოვანი“ ანუ „უსისხლო“ რევოლუციის მონაპოვრები მნიშვნელოვანია. ამიერიდან ქვეყანაში ბოლო მოელო სახელმწიფო მოხელეთა და არმიის ბატონობას. კანონები იქმნებოდა საჯაროდ, საზოგადოების თვალწინ და კანონმდებლები თვალყურს ადევნებდნენ მათ აღსრულებას. პარლამენტის უფლებები საბოლოოდ განმტკიცდა; შემდეგში საკითხი იდგა არა ამ უფლებების დაცვის შესახებ, არამედ პარლამენტის შემადგენლობის გაფართოებისა და მასში იმ კლასებისა და სარწმუნოების წარმომადგენელ-

თა შეყვანაზე, რომლებსაც არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებოდათ. ახლა ამ კატეგორიის მოქალაქეებს შეეძლოთ ხალხმრავალ კრებებზე მიღებული პეტიციებისა და რეზოლუციების, აგრეთვე პრესის საშუალებით გარკვეული ზეგავლენა მოეხდინათ პარლამენტის წევრებზე. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, 1688 წლის გადატრიალებიდან 7 წლის შემდეგ, ცენზურის გაუქმებას. ამ დროიდან მოყოლებული ინგლისში ცენზურა არ არსებობს; საზოგადოებისათვის მავნე ლიტერატურის აკრძალვა მხოლოდ სასამართლოს გზით შეიძლება.

1688 წლის გადატრიალების მთავარი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ უმაღლესი ხელისუფლება საბოლოოდ გადავიდა მეფიდან პარლამენტის ხელში. თუ რესტავრაციის პერიოდში არისტოკრატიამ თავისი ბატონობა უზრუნველყო მონარქიის აღდგენით, ახლა თვითონ სამეფო ხელისუფლება დაიქვემდებარა.

ამრიგად, 1688 წლის უსისხლო გადატრიალებამ წერტილი დაუსვა 40-იანი წლების რევოლუციას. გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ საბოლოოდ სძლია „ძველ რეჟიმს“, ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმს, და სამუდამოდ უზრუნველყო თავისი პოლიტიკური ბატონობა.

თავი III. ინგლისი XVIII საუკუნეში

ინგლისის ეკონომიკური განვითარება XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. პირველ ნახევარში. XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქვეყნის კაპიტალისტური გზით განვითარება სწრაფი ტემპით წარიმართა; აარსებენ ახალ მანუფაქტურებს, იზრდება საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ინტენსიურად მიმდინარეობს შემოღობვების პროცესი; დიდი ყურადღება ექცეოდა საფეიქრო მრეწველობას, განსაკუთრებით მატყლის წარმოებას, ფართოდ იყენებდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკას, კერძოდ, მკაცრად იკრძალებოდა დაუმუშავებელი მატყლის საზღვარგარეთ გატანა და, პირიქით, ყოველნაირად ახალისებდნენ მაუდის ექსპორტს.

ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის გამდიდრებას ხელს უწყობდა საგარეო ვაჭრობის ზრდა და სახელმწიფო ვალების სისტემა, ე. ი. მთავრობის მიერ საშინაო და საგარეო ვალების აღება. კერძო პირებისაგან აღებულ ვალებში სახელმწიფო დიდ პროცენტს იხდიდა, იზრდებოდა რანტიების რაოდენობა. სახელმწიფო ვალებმა ხელი შეუწყო ფასიანი ქაღალდებით სპეკულაციას. სულ მოკლე დროში ლონდონის ბირჟა ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების მსოფლიო ცენტრად იქცა.

სახელმწიფო ვალების ზრდა იწვევდა გადასახადების გადიდებას, რომლითაც უნდა დაფარულიყო სახელმწიფო ხარჯები და გადაეხადათ სავალო პროცენტები, რაც გლეხების, ხელოსნებისა და მუშების შემდგომ გაღატაკებას უწყობდა ხელს.

ინგლისში კაპიტალის პირვანდელი დაგროვების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა, აგრეთვე კოლონიების ძარცვა (ირლანდია, კოლონიები ამერიკაში, ინდოეთი, კ. იამაიკა (ჯამაიკა)....

ინგლისის ბურჟუაზია მდიდრდებოდა მონებით ვაჭრობითაც. XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. ინგლისელმა მონათვაჭრებმა ინგლისის კოლონიებში შეიყვანეს 2 მლ. მეტი აფრიკელი ზანგი და მონად აქციეს ისინი, ხოლო საფრანგეთისა და ესპანეთის კოლონიებში დაახლოებით ნახევარი მილიონი ზანგი გაყიდეს.

ამგვარად, კაპიტალისტური წარმოების ზრდასთან ერთად, ინგ-

ლისში კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პროცესი ხორციელდებოდა სხვადასხვა გზებით — გლეხების ექსპროპრიაციით, სახელმწიფო ვალებით, გადასახადების ზრდით, კოლონიების დაპყრობითა და ძარცვით, მონათვაჭრობით. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ხელში მსხვილი კაპიტალის დაგროვება ხელს უწყობდა კაპიტალისტური მრეწველობის შემდგომ განვითარებას.

მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება. 1688 წლის „უსისხლო" რევოლუცია იყო არისტოკრატიის, ვაჭრებისა და დისენტერების ინტერესთა ერთიანობის შედეგი. ისინი მხარს უჭერდნენ ვიგების პროგრამას, რომელიც მოითხოვდა მეფის ხელისუფლებაზე პარლამენტის ხელისუფლების უმაღლესობას, რწმენის თავისუფლებას, საზღვაო დაპყრობითი პოლიტიკის გააქტიურებას. მაგრამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა (მიწათმფლობელები პროვინციებში და ანგლიკანური სამღვდელოება) ტორების მომხრე იყო. ტორების ნაწილს კი სტიუარტების დამხობილი დინასტიის სამეფო ტახტზე დაბრუნება სურდა; ამიტომ ვიგებს ხელისუფლების შენარჩუნებისათვის დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ.

ინგლისელთათვის უცხო პირი უილიამ III, რომელიც ვიგებმა სამეფო ტახტზე დასვეს, თავისი კონტინენტური პოლიტიკის გასატარებლად, ისევ ვიგების თანადგომას საჭიროებდა. მის დროს მიღებულ მეტად მნიშვნელოვანი კანონი **„აქტი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ" (1701)**, რომლის მიხედვით, უილიამის გარდაცვალების შემდეგ, ემიგრაციაში მყოფ ჯეიმზ II ვაჟს ერთმეოდა ტახტზე მემკვიდრეობის უფლებები. სამეფო გვირგვინი ჯერ უნდა გადასულიყო ჯეიმზ II უმცროსი ქალიშვილის, პროტესტანტი ენის (ანას) ხელში, შემდეგ კი სტიუარტების შორეული მემკვიდრეების — ჰანოვერის სამთავროს მფლობელებზე.

„აქტი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ" მნიშვნელოვნად ზღუდავდა მეფის უფლებებს, აძლიერებდა პარლამენტისა და მინისტრების ხელისუფლებას: ამიერიდან მეფესთან არსებული საიდუმლო საბჭოს (იგი შეადგენდა აღმასრულებელ ხელისუფლებას) ყველა აქტი ძალაში შედიოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას მეფესთან ერთად ხელს

მოაწერდა ის მინისტრიც, რომელიც პასუხისმგებელი იყო მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისათვის. მეფეს არ ჰქონდა დამნაშავე მინისტრის შეწყალების უფლება; ანუ მინისტრებს ნიშნავდა მეფე, მაგრამ ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ პარლამენტის წინაშე; მეფეს არც მოსამართლეების თანამდებობიდან გადაყენება შეეძლო, ე. ი. ისინი მეფისაგან დამოუკიდებელი იყვნენ.

დედოფალი ენი, რომელმაც უილიამ ორანელისაგან სამეფო ტახტთან ერთად ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომიც (1701-1714) მიიღო, ვიგების მხარდაჭერით სარგებლობდა. თავისი მეფობის მიწურულს, როდესაც ტორებმა პარლამენტში მოიპოვეს მნიშვნელოვანი უპირატესობა, დედოფალმა ტორებისაგან ჩამოაყალიბა სამინისტრო (1710), რომლის სათავეში იდგა უტრეხტის ზავის შემოქმედი ბოლინგბროკი. მაგრამ ტორების ამ ხანმოკლე აღზევებას მოჰყვა დიდი ხნით მათი დაცემა. ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომმა ინგლისი უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია, რადგანაც საფრანგეთმა და ესპანეთმა ბრძოლებში თავიანთი ფლოტი დაკარგეს. ამგვარად, ამ ომის აქტიური მხარდამჭერნი — ვიგები კვლავ დაწინაურდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე, ტორებმა კი თავიანთი პარტიისათვის, ე. ი. პროვინციელი თავადაზნაურებისათვის ვერაფერი სასიკეთო ვერ გააკეთეს. ტორების ბელადებს, ენის შემდეგ, სამეფო ტახტზე ჯეიმზ II ვაჟიშვილის მოწვევა უნდოდათ და ამ მიზნით შოტლანდიაში სტიუარტების მხარდასაჭერად აჯანყებაც კი მოაწყვეს. საპასუხოდ ვიგებმა 1714 წ. სასწრაფოდ მოიწვიეს ტახტზე ჰანოვერის დინასტიის წარმომადგენელი, ჯეიმზ I შვილთაშვილი **ჯორჯ I (1714-1727)** და დიდი ხნის განმავლობაში, 1762 წლამდე შეინარჩუნეს პოლიტიკური ბატონობა.

ჯორჯ I ინგლისური ენა არ იცოდა და თარჯიმანის საშუალებით ამყარებდა ურთიერთობას თავის მინისტრებთან. მისი შვილიც, **ჯორჯ II (1727-1760)** ინგლისში თავს უცხოელად გრძნობდა. მამა და შვილი, რომლებიც ბედის წყალობით უძლიერესი და მდიდარი ქვეყნის სათავეში მოექცნენ, იძულებული იყვნენ სრული თავისუფლება მიეცათ იმ პარტიის ბელადებისათვის, რომელთა მეშვეობით ისინი სამეფო ტახტის მფლობელები გახდნენ. ამ მეფეების გან-

საკუთრებულმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო ინგლისში მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებას.

ენის უცოდინრობის გამო, მეფე ვერ თავმჯდომარეობდა საიდუმლო საბჭოს, შემდეგ კი საერთოდ არ ესწრებოდა მის სხდომებს. ამ დროიდან მოყოლებული კაბინეტი მეფის გარეშე რჩებოდა. ამის გამო, ჯორჯ II ამბობდა, რომ „ინგლისს მართავს არა მეფე, არამედ მინისტრები".

საარჩევნო სისტემა ინგლისში XVIII საუკუნეში. ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის პარტიები საარჩევნო წესების სხვადასხვა დარღვევებსა და, ზოგჯერ, დანაშაულობებზეც კი მიდიოდნენ.

ჯორჯ I გამეფების შემდეგ, ვიგებმა, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, გააუქმეს უილიამ III დროს მიღებული კანონი, რომლის მიხედვით თემთა პალატის დეპუტატები სამი წლის ვადით ირჩეოდნენ. მათ სამწლიანი ვადა შვიდწლიანით შეცვალეს და, ამგვარად, ამომრჩევლების დაუკითხავად, თავიანთი უფლებამოსილება კიდევ 4 წლით გაიხანგრძლივეს, თუმცა არსებული საარჩევნო სისტემა მათთვის ისედაც სასარგებლო იყო. ეს სისტემა, არათანაბარი საარჩევნო ოლქების არსებობის გამო, არ იძლეოდა საერთო სახალხო არჩევნების სამართლიანად ჩატარების საშუალებას. მმართველ პარტიას „დამპალი დაბების"[1] არსებობის პირობებში ყოველთვის შეეძლო თავისი ბატონობის შენარჩუნება. პარლამენტში დეპუტატის არჩევის უფლებით ისეთი „დამპალი დაბაც" კი სარგებლობდა, რომელიც დიდი ხნის წინ წყალმა დაფარა. არისტოკრატია ყოველნაირად ცდილობდა არსებული საარჩევნო სისტემის შენარჩუნებას.

მაგრამ იმ ოლქებშიც, რომლებიც არისტოკრატიულ საგვარეულოებს არ ეკუთვნოდნენ, არჩევნები არასამართლიანად ტარდებოდა. ამომრჩევლების მოსყიდვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. დეპუტატობის

---

[1] „დამპალი დაბები", გაუკაცრიელებელი დაბები და სოფლები XVIII სს. ინგლისში, რომლებიც პარლამენტში წარმომადგენლობით უფლებას ინარჩუნებდნენ. „დამპალი დაბებიდან" პარლამენტის წევრებს ფაქტობრივად ამ დაბების მესაკუთრე ლენდლორდები ნიშნაულნენ. „დამპალი დაბების" სისტემა ხელს უშლიდა სამრეწველო ბურჟუაზიის შეღწევას პარლამენტში და უწარმომადგენლოდ ტოვებდა ისეთ დიდ ქალაქებს, როგორიც იყო ბირმინჰემი, მანჩესტერი და სხვ.

კანდიდატები ამომრჩევლებს პირდებოდნენ სათემო გადასახადების თავიანთი ხარჯით დაფარვას, ანდა ისინი ამომრჩევლებს პირდაპირ ურიგებდნენ ფულს; XVIII საუკუნის მიწურულის პარლამენტის ცნობილ წევრს ფოქსს 18 000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა თავისი დეპუტატობა. ამბობდნენ, რომ „ამომრჩევლის ხმის ფასი ისევე ცნობილია, როგორც საკენი მიწის“. ზოგჯერ კანდიდატი ხმების მოსაპოვებლად თავისი ხარჯით აჭმევდა და ასმევდა ამომრჩევლებს. ასეთი რამ მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ; საშუალო შემძლეების ადამიანისათვის დეპუტატობა მიუღწეველი იყო. არსებული საარჩევნო სისტემის გამო არისტოკრატია პარლამენტში ფაქტიურად ორჯერ იყო წარმოდგენილი: ზედა პალატაში, სადაც მემკვიდრეობით ტიტულოვანი პირები ისხდნენ, და ქვედა პალატაში, სადაც არჩევნების გზით ხვდებოდნენ მათი უმცროსი შვილები და არისტოკრატიაზე დამოკიდებული ადამიანები. ამგვარად, პარლამენტი რამდენიმე პირის ინტერესებს გამოხატავდა.

საარჩევნო სისტემის მანკიერი მხარეები ზემოთჩამოთვლილი ნაკლოვანებებით არ ამოიწურებოდა. პარლამენტის წევრები, რომლებსაც თავიანთი ადგილები ნაყიდი ჰქონდათ, თვითონაც ადვილად „იყიდებოდნენ“. მოსყიდვის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო დეპუტატის დანიშვნა სხვადასხვა თანამდებობაზე. მართალია, უილიამ III დროს გამოსცეს კანონი, რომელიც სახელმწიფო მოხელეებს უკრძალავდა პარლამენტის წევრობას, მაგრამ სულ მალე იგი სხვა კანონით „დააზუსტეს“; კერძოდ, თუ დეპუტატი, აღმასრულებელ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, დატოვებდა პარლამენტს, მას შეეძლო მეორედ ეყარა კენჭი; რა თქმა უნდა, იგი ყოველთვის პარლამენტის წევრი ხდებოდა. დეპუტატის მოსყიდვის სხვა ფორმებიც არსებობდა: მათ უნიშნავდნენ პენსიებს და აძლევდნენ ფულად საჩუქრებს. ამგვარი საშუალებებით პრემიერ-მინისტრი უოლპოული 20 წლის განმავლობაში (1721-1741) ინარჩუნებდა თანამდებობას.

უოლპოულის შემდეგაც გრძელდებოდა და კიდევ უფრო მტკიცდებოდა არსებული სისტემა: ერთ-ერთმა მისმა მემკვიდრემ სახელმწიფო ხაზინა სავაჭრო დაწესებულებად აქცია, სადაც ის დეპუტატებს მათი ხმების საფასურის შესახებ ევაჭრებოდა. ოლიგარქიუ-

ლი და უპრინციპო პარლამენტი იქცეოდა ისე, როგორც ნამდვილი დესპოტი: დევნიდა ყველას, ვინც მის დაუკითხავად გაბედავდა პარლამენტში წარმოთქმული სიტყვების დაბეჭდვას, ანდა პარლამენტის საქმიანობას გააკრიტიკებდა.

ლიტერატურა. პრესა. ზემოთაღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, ინგლისში თავისუფალი აზრის გამოთქმის გაცილებით მეტი შესაძლებლობა იყო, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში. პარლამენტში დაპირისპირებული პარტიები აკრიტიკებდნენ მთავრობას, ამხელდნენ ხელისუფლების დანაშაულობებს; ქვეყნის მმართველი წრეები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ საზოგადოებრივი აზრისათვის.

მოღვაწეობის არც ერთ სფეროში ისე კარგად არ ჩანდა ინგლისის გონებრივ-შემოქმედებითი საქმიანობა, როგორც მის მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში, სატირაში.

XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. პირველ მესამედში მოღვაწეობდა ცნობილი ინგლისელი მწერალი დენიელ დეფო, რომელიც უფრო ცნობილია თავისი რომანით „რობინზონ კრუზო“[1] (1719). ლიტერატურულ ასპარეზზე იგი გამოჩნდა პამფლეტებით (1691); საყოველთაოდ ცნობილი იყო მისი სატირა „წმინდა სისხლის ინგლისელი“ (1701), პამფლეტი „ჰიმნი სამარცხვინო ბოძს“ (1703) და სხვ. დეფო დაიბადა დისინტერულ ოჯახში, ჩარლზ II დროს მონაწილეობდა აჯანყებაში, ჯეიმზ II ზეობის ხანაში ესარჩლებოდა თავის თანამოაზრეებს და გამოდიოდა პოლიტიკური თავისუფლებების ქომაგად, უილიამ III მეფობაში ადგენდა პროექტებს გზების გაუმჯობესების, შემნახველი სალაროების შექმნის, ფსიქიურად დაავადებულთათვის თავშესაფრების დაარსების შესახებ. როდესაც დედოფალ ენის დროს დისინტერების დევნა კვლავ განაახლეს, დეფო წერს მწვავე სატირას, რომელშიც განდგომილთათვის სახრჩობელასა და კატორღას მოითხოვს. ამ სატირისათვის თავდაპირველად მწერალი გადაურჩა სასჯელს, მაგრამ როდესაც გამომცემელი დააპატიმრეს და მას

[1] „რობინზონ კრუზო“ თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. ქართულად იგი ჯერ კიდევ 1886 წელს თარგმნა მ. ჯაჯანაშვილმა.

მკაცრი სასჯელი დაემუქრა, დეფო თვითონ გამოცხადდა სასამართლოში. მას სამარცხვინო ბოძთან დაყენება მიუსაჯეს; მწერალს ხალხი ყვავილების თაიგულებს ესროდა და ამით თავის თანაგრძნობას გამოხატავდა. დეფო ციხეში წერდა სატირებს, პამფლეტებს და კვირაში 4-ჯერ უშვებდა საინფორმაციო ფურცელს. ცნობილი მწერლის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ახალმა მინისტრმა იგი ციხიდან გაანთავისუფლა. დეფოს დიდი წვლილი მიუძღვის 1707 წელს შოტლანდიასთან დადებული უნიის მომზადების საქმეში.[1]

ამავე ეპოქაში მოღვაწეობდა დიდი სატირიკოსი ჯონათან სვიფტი. დედოფალ ენის დროს, რელიგიური დაპირისპირებების ვითარებაში, მან დაწერა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო სატირული ნაწარმოები „კასრის ზღაპარი“ (1697, გამოქვეყნდა 1704), რომელშიც ოსტატურადაა შეზავებული მხატვრულ-ალეგორიული და პამფლეტური პუბლიცისტიკა; თვით სათაური ორგვარ ალეგორიას შეიცავს. იგი, როგორც იდიომი, ნიშნავს აბდაუბდას, უთავბოლო ამბავს, რასაც პირდაპირ შეესაბამება ნაწარმოების სტრუქტურა; ერთი მხრივ, წიგნში ალეგორიულადაა წარმოდგენილი ქრისტიანული სარწმუნოების სამი განშტოება — კათოლიკური, პროტესტანტული და პურიტანული, რასაც სამი ძმა — პეტრე, მარტინი და ჯეკი — განასახიერებს, მათი თავგადასავლისა და ურთიერთობის ფონზე ბრწყინვალედაა გაშუქებული რელიგიური სამყარო; მეორე ალეგორიული მნიშვნელობა გამოხატულია იგავის სახით — მეზღვაურებს (სახელმწიფოს მესვეურთ) ჩვევად აქვთ ზღვაში შეხვედრილ ვეშაპს (ხალხი) გადაუგდონ ცარიელი კასრი (რელიგია), რათა იგი ჩამოაშორონ ხომალდს (სახელმწიფოს). ეს ორი თემა ოსტატურად ავსებს ერთმანეთს და მთლიანობაში ქმნის XVII ს. ინგლისის და თითქმის მთელი ევროპის სულიერი ცხოვრების ფართო პაროდიულ და სატირულ სურათს. თავისი მთავარი ნაწარმოები „გულივერის მოგზაურობა“ (სრული დასახელება „თავდაპირველად ქირურგისა და შემდგომში რამდენიმე ხომალდის კაპიტნის ლემუელ

[1] 1707 წლის ინგლის-შოტლანდიის უნიით უქმდებოდა შოტლანდიის პარლამენტი, და შოტლანდიელ დეპუტატთა უმნიშვნელო რაოდენობა შედიოდა ინგლისის პარლამენტში. ამ უნიის დადების შემდეგ ფართოდ იხმარება სახელწოდება დიდი ბრიტანეთი, რომელიც მოიცავს ინგლისს, შოტლანდიას, ირლანდიასა და უელსს.

გულივერის მოგზაურობა სხვადასხვა შორეულ ქვეყანაში") სვიფტმა 1726 წ. გამოაქვეყნა; მასში შერწყმულია სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრი — მოგზაურობის აღწერა, უფრო სწორად, პაროდია იმ დროს გავრცელებულ ამ ჟანრზე, ფანტასტიკა, მეცნიერული ფანტასტიკა, უტოპია და ა. შ. იგი შეიცავს პოლიტიკური პამფლეტის ბრწყინვალე ელემენტებს, ფილოსოფიურ თხრობას, პუბლიცისტიკას, ალეგორიას და სხვ. ალეგორიისა და ფანტასტიკის მიღმა აშკარად ჩანს ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო პანორამა; მასში მკაფიოდ აირეკლა მწერლის ღრმა ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებები, ზოგადსაკაცობრიო იდეები. ნაწარმოების სიუჟეტი საინტერესოდ ვითარდება, თხრობა ლაკონურია და სადა.

დედოფალ ენის დროს (1702-1714) პოლიტიკური და რელიგიური პარტიების დაპირისპირება კიდევ უფრო მძაფრდება და ლიტერატურული საქმიანობაც აქტიურდება. ლონდონის დიდ ყავახანებში იკრიბებოდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები, მეცნიერები, პოლიტიკოსები, მხატვრები, მწერლები, ოფიცრები, ვაჭრები და პრესის საშუალებით ეცნობოდნენ მსოფლიოში მიმდინარე საყურადღებო მოვლენებს, მსჯელობდნენ ომის, პოლიტიკურ, თეატრალურ, რელიგიურ და სხვა საკითხებზე; მათ შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო ფურცლები „მოლაყბე", „მაყურებელი", რომლებიც 1709-1714 წლებში გამოდიოდა. ეს გამოცემები კვირაში რამდენჯერმე ან ყოველდღე იბეჭდებოდა და შემდეგ ჟურნალის სახით იკინძებოდა. მათ არა მარტო მატერიკზე, არამედ კოლონიებშიც ავრცელებდნენ.

დეიზმი. საზოგადოებრივი მოვლენებისა და რელიგიური დოგმატების შესახებ აზრთა ჭიდილი ინგლისში ხელს უწყობდა კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ინგლისელი სექტანტები. ინდეპენდენტები მუდმივად ამტკიცებდნენ, რომ არ შეიძლება ბრმად ვენდოთ სხვადასხვა მოძღვრებებს რაგინდ დიდი არ უნდა იყვნენ მათი შემქმნელნი, მაგ. ლუთერი, კალვინი და სხვ. ჭეშმარიტების შესაცნობად ისინი შინაგან გამოცხადებას, ზეშთაგონებას გადამწყვეტ როლს ანიჭებდნენ. ამგვარად, სექტანტები უახლოვდებოდნენ რაციონალიზმს: შინაგანი ხმა, შინაგანი გამოცხადება ეს

ხომ დამოუკიდებელი აზროვნების, ცალკეული ადამიანის გონების შესაძლებლობების აღიარებაა.

თავისუფალ აზროვნებისაკენ სწრაფვამ XVII-XVIII საუკუნეებში წარმოშვა რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც უარყოფს პიროვნული სახით ღმერთის არსებობას და მის ყოველდღიურ მოვლენებში ჩარევას, მაგრამ ცნობს მას, როგორც სამყაროს უპიროვნო პირველსაწყისს; ღმერთმა დააწესა კანონები და მას შემდეგ ეს კანონები მართავენ სამყაროს ღმერთისაგან დამოუკიდებლად. ამ მოძღვრების მიმდევრებს უწოდებდნენ „თავისუფალ მოაზროვნეებს", ან „დეისტებს" (ე. ი. ვინც აღიარებდა ღმერთისადმი (deus — ღმერთი) რწმენას ისტორიული განვითარების პროცესში წარმოშობილი რელიგიური დოგმატების გარეშე). დეიზმის სამშობლოა ინგლისი, მის ფუძემდებლად ითვლება ჯეიმზ I დროის ოფიცერი და დიპლომატი ლორდი ე. ჩერბერი. ინგლისში დეიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო წარმოშობით ირლანდიელი, კათოლიკე, შემდეგ პროტესტანტი ჯ. ტოლანდი. სამყაროზე დეისტური შეხედულება გაიზიარა ი. ნიუტონმაც. გერმანიაში დეიზმის მომხრენი იყვნენ ლაიბნიცი და კანტი, ხოლო საფრანგეთში — ვოლტერი და რუსო. თავის დროზე დეიზმმა პროგრესული როლი შეასრულა. ის გამოხატავდა ბურჟუაზიის მისწრაფებას თავისუფლებისაკენ.

დეისტების მოღვაწეობის დროს, XVIII ს. დასაწყისში, ინგლისში შეიქმნა საქველმოქმედო-საგანმანათლებლო კავშირი, რომელიც შემდეგ მთელს მსოფლიოში გავრცელდა. ეს იყო მასონთა ანუ ფრანკმასონთა საზოგადოება (ფრანგ. franc-macon — თავისუფალი კალატოზი). მასონები გაერთიანებული იყვნენ „ძმობის, სიყვარულის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების" პრინციპების საფუძველზე. მასონებში ანტიკლერიკალიზმის იდეები გადახლართული იყო რელიგიურ მისტიციზმთან. 1717 წ. ლონდონში შეიქმნა „დიდი ლოჟა". ლონდონელი მქადაგებლის ჯეიმზ ანდერსონის მიერ შედგენილი „წესდებათა წიგნის" მიხედვით, მასონი არც სულელი ათეისტი უნდა ყოფილიყო და არც რელიგიის გარეშე მდგარი თავისუფალი მოაზროვნე, მას მხარი უნდა დაეჭირა საერო ხელისუფლებისათვის, მონაწილეობა არ უნდა მიეღო პოლიტიკურ მოძრაობებში. მასონები უარყოფენ

საეკლესიო დოგმატებსა და კულტს, მაგრამ თაყვანს სცემენ ღმერთს, როგორც „სამყაროს დიდ არქიტექტორს“. დასაშვებად მიაჩნიათ ნებისმიერი რელიგიის აღიარება, თავის მოძღვრებაში შეიტანეს ქრისტიანობის, იუდაიზმის და სხვა რელიგიათა ელემენტები. მასონები ერთმანეთს ძმებს უწოდებენ, ერთიანდებიან ადგილობრივ ორგანიზაციებში (ლოჟებში), ხოლო ამ ორგანიზაციათა გაერთიანება ქმნის დიდ ლოჟას, რომლის სათავეში დგას გროსმაისტერი (დიდი მაგისტრი, დიდი ოსტატი). მასონების სახელწოდება, ორგანიზაციული ფორმები (ლოჟა), იერარქია (შეგირდი, ქარგალი, ოსტატი, დიდი ოსტატი), სიმბოლური ნიშნები (ფარგალი, ჩაქუჩი, შვეული, წინსაფარი, ხელთათმანები და სხვა) ნასესხებია შუა საუკუნეების მშენებელ-კალატოზების, განსაკუთრებით კი მათი ზედაფენის (არქიტექტორების, მოქანდაკეებისა და მხატვრების) ამქრული გაერთიანებების პრაქტიკიდან. თანდათანობით (განსაკუთრებით ევროპაში) მასონების მოძრაობამ არისტოკრატიული ხასიათი მიიღო. მასში გაძლიერდა მისტიციზმის ელემენტები, რომლითაც შეცვალეს ადრინდელი მისტიციზმის რაციონალისტური სული და მისწრაფება — დაეკავშირებინათ მასონობა შუასაუკუნეების რაინდულ და მისტიკურ ორდენებთან (ტამპლიერები, როზენკროიცერები და სხვა). შემდეგში მასონების ადრინდელი შედარებით მარტივი ორგანიზაცია შეიცვალა უფრო რთული იერარქიით, შეიქმნა მდიდრული რიტუალიც. მასონების მიმდევრები იყვნენ: პრუსიის მეფეები — ფრიდრიხ I-დან ფრიდრიხ III-მდე, ინგლისის მეფეები (ჯორჯ IV, ედუარდ VII, ედუარდ VIII), შვედეთის მეფე გუსტავ III, აშშ-ს პრეზიდენტები — ჯ. ვაშინგტონიდან ჰ. ტრუმენამდე, სახელმწიფო მოღვაწეები — ბ. ფრანკლინი, უ. ჩერჩილი, ფილოსოფოსები და მწერლები (ვოლტერი, გოეთე, ლესინგი, ფიხტე და სხვ.), კომპოზიტორები (მოცარტი, ჰაიდნი)...

მეცნიერული მსოფლმხედველობა. დეისტურ შეხედულებებთან ერთად ინგლისში ვრცელდება მეცნიერული მსოფლმხედველობა. XVI საუკუნეში ძლიერდება ინტერესი ძველ ბერძენთა და რომაელთა ლიტერატურისადმი. პურიტანობა ეწინააღმდეგებოდა ინგლისის საზოგადოების ნაწილის ამ მისწრაფებებს და პირველი დარტყმა მიაყ-

ენა კლასიციზმს, რის შედეგადაც XVII ს. შუახანებიდან შენელდა ინტერესი ძველი ისტორიისადმი. სამაგიეროდ სულ უფრო ძლიერდებოდა ყურადღება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი, რაც გამოწვეული იყო ასტრონომიაში, ფიზიკაში და ფიზიოლოგიაში უდიდესი მიღწევებით. 1645 წელს, სამოქალაქო ომის დროს, ბოილმა და სხვა მეცნიერებმა შექმნეს „ფარული კოლეგია", ე. ი. მცირერიცხოვანი ნატურალისტური საზოგადოება, რომლის წევრები კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ. სტიუარტების რესტავრაციის შემდეგ ამ მხრივ მეცნიერული დაინტერესება არ შენელებულა; პირიქით, ჩარლზ II თვითონ იღებდა აქტიურ მონაწილეობას ასტრონომიულ გამოკვლევებში[1] და თავისთვის ქიმიური ლაბორატორიაც კი შექმნა. მეფე თვითონ მფარველობდა ნატურალისტურ კოლეგიას და დაამტკიცა იგი სახელწოდებით: „საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარების ლონდონის სამეფო საზოგადოება". XVII საუკუნეში, დროის შესაბამისად, შეიცვალა საზოგადოების ინტერესებიც; თუ ადრე სალონებში მსჯელობდნენ ციცერონისა და პლუტარქეს შესახებ, ახლა არისტოკრატიულ წრეებში კარგ ტონად ითვლებოდა საუბრები ჰაერსაბერვლისა და ტელესკოპის, ქიმიისა და მაგნეტიზმის შესახებ. ამ ინტერესების პრაქტიკული გამოხატულება იყო მიღწევები მიწათმოქმედებაში, ზღვაოსნობაში, მედიცინაში.

მყარდება კავშირები ნატურალისტურ საზოგადოებებსა და სხვადასხვა ქვეყნის აკადემიებს შორის; ისინი ერთმანეთს აწვდიდნენ ინფორმაციებს მეცნიერული მიღწევების შესახებ; მიღწევები კი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მკვლევარებს სულ მოკლე დროში სამყაროს უკანასკნელ საიდუმლოებაში ჩაწვდომის შესაძლებლობის რწმენა გაუჩნდათ.

მეცნიერული კვლევისადმი უდიდესი ინტერესისა და გაცხოველებული სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგი იყო ის, რომ ინგლისელმა ფიზიკოსმა, მათემატიკოსმა, ასტრონომმა, კლასიკური ფიზიკის ფუძემ-

---

[1] ჩარლზ II დროს, 1675 წელს, ლონდონის მახლობლად, გრინვიჩში, საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას — გრინვიჩის ასტრონომიულ ობსერვატორიას. იგი ჩამოყალიბდა უმთავრესად დროის განსაზღვრისა და ვარსკვლავების, მზისა და მთვარის კოორდინატების გამოთვლისათვის, რასაც ზღვაოსნობის შემდგომი განვითარება მოითხოვდა.

დებელმა, ლონდონის სამეფო აკადემიის წევრმა, ისააკ ნიუტონმა 1687 წელს გამოაქვეყნა გრანდიოზული ნაშრომი „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები“, რომელშიც განაზოგადა წინამორბედებისაგან (გ. გალილეი, ი. კეპლერი, რ. დეკარტი, კ. ჰიუგენსი და სხვ.) მიღებული, აგრეთვე თავისი საკუთარი გამოკვლევები და პირველმა შექმნა დედამიწისა და ცის მექანიკის ერთიანი მწყობრი სისტემა, რომელიც საფუძვლად დაედო მთელ კლასიკურ ფიზიკას. მოკრძალებული ხასიათისა და გაუბედაობის გამო, რასაც თან ერთვოდა უსახსრობა, ნიუტონი არც კი ცდილობდა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მწვერვალის „საწყისების“ გამოქვეყნებას, და რომ არა დიდი მეცნიერის, ასტრონომისა და გეოფიზიკოსის ჰ. ჰალეის ფინანსური დახმარება, ნიუტონის დასახელებული ნაშრომი კაცობრიობისათვის შეიძლება უცნობი დარჩენილიყო.

ნიუტონი, რომელიც 1727 წელს გარდაიცვალა, თავისი მეცნიერული აღმოჩენებით მთელი XVIII საუკუნის თავისუფალი აზროვნების მედროშეა. მაგრამ მისმა ნაშრომებმა, ისევე როგორც საერთოდ XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. პირველი ნახევრის ინგლისურმა ლიტერატურამ, ვერ მოახდინეს ევროპის ქვეყნებზე უშუალო გავლენა; სარგებლობდნენ რა თავისი ენისა და კულტურის პოპულარობით, ინგლისური განმანათლებლობის ორიგინალური იდეები ევროპელთათვის ფრანგების ინტერპრეტაციით გახდა ცნობილი.

კაპიტალიზმის განვითარებამ ინგლისში ბიძგი მისცა ახალი ეკონომიკური თეორიების ჩამოყალიბებას, რომლებიც მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს შეესაბამებოდნენ.

ინგლისის ბურჟუაზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, წარმოშობით შოტლანდიელი, **ადამ სმითი (1723-1790)**. 1776 წელს მან გამოაქვეყნა თავისი მთავარი შრომა „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“. სმითმა დაუშვა ობიექტური ეკონომიკური კანონების არსებობა და მათი შეცნობის შესაძლებლობა. იგი ითვლება თავისუფალი გაცვლისა და, საერთოდ, ეკონომიკური ლიბერალიზმის დოქტრინის ინიციატორად.

სმითმა პირველმა განსაზღვრა ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, ორადი ამოცანა: თეორიული და პრაქტიკული. შრომითი ღირე-

ბულების თეორია მიიჩნია კაპიტალისტური ეკონომიკის ყველა მოვლენის გაგების საფუძვლად. სმითმა უარყო ფიზიოკრატების შეხედულება სასოფლო-სამეურნეო შრომის განსაკუთრებულობის შესახებ. მისი აზრით, კაპიტალი ბუნებრივი და მარადიული კატეგორიაა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ ძირითადი კაპიტალისა და საბრუნავი კაპიტალის კატეგორიების გაგებას. იგი განასხვავებდა ბუნებრივი ფასისა და საბაზრო ფასის კატეგორიებს. საბაზრო ფასი, სმითის განმარტებით, მოთხოვნა-მიწოდების გავლენით ყალიბდება. სმითმა პირველმა შემოიტანა ეკონომიკაში მოთხოვნის ორი კატეგორია: ნამდვილი მოთხოვნა (სყიდვითუნარიანი) და აბსოლუტური მოთხოვნა (მოთხოვნილება). უარყოფდა რა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის მწვავე უთანხმოების არსებობას, სმითი მუშათა ორგანიზაციების, მათ შორის პროფკავშირების, შექმნის წინააღმდეგი იყო.

ინგლისის კოლონიური ძლიერების ზრდა. 1688 წლის „უსისხლო“ რევოლუციიდან მოყოლებული ინგლისში გაბატონებული იყო მერკანტილიზმი. ვაჭრობისა და მრეწველობის ინტერესებიდან გამომდინარე იკრძალებოდა საზღვარგარეთიდან, განსაკუთრებით საფრანგეთიდან, სამრეწველო ნაწარმის შემოტანა, სამაგიეროდ ხელს უწყობდნენ ადგილობრივი წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის იმპორტს; საკუთარი ნედლეულის, მაგ., მატყლის ექსპორტს კი, თუ ის საჭირო იყო სამამულო წარმოებისათვის, კრძალავენ. ასეთი ღონისძიებები შეესაბამებოდა ვიგების პოლიტიკას, თუმცა ისინი იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ მიწათმფლობელებისთვისაც, რომლებიც ტორების ძირითად სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისათვის დაწესებული პრემია შენარჩუნებული იქნა. ამგვარად, მართალია, არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობები ძირითად მწარმოებელ კლასებს შორის, მაგრამ იგი სერიოზულ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა. ქვეყნის შინგნით ასეთი მდგომარეობა ინგლისს დიდ უპირატესობას აძლევდა ერთიანი საგარეო პოლიტიკის წარმართვისათვის და საფრანგეთთან კონფლიქტებში წარმატებების მოპოვებისათვის. XVIII სს. დასაწყისიდან ინგლისის კოლონიური ბატონობა თანდათანობით

იზრდება, საფრანგეთის კოლონიური სიძლიერე კი სუსტდება.

1701-1714 წლებში ინგლისი მონაწილეობდა ე. წ. ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში. სურდათ რა გამოეყენებინათ ფეოდალურ-აბსოლუტისტური ესპანეთის დაუძლურება, ევროპის სახელმწიფოები ამ ომს აწარმოებდნენ ნიდერლანდებში და ამერიკაში ესპანეთის სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად. ესპანეთის მეფის კარლოს II გარდაცვალებასთან ერთად შეწყდა ჰაბსბურგთა დინასტიის ესპანური შტო, რაც ომის საბაბად იქცა. საფრანგეთის დაჟინებული მოთხოვნით, კარლოს II ესპანეთის ტახტი უანდერძა საფრანგეთის მეფის ლუი XIV შვილიშვილს, საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეს ფილიპე ანჟუელს, რომლის დედა ესპანეთის პრინცესა იყო. ევროპაში საფრანგეთის გაძლიერებისა და მის მიერ ახალი კოლონიების დაპყრობის წინააღმდეგ გამოვიდნენ ინგლისი, ჰოლანდია, ავსტრია, დანია, პორტუგალია და ზოგიერთი გერმანული სახელმწიფო. ესპანეთის ტახტზე მათ წამოაყენეს თავიანთი კანდიდატურა — ავსტრიელი ერცჰერცოგი კარლ ჰაბსბურგი, რომელიც აგრეთვე ესპანეთის სამეფო სახლის ნათესავი იყო.

ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში ინგლისის მთავარი მიზანი ახალი კოლონიების მოპოვება, თავისი საზღვაო ძლიერების გაზრდა და ევროპაში გავლენის სფეროს გაფართოება იყო. ინგლისი სათავეში ჩაუდგა ანტიფრანგულ კოალიციას, რომელშიც შედიოდნენ ჰოლანდია, ავსტრია, დანია, პორტუგალია და ზოგიერთი გერმანული სახელმწიფო. საფრანგეთის მხარეზე იბრძოდნენ ესპანეთი და ბავარია. მთელი რიგი გამარჯვებების შემდეგ, 1713 წელს, ინგლისმა უტრეხტში საფრანგეთთან და ესპანეთთან ხელი მოაწერა ზავს, რომლის პირობების თანახმად მან მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი კოლონიური სამფლობელოები. უტრეხტის ზავით საფრანგეთმა ინგლისს დაუთმო კ. ნიუფაუნდლენდი და ვრცელი ტერიტორიები კანადაში. ესპანეთის სამეფო ტახტზე ბურბონების უფლება აღიარეს იმ პირობით, რომ ესპანეთისა და საფრანგეთის ტახტები ერთი პიროვნების ხელში არასოდეს არ მოექცეოდა. ესპანეთისაგან ინგლისმა მიიღო კ. ჰიბრალტარი, ქ. მაონი (მენორკის კუნძულზე). ამას გარდა, ინგლისმა აიძულა ესპანეთი დაედო მასთან კონტრაქტი (ასიენტო), რომლის

თანახმადაც ინგლისელ ვაჭრებს 30 წლის განმავლობაში ესპანეთის ამერიკულ კოლონიებში მონებით ვაჭრობის მონოპოლიური უფლება ეძლეოდათ.

ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობები კოლონიების დაპყრობისათვის, ზღვაზე სავაჭრო ჰეგემონობისა და ბატონობისათვის ნათლად წარმოჩნდა ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომში (1740-1748). ამ ომში ინგლისის მოკავშირეები იყვნენ ავსტრია და ჰოლანდია, მოწინააღმდეგეები — საფრანგეთი, პრუსია, ბავარია, საქსონია. ომის შედეგად ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიური სამფლობელოები თითქმის არ შეცვლილა.

XVIII საუკუნეში ინგლისის კოლონიური პოლიტიკის მიღწევები დაკავშირებულია გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის **უილიამ პიტი** უფროსის (გრაფი ჩეთემის) სახელთან. პიტი პირადად უანგარო და პატიოსანი ადამიანი იყო, მაგრამ მისი წინამორბედების, კერძოდ, უოლპოულის დროს, ფართოდ გავრცელებული მმართველობის კორუმპირებული სისტემა ხელუხლებელი დარჩა. მეფე ჯორჯ II არ უყვარდა პიტი, თუმცა, გამორჩეული ნიჭისა და შრომისუნარიანობის გამო, იძულებული იყო, პარლამენტის უმრავლესობის მოთხოვნით, სახელმწიფოს მაღალ თანამდებობებზე მოეწვია იგი. ის ყველაზე უკეთ გამოხატავდა ინგლისელი მეზღვაურების, ვაჭრებისა და კოლონისტების მისწრაფებებს ახალი ტერიტორიების დასაპყრობად. პიტის მთავარი მიზანი იყო, საფრანგეთისათვის წაერთმია ჩრდ. ამერიკა და ინდოსტანი. მაგრამ, ამავე დროს, იგი ევროპულ საქმეებშიც ერეოდა, აქაც უნდოდა ფრანგების გავლენის სფეროების შეკვეცა.

შვიდწლიანი ომის (1756-1763) დაწყების მომდევნო წელს, უ. პიტი მინისტრთა კაბინეტის წევრი გახდა, თავის ხელში მოაქცია სახმელეთო ძალები და საზღვაო ფლოტი და დაიწყო აქტიური მოქმედება საფრანგეთის წინააღმდეგ — პარლამენტი დაითანხმა პრუსიის მეფის ფრიდრიხ II დიდძალი სუფსიდიის მიცემაზე, იმავდროულად იგი ცდილობდა საფრანგეთის ზღვის სანაპიროს ბლოკირებას, ბომბავდა პორტებს და ანგრევდა დოკებს. მაგრამ მთავარი საბრძოლო მოქმედებები კოლონიებში მიმდინარეობდა. საფრანგეთის გარდა, აფრიკაში ინგლისს მეორე მოწინააღმდეგე — ესპანეთი ჰყავდა. ამერიკა-

ში ინგლისელი კოლონისტების აქტიური მხარდაჭერით, ინგლისმა შესძლო ფრანგების გამოძევება ამერიკიდან.

XVIII ს. შუა წლებში ძლიერდება წინააღმდეგობები ინგლისურ „ოსტინდოეთის“ კომპანიასა და საფრანგეთის „ორივე ინდოეთის კომპანიას“ შორის. ეს კომპანიები ფორმალურად იყვნენ კერძო სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებსაც თავიანთი შეიარაღებული ძალები ჰყავდათ, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და იპყრობდნენ დასაყრდენ პუნქტებს ინდოეთში. შვიდწლიან ომამდე ცოტა ხნით ადრე ფრანგებმა იმარჯვეს, დაიმორჩილეს ბენგალია და სხვა სამთავროები, 1756 წელს კი, ბენგალიის ნავაბთან ერთად მოქმედებით, ინგლისელები კალკუტიდანაც განდევნეს. თუმცა სულ მალე ინგლისელებს მადრასიდან მაშველი ჯარი მოუვიდათ ახალგაზრდა ოფიცრის, შემდეგში ცნობილი კოლონიზატორის, ოსტინდოეთის კომპანიის გენერალ-გუბერნატორის **რობერტ კლაივის** ხელმძღვანელობით. **პლესისთან ბრძოლაში** (1757) საფრანგეთისა და ბენგალიის ნავაბის ჯარები დაამარცხეს კლაივის სამხედრო რაზმებმა და ამის შემდეგ ბენგალია ინგლისელებმა დაიმორჩილეს. 1761 წ. ინგლისელებმა დაიპყრეს პონდიშერი და კარნატიკის სამთავრო.

1763 წ. პარიზში ინგლისმა დადო ზავი საფრანგეთთან და ესპანეთთან, რომლის მიხედვით საფრანგეთი კარგავდა თავის სამფლობელოებს კანადასა და ინდოეთში (ინდოეთში შეინარჩუნა მხოლოდ 5 ქალაქი ზღვის სანაპირო ზოლში). საფრანგეთის დამარცხებით ინგლისმა ბოლო მოუღო უკანასკნელ სერიოზულ დაბრკოლებას, რაც მას ინდოეთის დაპყრობის გზაზე ეღობებოდა.

შვიდწლიანი ომის შემდეგ თითქმის მთელი ინდოეთი ინგლისის ოსტინდოეთის კომპანიას უვარდება ხელში და მათი მრავალრიცხოვანი მოხელეების აღვირახსნილი ძარცვა-გლეჯის ასპარეზი ხდება. ამ ძარცვა-გლეჯის უშუალო ორგანიზატორი იყო პლესის ბრძოლის „გმირი“ რობერტ კლაივი, რომელმაც ბენგალიის გაძარცვის შედეგად პირადად ასეული ათასი გირვანქა სტერლინგი მიითვისა.

ინგლისელებმა ინდოეთში მოშალეს სარწყავი სისტემა, დაანგრიეს ხიდები და გზები, უყურადღებოდ მიატოვეს საზოგადოებრივი სამუშაოები და, საერთოდ, აბუჩად იგდებდნენ მკვიდრი მოსახლეო-

ბის სასიცოცხლო ინტერესებს. ინგლისელი არტურ კოტონის თქმით, მათი ლოზუნგი იყო: „არაფერი აკეთო, დაე არაფერი არ კეთდებოდეს. არავის არ დაანებო აკეთოს რაიმე. ნუ მოერიდები დანაკარგს, დაე ხალხი შიმშილით მოკვდეს, დაე, მილიონი რუპია დაიკარგოს ხაზინისათვის, — ყველაფერი ეს უკეთესი იქნება, ვიდრე კეთება". ამგვარი მეთოდებით ცდილობდნენ ინგლისელები ინდოეთის მოსახლეობის დამორჩილებას.

1765 წელს დიდმა მოღოლმა იმპერატორმა, რომლის უფლებები სასახლის კარებს არ სცილდებოდა, თავისი წვლილი შეიტანა ბენგალიის დამონების საქმეში. მან სიგელი უბოძა ოსტინდოეთის კომპანიას, რომლითაც მას ოფიციალური ნება ეძლეოდა აეკრიფა რენტა — გადასახადი ბენგალიის ტერიტორიაზე, განეხორციელებინა სამოქალაქო კანონმდებლობა და ჰყოლოდა ჯარი.

ინდოეთში ინგლისის სამფლობელოთა პირველი გენერალ-გუბერნატორი (1774 წლიდან) იყო **უორენ ჰასტინგსი**. იმ აღვირახსნილმა ძალმომრეობამ, რომელსაც იგი მიმართავდა ინდოეთში, საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ინგლისის პარლამენტშიც კი გაისმა იმ ოპოზიციონერთა პროტესტის ხმები, რომლებიც არ იყვნენ დაკავშირებული ოსტინდოეთის კომპანიასთან და უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ ინდოეთის ძარცვაში. მაგრამ 1785 წლამდე, სანამ ჰასტინგსი ინარჩუნებდა გენერალ-გუბერნატორის პოსტს, ვერავინ ვერაფერი დააკლო მას. მართალია, 1787 წელს იგი მაინც წარსდგა სასამართლოს წინაშე (რომელიც 1795 წლამდე გაგრძელდა), მაგრამ გაამართლეს.

ინგლისის მიერ კოლონიების ძარცვა ხელს უწყობდა კაპიტალის პირვანდელ დაგროვებას, ინგლისში სამრეწველო რევოლუციის დაწყებას.

სამრეწველო რევოლუციის დასაწყისი XVIII ს. 60-იან წლებში. XVIII ს. 60-იანი წლების დასაწყისში ინგლისში მომწიფდა პირობები მანუფაქტურულიდან საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე გადასვლისათვის. მსხვილ მეწარმეთა ხელში დიდი კაპიტალი დაგროვდა. გლეხთა პაუპერიზაციის შედეგად იქმნებოდა თავისუფალი მუშახე-

ლის სიჭარბე. ამასთანავე, ბურჟუაზიის ხელში თავს იყრიდა დიდი რაოდენობით ნედლეული კოლონიებიდან.

მანუფაქტურული მრეწველობა ვერ აკმაყოფილებდა სამრეწველო საქონელზე საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნებს. ამის გამო ინგლისში მწვავედ იგრძნობოდა კაპიტალისტური წარმოების ზრდის აუცილებლობა. შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის საჭირო იყო ხელის შრომის მანქანური წარმოებით შეცვლა. ამისათვის ტექნიკური პირობები უკვე არსებობდა: მანუფაქტურებში შრომის პროცესის დანაწევრების მაღალმა დონემ შესაძლებელი გახადა ცალკეული ოპერაციების მანქანებით შესრულება.

ყველაზე ადრე სამრეწველო რევოლუცია დაიწყო მსუბუქ, კერძოდ, ბამბეულის მრეწველობაში, სადაც არ იყო ამქრული შეზღუდვები. მრეწველობის ეს დარგი ნედლეულით კარგად იყო უზრუნველყოფილი — ბამბა შემოჰქონდათ კოლონიებიდან — ჩრდ. ამერიკიდან და ინდოეთიდან. ბამბეულის მრეწველობაში მექანიზაციის დანერგვას ხელს უწყობდა ისიც, რომ მატყლთან, აბრეშუმთან და სელთან შედარებით ბამბას, როგორც საქსოვ მასალას, გარკვეული უპირატესობები გააჩნია.

სამრეწველო გადატრიალების დაწყებამდე თითქმის 30 წლით ადრე, 1733 წელს ჯონ კეილმა გამოიგონა მექანიკური საქსოვი დაზგა, რომელსაც ჰქონდა „მფრინავი“ მაქო, მაგრამ მისი მასიური გამოყენება დაიწყეს მხოლოდ XVIII ს. მეორე ნახევრიდან. საქსოვი დაზგის სრულყოფამ ნართზე მოთხოვნა გაზარდა. 1765 წელს ფეიქარმა ჯეიმზ ჰარგრივზმა ააგო თავის მიერ გამოგონებული პერიოდული ქმედების სართავი მანქანა, რომელსაც თავისი ქალიშვილის სახელი — „ჯენი“ უწოდა.

1767 წ. დალაქმა რიჩარდ არქრაითმა განაცხადა, რომ გამოიგონა მექანიკური სართავი მანქანა (ვატერმანქანა). სინამდვილეში მან ამ მანქანის პროექტი მოპარა გამომგონებელ ჰაისს. „ჯენისაგან“ განსხვავებით ეს მანქანა მოძრაობაში მოჰყავდათ არა ხელით, არამედ წყლით.

1772 წელს „ჯენი“ სრულყო ინგლისელმა მექანიკოსმა კ. ვუდმა. 1779 წ. მრთველმა ს. კრომპტონმა „ჯენისა“ და ვატერმანქანის

რეკონსტრუქციით შექმნა ახალი დაზგა, რომლითაც წვრილი და გამძლე ძაფი მიიღებოდა.

ამ მანქანების გამოგონებამ მკვეთრად გაზარდა ნართის წარმოება. ახლა საჭირო გახდა საქსოვი მანქანის გაუმჯობესების აუცილებლობა. სოფლის მღვდელმა ე. ქარტრაითმა 1785 წელს გამოიგონა მექანიკური საქსოვი დაზგა და ამით ლიკვიდირებული იქნა რთვისაგან ქსოვის ჩამორჩენა. ამგვარად, წარმოების ერთი დარგის დაწინაურება აუცილებლად იწვევდა წარმოების სხვა დარგების სრულყოფის საჭიროებას.

ჯერ კიდევ 1777 წ. გამოიგონეს ტიულის საქსოვი მანქანა და ამიერიდან მაქმანის წარმოება მრეწველობის მნიშვნელოვან დარგად იქცა. მაუდის მრეწველობის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ბამბის ქულის საწმენდი მანქანის გამოგონებამ. მისი ავტორი იყო ამერიკელი ე. უიტნი.

მანქანური მრეწველობის შემდგომი განვითარება მოითხოვდა უნივერსალური ძრავის შექმნას. წყლის ძრავის გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც წყალი იყო; ამას გარდა, მისი სიმძლავრე შეზღუდული და არამყარი იყო. ინგლისელმა გამომგონებელმა, ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრმა, ჯეიმზ უატმა 1774 წელს ააგო ორთქლის დანადგარი, რომლის ეფექტურობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა მანამდე არსებულს. 1782 წელს კი მან მიიღო პატენტი ორთქლის ახალ ძრავაზე. უატმა პირველმა შემოიღო სიმძლავრის ერთეული — ცხენის ძალა (მოგვიანებით მისი სახელი უწოდეს სიმძლავრის სხვა ერთეულს — ვატი). უატის ორთქლის მანქანა თავისი ეკონომიურობის გამო ფართოდ გავრცელდა.

ორთქლისა და სხვა მანქანების გამოგონება მოითხოვდა ქვანახშირისა და რკინის მადნის ამოღების გადიდებას, რკინისა და ფოლადის ხარისხის გაუმჯობესებას. XVIII ს. ბოლოს მეტალურგიულ მრეწველობაში მნიშვნელოვანი სიახლეები დაინერგა. 1784 წ. მეტალურგმა კორტმა აღმოაჩინა რკინის კვერვის (ჭედვის) ახალი მეთოდი. კორტმა სრულყო აგრეთვე რკინის გლინვის პროცესი საგლინავი ვალცების საშუალებით. XVIII ს. ბოლოს გაუმჯობესდა თუთიის, სპილენძისა და ტყვიის მადნების დამუშავება.

XVIII ს. ბოლოს ინგლისში მანქანების წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1800 წ. ინგლისის მრეწველობაში 300-ზე მეტი ორთქლის მანქანა იყო, რომელთა საერთო სიმძლავრე 5 ათას ცხენის ძალას აღემატებოდა. თავდაპირველად მანქანებს მანქანათმშენებელ სახელოსნოებში აკეთებდნენ, მაგრამ შემდეგ, როდესაც მანქანებზე მოთხოვნა გაიზარდა და გართულდა მათი კონსტრუქციები, საჭირო გახდა მანქანების მანქანებით წარმოება. XIX ს. დასაწყისიდან უკვე იწყებენ მანქანათმშენებელი ქარხნების მშენებლობას.

სამრეწველო რევოლუციის განვითარება მოითხოვდა აგრეთვე კავშირგაბმულობასა და ტრანსპორტში ძირეულ ცვლილებებს. XVIII ს. ბოლოს ინგლისში დაჩქარდა გზატკეცილებისა და არხების მშენებლობა. მზადდებოდა ნიადაგი სატრანსპორტო საშუალებებში ორთქლის ძრავის გამოყენებისათვის.

დაწყებული სამრეწველო რევოლუციის მნიშვნელოვანი შედეგები იყო: შრომის ნაყოფიერების ზრდა და კაპიტალისტური მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება, წარმოების თვითღირებულების შემცირება, საშინაო და საგარეო ვაჭრობის გააქტიურება, ახალი სამრეწველო ქალაქებისა და ფაბრიკა-ქარხნების დაარსება. XVIII ს. ბოლოსათვის მანჩესტერი, ბირმინჰემი, ლონდონი, შეფილდი, ლიდსი მსხვილ სამრეწველო ცენტრებად იქცნენ. სამრეწველო წარმოების მხრივ განსაკუთრებით დაწინაურდნენ ქვეყნის ჩრდილოეთი და ცენტრალური რაიონები.

სამრეწველო რევოლუციას დიდი სოციალური ცვლილებები მოჰყვა: გაიზარდა დაქირავებულ მუშათა რაოდენობა და ჩამოყალიბდა სამრეწველო პროლეტარიატი, პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი კლასები — საფაბრიკო-საქარხნო პროლეტარიატი და სამრეწველო ბურჟუაზია.

თავი IV. ჩრდილოეთ ამერიკის რევოლუცია

(ინგლისის ამერიკული კოლონიების ომი დამოუკიდებლობისათვის და აშშ-ს შექმნა)

ახალი დემოკრატიული საზოგადოება პირველად ჩამოყალიბდა არა ძველი ევროპის საფუძველზე, სადაც ძნელი იყო საუკუნეებით განმტკიცებული წოდებრივი განსხვავებულობისა და დაბალი ფენების ექსპლუატაციის დამკვიდრებული ფორმების დაძლევა, არამედ ამერიკაში, ქვეყანაში, რომელიც კოლუმბის აღმოჩენების შემდეგ გახდა ევროპელთათვის ცნობილი, სადაც ადამიანები თავიანთ ცხოვრებას ახლიდან იწყებდნენ. პიროვნების თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარებისათვის ყველაზე უკეთესი პირობები იყო ინგლისის ამერიკაში. მისმა მაგალითმა უდიდესი გავლენა იქონია ევროპაზეც.

ჩრდ. ამერიკა XVII ს. და XVIII ს. პირველ ნახევარში. ინგლისელებმა, ევროპის სხვა ხალხებთან შედარებით, გვიან დაიწყეს ახალი სამყაროს კოლონიზაცია, მაგრამ, შემდეგ, ამ საქმეში მნიშვნელოვნად გაუსწრეს მათ; ისინი, ესპანელებისაგან განსხვავებით, კოლონიურ ქვეყნებში არ ეძებდნენ ოქროსა და ვერცხლის საბადოებს, ანდა, როგორც პორტუგალიელები და ჰოლანდიელები, ბაზრებს ძვირფასი საქონლის ჩალის ფასად შესყიდვისათვის. ინგლისიდან ჩასახლებულები არც დამპყრობლები იყვნენ და არც კომერციული საქმოსნები. მათ ყველაზე მეტად დასამუშავებლად ვარგისი თავისუფალი მიწები აინტერესებდათ.

ქვეყანა, რომლისკენაც ინგლისელები მიისწრაფოდნენ სრულიად აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებებსა და მიზნებს. ევროპელებისათვის ჩრდ. ამერიკა უფრო მისაწვდომია, ვიდრე ცენტრალური და სამხრეთი, რომლის დაპყრობას ესპანელები ცდილობდნენ. ჩრდ. ამერიკაში ისეთივე ზომიერი ჰავაა, ისე ხშირია მტკნარი წყლის მდინარეები და ტბები, ტყეები და საძოვრები, როგორც ევროპაში. ჩრდ. ამერიკის


ატლანტიკური
ოკეანე
ინგლისი
ბრიტ.
ამერიკა
ბალტიკური
ზღვა
ინგლისი
ბალტიკური
ზღვა
ტრანტონი
ფილადელფია
ინგლისი
ბალტიკური
ზღვა
ინგლისი
ბალტიკური
ზღვა
ინგლისი
ბალტიკური
ზღვა

შუა წელი ინგლისის პირდაპირ მდებარეობს და ატლანტის ოკეანის გადალახვით წარმოადგენს უმოკლეს გზას ევროპიდან ახალ სამყაროში (1600 წლისათვის ამ გზის გადალახვას 7 კვირა სჭირდებოდა). ამასთანავე, ევროპასთან ყველაზე ახლოს მდებარე ამერიკის ეს სანაპირო, მდ. წმ. ლავრენტის შესართავსა და მდ. პოტომაკს შორის, გამოირჩევა მოხერხებული უბეებითა და ნავსაყუდელებით; სამდინარო ტრანსპორტით, მათ შორის დიდი გემებით, ქვეყნის სიღრმეში, სანაპიროდან 800 მილით დაშორებულ ქ. პიტსბურგამდე მისვლაც კი შეიძლებოდა. მაშინ, როდესაც ამერიკის სამხრეთი მდიდარია ძვირფასი ლითონებით, ჩრდილოეთში რკინის, ქვანახშირის, საამშენებლო მასალების, ე. ი. ინდუსტრიის განვითარებისათვის აუცილებელი საშუალებების სიუხვეა. და ბოლოს, იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ესპანეთის ძველ ტერიტორიებსა და ინგლისის ახალ კოლონიებს შორის. სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში იყო მრავალრიცხოვანი ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებთან არაერთი ბრძოლის შემდეგ, ესპანელებმა ძალით დაამყარეს თავიანთი ბატონობა, მაგრამ შემდეგ ისინი აპათიამ მოიცვა. ჩრდ. ამერიკაში კოლონისტებს მომთაბარე, მონადირე ტომებთან უხდებოდათ ურთიერთობა, რომლებსაც წასართმევი არაფერი ჰქონდათ. ამიტომ კოლონისტებს თავიანთი შრომითა და გამოცდილებით უნდა აეთვისებინათ ადგილობრივი სიმდიდრეები და შეექმნათ ახალი კულტურა.

ესპანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისაგან განსხვავებით, ინგლისი ჩრდ. ამერიკის კოლონიების მიმართ ხელსაყრელ პოლიტიკას ახორციელებდა. ინგლისელ კოლონისტებს თავიდანვე თავისუფალი საქმიანობის შესაძლებლობა მისცეს. ელიზაბეთის მეფობის მიწურულს, მეზღვაურებისა და მეკობრეების მიერ დაარსებულ პირველ დასახლებებს დიდი წარმატებები არ ჰქონიათ. **კოლონისტების დამკვიდრება იწყება ჯეიმზ I დროიდან ვირჯინიაში და თანამედროვე მასაჩუსეტსის შტატის ტერიტორიებზე.** XVII საუკუნეში მათ სხვა კოლონიები მიემატა. ისინი განლაგებული იყვნენ ვირჯინიის სამხრეთსა და ესპანეთის ფლორიდას შორის. ყველა ეს კოლონია, შემდეგში ჩრდ. ამერიკის რესპუბლიკის შტატები, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა. თითოეულ მათგანს ზღვაზე თავიანთი გასასვლელი

ჰქონდა. თავდაპირველად კოლონიების დაარსების უფლება ეძლეოდა სავაჭრო კომპანიებს, რომლებსაც „ახალ სამყაროში“ გადაჰყავდათ კოლონისტები, და მდიდარ მესაკუთრეებს, რომლებიც მეფისაგან ყიდულობდნენ ან საჩუქრის სახით იღებდნენ დიდ ტერიტორიებს. კომპანიებსა და ცალკეულ მესაკუთრეებს უფლება ჰქონდათ დაენიშნათ გუბერნატორი, აეკრიფათ გადასახადები, გამოეცათ განკარგულებები ინგლისის მოქალაქეების დასაცავად.

კოლონისტებს თავიდანვე ცხოვრება უხდებოდათ უფრო მეტი თავისუფლების პირობებში, ვიდრე ინგლისში იყო: აქ არ მოქმედებდა მაიორატი, მიწის გაყიდვა და გასხვისება თავისუფლად შეიძლებოდა, მიწის მფლობელი იხდიდა მხოლოდ მცირეოდენ საიჯარო გადასახადს; მას სურვილის მიხედვით შეეძლო საცხოვრებელი ადგილის არჩევა. ველურ ქვეყანაში, სადაც ყველას უხდებოდა მძიმე შრომის შედეგად საცხოვრებელი სარჩოს მოპოვება, არ იყო ადგილი განსაკუთრებული უპირატესობებისათვის და პრივილეგიებისათვის: არისტოკრატიული ტიტულების დარიგება, რომელიც განიზრახა კაროლინაში მცხოვრებმა ერთ-ერთმა ლორდმა, იმდენად არასერიოზული ჩანდა, რომ მან ფეხი ვერ მოიკიდა. კოლონისტები თავიდანვე, ან ძალიან მოკლე დროში, დამოუკიდებელნი ხდებოდნენ კომპანიებისაგან და მესაკუთრე ლორდებისაგან: თავიანთ შეკრებებზე განიხილავდნენ მესაკუთრეების ან გუბერნატორების განკარგულებებს და მხოლოდ იმ დადგენილებების შესრულებას მიიჩნევდნენ მიზანშეწონილად, რომელიც ადგილობრივი სახალხო კრების მიერ იქნებოდა მოწონებული.

მოგვიანებით სტიუარტები შეეცადნენ კომპანიების კუთვნილი კოლონიები სამეფო ხელისუფლებისთვის დაემორჩილებინათ. მაგრამ ამას კოლონიების ადმინისტრაციული მმართველობის სისტემაში დიდი ცვლილებები არ შეუტანია. ერთმმართველობისაკენ მსწრაფი მეფეები, შორი მანძილის გამო, ვერ ახერხებდნენ კოლონიებში დიდი ჯარების გაგზავნას და იძულებული იყვნენ ადგილობრივი მოსახლეობისათვის მეტი თავისუფლება მიეცათ. 1620 წელს, ჯეიმზ I დროს, როდესაც პურიტანების დევნა განსაკუთრებით გაძლიერდა, ჰოლანდიაში გაქცეულმა ინგლისელმა სექტანტებმა მიიღეს ამერიკაში კომპანიების კუთვნილ მიწებზე დასახლების უფლება. ეს „მამა-პილი-

გრიმები"[1] იყვნენ ახალი ინგლისის[2] პირველი მცხოვრებლები.

XVII ს. ინგლისში მიმდინარე რელიგიური და პოლიტიკური შეჯახებების დროს, ამერიკელმა კოლონისტებმაც შექმნეს ის პარტიები, რომლებიც მათ სამშობლოში საქმიანობდნენ: ვირჯინიელი თამბაქოს პლანტატორების უმრავლესობა „კავალრებსა" და ანგლიკანებს ემხრობოდა, ახალ ინგლისში კი პარლამენტისა და რესპუბლიკის მომხრეები იყვნენ.

ცალკეულ კოლონიაში განსხვავებული საზოგადოებრივი წესები და ჩვეულებები ჩამოყალიბდა. ვირჯინიასა და სამხრეთის სხვა ადგილებში (ჩრდ. და სამხრ. კაროლინასა და მოგვიანებით შექმნილ ჯორჯიაში) თავიდანვე მძიმე პლანტაციურ სამუშაოებზე იყენებდნენ აფრიკიდან შემოყვანილ მონა-ზანგებს. პურიტანულ კოლონიებში არსებობდა მხოლოდ თავისუფალი შრომა, მაგრამ მასაჩუსეტსის კოლონისტებმა აქაც დაამყარეს ცხოვრების მკაცრი წესები: დაუნდობლად ხოცავდნენ წითელკანიანებს, კრძალავდნენ ყოველგვარ გართობებსა და თამაშებს, ზუსტად იცავდნენ შაბათის დღის მოთხოვნებს და მასობრივად სჯიდნენ სიკვდილით გრძნეულებსა და ჯადოქრებს. თავისუფლებისმოყვარე ადამიანები ვერ შეეგუენ ასეთ სიმკაცრეს; მათ დატოვეს მასაჩუსეტსი და დაარსეს კოლონია როდაილენდი; ახალ კოლონიაში ეკლესია გამოყვეს სახელმწფოსაგან და გამოაცხადეს რწმენის თავისუფლება. პენსილვანიის დამაარსებელმა, მდიდარმა ბანკირმა, კვაკერმა პენმა თავის სამფლობელოში ახალ სექტას ჩაუყარა საფუძველი: ფიცი პატიოსანი სიტყვით შეცვალა, შემოიღო სამოქალაქო ქორწინება, სკოლაში უნდა ესწავლებინათ ქვეყნის კანონმდებლობა. ყველა ეროვნების ადამიანებს თანაბარი უფლებები მისცა. პენი ურჩევდა ჩამოსახლებულებს ადგილობრივ ინდიელებთან დამოკიდებულებაში ნდობა და სითბო გამოეჩინათ; პირველად ამ კოლონიაში გამოითქვა აზრი წითელკანიანების მონად გახდომის წინააღმდეგ.

---

[1] პილიგრიმი — (ძვ. გერმ. piligrim, სიტყვასიტყვით — უცხოელი), მოხეტიალე ღვთისმლოცველი, წმინდა ადგილებში სალოცავად წასული მოგზაური, მომლოცველი.

[2] ახალი ინგლისი — შტატების ჯგუფი აშშ-ს ჩრდ. — აღმოსავლეთ ნაწილში. მოიცავს მენის, ნიუჰემფშირის, ვერმონტის, მასაჩუსეტსის, როდ-აილენდის და კონეკტიკუტის შტატებს.

ურთიერთშორის წინააღმდეგობების მიუხედავად,, ამერიკელ კოლონისტებს აერთიანებდათ სამშობლოსაგან დამოუკიდებლობის მისწრაფებები, განურჩევლად იმისა, თუ როგორ მმართველობასთან ექნებოდათ საქმე — შეუზღუდველ ანუ აბსოლუტურ მონარქიასთან, კონსტიტუციურ მონარქიასთან თუ რესპუბლიკასთან. როდესაც ინგლისის დიდი რევოლუციის დროს, პურიტანების მიმართ კეთილგანწყობილი ხანგრძლივი პარლამენტი შეეცადა ახალი ინგლისის კოლონისტებისათვის განესაზღვრა ადგილობრივი მმართველობის სისტემა, ბოსტონში შემდგარმა მასაჩუსეტსის საკანონმდებლო კრებამ პროტესტი გამოთქვა: „ინგლისიდან მიღებული ბრძანება ეწინააღმდეგება ქარტიაში ჩამოყალიბებულ უფლებებს და, აგრეთვე, ჩვენ კეთილდღეობას... ინგლისმა ჩვენს მამებს მისცა თავისუფლება, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ და ახლა უნდა დავკარგოთ ის მაშინ, როდესაც თვითონ ინგლისში მკვიდრდება დემოკრატიული მმართველობა! ჩვენ გავუძელით ზღვის ქარიშხალს და ახლა ნავსაყუდელში უნდა დავიღუპოთ?... თქვენი გადაწყვეტილეაები... უვარგისი და მიუღებელია აქ“. ლონდონში ჩასულმა კოლონისტების წარმომადგენელმა განაცხადა: კოლონისტების სამოქალაქო უფლებები შეილახება, თუ პარლამენტი, რომელშიც ისინი არ არიან წარმოდგენილი, მიიღებს კოლონიებისათვის კანონებს. კოლონისტების ყველა მიმართვაში ნათქვამი იყო: დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე ჩამოყალიბებული ადგილობრივი მმართველობის შექმნა ჩვენი აუცილებელი უფლებაა.

წარუმატებელი იყო უკანასკნელი სტიუარტების მცდელობა დაერიგებინათ კოლონიების სიმდიდრე თავიანთი ფავორიტებისათვის, დაეწყოთ პურიტანების დევნა და დაემყარებინათ სამხედრო რეჟიმი: კოლონიები არ ემორჩილებოდნენ „ზემოდან“ დანიშნულ გუბერნატორებს და თანამდებობიდან აყენებდნენ მათ, მილიცია (სახალხო ლაშქარი) დამოუკიდებლად მოქმედებდა და აწყობდა თავდასხმებს წითელკანიან მოსახლეობაზე. XVII ს. დასაწყისში ამერიკაში მცხოვრები კოლონისტების რაოდენობა რამდენიმე ასეულიდან 200 000-მდე გაიზარდა. ყველგან დამყარდა მმართველობის ისეთი სისტემა, როგორც ინგლისში იყო: გუბერნატორების უფლებები შეიზღუდა საგუბერნიო

საბჭოებისა და სახალხო წარმომადგენლების პალატების მიერ. ამერიკაში განსაკუთრებით განვითარდა დამოუკიდებელი პრესა.

თითქმის არ ერეოდა რა კოლონიების მმართველობაში, მეტროპოლია ცდილობდა რაც შეიძლებოდა მეტი სარგებელი ენახა მათთან ვაჭრობითა და იქაური მრეწველობის ექსპლუატაციით. სანავიგაციო აქტით იკრძალებოდა კოლონიური ნაწარმის (თამბაქო, ბრინჯი, ბეწვეული და სხვა) სხვა ქვეყნებში გატანა, გარდა ინგლისისა; ამასთანავე, კოლონიებს მათთვის საჭირო პროდუქციები უნდა შეეტანათ მეტროპოლიიდან ან მისი შუამავლობით. ინგლისი ყოველნაირად ხელს უშლიდა კოლონიებში მანუფაქტურული მრეწველობის განვითარებას; მათ აუკრძალეს, სხვათა შორის, რკინის ნაწარმის დამზადება და ბეწვეულის დამუშავება.

გარკვეული მოსაზრებით, ინგლისს არ სურდა კოლონისტების გაღიზიანება პირდაპირი გადასახადების შემოღებით. მერკანტილური პოლიტიკის ქომაგს — უოლპოულს ღრმად სჯეროდა, რომ ინგლისის ხაზინის დანაკლისი ასმაგად ანაზღაურდებოდა ინგლისური ინდუსტრიის წარმატებების შედეგად. და მართლაც, კოლონიებისაგან იაფი ნედლეულის შესყიდვითა და კონკურენციის არარსებობის გამო, თავისი მანუფაქტურული ნაწარმის თვითნებურად მაღალ ფასებში ამერიკაში გაყიდვით, ინგლისი უდიდეს მოგებას ნახულობდა. ამგვარად, ამერიკა, როგორც იაფი ნედლეულის მიმწოდებელი და მეტროპოლიაში დამზადებული სამრეწველო ნაწარმის იძულებითი მყიდველი, ინგლისის ინდუსტრიის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს.

მაგრამ, რაც უფრო იზრდებოდა კოლონიების სიმდიდრე და შოსახლეობის რაოდენობა, მით უფრო ძნელდებოდა მათი დამორჩილება. პიტის შემტევმა პოლიტიკამ, რომელიც ითვალისწინებდა ინგლისის სავაჭრო საქმიანობის კიდევ უფრო გაზრდას, დააჩქარა განხეთქილება. ამერიკელი კოლონისტების დახმარებამ შესაძლებელი გახადა ფრანგების განდევნა ამერიკიდან და კანადის დაპყრობა. ამის შემდეგ ინგლისი კოლონიებისაგან დავალებული იყო. ამასთანავე, ფრანგებისა და მათი მხარდამჭერი ინდიელების სახით მეტროპოლიამ დაკარგა კოლონიების მოწინააღმდეგე ძალები. ბევრისათვის ცხადი გახდა კოლონიების სრული განთავისუფლების აუცილებლობა.

უკვე ამ დროისათვის კოლონიები, თითქმის, დამოუკიდებელნი იყვნენ. სანავიგაციო კანონების გვერდის ავლით, მათ კონტრაბანდული წესით გაჰქონდათ საქონელი, რასაც ინგლისი ვერ ეწინააღმდეგებოდა: ამერიკაში მოხმარებული ჩაის 9/10 კანონის დარღვევით იყო შესყიდული სხვა ქვეყნებში. 1688 წლის „სახელოვანი რევოლუციიდან" 80 წლის განმავლობაში, ამერიკის მოსახლეობა 200 000-დან 1 760 000-მდე გაიზარდა. გამოიანგარიშეს, რომ ყოველ 20 წელიწადში მისი მოსახლეობის რაოდენობა ორმაგდებოდა. ქვეყანაში სიღარიბე და მათხოვრობა თითქმის უცნობი იყო. ევროპასთან შედარებით შრომის ანაზღაურება გაცილებით დიდი იყო.

ამერიკის რევოლუცია და კოლონიების გამოყოფა. ჯორჯ III გამეფებისა (1760) და პიტის მთავრობის დამხობის შემდეგ (1768), ინგლისის პოლიტიკა კოლონიების მიმართ შეიცვალა. ახალმა მინისტრებმა გადაწყვიტეს შვიდწლიანი ომით გამოწვეული ხარჯების დიდი ნაწილი ამერიკისათვის დაეკისრებინათ. გარდა ამისა, სანავიგაციო კანონების შესრულებაზე მკაცრი კონტროლი დაეწესებინათ, კოლონიებში შეეყვანათ მუდმივი ჯარი და მათი, აგრეთვე ადმინისტრაციის შენახვისათვის აუცილებელი სახსრები კოლონიებისათვის გადაეხდევინებინათ. ამ განზრახვას პარლამენტის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა; მხოლოდ ზოგიერთი პარლამენტარი, მათ შორის ლორდი ჩეთემი (პიტი, რომელიც ზედა პალატის წევრი გახდა), იყო კოლონიების შევიწროებისა და მათთვის გადასახადების გადიდების წინააღმდეგი. კოლონიების მოსახლეობაც გარეშე ძალის — ინგლისის პარლამენტის მიერ (რომელშიც ამერიკელები არ იყვნენ წარმოდგენილნი) მიღებულ გადაწყვეტილებებს უსამართლოდ მიიჩნევდა და მძაფრ პროტესტს გამოხატავდა. ამერიკელები იბრძოდნენ იმ უფლებებისათვის, რომლებსაც ინგლისელები მოითხოვდნენ მეფისაგან დიდი რევოლუციის დროს; ინგლისის არისტოკრატია, რომლის ხელშიც იყო პარლამენტი, მათთვის წარმოადგენდა ისეთივე დესპოტურ ძალას, როგორც ადრე აბსოლუტური მონარქია იყო.

იმისათვის, რომ გადასახადებით შემდგომი დაბეგვრისათვის შეექმნა პრეცედენტი, ინგლისის მთავრობამ თავდაპირველად გადაწყვი-

ტა საგერბო გადასახადის შემოღება[1]. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო აღაშფოთა ამერიკელები; გადასახადის ამკრეფ მოხელეებს გარეთ აგდებდნენ, მათ სახლებს წვავდნენ, ინგლისიდან შემოტანილი ქაღალდის გადმოტვირთვის უფლებას არ აძლევდნენ, ყველა საქმიანობა ჩაკვდა, ვაჭრები კეტავდნენ დუქნებს, მილიცია უარს ამბობდა ემოქმედა ამბოხებული ხალხის წინააღმდეგ.

ინგლისმა თავდაპირველად დათმო — გააუქმა საგერბო გადასახადი, მაგრამ შემდეგ დააწესა ბაჟები ზოგიერთ შემოტანილ საქონელზე. ამერიკელებმა საპასუხოდ უარი განაცხადეს მეტროპოლიიდან შემოტანილი საქონლის ყიდვაზე; ხალხი კონტრაბანდისტებს თანაუგრძნობდა და ჯარისკაცებს წინააღმდეგობას უწევდა. ჩაით დატვირთულ გემებს არ ცლიდნენ, ბოსტონში კი ზღვაში გადაყარეს ოსტინდოეთიდან შემოტანილი ჩაის მთელი პარტია. ეს ფაქტი ცნობილია „ბოსტონური ჩაის სმის" სახელით. ინგლისში არ ცდილობდნენ ამ მოძრაობის წარმოშობის მიზეზებში გარკვევას და გადაწყვიტეს კიდევ უფრო გაეფართოებინათ გუბერნატორების ფუნქციები: მათ მისცეს ყველა მოხელის, მოსამართლეებისა და ნაფიცი მსაჯულების დანიშვნის უფლება, ხოლო დიდი დანაშაულობები ინგლისში უნდა განესაჯათ. პურიტანული მასაჩუსეტსის დათრგუნვის მიზნით, ბოსტონის ახალმა გუბერნატორმა მათი პარლამენტის სხდომები სხვა ადგილზე გადაიტანა. მაგრამ ბოსტონის პარლამენტმა მოასწრო დეპუტატების არჩევა, რომლებიც სხვა კოლონიების (სულ 13 კოლონია იყო) წარმომადგენლებთან ერთად შეიკრიბნენ **პირველ საკონტინენტო კონგრესზე** ფილადელფიაში (1774).

კონგრესმა გადაწყვიტა პროტესტი გამოეთქვა ჯარების შემოყვანაზე და ნაფიც მსაჯულთა უფლებების შეკვეცის გამო; მეტროპოლიაზე ზემოქმედების მიზნით, მთელს ამერიკაში აკრძალეს ინგლისური საქონლისა და ოსტინდოეთიდან შემოტანილი ჩაის შესყიდვა. თითქოსდა ყველაფერი სწორად იყო გაანგარიშებული: ინგლისის ექსპორტის 16 მლ. გირვანქა სტერლინგიდან 6 მლ. ამერიკაში გაჰქონ-

[1] საგერბო გამოსაღებით იბეგრებოდა ყოველივე ის, რაც დაკავშირებული იყო ქაღალდთან: წიგნები, გაზეთები, დოკუმენტები, აგრეთვე თითოეული სავაჭრო გარიგება. ამიტომ ამ გადასახადმა კოლონისტების დიდი უმრავლესობის ინტერესები შელახა.

დათ და მეტროპოლია ვერ უნდა შერიგებოდა ასეთ დანაკლისს. ინგლისის მთავრობამ კვლავ ძალის გამოყენებით არჩია საკითხის გადაწყვეტა: კოლონიებში სამხედრო წესები შემოიღო; გუბერნატორებისა და ამერიკაში მოღვაწე მოხელეების აზრით, კოლონისტები ვერ გაუძლებდნენ ინგლისის ჯარებთან შეჯახებას.

მიუხედავად ამისა, მასაჩუსეტში დაიწყეს შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება. 1775 წ. ზაფხულში ინსურგენტებმა ბოსტონში ალყაში მოაქციეს გუბერნატორი თავის ჯარებთან ერთად, ხოლო ფილადელფიაში ამ დროს მეორე კონგრესი შეიკრიბა (1775), რომელმაც დაადგინა ყოველგვარი ურთიერთობები გაეწყვიტათ ინგლისთან, გამოეშვათ ქაღალდის ფული 3 მლ. რაოდენობით და შეეკრიბათ ლაშქარი. ამერიკის ჯარების სათავეში დააყენეს ვირჯინიელი პლანტატორი ჯორჯ ვაშინგტონი. ინგლისელი დემოკრატები თანაუგრძნობდნენ ამერიკელებს. კვაკერი თომას პენი ამერიკაში გაემგზავრა. იგი ბროშურაში „ჯანსაღი აზრი" ამერიკელებს ურჩევდა ინგლისისაგან სრულად გამოყოფას. როდესაც კოლონისტებმა შეიტყვეს, რომ ამბოხების ჩასახშობად ინგლისში აგროვებდნენ დაქირავებულ ჯარისკაცებს (წვრილი გერმანელი მთავრებისაგან 18000 ჯარისკაცი დაიქირავეს), ინგლისისაგან სრული გამოყოფის მომხრეებმა, 1776 წლის 4 ივლისს, მიიღეს „დამოუკიდებლობის დეკლარაცია" და გამოაცხადეს დამოუკიდებლობა.

„დამოუკიდებლობის დეკლარაციაში", რომელიც ტომას ჯეფერსონის[1] მიერ იყო შედგენილი, ნათქვამია: „გვწამს, მტკიცება არ

---

[1] დიდმა სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, ფილოსოფოსმა და მოაზროვნემ. ტომას ჯეფერსონმა 33 წლის ასაკში დაწერა „დამოუკიდებლობის დეკლარაცია" და ამით უდიდესი წვლილი შეიტანა უძლიერესი დემოკრატიული სახელმწიფოს — აშშ-ს ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში.

თავად, ვირჯინიის შტატის მდიდარი მიწათმფლობელის ოჯახში დაბადებულმა ტომას ჯეფერსონმა, მრავალმხრივი განათლება მიიღო, იყო შტატის გუბერნატორი და ვირჯინიის საკანონმდებლო კრების დეპუტატი, აშშ-ს ელჩი საფრანგეთში, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი, სახელმწიფო მდივანი ჯორჯ ვაშინგტონის პრეზიდენტობის დროს, ხოლო მოგვიანებით, აშშ-ს რიგით მესამე პრეზიდენტი (1801-1809).

ტომას ჯეფერსონს ეკუთვნის „სტატუსი რელიგიის თავისუფლებისათვის", აგრეთვე. ნაშრომები ფილოსოფიაში, ლინგვისტიკაში, ბოტანიკაში, ზოოლოგიაში, გეოგრაფიაში, არქიტექტურაში, ეთნოგრაფიასა და პალეონტოლოგიაში, რის გამოც მას ბიოგრაფები „ამერიკელ ლეონარდო და ვინჩისაც" უწოდებენ.

სჭირდება იმ ჭეშმარიტებებს, რომ ღვთის გაჩენილი ყველა ადამიანი თანასწორია, რომ შემოქმედმა მათ გარკვეული ხელშეუვალი უფლებები მიანიჭა, და რომ ეს ღვთის მადლი სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერების ძიებებს მოიცავს; ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად ადამიანები აფუძნებენ მთავრობებს, რომლებიც სარგებლობენ იმ პირუთვნელი ძალაუფლებით, ქვეშევრდომნი თავისი ნება-სურვილით რომ უბოძებენ; როდესაც ნებისმიერი მთავრობა ამ მიზნების საპირისპირო ქმედებას იწყებს, ხალხი უფლებამოსილია შეცვალოს იგი, ან გადააყენოს და ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა... გამოცდილება გვასწავლის, რომ, თუ გასაჭირი გასაძლისია, ადამიანთა მოდგმა უფრო იმას ამჯობინებს — იტანჯოს, ვიდრე თავს უშველოს, ხელი გამოიღოს და უკუაგდოს მმართველობის ის სახეობა, რომელსაც უკვე მიეჩვია. მაგრამ, როდესაც ბოროტებისა და უკანონობის უწყვეტი ჯაჭვი ნიადაგ ერთ მიზანს ემსახურება — დაუმორჩილოს ისინი აბსოლუტურ დესპოტიზმს, მათ უფლება აქვთ და მოვალენი არიან, დაამხონ ასეთი მთავრობა და თავის მომავალ კეთილდღეობას ახალი მცველები მიუჩინონ". შემდეგ დეკლარაციაში ჩამოთვლილია ის მიზეზები, რომლებმაც ამერიკელებს ხელში ააღებინა იარაღი მეტროპოლიის წინააღმდეგ და რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი.

დეკლარაციაში გამოყენებულია XVIII ს. განმანათლებლების მიერ გამოთქმული განყენებული მოსაზრებები ადამიანის ბუნებრივი უფლებების შესახებ, მაგრამ ამავე დროს იგი ეყრდნობოდა XVII ს. ინგლისის რევოლუციების პრაქტიკულ მიღწევებს. ამის შესახებ თვით დეკლარაციის ავტორი აცხადებდა: „განზრახული გვქონდა არა ახალი პრინციპების აღმოჩენა, არა ისეთი მოსაზრებების გამოთქმა, აქამდე რომ აზრად არავის მოსვლია, არა ისეთი სიტყვების თქმა, დღემდე არავის რომ არ უთქვამს, არამედ ის, რომ ამ მოვლენის შესახებ (დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყების შესახებ — ვ.თ.) კაცობრიობის წინაშე საღი აზრი გამოგვეთქვა ისეთ გასაგებ და მტკიცე ენაზე, რომ მას ჩვენი მისწრაფება გაეზიარებინა"... დეკლარაცია მიზნად არ ისახავდა ორიგინალური პრინციპების ან აზრების ჩამოყალიბებას, თუმცა ის, არც რომელიმე ადრინდელი წყაროდან იყო გადაწერილი და წარმოადგენდა ამერიკელთა მისწრაფებების ანარეკლს.

დამოუკიდებლობისათვის ომი დიდხანს ამერიკელებისათვის წარუმატებლად მიმდინარეობდა. ისინი ვერ უწევდნენ წინააღმდეგობას ინგლისელების გაწვრთნილ და ორგანიზებულ ჯარებს. ვაშინგტონის მებრძოლების უმრავლესობა თანახმანი იყვნენ მცირე დროის განმავლობაში ემსახურათ სახალხო ლაშქარში; ლაშქრობის დროს ბევრი სახლში გარბოდა, ზოგჯერ მთელი პოლკებიც კი მიდიოდნენ; მათ ცუდად კვებავდნენ და აცმევდნენ. ასეთი არაორგანიზებული ჯარი თავდაპირველად თვითონ ირჩევდა თავის ოფიცრებს, არ ემორჩილებოდა საერთო მთავრობას, რომელსაც ამ დროს კონგრესი წარმოადგენდა. ამგვარი ჯარის ხელმძღვანელობისათვის საჭირო იყო ვაშინგტონისათვის დამახასიათებელი არაჩვეულებრივი მოთმინება და ტაქტი; მრავალი წარუმატებლობის მიუხედავად, მას შეეძლო კვლავ მოეკრიბა ძალები. თავის მხრივ ინგლისელებსაც მხოლოდ ზღვის სანაპირო ზოლში შეეძლოთ მოქმედება, რადგანაც ცოცხალ ძალას, სურსათსა და იარაღს ზღვიდან იღებდნენ; როგორც კი ინგლისელთა რაზმები ნაპირს მოწყდებოდნენ და ქვეყნის სიღრმეში შეჭრას შეეცდებოდნენ, მათ ალყაში აქცევდნენ და აიძულებდნენ დანებებულიყვნენ.

მნიშვნელოვანი გამარჯვება ამერიკელებმა **სარატოგასთან** (1777 წ. 17 ოქტომბერი) მოიპოვეს, რომლის შემდეგ მათ მხარეზე საომარ მოქმედებებში ჩაებნენ საფრანგეთი და ესპანეთი. ხოლო, როდესაც 1781 წლის 19 ოქტომბერს ვაშინგტონისა და ფრანგი გენერლის როშამბოს ჯარებმა **იორკთაუნთან** ალყაში მოაქციეს ინგლისელი მხედართმთავრის კორნვალისის არმია და აიძულეს ის კაპიტულაცია გამოეცხადებინა, საომარი მოქმედებები ფაქტიურად შეწყდა. მომდევნო წელს ინგლისი იძულებული გახდა დაეწყო საზავო მოლაპარაკებები.

ომის ბედი გადაწყვიტა იმან, რომ ამერიკელებს მოკავშირეები გამოუჩნდნენ; ისინი ინგლისელებს არ აძლევდნენ ზღვაზე თავისუფლად გადაადგილების საშუალებას. ინგლისელთა ბატონობამ ზღვებზე მთელს ევროპაში გაღიზიანება გამოიწვია, განსაკუთრებით საფრანგეთში, რომელმაც ყველა თავისი კოლონია დაკარგა, შემდეგ ესპანეთსა და ჰოლანდიაში; ეს სახელმწიფოები ხელსაყრელ შემთხ-

ვეას ელოდნენ, რათა ესარგებლათ ინგლისის გაჭირვებით. მაგრამ, ამავე დროს, ამერიკელების ომი დამოუკიდებლობისათვის ევროპის საზოგადოების ფართო წრეებში დიდ სიმპათიებს იწვევდა. ამერიკისადმი განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდნენ საფრანგეთში. კონგრესის მიერ მოსალაპარაკებლად პარიზში გაგზავნილი ფრანკლინი მასპინძლებმა დიდი პატივისცემით მიიღეს. ახალი იდეების მომხრენი ყოველი მხრიდან ჩადიოდნენ ამერიკაში: საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე მარკიზი ლაფაიეტი, შემდეგში ცნობილი სოციალისტი — უტოპისტი სენ-სიმონი. ბევრი მოხალისე იყო გერმანიიდან და პოლონეთიდან (მათ შორის პოლონეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე თ. კოსტიუშკო).

საფრანგეთმა ჯარები გაგზავნა ამერიკელთა დასახმარებლად, მაგრამ მან ინგლისელებს განსაკუთრებით ძნელი პრობლემები შეუქმნა სამხედრო-საზღვაო ფლოტით, რომელიც ვესტინდოეთში ინგლისის სამფლობელოებს ემუქრებოდა; ამ დროს ესპანელებმა გიბრალტარი ალყაში მოაქციეს. მტრული პოზიციები დაიკავეს სხვა სახელმწიფოებმაც: ეკატერინე II ომში ნეიტრალურ სახელმწიფოებს მოუწოდა დაედოთ შეთანხმება „შეიარაღებული ნეიტრალიტეტის" შესახებ იმ მიზნით, რომ სამხედრო კონტრაბანდის მოტივით ინგლისელებისათვის არ მიეცათ სხვა სახელმწიფოების გემების ჩხრეკისა და დაკავების შესაძლებლობა. კოლონიების წინააღმდეგ უძლური ინგლისი დიდ შემართებას იჩენდა დანარჩენი მეტოქეების მიმართ; **1783 წლის ვერსალის საზავო ხელშეკრულებით მან სცნო ამერიკის კოლონიების, ანუ ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა,** მაგრამ ყველა დანარჩენი კოლონია შეინარჩუნა.

თავი V. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია

1783 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1787 წლამდე, ფილადელფიის კონგრესამდე, ინგლისს ჩამოცილებულ ამერიკის კოლონიებს არ ჰქონდათ ერთიანი სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც მათ ერთმანეთთან მჭიდროდ დაეკავშირებდა. კონგრესმა პირველად გააერთიანა ისინი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში; კონგრესის მოწოდებით 1775-1778 წ.წ. ყველა შტატმა მიიღო კონსტიტუცია; 1781 წელს კონგრესმა შეიმუშავა „**კონფედერაციის სტატიები**" — **აშშ-ს პირველი კონსტიტუცია**, მაგრამ ერთიანი მტკიცედ ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრობლემა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. „კონფედერაციის სტატიების" მიხედვით (იგი 9 წლის განმავლობაში მოქმედებდა) კონგრესი, რომელშიც შტატებს თანაბარი ხმები ჰქონდათ, იყო ერთადერთი საერთო დაწესებულება; მაგრამ იგი ავტორიტეტით არ სარგებლობდა: მას არ შეეძლო ერთიანი საგადასახადო სისტემის შემოღება, რადგანაც ამისათვის საჭირო იყო ყველა შტატის თანხმობა, არ ჰქონდა ერთიანი ბიუჯეტი, რის გამოც ვერ იხდიდნენ ეროვნულ ვალს, რომელმაც ამ დროისათვის 40 მლ. დოლარს მიაღწია, მოწესრიგებული არ იყო ფულად-საფინანსო სისტემა...

ცალკეული შტატები ერთმანეთს ედავებოდნენ ინგლისისაგან წართმეულ დასავლეთის ახალ ტერიტორიებს, აზრთა სხვადასხვაობა ჰქონდათ ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგების საკითხებზე. ჩრდილოეთის შტატებს, ახალი ინგლისის კოლონიებს, რომლებიც ვაჭრობისაგან დიდ მოგებას ნახულობდნენ, სურდათ 1651 წლის სანავიგაციო აქტის განახლება და მასში გათვალისწინებული ღონისძიებებით ახლახან დამარცხებული მოწინააღმდეგის — ინგლისის კონკურენციისაგან ჩამოცილება; სამხრეთის პლანტაციური შტატები, პირიქით, უცხოელი ვაჭრების თავისუფლად შემოშვებას უჭერდნენ მხარს; მათ ეშინოდათ ჩრდილოეთის მონოპოლიებს თვითნებურად არ დაეწესებინათ ფასები საექსპორტო საქონელზე. ფულად-სავაჭრო საქმი-

ანობაში თითოეული შტატი თავისი შეხედულებებით ხელმძღვანელობდა: ნიუ-იორკმა, მეზობელი შტატების საზიანოდ, მაღალი საბაჟო გადასახადები დააწესა. არც ერთი საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე (მაგ. არხების გაყვანა და სხვა) არ გაკეთდებოდა, თუკი რომელიმე შტატი მისი წინააღმდეგი იყო.

მთავარსარდლობიდან გადადგომის დროს, ვაშინგტონმა მიმართვა გაუგზავნა შტატების საკანონმდებლო კრებებს, რომელშიც არსებულ ვითარებას უწოდებდა ანარქიას და ქვეყნის მომავლის ინტერესებისათვის მოუწოდებდა მათ შეექმნათ ძლიერი საკავშირო დაწესებულებები. ამ მიზნის განსახორციელებლად **1787 წლის 29 მაისს, ომის დამთავრებიდან 4 წლის შემდეგ, ფილადელფიაში შეიკრიბა კონვენტი და ვაშინგტონის ხელმძღვანელობით დაიწყეს აშშ-ს ფედერალური კონსტიტუციის** შექმნა. იმ დროს არსებული 13 შტატიდან კონვენტს ესწრებოდა 12 შტატის 55 დელეგატი. კონსტიტუციის პროექტი შეიმუშავეს დაახლოებით ოთხ თვეში. მას ხელი მოაწერა 55-დან 39 დელეგატმა. საკონსტიტუციო კონვენტის მუშაობა უმკაცრესი საიდუმლოების ვითარებაში მიმდინარეობდა: სხდომები ეწყობოდა დახურულ კარს მიღმა, ხოლო დელეგატებს ფიცი დაადებინეს იმის შესახებ, რომ დებატების შინაარსს არ გააცხადებდნენ. ასეთ სტერილურ ვითარებაში ეყრებოდა საფუძველი ამერიკის სახელმწიფოებრიობას.

დელეგატები იყვნენ ვაჭრები ახალი ინგლისიდან, მოსამართლეები შუა შტატებიდან, პლანტატორები სამხრეთიდან. მათგან ნახევარს წარმოადგენდნენ იურისტები ან სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც იურისპუდენციას ეუფლებოდნენ. დელეგატების 2/3 საკონტინენტო კონგრესში მოღვაწეობდა. მათი საშუალო ასაკი 42 წელს შეადგენდა; ბენჟამენ ფრანკლინი 81 წლის იყო, ყველაზე ახალგაზრდა დეიტონი – 27. რვა დელეგატს, 11 წლით ადრე, ხელი მოწერილი ჰქონდა დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე. ამოცანა რთული იყო: შტატებისათვის უნდა შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა და ამავე დროს უნდა უზრუნველეყოთ მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების დაცვა. ჩამოყალიბდა ორი პარტია: ფედერალისტები, ე. ი. ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მომხრენი, ჰამილტონის მეთაურობით და შტატების

ავტონომიური უფლებების დამცველნი, რომელთა შორის გამოირჩეოდა ჯეფერსონი. პირველები ჩრდილოეთში იყვნენ ძლიერნი, მეორენი — სამხრეთში. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, დელეგატებს აერთიანებდა საერთო ამერიკული კულტურა, საერთო ენა და კანონებისადმი საერთო პატივისცემა. მოწინააღმდეგეთა შეხედულებები გარკვეულწილად შეთანხმებული იქნა საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — კონგრესის შექმნით, რომელიც სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან შედგებოდა.

სენატი უზრუნველყოფდა კავშირში შტატების თანასწორობას: თავისი სიდიდისა და მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად, თითოეული შტატი სენატში ირჩევს ორ დეპუტატს 6 წლის ვადით; დეპუტატთა პალატა გამოხატავს საერთო ეროვნულ ინტერესებს, ამიტომ მასში შტატები წარმოდგენილნი არიან მოსახლეობის რაოდენობის პროპორციის მიხედვით. დეპუტატთა პალატის წევრებს 2 წლის ვადით ირჩევენ. კონგრესის არჩევნები ტარდება საყოველთაო და პირდაპირი ხმის მიცემით. მონა-ზანგებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ მონათმფლობელურ შტატებში მათი რაოდენობის 3/5 ემატებოდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვს. ცალკეული შტატების საკანონმდებლო დაწესებულებები იღებენ კანონებს, რომლებიც ადგილობრივ ინტერესებს გამოხატავენ, კონგრესი კი იცავს საერთო ეროვნულ ინტერესებს, განაგებს არმიისა და ფლოტის, ვაჭრობის, გადასახადების, ფოსტისა და გზების საკითხებს.

აშშ-ს პრეზიდენტს ირჩევენ 4 წლის ვადით (მეორედ არჩევის უფლებით) საყოველთაო, მაგრამ არაპირდაპირი, ორჯერადი, ანუ ირიბი არჩევნების გზით; თავდაპირველად შტატების მოსახლეობა ასახელებს ამომრჩევლებს, რომლებიც შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ერთ-ერთს ხმების უმრავლესობით ირჩევს. პრეზიდენტს შეუძლია ვეტო[1] დაადოს კონგრესის გადაწყვეტილებას, მაგრამ, თუ განმეორებით კენჭისყრისას პალატების 2/3 კვლავ დაიცავს თავის თვალსაზრისს, მაშინ პრეზიდენტის ვეტო ძალას კარგავს და კონ-

[1] ვეტო (ლათ. Veto — ვკრძალავ). სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის აკრძალვა საამისოდ უფლებამოსილი სხვა ორგანოს ან პირის მიერ.

გრესის ადრინდელი გადაწყვეტილება ძალაში რჩება. პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრებს (მდივნებს), რომლებიც მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი, იგი არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი; 1787 წლის კონსტიტუციაში აისახა მოძღვრება ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დანაწილების შესახებ.

კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1789 წელს, როდესაც ჯორჯ ვაშინგტონი აირჩიეს პირველ პრეზიდენტად. პრეზიდენტი დროებით ნიუ-იორკში და ფილადელფიაში ცხოვრობდა; შემდეგ მას გამოუყვეს ადგილი შტატებს გარეთ, კოლუმბიის განსაკუთრებულ ოლქში. პირველი პრეზიდენტის საპატივსაცემოდ რეზიდენციას შემდეგ ვაშინგტონი უწოდეს.

ამერიკის შეერთებული შტატების დამაარსებელი „მამები" ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ საზოგადოებრივი განვითარება, ცხოვრებისეული პრაქტიკა, ზოგიერთ კონსტიტუციურ კანონს ანაქრონიზმად აქცევდა და ამიტომ საჭირო გახდებოდა მათი შეცვლა.[1] მაგრამ ამავე დროს, ისინი კარგად აცნობიერებდნენ იმასაც, რომ ეს პროცესი არც რთული და არც ზედმეტად გამარტივებული არ უნდა ყოფილიყო. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა არ შეიძლება ხმების უბრალო უმრავლესობით; ამისათვის საჭიროა კონგრესის ორივე პალატის დეპუტატთა 2/3 და შტატების 3/4 თანხმობა. ფედერალური სასამართლოც იცავს კონსტიტუციას, იგი ადგენს, შეესაბამება თუ არა ახალი კანონები ძირითად (კონსტიტუციის) კანონებს, განიხილავს ადმინისტრაციის მიერ ამერიკის მოქალაქეთა უფლებების დარღვევის შემთხვევებს.

არსებობის 200 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აშშ-ს კონსტიტუციაში სულ 27 შესწორება შეიტანეს. ფაქტიურად შესწორების პროცედურა 17-ჯერ ჩატარდა. გამოხატავდა რა ფართოდ გავრცელებულ აზრს პიროვნების კონკრეტული უფლებების დაფიქსირებ-

---

[1] 1787 წლის კონსტიტუციაში დეკლარირებული თანასწორუფლებიანობის პრინციპი ვრცელდებოდა მხოლოდ საკუთრების მფლობელ თეთრკანიან მამაკაცებზე. მონობა რჩებოდა, წითელკანიანებს (ინდიელებს), მიუხედავად იმისა, რომ ისინი მონები არ იყვნენ, პოლიტიკური უფლებები არ გაჩნდათ. არც ქალებს ჰქონდათ პოლიტიკური საქმიანობის შესაძლებლობა, მათი სამოქალაქო უფლებებიც შეზღუდული იყო და ა. შ.

ის აუცილებლობის შესახებ, პირველ კონგრესზე ერთბაშად 12 შესწორება შეიტანეს, აქედან 10 რატიფიცირებული იქნა 1791 წლის 15 დეკემბერს. ამ შესწორებებმა შეადგინეს „ბილი უფლებათა შესახებ"; მასში ნათქვამია: 1) კონგრესმა არ უნდა მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც კრძალავენ რწმენის, სიტყვის, პრესის, პეტიციების წარდგენის უფლებებს; 2) რადგანაც თავისუფალი სახელმწიფოს თავდაცვის ინტერესები მოითხოვენ კარგად ორგანიზებულ ლაშქარს, იარაღის ტარებისა და შენახვის უფლებები არ უნდა შეიზღუდოს; 3) მშვიდობიანობის დროს არც ერთი ჯარისკაცი არ შეიძლება ჩაყენებული იქნას ბინაში სახლის მეპატრონის თანხმობის გარეშე; ომის დროს კი ეს უნდა მოხდეს კანონის შესაბამისად; 4) ხალხის უფლებები პიროვნების, საცხოვრებელი ბინის, ფასიანი ქაღალდების და ქონების ხელშეუხებლობის შესახებ არ შეიძლება დარღვეულ იქნას დაუსაბუთებელი ჩხრეკებითა და დაპატიმრებებით. ჩხრეკაზე ან დაპატიმრებაზე ორდერი არ გაიცემა საკმარისი სამხილების გარეშე, რომლებიც განმტკიცებული იქნება ფიცით ან საჯარო განცხადებით. ასეთ ორდერში მითითებული უნდა იყოს ჩხრეკის ზუსტი ადგილი, აგრეთვე დასაპატიმრებელი პირი და საკონფისკაციო ქონება; 5) არავინ არ შეიძლება მიცემულ იქნას პასუხისგებაში დიდი ჟიურის ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილების გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება სახმელეთო და საზღვაო ძალების ან სახალხო ლაშქრის მონაწილეებს, თუ ისინი ომის დროს იმყოფებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში; არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ჩვენება თავისი თავის წინააღმდეგ; სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების გარეშე არ შეიძლება ხელყოფილ იქნას არავისი სიცოცხლე, ქონება და თავისუფლება; სამართლიანი ანაზღაურების გარეშე, საზოგადოებრივი საჭიროებისათვის არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ქონება; 6) სისხლის სამართლით ბრალდებულს ყველა შემთხვევაში აქვს უფლება მოკლე დროში გასამართლებული იქნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ იმ შტატში ან ოლქში, სადაც ჩადენილ იქნა დანაშაული; ბრალდებულს აქვს უფლება იმისა, რომ წარედგინოს საბრალმდებლო დასკვნა და მოითხოვოს დაპირისპირება მასთან, ვინც მის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას; ბრალდებულს

უფლება აქვს ძალით გამოიძახოს თავისი მოწმეები და აიყვანოს დამცველი; 7) ის სასამართლო საქმე, რომლის სარჩელი 20 დოლარს აღემატება, განსჯილი უნდა იქნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე; 8) არ უნდა იქნას მოთხოვნილი დიდი სათავდებო თანხა და ჯარიმები; სასჯელი არ უნდა იყოს ზედმეტად მკაცრი და არაჩვეულებრივი; 9) კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარკვეული უფლებები არ უნდა იქნას გაგებული როგორც ხალხის მიერ დაცული სხვა უფლებების უარყოფა ან დაკნინება; 10) ის უფლებამოსილებანი, რომლებიც ამ კონსტიტუციით არ შედის შეერთებული შტატების კომპეტენციაში და გააჩნიათ ცალკეულ შტატებს, განხორციელებულ იქნას შტატების ან ხალხის მიერ.

კონსტიტუციის იმ შესწორებებს შორის, რომლებიც შემდეგ მოხდა, გამოირჩევიან: მე-13 (1866) — ზანგების სამოქალაქო უფლებების შესახებ, მე-14 (1868) — რომლის თანახმად ყველა აშშ-ში დაბადებული ან აქ ნატურალიზებული ითვლებოდა აშშ-ის და იმ შტატის მოქალაქედ, სადაც ის ცხოვრობდა; ცალკეულ შტატებს ეკრძალებოდათ კავშირის მოქალაქის უფლებებისა და პრივილეგიების შეზღუდვა; მე-15 (1870) — საარჩევნო უფლებები ეძლეოდა ყველა მამაკაცს განურჩევლად რასობრივი კუთვნილებისა; მე-16 (1913) — ფედერალური საშემოსავლო გადასახადის დაწესების შესახებ; მე-17 (1913) — დაკანონდა სენატორების პირდაპირი არჩევა; მე-19 (1920) — ქალებს მიეცა საარჩევნო ხმის უფლება, 22-ე (1951) — შეიზღუდა პრეზიდენტის პოსტზე ყოფნა ორი ოთხწლიანი საარჩევნო ვადით. აქამდე ეს წესი ტრადიციას ეყრდნობოდა და ზოგჯერ გამონაკლისსაც ჰქონდა ადგილი (მაგ. ფრანკლინ რუზველტი ოთხჯერ აირჩიეს პრეზიდენტად); 24-ე (1964) — საერთოეროვნულ ფედერალურ არჩევნებში მონაწილეობის უფლებისათვის აუცილებელი გადასახადი გაუქმდა; 26-ე (1971) — საარჩევნო ასაკობრივი ცენზი შემცირდა 21-დან 18 წლამდე. 1933 წელს შეიტანეს 21 შესწორება მე-18 შესწორების (რომლის თანახმად შემოიღეს ალკოჰოლური სასმელების ამკრძალავი „მშრალი კანონი“) გაუქმების შესახებ.

აშშ-ს კონსტიტუციაში შესწორების შეტანა სცადეს 1989 წელს, უმაღლესი სასამართლოს დადგენილების შემდეგ. ამ დადგენილების

თანახმად საჭირო იყო კონსტიტუციის პირველი შესწორების კორექტირება, რადგანაც იგი იცავდა იმ პირებს, რომლებიც პროტესტის ნიშნად აშშ-ს დროშას წვავდნენ. პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ დროშის შეურაცხყოფა, როგორც პროტესტის გამოხატულების ფორმა, მიუღებელია და სთხოვა კონგრესს სათანადო ცვლილებები შეეტანა კონსტიტუციაში. ეს თხოვნა უარყვეს.

ორი საუკუნის წინ, როდესაც საკონსტიტუციო კონვენტის დელეგატები განიხილავდნენ აშშ-ს სენატის უფლებებსა და მოვალეობებს, ჯეიმზ მედისონმა სენატს უწოდა „აუცილებელი ბარიერი". იგი კონგრესის ზედა პალატაში ხედავდა ხალხის ინტერესების დაცვის საუკეთესო ინსტრუმენტს. კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება განაწილებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო დაწესებულებებს შორის, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ერთმანეთის საქმიანობას და კანონით გათვალისწინებულ საზღვრებში აქცევდნენ მას. ჩამოთვლის რა პრეზიდენტის მოვალეობებს, კონსტიტუცია ორჯერ ზღუდავს აღმასრულებელი ხელისუფლების ავტორიტეტს შენიშვნით „სენატის რჩევითა და თანხმობით". 1787 წლის ადრინდელ პროექტში გათვალისწინებული იყო კონგრესის მიერ პრეზიდენტისა და სასამართლო ორგანოების არჩევა; უფრო გვიანდელი ვარიანტის მიხედვით ყველა ფედერალური მოსამართლის დანიშვნის უფლება უნდა ჰქონოდა სენატს; ზოგნი ამას პრეზიდენტის პრეროგატივად მიიჩნევდნენ. ბოლოს ეს მნიშვნელოვანი საკითხი დამთავრდა კომპრომისით: ფედერალურ მოსამართლეებს ნიშნავს პრეზიდენტი „სენატის რჩევითა და თანხმობით".

სენატს აქვს **იმპიჩმენტის** — თანამდებობრივი დანაშაულის გამო პრეზიდენტის სასამართლოზე გადაცემის (რომელსაც შეიძლება მოჰყვეს პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენება) უფლება. ბენჟამენ ფრანკლინი ამბობდა, რომ იმპიჩმენტის გარეშე დამნაშავე პრეზიდენტის პოსტიდან გადასაყენებლად ერთადერთი საშუალება რჩება — მისი მოკვლა, ე. ი. მეთოდი, რომელიც მას წაართმევს არა მარტო სიცოცხლეს, არამედ დაცვის შანსსაც. კონსტიტუცია წარმომადგენელთა პალატას აძლევს უფლებას აღძრას სასამართლოში საქმე იმპიჩმენტის წესით, სენატს კი — მიიღოს გადაწყვეტილება დანაშაულის

შემცველობის თაობაზე. იმპიჩმენტის შესახებ საქმეს არჩევს მხოლოდ უმაღლესი ფედერალური სასამართლო.

პრეზიდენტისაგან ვიცე-პრეზიდენტისადმი ძალაუფლების გადაცემა რეგლამენტირებულია აშშ-ს კონსტიტუციით. მასში ნათქვამია: „პრეზიდენტის თანამდებობიდან ჩამოშორების ან მისი გარდაცვალების, გადადგომის, ან უფლება-მოვალეობების შესრულების უუნაროობის შემთხვევაში, მისი ფუნქციები გადადის ვიცე-პრეზიდენტის ხელში; პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან ერთდროულად ჩამოშორების ან გარდაცვალების შემთხვევაში კონგრესს შეუძლია მიიღოს კანონი, რომელშიც მითითებული იქნება, თუ რომელი თანამდებობის პირი შეასრულებს პრეზიდენტის მოვალეობებს იმ დრომდე, სანამ არ იქნება აღმოფხვრილი ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან პრეზიდენტს თავის ხელისუფლების შესრულებაში ან არ იქნება არჩეული ახალი პრეზიდენტი“. ეს დებულება დაზუსტდა და შეიესო 25-ე შესწორებით, რომელიც კონგრესმა მიიღო 1963 წელს პრეზიდენტ კენედის მოკვლისთანავე. შესწორება ითვალისწინებს სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების ბედის გადაწყვეტისათვის, დამატებითი განხილვის აუცილებლობის შემთხვევაში, კონგრესის შეკრებას 48 საათის განმავლობაში და პრობლემის საბოლოოდ მოგვარებას 21 დღეში. აშშ-ს ისტორიაში რვა შემთხვევა იყო, როდესაც გარდაცვლილი პრეზიდენტების ადგილს იკავებდნენ ვიცე-პრეზიდენტები; შვიდი ვიცე-პრეზიდენტი მოკვდა ამ პოსტზე და მხოლოდ ერთი — სპირო აგნიუ გადადგა 1973 წელს. 25-ე შესწორების მე-3 და მე-4 განყოფილებები ავსებენ კონსტიტუციის იმ ხარვეზებს, რომელიც ეხება პრეზიდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებას მისი ავადმყოფობის დროს. პრეზიდენტი ჯონ ჰარფილდი 1881 წლის 2 ივლისს მძიმედ დაჭრეს და იმავე წლის 19 სექტემბერს გარდაიცვალა. 80 დღის განმავლობაში იგი კომატოზურ მდგომარეობაში იყო და ამ ხნის მანძილზე მას არავინ არ ცვლიდა. 1919 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა მძიმე ინსულტი გადაიტანა, რომლისაგანც იგი თავისი პრეზიდენტობის ვადის დასასრულამდე — 1921 წლამდე ვერ გამოჯანმრთელდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში პრეზიდენტის მოვალეობას მისი მეუღლე

ასრულებდა. 25-ე შესწორებებმაც ვერ დაიცვა უმაღლესი ადმინისტრაცია ქაოსისაგან კრიტიკულ შემთხვევაში, 1981 წელს, როდესაც პრეზიდენტ რეიგანზე მოეწყო თავდასხმა, სახელმწიფოს მდივანმა ა. ჰეიგმა მოულოდნელად გამოაცხადა, რომ მთელს ძალაუფლებას თვითონ იღებდა, თუმცა მას ამის უფლება არ ჰქონდა. ასეთი განცხადებისათვის მას თანამდებობის დატოვება მოუხდა.

აშშ-ს კონსტიტუციაში სათანადო ადგილი ეთმობა მოქალაქის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების დაცვას. მართალია, „ბილი უფლებათა შესახებ"-ში არაფერია ნათქვამი ქვეყნის შიგნით მოქალაქის თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის სურვილისამებრ არჩევის შესახებ, მაგრამ ფაქტიურად ამერიკელები ამ უფლებებით დიდი ხანია სარგებლობენ. პოლიციის მუშაკები ისჯებიან სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით, თუ ისინი დაარღვევენ მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებს.

ფედერალური კანონმდებლობა და შტატების კანონები სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს უმძიმესი დანაშაულისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით აკრძალულია არაჩვეულებრივი სასჯელით დამნაშავის დასჯა, ზოგჯერ სასამართლო დამნაშავეს უსჯის 200, 300 და მეტი წლით თავისუფლების აღკვეთას.

აშშ-ს კონსტიტუცია კრძალავს მოქალაქეთა წოდებებად დაყოფას. უფრო ვრცლად სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების თაობაზე ნათქვამია 1944 წელს რუზველტის მიერ გამოცემულ ბილში ეკონომიკური უფლებების შესახებ: „ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ პიროვნების ნამდვილი თავისუფლება არ შეიძლება არსებობდეს ეკონომიკური უზრუნველყოფისა და დამოუკიდებლობის გარეშე. მატერიალურად გაჭირვებული ადამიანი არ არის თავისუფალი ადამიანი". 1935 წელს კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც ითვალისწინებს უმუშევართათვის დახმარებას, მოხუცებულებისათვის პენსიების დანიშვნას, ბრმებისა და ობოლი ბავშვებისათვის სახელმწიფო დახმარებას და ა. შ. 1987 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი ხანდაზმულობის გამო სამუშაოზე დისკრიმინაციის შესახებ, რომელიც კრძალავს პენსიაზე ძალდატანებით გაშვებას.

არჩევნების დროს ამერიკელები ირჩევენ არა მარტო კონგრესმენებს, სენატორებს, გუბერნატორებსა და პრეზიდენტებს, არამედ ბევრ შტატში იმავდროულად მონაწილეობენ ამა თუ იმ კანონპროექტის ბედის განსაზღვრაში. თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა მათ მოიწონებს, კანონპროექტი კანონად იქცევა. ამგვარი სახალხო გამოკითხვა პრაქტიკაში დაინერგა 90 წელზე მეტი ხნის წინ და იქცა თანამედროვე ამერიკული დემოკრატიის დამახასიათებელ ნიშნად.

აშშ-ს კონსტიტუციამ განახორციელა პოლიტიკური თანასწორობა, ხალხის უზენაესობა და უზრუნველყო ადამიანთა პირადი თავისუფლება. ამიტომ ევროპაში ახლადფეხადგმული დემოკრატია მხურვალედ მიესალმებოდა ამერიკის განთავისუფლებას.

თავი VI. საფრანგეთის დიდი რევოლუცია

§1. საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა რევოლუციის დაწყებამდე

საფრანგეთმა თავის ძლიერების მწვერვალს მიაღწია „მეფე მზის" ლუი XIV დროს (1643-1715), მაგრამ ამავე პერიოდში თავი იჩინეს იმ სიმპტომებმა, რომლებმაც საფრანგეთი დიდ რევოლუციამდე მიიყვანეს. მართალია, ლუი XV დროს (1715-1774) პოლიტიკურ მმართველობაში არაფერი არ შეცვლილა, მაგრამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ნათლად მიუთითებდა იმაზე, რომ არსებული რეჟიმის აღსასრული ახლოვდებოდა. ნაცვლად იმისა, რომ საღი გონებით გაეანალიზებინა არსებული მდგომარეობა და მიეღო სათანადო ზომები ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად, ლუი XV უაზრო ომებს აწარმოებდა: ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომში იგი ესმარებოდა ხან პრუსიას, ხან პირიქით — ავსტრიას პრუსიის წინააღმდეგ; შვიდწლიან ომში (1756-1763) კი ავსტრიელებთან ერთად ებრძოდა პრუსიას. ამ დროს ერთიმეორის მიყოლებით ინგლისი მას ართმევდა კოლონიებს და ასუსტებდა მის საზღვაო ძლიერებას. საშინაო პოლიტიკაშიც ძველებურ მეთოდებს იყენებდა: ძალმომრეობით და ფარული თვალთვალით ცდილობდა თავისუფალი აზროვნების ყოველგვარი გამოვლინების ჩახშობას. სწორედ ამიტომ გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნეები თავიანთ პოლიტიკურ და სამეცნიერო ნაშრომებს საზღვარგარეთ — ჰოლანდიაში, ინგლისში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში ბეჭდავდნენ. ის პალიატიური ხასიათის რეფორმებიც კი (გადასახადების სამივე წოდებაზე გადანაწილება, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების როლის ამაღლება და სხვა), რომლებსაც მეფის სასახლის კარს სთავაზობდნენ მინისტრები მარკიზი დ'არჟანსონი და მაშო, პრივილეგირებული წოდების — თავადაზნაურობისა და სამღვდელოების უკმაყოფილების გამო, უყურადღებოდ რჩებოდა. ყოველივე სიახლისადმი ასეთი დამოკიდებულება ლუი XVI (1774-1792) დროსაც გრძელდებოდა.

3. საფრანგეთი XVII ს. მეორე ნახევარში.

პრივილეგირებული წოდებები. რევოლუციის წინ საფრანგეთში სამი წოდება იყო: პირველი — სამღვდელოება, მეორე — თავადაზნაურობა, მესამე — მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი. პირველი და შეორე წოდებები შეადგენდნენ პრივილეგირებულ ანუ გაბატონებულ წოდებებს. ისინი მონარქიას ემსახურებოდნენ ლოცვითა და დაშნით,

ხოლო მესამე წოდება — თავისი შრომითა და ქონებით. პრივილეგირებული წოდებების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ უმაღლეს სახელმწიფო და საეკლესიო თანამდებობებზე, არმიაში ოფიცერთა შემადგენლობაც ამ წოდებებს ეკუთვნოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თავადაზნაურობა და სამღვდელოება რაოდენობრივად საფრანგეთის მოსახლეობის მცირე ნაწილს შეადგენდა (1+-ზე ცოტა მეტს), მათი შემადგენლობა არაერთგვაროვანი იყო. მაშინ, როდესაც არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები და უმაღლესი სამღვდელოების სხვა წარმომადგენლები ფეოდალური არისტოკრატიის წრიდან ინიშნებოდნენ, დაბალი სამღვდელოება ძირითადად გლეხობიდან და ბურჟუაზიის რიგებიდან იყო. მღვდლები თავიანთი ცხოვრების წესით, მატერიალური მდგომარეობით და ურთიერთკავშირითაც კი, უფრო ახლოს იყვნენ თავიანთი სოფლის მრევლთან — გლესებთან, ვიდრე საეკლესიო იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომ პირველი წოდების წარმომადგენლებთან.

თავადაზნაურებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. დიდგვაროვანი აზნაურების ძირითადი საქმიანობა კვლავ სამხედრო საქმე იყო, ამიტომ მათ „დაშნის აზნაურებს" უწოდებდნენ, ხოლო აზნაურების იმ ნაწილს, რომლებსაც თავიანთი სოციალური მდგომარეობა ფულით ჰქონდათ მოპოვებული — „მანტიის აზნაურებს" (ისინი იყვნენ მოსამართლეები, კანცელარიის მოხელეები... და ატარებდნენ მანტიას — წამოსასხამს), იყვნენ, აგრეთვე, სოფლის გაღატაკებული აზნაურები.

ფეოდალური არისტოკრატიის მრავალათასიანი შემადგენლობა არ კმაყოფილდებოდა გლეხების ტრადიციული ფორმებით ექსპლუატაციით და მეფისაგან იღებდა სხვადასხვა სინეკურულ თანამდებობებს, პენსიებს, სუბსიდებს და სხვა, რომლებიც მკვეთრად აუარესებდნენ გლეხების ისედაც დუხჭირ ცხოვრებას; რევოლუციამდელ პერიოდში სახელმწიფო ხაზინისაგან მხოლოდ პენსიების სახით ისინი იღებდნენ 28 მლ. ლივრს, რაც იმ დროისათვის მეტად დიდი თანხა იყო.

პრივილეგირებული წოდებების წარმომადგენლები სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასახადებს არ იხდიდნენ, წარმოადგენდნენ პარაზიტულ და რეაქციულ ძალას, მონარქიის დასაყრდენს.

ინგლისელი ფეოდალებისაგან — „ახალი თავადაზნაურებისაგან“ განსხვავებით, საფრანგეთის თავადაზნაურობას სათაკილოდ მიაჩნდა ვაჭრობისა და მრეწველობისათვის ხელის მოკიდება, მაგრამ რევოლუციამდე, ამ მხრივაც, გარკვეული ცვლილებები შეიმჩნეოდა. თანდათანობით სულ უფრო მატულობდა იმ თავადაზნაურთა რიცხვი, რომლებსაც თავიანთი მეურნეობები კაპიტალისტურ ყაიდაზე გადაჰყავდათ, აარსებდნენ კაპიტალისტურ საწარმოებს, ებმებოდნენ კოლონიურ საქმიანობაში. ეს „ახალი თავადაზნაურები“ თავიანთი ცხოვრების წესითა და პოლიტიკური შეხედულებებით უფრო მეტ საერთოს პოულობდნენ მსხვილ ბურჟუაზიასთან, ვიდრე ძველ ფეოდალურ-აბსოლუტისტურ საზოგადოებასთან.

მესამე წოდება. მესამე წოდება საფრანგეთის მოსახლეობის 98+ შეადგენდა. მასში შედიოდნენ ბურჟუაზია, მუშები, გლეხები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები და სხვა. პირველი და მეორე წოდებებისაგან განსხვავებით ისინი პოლიტიკურად უუფლებონი იყვნენ, ე. ი. არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბურჟუაზია. რევოლუციის წინ საფრანგეთის ბურჟუაზია გახდა ყველაზე ძლიერი, ყველაზე მდიდარი და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი კლასი. მის ხელში იყო თავმოყრილი დიდი რაოდენობით კაპიტალი, იგი ფლობდა სამრეწველო საწარმოებს და მნიშვნელოვანი რაოდენობით მიწებს, აწარმოებდა საშინაო და საგარეო ვაჭრობას. ეკონომიკური სიძლიერის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ამ ახალი კლასის პრეტენზია მიეღო მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მართალია, ძირითადად ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ გადასახადების ამკრეფნი, ინტენდანტები, მაგრამ ეს არ იყო მათთვის საკმარისი. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ მთავრობის საქმიანობით: დიდძალი თანხა იხარჯებოდა სასახლის კარის გარეგანი ბრწყინვალების შესანარჩუნებლად, თავადაზნაურთა პენსიებზე და უამრავ საჩუქრებზე, სინეკურულ თანამდებობებზე. ამ ხარჯებს ძირითადად ბურჟუაზიისაგან აღებული სესხებით ფარავდ-

ნენ, რაც კრედიტორების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა — მთავრობის გაკოტრების შემთხვევაში მათ ხომ ეს თანხები დაეკარგებოდათ.

სხვადასხვა ხელშემშლელი პირობების მიუხედავად, საფრანგეთის ბურჟუაზიამ დიდძალი სიმდიდრე დააგროვა და გაძლიერდა, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ზღვისპირა და სამრეწველო ქალაქებში: მარსელში, ბორდოში, ნანტში, პარიზში. ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა ხმელთაშუა ზღვისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მცირე აზიაში, სირიასთან და ეგვიპტესთან; ვესტინდოეთის კუნძულებზე გაჰქონდათ ფრანგული სამრეწველო ნაწარმი და ღვინო, იქიდან კი მოჰქონდათ კოლონიური პროდუქტები, ბრინჯი, შაქარი, თამბაქო, საღებავები; დიდ მოგებას იღებდნენ მონებით ვაჭრობით, რომლებიც აფრიკიდან ჩაჰყავდათ საფრანგეთის კოლონია სანტო-დომინგოში (კ. ჰაიტი).

საფრანგეთის ეკონომიკური წარმატებები განპირობებული იყო კერძო მეწარმეთა ენერგიული, გამჭრიახი, მოქნილი საქმიანობით. მათ თავიანთი კვალი დააჩნიეს მეცნიერებას და ხელოვნებას, საფუძველი დაუდეს ახალ არქიტექტურულ სტილს; დიდ ქალაქებში ანგრევდნენ მთელ კვარტალებს ვიწრო მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით და გაჰყავდათ ფართო პროსპექტები, აშენებდნენ მრავალსართულიან ლამაზ სახლებს, რომელთა მფლობელები ძირითადად ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ.

შრომისმოყვარე, მომჭირნე და გერგილიან ბურჟუებს სულ უფრო მეტად აღიზიანებდათ სახალხო დოვლათის უაზრო ხარჯვა, პრივილეგირებული წოდებების წარმომადგენელთა ფუქსავატური ცხოვრება. მათი აზრით, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ერთადერთი გზა არსებობდა: გადასახადების თანაბარი გადანაწილება ყველა წოდებაზე და პრივილეგირებულთა მამულების, განსაკუთრებით საეკლესიო მიწების, გაყიდვა.

ბურჟუაზიის მოღვაწეები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ მათი ინტერესები ემთხვეოდა მთელი მშრომელი მოსახლეობის, გლეხებისა და მუშების ინტერესებს. ამიტომ ისინი ერთიანი „მესამე წოდების“ სახელით გამოდიოდნენ, თუმცა სინამდვილეში მესამე

წოდება სხვადასხვა ინტერესების მქონე ფენებისაგან შედგებოდა, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდნენ ქონებრივი მდგომარეობით და განათლებით. მაგრამ მუშები ჯერ კიდევ მხარში ედგნენ ბურჟუაზიას.

გლეხობა. XVIII საუკუნის II ნახევარში საფრანგეთი აგრარული ქვეყანა იყო. მისი მოსახლეობის 90+ (25 მლ.) გლეხები შეადგენდნენ. მათი მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა ევროპის სხვა ქვეყნების გლეხობასთან შედარებით თავისებურებებით გამოირჩეოდა; მაგ., ინგლისში ვილანები განთავისუფლების შემდეგ მიწის მოიჯარადრეებად, მოგვიანებით კი მიწის დაქირავებულ მუშებად იქცნენ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი განთავისუფლებული გლეხი კვლავ ბატონყმური ურთიერთობების მარწუხებში ექცეოდა.

საფრანგეთში გლეხები ჯერ კიდევ XVI საუკუნეში განთავისუფლდნენ. მხოლოდ საეკლესიო მიწებზე მცხოვრები ყმა გლეხების, სერვების, მდგომარეობა რჩებოდა უცვლელი. განთავისუფლებული გლეხების უმრავლესობა მიწის კერძო მესაკუთრეები გახდნენ, მაგრამ სხვადასხვა ფეოდალურ ვალდებულებებს (ძირითადი გადასახადების სახით) მაინც ასრულებდნენ. ძირითადი საბატონო გადასახადები იყო ჩინში — მუდმივი გამოუსყიდავი გადასახადი, შამპარი — ხორბლის მოსავლის ნაწილი, არსებობდა აგრეთვე გადასახადები ქონების ყიდვა-გაყიდვის დროს, ფეოდალის მიწებზე არსებული გზებით, ხიდებით, მემამულის წისქვილით სარგებლობისათვის, მდინარეზე ბორნით გადასვლისა და სხვა ბანალიტეტური გადასახადები.

ძირითადი სამეფო გადასახადი იყო: ტალია (ქონებაზე), კაპიტაცია (სულადობრივი), მეოცედი (საშემოსავლო), აგრეთვე, ღვინოზე და მარილზე (გაბელი) გადასახადები.

ეკლესიის სასარგებლოდ გლეხი იხდიდა „მეათედს“ — მიწიდან მიღებული მოსავლის მეათედს, არსებობდა „პერსონალური“ მეათედებიც, რომლითაც იბეგრებოდა სამრეწველო საქმიანობით მიღებულ მოგებაზე გადასახადი.

მიწის მესაკუთრე გლეხების გარდა იყვნენ მიწის მოიჯარადრე

გლეხები, რომლებიც მოსავლის ნახევარს სენიორს უხდიდნენ.სენიორი ამით არ კმაყოფილდებოდა და შემოსავლის გაზრდის მიზნით ცდილობდა თავისი მიწების მსხვილი მოიჯარისათვის ერთიანად გადაცემას, რაც გლეხთა გარკვეულ ნაწილს აიძულებდა მიეტოვებინა სოფელი და წასულიყო ქალაქში სამუშაოს საძებნელად.

სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების კვალობაზე, გლეხთა საერთო მასას გამოეყოფოდნენ კულაკები, რომლებიც თავის მხრივ უმიწო გლეხების ექსპლოატაციას ეწეოდნენ. მაგრამ, რადგანაც ფეოდალურ-აბსოლუტისტური რეჟიმი ყველა კატეგორიის გლეხებისათვის საძულველი იყო, ისინი ერთად გამოდიოდნენ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

პლებეები. მესამე წოდების მნიშვნელოვან ნაწილს, ბურჟუაზიასთან და გლეხობასთან ერთად, შეადგენდნენ პლებეები — მუშები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, უმუშევრები, შემთხვევითი სამუშაოს მქონენი, ღარიბ-ღატაკები, რომლებიც დიდი ქალაქების გარეუბნებში ცხოვრობდნენ. ამ კატეგორიის ხალხის სოციალურ ინტერესებს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა.

ლუი XIV დროს, ფინანსთა გენერალური კონტროლიორის, კოლბერის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, გაიზარდა მუშათა რაოდენობა. მათი ცხოვრების პირობები კიდევ უფრო გამკაცრდა. დადგენილი სამუშაო წესებისაგან ოდნავი გადახრაც კი პოლიციის მიერ სასტიკად ისჯებოდა (მანუფაქტურის მუშები ემორჩილებოდნენ პოლიციის მოსამართლეებს). საფაბრიკო დისციპლინის ყოველგვარი დარღვევა განიხილებოდა როგორც საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. მუშაობის დროს მუშებს ერთმანეთთან ლაპარაკისა და, როგორც იტყვიან, თავის მობრუნების უფლებაც კი არ ჰქონდათ. ნედლეულისა და შრომის იარაღის უმნიშვნელო დანაკარგი განიხილებოდა როგორც ქურდობა. ყოველ შაბათს მუშა უხდიდა გარკვეულ თანხას საწარმოს მფლობელს იმ მწირი ულუფისათვის, რომელიც მას ყოველდღიურად ეძლეოდა. მკაცრად იყო განსაზღვრული მუშის ქცევის ნორმები არასამუშაო დროსაც: ათი საათისათვის იგი აუცილებლად სახლში უნდა ყოფილიყო, უნდა

შეენახა საწარმოს საიდუმლოება, ეკრძალებოდა სხვა მუშებთან ერთად ქეიფი და ა. შ.

უზრუნველყოფდა რა მეწარმეებს მორჩილი მუშახელით, მთავრობა ჩვეულებრივ ნორმად მიიჩნევდა დაბალი კლასისათვის იძულებით შრომას; მაგ., როდესაც სამეფო ფლოტისათვის საჭირო იყო დიდი რაოდენობით მენიჩბეები, „ზემოდან" მითითებით მოსამართლეები მცირეოდენი დანაშაულისათვისაც კი დამნაშავეებს გალერებზე, კატორღულ სამუშაოზე აგზავნიდნენ.

ცხოვრების ასეთი მძიმე პირობები აიძულებდა პლებეებს — მოსახლეობის ყველაზე ღარიბ და უუფლებო ნაწილს — შეუპოვრად ებრძოლა ფეოდალურ-აბსოლუტისტური წყობის წინააღმდეგ.

§2. განმანათლებლობა. რევოლუციის იდეოლოგიური წანამძღვრები

გაბატონებულ წოდებებსა და ხალხის უმრავლესობის — მესამე წოდებას შორის არსებული უთანხმოების ნაპრალი თანდათანობით იზრდებოდა, რაც თავის გამოხატულებას იდეოლოგიურ ბრძოლაშიც ჰპოვებდა. მხატვრულ ლიტერატურაში, პუბლიცისტიკაში, ფილოსოფიურ ნაწარმოებებში, სულ უფრო მკვეთრად აკრიტიკებდნენ ვერსალის სასახლის მოჩვენებით ბრწყინვალეებას და, საერთოდ, სახელმწიფო მართვის სისტემას.

ინგლისთან ლუი XIV დამარცხებამ (ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში) საფრანგეთის საზოგადოებრივი ყოფისადმი კრიტიკული ტენდენციების დამკვიდრებას შეუწყო ხელი. ყველა მოაზროვნე ფრანგის წარმოდგენაში ინგლისი იყო საუკეთესო წესრიგის მქონე ქვეყანა, სადაც თითოეულ ადამიანს შეეძლო თავისი ბუნებრივი მონაცემების ცხოვრებაში რეალიზება. საფრანგეთის მოსახლეობაში ამგვარი რწმენას ანმტკიცებდნენ ემიგრანტ ჰუგენოტები, რომლებმაც ინგლისში ჰპოვეს თავშესაფარი. ისინი თარგმნიდნენ და საფრანგეთში ავრცელებდნენ ინგლისური ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენლების დენიელ დეფოს, ტომას მორის, ბეკონის, ლოკის საუკეთესო

ნაწარმოებებს. ფრანგების აზრით, ინგლისელები იყვნენ ისეთი თვისების მქონენი, რომელთაგან ბევრი რამის სწავლა და გადმოღება შეიძლებოდა.

გაბატონებული კლასების საუკეთესო წარმომადგენლებიც კი ცდილობდნენ კრიტიკული თვალით შეეხედათ მეფის სასახლის გარეგანი ფასადის შიგნით, აგრეთვე, საერთოდ, საფრანგეთში არსებულ ვითარებისთვის და თავიანთ ნაშრომებში გამოემზეურებინათ შემჩნეული ნაკლოვანებები. მაგ., ლუი XIV ცნობილი **მარშალი დე ვობანი** თავის ნაშრომში „სამეფო მეათედის პროექტი" ქვეყნისათვის მთავარ ბოროტებად მიიჩნევდა გადასახადების არათანაბარ განაწილებას. პირველი ორი წოდების პრივილეგიების შეზღუდვას მოითხოვდა მეფის მოხელე პიერ ბუაგილბიერი თავის ნაწარმოებში „საფრანგეთი ლუი XIV მეფობის დროს". ლუი XIV საუკუნის საფრანგეთის შეულამაზებელი სურათი დახატა თავის მემუარებში ძველი არისტოკრატიის სახელოვანმა წარმომადგენელმა **ჰერცოგმა დე სენ-სიმონმა (1760-1825)**. იგი დარწმუნებული იყო, რომ მემუარები მისი სიცოცხლის განმავლობაში არ გამოქვეყნდებოდა (სრულად გამოქვეყნდა 1829-1830 წწ.) და ამიტომ, ყოველგვარი მორიდების გარეშე, აღწერდა აბსოლუტური რეჟიმის ნაკლოვანებებს.

აბსოლუტური მმართველობა და, საერთოდ, ფეოდალური წყობის კრიტიკა გახდა იმდროინდელი ფრანგული მხატვრული ლიტერატურის იდეური საფუძველი. სამღვდელოებისა და ფეოდალური არისტოკრატიის მორალური და ესთეტიკური გადაგვარება ბრწყინვალედ ასახა **მოლიერმა** (1622-1673) თავის კლასიკურ კომედიებში „მიზანთროპი", „ტარტიუფი" და სხვ. **ჟან დე ლაბრიუერმა** (1645-1696) ერთადერთ ნაწარმოებში „ამ საუკუნის ხასიათები და ზნეობა", რომელიც 1688წ. დაიბეჭდა და ავტორის სიცოცხლეშივე არაერთხელ გამოიცა, დაუნდობლად, მწვავედ გააკრიტიკა აბსოლუტური სისტემა, მისი მთავარი ნიშნები და მოღვაწენი. „სასახლის კარზე წარმატებების მისაღწევად სხვა არაფერია საჭირო გარდა ნამდვილი და ბუნებრივი თავხედობისა" — წერდა იგი.

ლაბრიუერის დასახელებულ ნაწარმოებში გამოთქმულმა მოსაზრებებმა დიდი გავლენა მოახდინა თავისი დროის ცნობილ მწერალ ფენელონზე

(1651-1715), რომელიც სამეფო ტახტის მემკვიდრის, ლუი XIV შვილიშვილის აღმზრდელი იყო. ამიტომ გასაგებია ის დიდაქტიკური ხასიათი, რომელიც მისი ნაშრომებისთვისაა დამახასიათებელი. ფენელონის მრავალრიცხოვან ნაწარმოებებს შორის განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა მის „ტელემაქეს თავგადასავალს“ (გამოიცა 1699 წ.) და „მკვდრების დიალოგს“. ამ ნაწარმოებებში ავტორი გვევლინება განათლებული აბსოლუტიზმის აპოლოგეტად. მოგვიანებით, „კამიზარების აჯანყებისა“ და ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომში საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, ფენელონი პირად წერილებში კონსტიტუციური მონარქიის შესახებ იდეას უჭერს მხარს.

ლაბრიუერის გავლენა განიცადა, აგრეთთვე, ცნობილმა ფრანგმა მწერალმა **ლესაჟმა** (1668-1747). მის მრავალრიცხოვან პიესებსა და რომანებს შორის განსაკუთრებით ცნობილია რომანები „კოჭლი ეშმაკი“ (1707) და „სანტილიანელი ჟილ ბლაზის თავგადასავალი“ (იბეჭდებოდა ნაწილ-ნაწილ 1715-1735 წწ.). ამ და სხვა ნაწარმოებებში მწერალმა გვიჩვენა იმდროინდელი ფეოდალური არისტოკრატიის დეგრადაცია.

წოდებრივი ინტერესების საპირისპიროდ, მზარდმა ეროვნულმა თვითშეგნებამ ასახვა ჰპოვა მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლის **შარლ პეროს** (1628-1703) შემოქმედებაში, კერძოდ, მის ცნობილ ზღაპრებში: „წითელქუდა“, „კატა ჩექმებში“, „თხუნია გოგონა“ და სხვ. პეროს სააშკარაოზე გამოჰქონდა ფეოდალური საზოგადოების მორალური ნაკლოვანებები.

განმანათლებლები. საფრანგეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილი დაინტერესებული იყო ახალი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი გარეგნული ნიშნების შესახებ არა მარტო სწორი და ზუსტი ინფორმაციის მიღებით, არამედ ცდილობდა მოვლენების არსში ჩაწვდომას, მათ შორის არსებული კავშირების კანონზომიერებების დადგენას, საგნებისადმი მეცნიერული თვალთახედვის ჩამოყალიბებას, ადამიანთა და ბუნების ისტორიიდან ყოველივე იმის ამოგდებას, რაც ხელს უშლიდა წარსულის მეცნიერულ შესწავლას. ასეთ არადოგმატიკურ, არასქოლასტიკურ მიდგომას საგნებისა და მოვლენებისადმი

ფილოსოფიურს უწოდებდნენ, გერმანელები კი — განმანათლებლობას (Aufklerung). განმანათლებლები — ფილოსოფოსები, მწერლები, ეკონომისტები ანათლებდნენ ხალხს და ამით იდეურ საფუძვლებს უმზადებდნენ მომავალ რევოლუციას.

ვოლტერი. მონტესკიე. ძველი თაობის განმანათლებლების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ვოლტერი და მონტესკიე.

მარი ფრანსუა არუე, რომელიც წერდა ფსევდონიმით ვოლტერი (1694-1778) იყო დიდი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული, ენციკლოპედიური განათლების მქონე მწერალი. იგი თანაბარი წარმატებით მოღვაწეობდა როგორც პოეტი, დრამატურგი, ბელეტრისტი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ფიზიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი. იეზუიტების ყოფილი მოწაფე, ვოლტერი ვერ ეგუებოდა ამ სასულიერო ორდენის მიერ დაწესებულ აკრძალვებს და ადამიანის აზრის მოქცევას ავტორიტეტების მიერ განსაზღვრულ ჩარჩოებში.

თავის შემოქმედებაში ვოლტერი ქადაგებდა ჰუმანურობას, დასცინოდა ჩამორჩენილობას და ამპარტავნობას. იგი თითქმის ყველა ჟანრში წერდა, მაგრამ მისი ტრაგედიები განსაკუთრებული ოსტატობით გამოირჩევა. „ბრუტუსი", „კეისრის სიკვდილი", „ზაირი", „ალზირი", „მუჰამად", „სემირამიდა" და სხვა უდიდესი პოპულარობით სარგებლობდნენ. მის კალამს ეკუთვნის 57 პიესა, აქედან 27 ტრაგედიაა.

ვოლტერმა შექმნა შესანიშნავი ისტორიული თხზულებები: „ლუი XIV საუკუნე", „პეტრე პირველის დროინდელი რუსეთის იმპერიის ისტორია", „კარლოს XII ისტორია", ფილოსოფიური ნაშრომები: „ნიუტონის ფილოსოფიის საფუძვლები", „ტრაქტატი რჯულთშემწყნარებლობის შესახებ" და სხვ., ფილოსოფიური რომანები „კანდიდი", „ზადიგი" და სხვ., რომლებშიც დახვეწილი იუმორით დასცინის და ებრძვის კათოლიკურ ეკლესიას, აბსოლუტური რეჟიმის სიმკაცრეს და ძალადობას, არისტოკრატიის კუდაბზიკობას და უნიჭობას. საყოველთაოდ ცნობილ „ორლეანელ ქალწულში" ვოლტერი დასცინის კათოლიკობას, მის მოძღვრებას და კულტებს.

მართალია, ვოლტერი განადიდებდა გონებას და ებრძოდა რელიგიურ ფანატიზმს, მაგრამ იგი არ იყო მატერიალისტი; მისი დამოკ-

იდებულება რელიგიისადმი დეისტურ ხასიათს ატარებდა. ამათრახებდა რა ეკლესიას, კათოლიციზმს, ეკლესიის მსახურთ, ამავე დროს ვოლტერი აუცილებლად მიიჩნევდა რელიგიის არსებობას ხალხის დასამორჩილებლად. „ღმერთი რომ არ ყოფილიყო, იგი უნდა გამოგვეგონებინაო“ — ამბობდა იგი. მას ეშინოდა ბრბოსი და სძულდა უბრალო ხალხი: „ესენი (დაბალი ფენების ადამიანები — ვ. თ.) ხარებია, რომელთაც უნდა ულელი, მეხრე და საჭმელი“, ან კიდევ „თუ შავი ხალხი დაიწყებს განსჯას, მაშინ ყველაფერი დაიღუპებაო“.

ვოლტერის პოლიტიკური შეხედულებები ზომიერებით გამოირჩევა. იგი წოდებრივი დაყოფისა და თვითმპყრობელური მმართველობის წინააღმდეგი იყო, მხარს უჭერდა ბურჟუაზიულ თავისუფლებებს. მაგრამ მას დემოკრატიული რეფორმების გატარება „ზემოდან“ უნდოდა, დიდი ხნის განმავლობაში აიდეალებდა აბსოლუტიზმს,[1] მიწერ-მოწერა და მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა პრუსიის მეფე ფრიდრიხ II, რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II, შვედეთის, დანიისა და პოლონეთის მეფეებთან. მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში ვოლტერი უპირატესობას ანიჭებდა კონსტიტუციურ მონარქიას და ზოგჯერ რესპუბლიკასაც კი. ვოლტერის სახელი კაცობრიობის ისტორიაში რჩება, როგორც ფანატიზმის, უსამართლობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო.

ინგლისური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობის დიდი თაყვანისმცემლის მონტესკიეს (1689-1755) შეხედულებები მკვეთრად განსხვავდება ვოლტერისაგან. ფილოსოფიურ რომანში „სპარსულ წერილებში“ (1721), რომელიც ეპისტოლიარული ფორმით არის დაწერილი (სპარსული არისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენლები უზბეკი და მისი მეგობრები ერთმანეთს წერილებით უზიარებენ საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს), იგი სასტიკად დასცინოდა საფრანგეთში არსებულ მმართველობის მთელ სისტემას, განსაკუთრებით ლუი XIV დროს. „სპარსული წერილების“ გამოცემით მონტესკიემ საფუძველი ჩაუყარა

[1] „განათლებული აბსოლუტიზმის“ თეორიის მიხედვით ხალხის ფართო მასას არ ძალუძს მართოს თავისი საკუთარი საქმეები. ამისათვის საჭიროა, რომ მათ სათავეში ედგას განათლებული მონარქი.

განმანათლებელთათვის დამახასიათებელ ფილოსოფიური რომანის ჟანრს. შინაარსისა და ფორმის მიხედვით ამ ნაწარმოებმა მაშინვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. „სპარსულ წერილებს", ფრანგული აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართულ მძაფრ სატირას, დიდი წარმატება ხვდა წილად და მას მრავალი მიმბაძველი გაუჩნდა.

მონტესკიე წარმოშობით „მანტიის აზნაურებს" მიეკუთვნებოდა. იგი წლების განმავლობაში იყო ბორდოს პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი და მოვლენებს საპარლამენტო კონსერვატიული ოპოზიციის თვალსაზრისით აფასებდა. წიგნში „მსჯელობანი რომაელთა დიდებისა და დაცემის მიზეზთა შესახებ" (1734), მონტესკიე განადიდებს ძველ რომაელებს, განსაკუთრებით მოსწონს მათი რესპუბლიკური ხასიათები; მისი გმირი ბრუტუსია. კეისარი მას სძულს. თავის ერთ-ერთ მთავარ ნაშრომში „კანონთა სულის შესახებ" (1748) მონტესკიე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გეოგრაფიულ ფაქტორს სახელმწიფო მმართველობისა და ხალხის ხასიათის ჩამოყალიბებაში. მისი აზრით, ცხელი კლიმატური პირობები იწვევს სიზარმაცეს, თრგუნავს მოქალაქეობრივ სიმამაცეს და ხელს უწყობს დესპოტიზმს; სამხრეთელები უფრო რბილი, დამთმობი, გაწონასწორებული ხასიათის ადამიანები არიან, ჩრდილოეთელებისათვის კი დამახასიათებელია მეამბოხე სული, თავისუფლებისმოყვარეობა, თავშეუკავებლობა. ასეთი თვალსაზრისის გამო მონტესკიე ითვლება სოციოლოგიაში ე. წ. გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებლად.

მმართველობის საუკეთესო ფორმად მონტესკიე მიიჩნევს მონარქიას, ხოლო მონარქიის დესპოტიზმში გადაზრდის თავიდან აცილებისა და პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებად – ხელისუფლების განაწილებას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს შორის. ყველაფერი დაიღუპება, თუ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები ერთი კაცის ხელში იქნება თავმოყრილი, რადგანაც ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტირანიის გაბატონებას. ამიტომ არ შეიძლება პარლამენტის (საკანონმდებლო ხელისუფლების) დეპუტატი მეფემ მინისტრად (აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლად) დანიშნოს.

მონტესკიე არსებული სახელმწიფოებრივი სისტემის თანდათანობით, რეფორმის გზით შეცვლას მოითხოვდა. იგი იყო ლიბერალი, მაგრამ იმ დროს, როდესაც საფრანგეთში აბსოლუტიზმი არსებობდა, მის პროგრესულ იდეებს, მის ბრძოლას დესპოტიზმის წინააღმდეგ, მომავალ თაობებზე დიდი გამარევოლუციონერებელი გავლენა ჰქონდა. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ იაკობელთა ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე მარატი, მონტესკიეს თავის მასწავლებლად მიიჩნევდა.

ენციკლოპედისტები. ვოლტერი და მონტესკიე იმ თაობას ეკუთვნოდნენ, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვდა ლუი XIV დრო. მათი საქმის გამგრძელებლები მოესწრნენ აბსოლუტური მონარქიის მზის ჩასვენებას. ისინი ბევრი პრობლემის გადაწყვეტას უფრო რადიკალური მეთოდებით მოითხოვდნენ, ვიდრე მათი მასწავლებლები, განსაკუთრებით რელიგიის საკითხებში. თუ ვოლტერი აღიარებდა დეიზმს, დიდრო, დ' ალამბერი, ჰელვეციუსი, ჰოლბახი უარყოფდნენ სამყაროს საწყისად ღმერთს და მატერიალისტურ თვალსაზრისს ემხრობოდნენ. მათ სურდათ სამყაროს ყველა მოვლენა მეცნიერულ საფუძველზე აეხსნათ. ამ მიზნით, დიდროს ინიციატივით, რომელსაც მხარი დაუჭირეს საფრანგეთის გამოჩენილმა მწერლებმა და მეცნიერებმა, 1751 წელს დაიწყეს „მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელოსნობის დიდი ენციკლოპედიის" გამოცემა. ენციკლოპედიაში თავმოყრილი იყო ცნობები არა მარტო XVIII საუკუნის მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის მიღწევების შესახებ, არამედ იგი შეიცავდა იმდროინდელი საფრანგეთის მოწინავე საზოგადოების პოლიტიკურ და ფილოსოფიურ ნააზრევს და, ამგვარად, სახელწოდება „ენციკლოპედისტები" აღნიშნავდა გარკვეულ მიმართულებას. ენციკლოპედიის რედაქტორები იყვნენ დიდრო და დ' ალამბერი.

ენციკლოპედიის გამოცემა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. პირველივე ტომების გამოსვლისთანავე იეზუიტებმა და იანსენისტებმა[1]

[1] იანსენიზმი — კათოლიციზმის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის ავტორია პოლანდიელი ღვთისმეტყველი კ. იანსენი (1585-1638). იანსენიზმში რელიგიური ფორმით გამოვლინდა ბურჟუაზიული წრეების ოპოზიცია ფეოდალიზმის მიმართ.

დაიწყეს თავდასხმები; აბატები, რომლებიც სტატიებს ათავსებდნენ ენციკლოპედიაში, იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ საფრანგეთი, ანდა ბასტილიის ციხეში ხვდებოდნენ. სამღვდელოების მოთხოვნით, სამეფო საბჭომ მიიღო დადგენილება ენციკლოპედიის პირველი ორი ტომის განადგურების შესახებ, რადგანაც მათში მოთავსებული წერილები ეწინააღმდეგებოდნენ რელიგიას და მეფის ხელისუფლებას. ექვსი წლის შემდეგ, როდესაც ენციკლოპედიის თანამშრომლის ჰელვეციუსის ნაშრომი „სულის შესახებ" ცალკე წიგნად გამოვიდა, სამეფო საბჭომ აკრძალა გამოცემული ტომების გაყიდვა და ახლის დაბეჭდვა. მთელი რიგი სიძნელეების მიუხედავად ენციკლოპედიის გამოცემა დამთავრდა 1765 წელს.

ენციკლოპედიის საერთო იდეა გაცხადებულია დიდროს შესავალ სტატიაში; მეცნიერი მოუწოდებდა საზოგადოებას ბრმად არ გაეზიარებინათ ავტორიტეტების შეხედულებები და დამოუკიდებელი კვლევისა და საფუძვლიანი კრიტიკის საფუძველზე შეემუშავებინათ საკუთარი აზრი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. დიდროს სტატიებში მეცნიერული მსოფლმხედველობის სიკეთის სხვადასხვა ასპექტზეა საუბარი, აღნიშნულია, რომ ცოდნა უდიდესი ძალაა საზოგადოების მატერიალური და ზნეობრივი სრულყოფისათვის.

ამ მიმართულების სხვა ავტორები, ენციკლოპედიაში მოთავსებულ სტატიებთან შედარებით, უფრო მკვეთრად გამოხატავდნენ თავიანთ შეხედულებებს ცალკეულ ნაშრომებში. ლონდონში და ამსტერდამში გამოცემულ თავის წიგნებში კონდილიაკი, ანვითარებდა რა ლოკის მოსაზრებებს, ამტკიცებდა, რომ კაცობრიობა სამყაროს შეიცნობს ერთადერთი გზით — შეგრძნებით; თანდაყოლილი ცნებები არ არსებობს, ადამიანის სული სუფთა ფურცელია, რომელზეც გარეგანი შთაბეჭდილებები გარკვეულ სურათებს ხატავს. ასეთ სენსუალიზმს (ლათ. Sensus — გრძნობა), შეერთებულს ნიუტონის თეორიასთან, მეორე თაობის ფრანგი განმანათლებლები მატერიალიზმისა და ათეიზმის აღიარებამდე მიჰყავდა. მიზიდულობის თეორიის თანახმად, ამბობდნენ ისინი, მატერიის ძირითადი თვისება მოძრაობაა; იმ დროს, როდესაც ვოლტერი, დეისტებთან ერთად, აღიარებდა სამყაროს შექმნისათვის პირველი გარეგანი (ღმერთისაგან მომდინარე)

ბიძგის აუცილებლობას, დიდრო, ჰელვეციუსი და სხვები უარყოფდნენ ასეთ გარეშე ძალას.

ამ თვალსაზრისს კიდევ უფრო მკვეთრად ანვითარებდა ჰელვეციუსი თავის წიგნში „ადამიანის შესახებ“ (1769), რომელიც მრავალ ენაზე თარგმნეს. მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ადამიანის ხასიათს განაპირობებენ გარემო პირობები, აღზრდა და საზოგადოებრივი წყობა. საზოგადოებრივი ცხოვრება ისე უნდა მოეწყოს და ისეთი კანონები უნდა იქნას მიღებული, რომლებიც შეესაბამებიან მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს; მხოლოდ კარგი კანონები ქმნიან შემოქმედ ადამიანებს. ასეთივე აზრებს ანვითარებდა ჰოლბახი „ბუნების სისტემა“-ში, რომელიც 1770 წელს გამოაქვეყნა მირაბოს ფსევდონიმით. მისი თვალსაზრისით, მატერია ჩვენგან დამოუკიდებელი რეალობაა, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება გრძნობის ორგანოებზე. მოძრაობა მატერიის თვისებაა. აბსოლუტური მოძრაობა არ არსებობს; უმიზეზოდ არაფერი არ ხდება, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ადამიანის აქტივობას; სამყარო შეუცნობადია, რადგან იგი უსასრულოა. საზოგადოებრივი უბედურებების მიზეზს ჰოლბახი თანამედროვე მმართველობის უუნარობით, გულგრილობით, მომხვეჭელობით და უსამართლობით ხსნის.

ახალი თაობის განმანათლებლები აღმავალი ბურჟუაზიისათვის დამახასიათებელი თვისებების შესაბამისი საზოგადო მოღვაწენი იყვნენ. ისინი არ ემორჩილებოდნენ სასახლის კარისა და სენიორების სურვილებს. **დიდრო და დ’ ალამბერი** ლიტერატურული საქმიანობით ირჩენდნენ თავს, ხშირად პურის ფულიც კი არ ჰქონდათ, მაგრამ მაინც უარს ეუბნებოდნენ უცხო სახელმწიფოთა მმართველებს მათთვის სასარგებლო წინადადებებზე.

ფიზიოკრატები. XVIII ს. მეორე ნახევრიდან მოღვაწეობას იწყებენ ახალი მიმართულების ეკონომისტები (კენე, დიუპონ დ’ ნემური, ტიურგო და სხვა), რომლებიც, ისევე როგორც ბურჟუაზიის ყველა იდეოლოგი ამ საუკუნეში, თავიანთ თეორიას აფუძნებენ „ბუნებრივი უფლებების“ და „ბუნებრივი კანონების“ პრინციპებზე, რაც უპირველესად გულისხმობდა თავისუფალი ვაჭრობისა და თავისუფალი

მრეწველობის განვითარებას, ე. ი. მთავრობა არ უნდა ჩარეულიყო ვაჭართა და მრეწველთა საქმიანობაში. მათი აზრით, მხოლოდ კონკურენციის თავისუფლება და შეუზღუდავი ეკონომიკური ინიციატივისათვის ხელშეწყობა შეესაბამებოდა „ბუნებრივ კანონებს". ლუი XV ექიმი კენე და ლუი XVI მინისტრი ტიურგო გამოყოფდნენ წარმოების ერთ დარგს — მიწათმოქმედებას, რომელიც მათი აზრით, ყველაზე მეტად შეესაბამებოდა „ბუნების მოთხოვნებს". მიწა ყოველგვარი სიმდიდრის ერთადერთი წყაროა; მხოლოდ მიწაზე შრომას მოაქვს „სუფთა შემოსავალი"; არც ვაჭრობა და არც მრეწველობა არ ქმნის ზედმეტ ღირებულებას. ასეთი ეკონომიკური მოძღვრების მომხრეებს ფიზიოკრატები უწოდეს (ბერძ. phisis — ბუნება და kratos — ძალა, ხელისუფლება, ბატონობა). ფიზიოკრატები მოითხოვდნენ გლეხების განთავისუფლებას ფეოდალური ვალდებულებებისაგან, აგრეთვე ყველა სხვა შეზღუდვების გაუქმებას, რომლებიც ხელს უშლიდნენ თავისუფალ ვაჭრობას, მონოპოლიების, ამქრული გაერთიანებების მოსპობას და ა. შ.

ფიზიოკრატები კაპიტალისტურ წყობილებას ბუნებრივად და მარადიულად მიიჩნევდნენ. ისინი საზოგადოებას ყოფდნენ სამ კლასად: 1) მწარმოებლური კლასი ანუ სოფლის მეურნეობით დასაქმებულნი; 2) მესაკუთრეთა კლასი (მიწის რენტის მიმღები); 3) „უნაყოფო" კლასი, ე. ი. ადამიანები, რომლებიც დასაქმებული არიან სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, გარდა მიწათმოქმედებისა.

ფიზიოკრატები, ისევე როგორც ფრანგი განმანათლებლების უმრავლესობა, სათანადო რეფორმების გატარებაზე იმედებს აბსოლუტურ მონარქიაზე ამყარებდნენ.

დემოკრატიული იდეოლოგია. XVIII საუკუნის 70-80-იან წლებამდე საფრანგეთის საზოგადოებაში დემოკრატიული იდეები ნაკლებად იყო გავრცელებული. საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას ზემოდან, ძალაუფლებით აღჭურვილი განათლებული რეფორმატორისაგან მოელოდნენ, ზოგიერთები კი (მონტესკიე და სხვები) შეუზღუდავი მონარ-

ქიის წინააღმდეგი იყვნენ და არისტოკრატიის ძველი პრივილეგიების დამცველებად გამოდიოდნენ.

მოსახლეობის დაბალი ფენების ინტერესებზე, მათ უფლებებზე, ერთეულები თუ ფიქრობდნენ, მაგრამ მათი ხმა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". 1760 წელს ვოლტერმა დაბეჭდა ყველასათვის უცნობი სოფლის მღვდლის **ჟან მელიეს (1664-1729)** ანდერძი, რომელიც მანამდე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. ამ ნაწარმოებში განმანათლებლებმა დაინახეს დედამიწაზე სამართლიანობაში იმედგაცრუებული მღვდლის მკაცრი კრიტიკა რელიგიისა და, საერთოდ, უმეცრებისა. ვოლტერმა „ანდერძიდან" ამოაგდო და არ დაბეჭდა ბევრი რამ, რაც მის ავტორს წარმოაჩენდა როგორც უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლს და ღარიბთა ინტერესების ერთგულ დამცველს. მელიე მიმართავდა უბრალო ხალხს: „თქვენ ურჩხულით გაშინებენ, მაგრამ იცოდეთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ თქვენთვის იმაზე მეტი ბოროტი და ნამდვილი ურჩხული, იმაზე მეტი მტერი არ არსებობს, ვიდრე წარჩინებული და მდიდარი ბატონები არიან, იმიტომ, რომ ისინი თქვენ გქელავენ ფეხებით, გაწამებენ და უბედურებამდე მიჰყავხარო"; მათ ინტერესებს იცავენ „უსამართლო" მოსამართლეები, ზედამხედველნი, გადასახადების ამკრეფნი, გაღატაკებული ბერები და ა. შ. მელიე მოუწოდებს ხალხს აიღონ იარაღი ხელში და გარეკონ „ტირანები და ხუცები", შეცვალონ ისინი კარგი მმართველებით. დედამიწაზე ბედნიერების მიღწევა შესაძლებელია; მიწა საკმარის პროდუქტს იძლევა ყველას დასაკმაყოფილებლად; საჭიროა მხოლოდ მასზე საერთო მფლობელობის დაწესება.

თანამედროვე საზოგადოებრივი წყობის ბოროტებად **მორელისაც** მიწაზე კერძო საკუთრება მიაჩნდა. მისი აზრით, მხოლოდ მაშინ დამყარდებოდა ამქვეყნიური სამართლიანობა, როდესაც მიწა და მისი ნაყოფი საზოგადოების ხელში მოექცეოდა. „ბუნების კოდექსში" (1755) იგი დაწვრილებით აღწერდა საზოგადოებრივ წყობას, რომელიც მომავალ იდეალურ სახელმწიფოში უნდა ყოფილიყო. თავის მეორე უტოპიურ რომანში „ბაზილიადა" (1753) მორელი ავითარებდა იმ აზრს, რომ ადამიანის ბუნება მდგრადი და უცვლელია, რომ არსებული საზოგადოებრივი წყობა ეწინააღმდეგება საღი გონების მოთხოვნებს.

თავისი მსოფლმხედველობით მორელისთან ახლოს იდგა აბატი მაბლი (1709-1785). ისიც აკრიტიკებდა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ წყობას და ამტკიცებდა, რომ მიწაზე საზოგადოებრივი მფლობელობა შეესაბამებოდა ბუნების კანონებს და მოუტანდა ადამიანებს ბედნიერებას. თავისი ოცნების პრაქტიკული განხორციელების მიზნით, მაბლი ადგენდა რეფორმების პროექტებს, მაგ., მოითხოვდა მემკვიდრეობის უფლებების შეზღუდვას, რაც თითქოს შეამცირებდა საზოგადოებაში არსებულ უთანასწორობას. მელიესაგან განსხვავებით, მორელი და მაბლი თავიანთი ნააზრევის პრაქტიკაში განხორციელებას ცდილობდნენ არა რევოლუციის გზით, არამედ ხალხში განათლების გავრცელების საშუალებით.

XVIII საუკუნის დემოკრატიული იდეოლოგიის უდიდესი წარმომადგენელი იყო **ჟან ჟაკ რუსო** (1712-1778). იგი დაიბადა ჟენევაში, 1741 წლამდე ცხოვრობდა შვეიცარიაში, შემდეგ წავიდა პარიზში. აქ გაიცნო დიდრო და მონაწილეობდა ენციკლოპედიის შექმნაში. მიიღო მხოლოდ დაწყებითი განათლება, მაგრამ დიდი ნიჭისა და განსაკუთრებული შრომისმოყვარეობის შედეგად ღრმად დაეუფლა ფილოსოფიას, ლიტერატურას, ისტორიას, ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგს. შვეიცარიის მაღალმთიან სოფელში გატარებულმა ბავშვობის წლებმა წარუშლელი კვალი დატოვეს რუსოს შემოქმედებაში. მისი აზრით, ხმაურიანი ადგილებისაგან დაშორებულ, მიყრუებულ ადგილებში ადამიანი ინარჩუნებს ბუნებრივ ხასიათს, უფრო მომხიბვლელია თავისი გულუბრყვილობით და დამოუკიდებელია. იგი აიდიალებს პირველყოფილ საზოგადოებას და აღნიშნავს, რომ კულტურა, მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევები, დიდ ქალაქებში ცხოვრება რყვნიან ადამიანებს, ზრდიან მათ შორის უთანასწორობას. პირველყოფილი მდგომარეობა ხალხის სიჭაბუკეა, კულტურა – სიბერე, მოახლოებული სიკვდილის მაცნე. მაგრამ ადამიანებს შეუძლიათ დაუბრუნდნენ ჯანმრთელ პირველსაწყისს. რომანში „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“ აღწერილია, თუ როგორ იზრდება ადამიანი ბუნების წიაღში, როგორ უვითარდება მას დამოუკიდებლობის ჩვევები. „ემილი“ არაა მარტო პედაგოგიური ნაშრომი, იგი ვრცელი მორალური ტრაქტა-

ტია, რომლის მიზანია გაარკვიოს მკითხველი ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებაში საერთოდ და, კერძოდ, გვიჩვენოს ის თავისებურებანი, რომელთა მეშვეობით ადამიანი ბავშვობიდანვე მტკიცე ძაფებით არის დაკავშირებული ბუნებასთან.

რუსოს ფილოსოფიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პედაგოგიური შეხედულებანი მოცემულია, აგრეთვე, ტრაქტატში „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ“ (1762). მასში ავტორი შემდეგი სახით წარმოგვიდგენს ახალი საზოგადოების საწყისებს: ადამიანები ჰარმონიული საზოგადოებრივი თანაცხოვრებისათვის ნებაყოფლობითი ხელშეკრულებების გზით კავშირდებიან და ქმნიან სუვერენულ, ერთიან სახელმწიფოს. ამით ისინი, მართალია, გარკვეული ზომით ასხვისებენ თავიანთ თავისუფლებასა და ნებას, მაგრამ ეს დანაკარგი ანაზღაურდება იმით, რომ სახელმწიფო მშვიდობიანი ცხოვრებით უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის პირად უფლებებსა და მათ ჰარმონიულ ყოფას. ასეთ სახელმწიფოში რუსო ტოვებს კერძო საკუთრებას ზომიერების ფარგლებში. მისი აზრით, ამგვარი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია მშვიდობიანი გზით, რადგან დესპოტური სახელმწიფოები ნებით არ დათმობენ ძალადობით მოპოვებულ პრივილეგიებს.

რუსოს რადიკალური შეხედულებების გამო ორივე წიგნი საეკლესიო ხელისუფალთა წარდგინებით დაწვეს პარიზში და ჟენევაში.

რუსოს ადრეულ ნაწარმოებებს მიეკუთვნება „მოსაზრებები უთანასწორობის წარმოშობის შესახებ“ (1750). ამ ნაშრომში ავტორი ამტკიცებს, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობებში ყოველგვარი ბოროტების საწყისი კერძო საკუთრებაა; შური და დამონება იწყება იმ დროიდან, როდესაც ადამიანმა პირველად შემოღობა მიწის ნაკვეთი და თქვა: „ეს ჩემია“.

რუსოს სიცოცხლეში შედარებით პოპულარული იყო მისი მოსაზრებები ადამიანის ბუნებასთან, უბრალოებასთან და უშუალობასთან დაბრუნების შესახებ, თუმცა ვოლტერი ამის გამო ხუმრობით ამბობდა: რუსოს სურს ყველა ჩვენთაგანი ოთხ ფეხზე მოსიარულე გვიხილოსო.

რუსო გარდაიცვალა ემიგრაციაში. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ მისი ნეშტი გადაასვენეს პარიზში და პანთეონში დაკრძალეს, ვოლტერის გვერდით.

რევოლუციური კრიზისის მომწიფებასთან ერთად, 70-80-იან წლებში მკვეთრად გაიზარდა განმანათლებლური ლიტერატურის შემტევი ხასიათი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა შემდგომში ცნობილი რევოლუციონერის ჟან პოლ მარატის (1743-1793) ნაწარმოები „მონობის ბორკილები" (1774). მარატი იყო ცნობილი მეცნიერი (ექიმი, ფიზიკოსი), სოციოლოგი, პუბლიცისტი; ედინბურგის უნივერსიტეტმა 1775 წელს მას მიანიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო ქ. ნიუკასლმა საპატიო მოქალაქედ აირჩია იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც მას ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში მიუძღვოდა. ბ. ფრანკლინი, გოეთე და სხვა გამოჩენილი ადამიანები დიდად აფასებდნენ მარატის სამეცნიერო ნაშრომებს.

„მონობის ბორკილებში" იგრძნობა რუსოსა და მონტესკიეს გავლენა, თუმცა ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხებში მარატი განსხვავებულ აზრს ანვითარებდა. მჩაგვრელთა წინააღმდეგ ჩაგრულთა მხრივ წინააღმდეგობის გაწევას შეიარაღებული აჯანყებითაც კი, იგი ადამიანთა ბუნებრივ უფლებად აღიარებდა. ასეთი შეხედულებების სისწორეს ასაბუთებდა მარატი სხვა ნაშრომებშიც.

რუსოს მოწაფე და მიმდევარი გოსელენი თხზულებაში „მოქალაქის მოსაზრებები ნოტაბლებისათვის"[1] (1787) ეგალიტარული პროგრამის ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის საჭიროდ მიიჩნევდა მიწების საზოგადოებრივ საკუთრებაში გადაცემას და შემდეგ საზოგადოების წევრებს შორის მათ თანაბარ განაწილებას. ეს გეგმა უტოპიური იყო, მაგრამ მაინც მიგვანიშნებდა იმაზე, თუ როგორი იყო მასების ლტოლვა მიწების დასაუფლებლად.

ფრანგი განმანათლებლები, მათ შორის აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, თავიანთი ნაწარმოებებით ხელს უწყობდნენ დახავსებუ-

---

[1] ნოტაბლები ანუ წოდების (თავადაზნაურთა, სამღვდელოებისა და მესამე წოდების) წარმომადგენლები, რომლებსაც მეფე თვითონ ირჩევდა (ფრანგ. ნოტაბლეს — მნიშვნელოვანი, გამოჩენილი).

ლი სამართლებრივი ნორმების, იდეების, რწმენის, მორალის, ფეოდალური საზოგადოების ტრადიციების რღვევას და, ამგვარად, იდეოლოგიურად ამზადებდნენ საფრანგეთის დიდ რევოლუციას.

§3. ფრანგული განმანათლებლობა და საქართველო

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები ფრანგ განმანათლებელთა იდეებს ეზიარებოდნენ. საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ ქართველ ახალგაზრდებს სამშობლოში ჩამოჰქონოდათ ეს იდეები და ეწეოდნენ მის პროპაგანდას, როგორც ლიტერატურული, ისე ცხოვრებისეული პრაქტიკული საქმიანობით.

ამ პერიოდის პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდებიდან ფრანგ განმანათლებელთა იდეებს პირველი ეზიარა ალექსანდრე ამილახვარი. მონტესკიეს გავლენით (განსაკუთრებული გავლენა მასზე მოუხდენია ნაშრომს „კანონთა სულის შესახებ“) მან დაწერა პოლიტიკური ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა“. მე-18 საუკუნის მიწურულს რუსეთიდან ბრუნდება დავით ბატონიშვილი (გიორგი XII ძე) — „დიდი ვოლტერიანელი“, რომელმაც თარგმნა (1814) მონტესკიეს „გულის ხმის ყოფისათვის სჯულთასა“ ანუ „კანონთა სულის შესახებ“. მან რუსეთიდან ჩამოიტანა და თავის ოთახში დაკიდა ვოლტერის სურათი, რომელსაც იგი თავის მასწავლებელს და მეგობარს უწოდებდა. XIX ს. დასაწყისიდან ფრანგი განმანათლებლების ნაშრომების მთარგმნელთა და პოპულიზატორთა რიგებს შეემატნენ დავით ციციშვილი (თარგმნა რუსოს ნაშრომები), ალექსანდრე ჭავჭავაძე, იასე გარსევანიშვილი და სხვ., რომლებიც თარგმნიდნენ ვოლტერს. განმანათლებელთა იდეებისადმი ლტოლვა განპირობებული იყო საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებებით. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში ძლიერდება ლტოლვა ყოველივე ევროპულისადმი, რასაც უნდა მოჰყოლოდა ქართული ცხოვრების წესის ევროპეიზაცია.

საქართველოში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ფრანგი განმანათლებლების უფროსი თაობის წარმომადგენლების ვოლტერის, მონტესკიეს, აგრეთვე, რუსოს იდეური მემკვიდრეობისადმი.

ვოლტერს ორიგინალიდან თარგმნიდა გამოჩენილი ქართველი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე. მის მიერ ნათარგმნი ვოლტერის ლექსები ცნობილი ქართველი პოეტების ლექსებთან ერთად მოთავსებული იყო ორ ხელნაწერ კრებულში. პირველი კრებული გადაწერილი და შედგენილია დავით რექტორის მიერ 1803 წელს, მეორე კი მოსკოვში 1829 წელს დავით გიორგის ძე ავალიშვილის მიერ. 1838 წელს მღვდელმა იესე გარსევანიშვილმა თარგმნა ვოლტერის ისტორიოგრაფიული ნაშრომი „ლუდოვიკო XIV და ლუდოვიკო XV მეფობის ისტორია", ქართულად უთარგმნიათ ვოლტერის ტრაგედიებიც: „ედიპი", „ზაირი", „ალზირი". XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ პერიოდიკაში ხშირად იბეჭდებოდა ვოლტერის თხზულებათა თარგმანები: „გონების ქება", „ერთი კეთილი ბრამინის ისტორია", „ორი მანუგეშებელი ვოლტერის მოთხრობა", „უანოტი და კოლინი", 1891 წელს გამოქვეყნდა „ზადიგი", მოგვიანებით კი ჯ. ჯორჯიკიას მიერ გადმოკეთებული „კარლოს XII ისტორია ვოლტერისა". ვოლტერზე დაწერილ ძველ ნაშრომთაგან აღსანიშნავია ზ. ჭიჭნაძის „ვოლტერი" (1889) და ი. მანსვეტაშვილის „უცხოთა შორის ვინ იყო ვოლტერი?" და სხვ.

ამგვარად, ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ჩამოყალიბდა მიმდინარეობა ვოლტერიანელობა[1] (პოლიტიკურად და რელიგიურად თავისუფალი აზროვნება), რომელიც ჩვენში არასოდეს არ გამსდარა მიზეზი მწვავე საზოგადოებრივი განხეთქილებისა ან ფართო ლიტერატურული პოლემიკისა, მაგრამ მაინც მიუთითებს დიდი ფრანგი განმანათლებლის შემოქმედებისადმი ინტერესზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალექსანდრე ამილახვარმა თავისი ნაშრომი „ბრძენი აღმოსავლეთისა" დაწერა მონტესკიეს „კანონთა სულში" გამოთქმული სოციალურ-ეკონომიკური, ფილოსოფიური,

---

[1] ვოლტერმა ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატა მე-18 საუკუნის საზოგადოებრივი განწყობილება და ისტორიულ სარბიელზე აღმავალი ახალგაზრდა ბურჟუაზიის კლასობრივი სულისკვეთება. ამიტომ არის, რომ ხშირად ამ საუკუნის მთელ რაციონალისტურ მოძრაობას ნათლავენ ვოლტერიანელობის სახელწოდებით.

ისტორიული და რელიგიური იდეების გავლენით. ამილახვარი ამ იდეებს საკუთარი თვალთახედვის პრიზმაში ატარებს და ქართული სინამდვილის შესაბამის ინტერპრეტაციას უკეთებს.

როგორც ცნობილია, მონტესკიე თავდაპირველად უფრო რესპუბლიკის მომხრე იყო ვიდრე მონარქიისა, ინგლისში ყოფნის შემდეგ კი მონარქიის ტრფიალი შეიქმნა. მისი აზრით, თუ კანონმდებელი გონიერია და გამსჭვალულია კეთილი განზრახვით, იგი შექმნის გონიერ კანონებს, რაც საზოგადოებისათვის სასარგებლო იქნება. თუ ფეოდალური კანონები უვარგისია ეს, მისი აზრით, თვით მეფეების თვითნებობისა და უგუნურების შედეგია. საჭიროა სახელმწიფოს სათავეში იდგეს განათლებული, ჭკვიანი პიროვნება, რომელიც გონიერ კანონებს შექმნის. ასეთივე იდეების გამტარებელია ალ. ამილახვარი. მონტესკიეს მსგავსად, ისიც წინააღმდეგია თავისნება, დესპოტი მეფისა, იზიარებს ხელისუფლების დაყოფის თეორიას. კერძოდ, პოლიტიკური ტრაქტატის მეორე თავში, რომელსაც ეწოდება „თავადთა და მთავართათვის სამეფოისათა“, ნათქვამია: მეფეს „ჰხამს რჩეულთა კაცთა ყოფაი განმგედ კარისა სამეფოისათა, რათა უწესოდ ქცეულებამან მათგან არა გამოაჩინოს მეფეი საპყრად“.

მონტესკიეს ადამიანთა ბუნებრივ მდგომარეობად მიაჩნია მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადამიანები ივიწყებენ თანასწორობისა და მშვიდობის პრინციპებს, იწყებენ ურთიერთმტრობას და ომს. ეს კარგად იცის „ბრძენი აღმოსავლეთისას“ ავტორმა. მისი აზრით, არც მეტისმეტად მრავალრიცხოვანი ჯარის ყოლაა საჭირო, რაც დაასუსტებს სახელმწიფოს ძლიერებას, მაგრამ არც „სრულიად უყოლობაი მათი არ ეგების“.

მონტესკიე, როგორც დიდი ჰუმანისტი და მორალისტი, როგორც დესპოტიზმისა და რელიგიური ფანატიზმის შეურიგებელი მტერი, მოითხოვდა რჯულთშეწყნარებას. ამავე იდეას იზიარებს ამილახვარი: „ვჰგონებ უმჯობეს იყოს რჩევითა მათითა, არა ვშევაიწრებდეთ სხვათა მესარწმუნოეთა და ნებას ვჰსცემდეთ სჯულისამებრ თვისისა აღსარებასა, ვინაითგან უფლებაი სულისა მათისა არ არს ჩვენდა მოცემული“.

მონტესკიე მოითხოვდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას. „ხალხის ნამდვილი სარგებლობა მოითხოვს, რომ სახელმწიფომ მნიშვნელოვანი მიზეზების გარეშე არ მოსპოს ვაჭრობა არც ერთ ქვეყანასთან". ამილახვარი სავსებით იზიარებს ამ აზრს: „არა რაი არს ესრეთ განმამდიდრებელი და განმაძლიერებელი სახელმწიფოისა, ვითარ სიმრავლეი ვაჭართა და ვაჭრობაი მათი".

განმანათლებელთა იდეებს სრულიად ეთანხმება „ბრძენი აღმოსავლეთისა""-ში გამოთქმული შემდეგი მოსაზრება: „ჰსწავლაი მეცნიერებისა არის განმანათლებელ თვალთა და გონებათა კაცთასა, და მომპოვნებელი გზისა ოდესმე უზრდელობით შეცდომილთასა — რაზომ განმრავლდეს მეცნიერებაი სახელმწიფოსა შინა, ეგზომ უღელი მეფეთა შვრომისა შესუბუქდების, ვინაითგან მეცნიერებათა კაცთა ერთისა სიტყვითა უადვილეს არს მორჩილებაი, ვიდრე უგუნურთა ასითა განმარტებითა".

მეექვსე თავში, რომელსაც ეწოდება „გლეხთათვის გინა მიწისმმოქმედთა კაცთა", ლაპარაკია გლეხობაზე, რომელიც სოციალური კიბის უკანასკნელ საფეხურზე დგას, თავისი საქმიანობით კი ერის მთავარი მარჩენალია. აქ ამილახვარი იზიარებს მონტესკიეს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ადამიანის მეორე ბუნებრივ კანონს შეადგენს საზრდოს მოპოვება, საზრდო კი მოჰყავს გლეხკაცს, „რომელნი შეირაცხვან მზრდელად ყოვლისა საერთობისა".

ფრანგ განმანათლებელთა სახელოვანი წარმომადგენლის ჟან ჟაკ რუსოს თხზულებებს მის სიცოცხლეშივე, და შემდგომ წლებსა და საუკუნეებშიც თარგმნიდნენ მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე. რუსოს ნაწარმოებთა მეშვეობით (რუსულიდან გადმოქართულებით) შემოვიდა ჩვენში განმანათლებლობის დემოკრატიული ფრთის იდეები. ფრანგი მწერლის ნაწარმოებებს, განსაკუთრებით მის განთქმულ ფილოსოფიურ ტრაქტატებს, თარგმნიდნენ ქართულად XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგის ცნობილი მწერლები, განმანათლებელი ბატონიშვილები და ამაგდარი მოღვაწენი (მაგ. ერეკლე II შვილი ფარნაოზი, დავით ციციშვილი და სხვ.). იმ დროს ძალზე პოპულარული პოეტი დიმიტრი თუმანიშვილი თავის ერთ-ერთ ლექსში ("ფას მუხალიფის ხმაზედ") სხვა მნათობებთან ერთად (ჰომერო-

სი, ვერგილიუსი, ვოლტერი...) ქებით იხსენიებს რუსოს სახელს.

ცნობილმა ლიტერატორმა და მთარგმნელმა, ვოლტერიანელმა და ენციკლოპედისტების იდეებით გატაცებულმა დავით ესტატეს ძე ციციშვილმა 1849 წელს თარგმნა რუსოს ტრაქტატი „მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებამ ხელი შეუწყო თუ არა ზნეობის გაკეთილშობილებას?“ ამ ნაშრომში რუსომ დაგმო კაცობრიობის მიერ საუკუნეებით შექმნილი კულტურა, როგორც ადამიანის გამრყვნელი და ყველა უბედურების მიზეზი. ეს მთავარი დებულება რუსოს თხზულებისა სადავო იყო თავის დროზე თვით საფრანგეთში. მაგრამ იგი მაინც უდიდესი პროტესტი იყო იმ სოციალური ურთიერთობის წინააღმდეგ, რომელიც მეფობდა რევოლუციამდელ საფრანგეთში. ამ თხზულებამ დიდი გავლენა იქონია თანამედროვეებზე.

რუსოსა და მისი ნაწერების გამო წერდნენ და მსჯელობდნენ ილია ჭავჭავაძე (რუსოს „აღსარება“ ილიას სამაგიდო წიგნი იყო), აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, კიტა აბაშიძე; შემდეგ პერიოდში: გერონტი ქიქოძე, შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, მოსე გოგიბერიძე... 1949 წელს ქართულ ენაზე ითარგმნა რუსოს უკვდავი ქმნილება „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“.

გალაკტიონი თავის ერთ-ერთი პოემის პროზაულ ვარიანტში (“ლირიკა“) წერდა: „განა რუსოს ქარიშხლიანმა გენიამ, მისმა მხურვალე მჭევრმეტყველებამ, მისმა სიძულვილმა ცივილიზაციისადმი, რომელიც ბადებდა ჩაგვრასა და ძალადობას, მისმა ძახილმა ბუნებისაკენ, ზნეთა პირველი სისპეტაკისაკენ — არ იფეთქა დამაბრმავებელ ნათელ ცეცხლად ახალგაზრდა გოეთეს, შილერის პოეზიაში და არ შეუწყო ხელი იმ ქარიშხალს, რომელმაც... მარსელიოზის ხმებით გადაიგრიალა საფრანგეთზე?“ და სწორედ „ამქვეყნად სამოთხის მოწყობის საკითხს“ მიუძღვნა რუსომ თავისი ყველაზე წარმტაცი და მთავარი თხზულება რომანი „ჟიული ანუ ახალი ელოიზა“. დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი ამბობდა: „რუსო არასოდეს არ ბერდებაო“. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ რუსოს გარდაცვალების მე-200 წლისთავისათვის „ახალი ელოიზა“ მთლიანად ითარგმნა ქართულ ენაზე.

არა მარტო ქართველები იჩენდნენ ფრანგი განმანათლებლების შემოქმედებისადმი, მათი იდეური მემკვიდრეობისადმი დაინტერესებას, არამედ განმანათლებელთა კორიფეების შემოქმედებაშიც გარკვეული ასახვა ჰპოვა საქართველომ და ქართველებმა. მართალია, ისინი საქართველოში არ ყოფილან, მაგრამ ფრანგი მოგზაურების, მისიონერების (პეიზონელი, შარდენი და სხვა) დღიურები და ჩანაწერები ზოგად წარმოდგენას უქმნიდნენ მათ ჩვენს სამშობლოზე. ამიტომ ვოლტერს არაზუსტი და არასრული ცნობები ჰქონდა საქართველოს ისტორიასა და აწმყოზე. ამას ადასტურებს მისი მიმოწერა ეკატერინე II, რომელშიც არაერთხელ მოიხსენიებს საქართველოს და ქართველებს.

ისევე როგორც ვოლტერს, მონტესკიესაც აღმოსავლეთში და, კერძოდ, საქართველოში არ უმოგზაურნია. მან „სპარსულ წერილებში" სხვადასხვა მოგზაურთა აღწერები გამოიყენა. მონტესკიესთან საქართველოს შესახებ ლაპარაკია არა რომანტიკული თავგადასავლების ფონზე (როგორც ეს ადრე იყო ფრანგულ ლიტერატურაში), არამედ იმ საერთო საკითხებთან კავშირში, რომლებიც რომანშია დასმული. ავტორი წერდა სატირულ ნაწარმოებს და იმდროინდელი ცხოვრების ისეთ მხარეებს შეეხო, რომლებიც გაკიცხვას იმსახურებდა.

საქართველოსთანაა დაკავშირებული ამ ნაწარმოების ერთ-ერთი ჩართული მოთხრობა, სახელდობრ ამბავი აფერიდონისა და ასტარტესი, რომლებიც იძულებული ხდებიან გამოიქცნენ სპარსეთიდან და თავშესაფარი საქართველოში იპოვონ. გვიამბობს რა მათ ბედზე, ავტორი აგვიწერს საქართველოს დედაქალაქს. მონტესკიეს თბილისი მსხვილ ცენტრად აქვს წარმოდგენილი. მოთხრობის გმირი თბილისში სასწავლებლად ჩამოდის, შემდეგ იგი აქვე იწყებს კომერციულ საქმიანობას, დახმარებას იღებს ადგილობრივი ექიმისაგან. ამავე დროს მწერალს წარმოდგენილი აქვს საქართველოს ისტორიის ცალკეული მომენტები. მას, როგორც ჩანს, წაუკითხავს ცნობები საქართველოზე მტერთა მრავალრიცხოვანი თავდასხმების შესახებ. თავისი გმირების თავგადასავლის თხრობისას იგი გვიხატავს მტრების შემოსევებს საქართველოზე, ხალხის ტყვედ წაყვანას და ქვეყნის გაჩანაგებას. „სპარსულ წერილებში" მონტესკიე წერს იმერეთის, გურიისა და ჩერ-

ქეზეთის შესახებ, რომლებიც მას მოსახლეობისაგან „სავსებით დაცლილად“ მიაჩნია. ამ შემთხვევაში მონტესკიე უნდა გამოდიოდეს XVII საუკუნის საქართველოს აღწერილობიდან, როცა გააფთრებული შინაური ომების ეპოქაში ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში იყო, ხოლო მისი მოსახლეობა ძლიერ შეთხელებული. დასავლეთ საქართველოზე ასეთ ცნობებს იძლევიან შარდენი და სხვა ავტორები.

საქართველოს მოსახლეობის საკითხს მონტესკიე კვლავ დაუბრუნდა თავის „კანონთა სულში“. იგი აქ იხსენებს საქართველოს აყვავების ხანას წარსულში, მოჰყავს რომის იმპერიის დროინდელი მონაცემები კოლხიდის შესახებ — „ქალაქებით სავსე მხარეზე, სადაც ვაჭრობა მსოფლიოს ყველა ხალხს იზიდავდა“ და ძველ დროს ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობას ადარებს: „სადაც მოსახლეობა ყოველდღიურად მცირდება“. მოსახლეობის შემცირება და ვაჭრობის დაცემა ავტორს მიაჩნია ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შედეგად. ასეთ მოსაზრებებში მკაფიოდ მოჩანს მონტესკიეს მსოფლმხედველობის დამახასიათებელი ნიშნები.

არა მარტო განმანათლებელთა თანამედროვე, არამედ შემდგომი თაობების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის შემოქმედებაშიც აისახებოდა ფრანგი განმანათლებლების იდეები, რაც ხელს უწყობდა ჩვენში პროგრესული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას.

§4. რევოლუციური სიტუაცია. რევოლუციის დასაწყისი

ფეოდალურ-აბსოლუტისტური წყობის კრიზისის გამწვავება და გენერალური შტატების მოწვევა. ლუი XV გარდაცვალების შემდეგ (1774) ტახტზე ავიდა ლუი XVI. მას მემკვიდრეობით ერგო დაცარიელებული ხაზინა და დიდი რაოდენობით სახელმწიფო ვალები, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ქვეყანაში არსებულ ისედაც დაძაბულ სოციალურ ვითარებას. პურის გაძვირების გამო 1775 წ. მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებმა ქვეყნის დიდი ნაწილი მოიცვა. ასეთ რთულ ვითარებაში ბუნებით კეთილი და უნიათო ლუი XVI დათანხმ-

და რეფორმების ჩატარებას. მაგრამ მეფის ამ მცდელობას დიდ წინააღმდეგობებს უწევდნენ დედოფალი, სამეფო სახლის წარმომადგენლები და ფეოდალური არისტოკრატია. სწორედ მათი მოთხოვნით მეფე იძულებული გახდა თანამდებობიდან გადაეყენებინა (1776) ფინანსთა გენერალური კონტროლიორი, ცნობილი მეცნიერი, ფიზიოკრატი ტიურგო, რომელმაც განიზრახა ქვეყანაში გადასახადის გადამხდელთა რაოდენობის გაზრდა პრივილეგირებული წოდებების ხარჯზე. ცოტა უფრო მოგვიანებით (1781) ასეთივე ბედი ეწია მის მემკვიდრეს ნეკერს. მათ მიერ ჩატარებული რეფორმები უარყვეს და რეაქციული პოლიტიკა კიდევ უფრო გააძლიერეს — ჯარში ოფიცრებად, უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე და პარლამენტში მხოლოდ თავადაზნაურთა წარმომადგენლებს ნიშნავდნენ. უაზრო დადგენილებებით ზღუდავდნენ თავისუფალ მეწარმეობას. მაგ., 1784 წლის მეფის ბრძანებით თავსაფრების ან ცხვირსახოცის სიგრძე და განი ტოლი უნდა ყოფილიყო და ა. შ.

ქვეყანაში თანდათანობით რევოლუციური სიტუაცია მწიფდებოდა. შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, მეფე დათანხმდა ნოტაბლების მოწვევას (1787), რომელიც რიშელიეს დროიდან აღარ მოუწვევიათ. მიუხედავად იმისა, რომ ნოტაბლები მეფის მიერ იყვნენ დანიშნულნი, მათ მაინც მწვავედ გააკრიტიკეს ხელისუფლება და მოითხოვეს გენერალური შტატების მოწვევა, რომელიც 1614 წლიდან აბსოლუტური მონარქიის მიერ მივიწყებული იყო. ამ ინიციატივას პროვინციებშიც დაუჭირეს მხარი. როდესაც გენერალური შტატების მოწვევა სამღვდელოებამაც მოითხოვა, ლუი XVI განიზრახა მათი შეკრება 5 წლის შემდეგ, მაგრამ, ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების გამო, გადაწყდა შეემცირებინათ ვადები. მინისტრის პოსტზე ხელახლა დანიშნულმა ნეკერმა გენერალური შტატების გახსნის დღედ 1789 წლის 5 მაისი გამოაცხადა. შტატების დეპუტატების არჩევნებში მონაწილეობა შეეძლო გადასახადების გადამხდელ 25 წლის ყველა ფრანგს. არჩევნები ჩატარდა წოდებების მიხედვით. მესამე წოდებას პირველ ორ წოდებასთან შედარებით ორჯერ მეტი ხმის უფლება მისცეს (600, პირველ ორს — 300-300). ოფიციალურად საარჩევნო დებულებაში ამის შესახებ ნათქვამი იყო: მესამე

წოდების საქმიანობა კეთილშობილურ მიზნებს ისახავს და საზოგადოებრივი აზრიც მათ მხარს დაუჭერსო[1], მაგრამ მაშინ არ იყო განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურა; თუ იგი ძველებურად წოდებების მიხედვით მოხდებოდა, მაშინ მესამე წოდების ეს უპირატესობა ყოველგვარ აზრს დაკარგავდა. ამომრჩევლები (არჩევნები ორსაფეხურიანი იყო, ჯერ ირჩევდნენ ამომრჩევლებს, რომლებიც შემდეგ აირჩევდნენ დეპუტატებს) დეპუტატებს თავიანთ სურვილებს (განაწესებს) აცნობებდნენ და მოითხოვდნენ მათ შესრულებას. მათი განაწესები იმდროინდელი საფრანგეთის მოსახლეობის განწყობის ნათელ სურათს გვიქმნის:

თავადაზნაურებსა და უმაღლეს სამღვდელოებას მიაჩნდა, რომ მეფეებმა ძალდატანებით ჩაიგდეს ხელში განუსაზღვრელი ძალაუფლება და საჭიროა მისი შეზღუდვა პირველი ორი წოდების პრივილეგიების აღდგენით. მესამე წოდებას კი მიაჩნდა, რომ ამ ძალაუფლების შეზღუდვის საუკეთესო საშუალება იქნებოდა უმაღლესი ხელისუფლების ხალხის ხელში გადასვლა. კიდევ უფრო დიდი განსხვავება იყო წოდებების უფლებების განსაზღვრაში. თავადაზნაურობა და უმაღლესი სამღვდელოება ეწინააღმდეგებოდნენ ფეოდალური უფლებების, მეათედისა და ა. შ. გაუქმებას. ბურჟუაზია პირიქით, ყოველგვარი პრივილეგიების მოსპობას, მემკვიდრეობითი თანამდებობების გაუქმებას, გადასახადების თანაბარ გადანაწილებას, ცალკეული პროვინციების განსაკუთრებული უფლებების გაუქმებას და მათ შორის მიმოსვლის გაადვილებას, ერთნაირ მმართველობას, ერთიან სამოქალაქო კანონებს, წონისა და ზომის ერთიან საზომ ერთეულებს მოითხოვდა.

სამივე წოდების საერთო მოთხოვნები იყო: ინტენდანტების თვითნებობის აღკვეთა და საოლქო თვითმმართველობის დამკვიდრება, სასამართლო ხისტემის სრულყოფა, სასამართლო პროცესის საჯაროობა, ნაფიც მსაჯულთა და დამცველთა ინსტიტუტის შემოღება.

---

[1] კოლბერის რეფორმების შემდეგ მესამე წოდების, განსაკუთრებით ბურჟუაზიის, შენატანი თანხა სახელმწიფო ხაზინაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. სწორედ ამით იყო განპირობებული მეფის „დათმობები", გარდა ამისა, მესამე წოდება საფრანგეთის მოსახლეობის თითქმის 99+ შეადგენდა.

საეკლესიო ორგანიზაციის მოწყობა რეფორმაციის ეპოქის მოთხოვნების მიხედვით უნდოდათ: რწმენის თავისუფლება, საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია, სასულიერო პირთა არჩევითობა.

1789 წელს გენერალურ შტატებში აირჩიეს საფრანგეთის ყველაზე ნიჭიერი და ენერგიული ადამიანები, რომელთა უმრავლესობას გულითადად სურდა ქვეყნის გარდაქმნა იმ ჯანსაღი იდეების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო განმანათლებლების ნაშრომებში.

გენერალური შტატების გახსნა. რევოლუციის დასაწყისი. 1789 წლის 5 მაისს ვერსალში გაიხსნა გენერალური შტატების პირველი სხდომა; **ამ სხდომით იწყება საფრანგეთის დიდი რევოლუცია.** მეფემ და მინისტრებმა თავიანთ გამოსვლებში ქვეყნის წინაშე მდგარი ვერც ერთი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტის გზა ვერ შესთავაზეს დეპუტატებს.

6 მაისს დეპუტატები განიხილავდნენ კენჭისყრის პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებს. მთავარმა კითხვამ — როგორ მიეცათ ხმა, ძველებურად, წოდებების მიხედვით, თუ ინდივიდუალურად — დიდი კამათი გამოიწვია, რადგანაც ამ საკითხს ჰქონდა არა მარტო პრაქტიკული, არამედ პრინციპული მნიშვნელობაც. კენჭისყრა თუ წოდებების მიხედვით მოხდებოდა, მაშინ პრივილეგირებული წოდებების წარმომადგენლებს, მათი საერთო ინტერესების გამო, ყოველთვის ორმაგი უპირატესობა ექნებოდათ მესამე წოდებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მესამე წოდების დეპუტატთა რაოდენობა (600 დეპუტატი) უტოლდებოდა პირველი და მეორე წოდებების დეპუტატების საერთო რიცხვს. ამ საკითხებზე კამათი რამდენიმე კვირის მანძილზე გრძელდებოდა. ბოლოს, თავადაზნაურებისა და სამღვდელოების დეპუტატების უმრავლესობა მიემხრო მესამე წოდებას და გაერთიანებულმა კრებამ 17 ივნისს თავი ეროვნულ კრებად გამოაცხადა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ იგი წარმოადგენდა ფრანგი ხალხის უმაღლეს წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოს. მეფე, სასახლის კარი და თავადაზნაურები, ცხადია, ვერ შეეგუებოდნენ ამ რევოლუციურ გადაწყვეტილებას. მეფემ ნაცად ხერხს მიმართა და 20 ივნისს, როდესაც დეპუტატები ჩვეულებრივ გამოცხადდნენ სამუშაოდ,

მათ სხდომათა დარბაზის შესასვლელი კარები დაკეტილი დახვდათ. ისინი არ შეუშინდნენ ამ დაბრკოლებას, შევიდნენ ვერსალის პარკში მდებარე ბურთის სათამაშო დარბაზში და ფეხზე მდგომებმა (სკამები არ იყო) შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ არ დაიშლებოდნენ მანამდე, სანამ ფრანგებისათვის არ შეიმუშავებდნენ კონსტიტუციას. ამ მიზნით, 9 ივლისს ეროვნულმა კრებამ თავი გამოაცხადა დამფუძნებელ კრებად, რითაც მიანიშნებდა იმაზე, რომ მას უფლება ეძლეოდა ახალი საზოგადოებრივი წყობის დაფუძნებისათვის.

ლუი XVI გადაწყვიტა ძალით გასწორებოდა ურჩ დეპუტატებს. თანამდებობიდან გადააყენა პოპულარული მინისტრი ნეკერი და ბრძანა პარიზში შემოეყვანათ ჯარები, რომლებიც ძირითადად უცხოელი დაქირავებული ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. მეფის ასეთმა გადაწყვეტილებამ ხალხი კიდევ უფრო აღაშფოთა. დამფუძნებელი კრების დასაცავად პარიზში დაიწყო აჯანყება. 12 ივლისს აჯანყებულებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მეფის ჯარებს. 13 ივლისს რამდენიმე ასეული პარიზელი შეიკრიბა რატუშის ძველ შენობაში. მათ ჩამოაყალიბეს ახალი მმართველობა — მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელმაც შემდეგში კომუნის სახელწოდება მიიღო. მუდმივმოქმედმა კომიტეტმა იმავე დღეს გადაწყვიტა თავდაცვის მიზნით შეექმნა სამოქალაქო გვარდია. აჯანყებულმა ხალხმა არსენალიდან ხელში ჩაიგდო ათეულ ათასობით იარაღი და 14 ივლისს იერიშით აიღო ბასტილიის ციხე-სიმაგრე, რომელიც საძულველი რეჟიმის სიმბოლოდ მიაჩნდათ (ბასტილიის ციხეში ძირითადად პოლიტპატიმრები იყვნენ. რევოლუციის დაწყების დროს იქ 41 პოლიტპატიმარი იმყოფებოდა). შემდეგში **14 ივლისი ფრანგი ხალხის ეროვნულ დღესასწაულად იქცა.**

თავდაპირველად მეფემ, რომელიც ამ დროს პარიზიდან დაახლოებით 30 კილომეტრით დაშორებულ ვერსალის სასახლეში იმყოფებოდა, ვერ გააცნობიერა ბასტილიის ციხის აღების პოლიტიკური მნიშვნელობა. ამას მოწმობს მის დღიურში ჩანაწერი: „ივლისი 1789.14. არაფერი არ მომხდარა“.

მეფე იძულებული იყო დამორჩილებოდა მოვლენების განვითარებას. იგი ვერსალიდან პარიზს დაბრუნდა, საბოლოოდ სცნო დამ-

ფუძნებელი კრება, ქალაქის მერად დაამტკიცა პოპულარული დეპუტატი ბელი, ხოლო ეროვნული გვარდიის უფროსად — ლაფაიეტი და ხალხთან ერთიანობის ნიშნად მიიღო ახალი სამფეროვანი კოკარდა (წითელი და ლურჯი პარიზის ფერები იყო, თეთრი — სამეფო დინასტიის). მაგრამ მეფის საგვარეულოსა და თავადაზნაურების უმრავლესობას არ სურდა ახალ წესებთან შეგუება და პროტესტის ნიშნად ემიგრაციაში წავიდნენ.

14 ივლისის მოვლენებმა მთელს საფრანგეთში ჰპოვეს გამოძახილი. განსაკუთრებული ენთუზიაზმი გლეხებმა გამოიჩინეს: ისინი უარს ამბობდნენ ფეოდალური გადასახადების გადახდაზე, ანადგურებდნენ იმ დოკუმენტებს, რომლებიც გლეხების მიმართ სენიორის უფლებებზე მიუთითებდნენ, წვავდნენ სასახლეებს და ზოგჯერ კლავდნენ კიდეც სენიორებს; დამშეულები აჩერებდნენ და ძარცვავდნენ პურით დატვირთულ აღალს.

რევოლუციური გამოსვლები საფრანგეთის სხვა ქალაქებსაც მოედო: სტრასბურგი, ტრუა, ბორდო, ამიენი, რუანი და სხვა კლასობრივი ბრძოლების ასპარეზად გადაიქცა. ძველი ხელისუფლების ნაცვლად ხალხი საქალაქო თვითმმართველობის ახალ ორგანოებს — მუნიციპალიტეტებს ირჩევდა, რომლებშიც ძირითადად ბურჟუაზიის წარმომადგენლები შედიოდნენ. ეს მოძრაობა, რომელიც 1789 წლის ივლის-აგვისტოში მთელს საფრანგეთში გავრცელდა „მუნიციპალური რევოლუციის“ სახელით არის ცნობილი.

გაზეთები, კლუბები, პარტიები. რევოლუციის დაწყებისთანავე პარიზში გამოიცემოდა გაზეთები: „პარიზის რევოლუცია“, „საფრანგეთისა და ბრაბანტის რევოლუციები“[1], „ხალხის მეგობარი“ და სხვა, რომლებიც არა მარტო ინფორმაციებს აწვდიდნენ მოსახლეობას დამფუძნებელი კრებისა და პროვინციებში მიმდინარე მოვლენების შესახებ, არამედ თავიანთ პუბლიკაციებში ასახავდნენ ყოველდღიურ აქტუალურ საკითხებს.

---

[1] ბრაბანტი მაშინ ეკუთვნოდა ავსტრიას, სადაც ამ დროს მიმდინარეობდა რევოლუცია იოზეფ II წინააღმდეგ.

იმავდროულად პოლიტიკური თანამოაზრენი ქმნიდნენ პოლიტიკურ საზოგადოებებს, კლუბებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ყოფილმა ბრეტონის კლუბმა, რომელმაც პარიზში გადმოსვლის შემდეგ მიიღო **„კონსტიტუციის მეგობართა საზოგადოების“ ანუ იაკობელთა კლუბის სახელწოდება** (ისინი იკრიბებოდნენ გაუქმებული იაკობელთა მონასტრის ბიბლიოთეკაში). იაკობელთა პარიზის კლუბმა პროვინციებში შექმნა რამდენიმე ათეული განყოფილება, რომლებთანაც მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა. იაკობელთა კლუბში სისტემატურად ისმენდნენ მოხსენებებს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ, კამათობდნენ და შემდეგ ადგენდნენ რეზოლუციებს, რომლებსაც ხშირად აფიშების სახით აკრავდნენ საყოველთაო ინფორმაციისათვის.

ძველი რეჟიმის დროს პარტიები, თანამედროვე გაგებით, საფრანგეთის საზოგადოებაში არ არსებობდა, იყვნენ მხოლოდ თანამოაზრენი, ურთიერთთანაგრძნობითა და ურთიერთისადმი სიმპათიით გამსჭვალული ადამიანები. დამფუძნებელ კრებაში, სადაც წამყვან როლს ბურჟუაზიის ზედა ფენა და ლიბერალური თავადაზნაურობა ასრულებდა, მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხების განხილვისას სულ მალე ჩამოყალიბდა პარტიები „მემარჯვენეები“ და „მემარცხენეები“.[1] პირველები ეწინააღმდეგებოდნენ კონსტიტუციას, იცავდნენ მეფის განუსაზღვრელ, აბსოლუტურ ხელისუფლებას და წოდებათა პრივილეგიებს, კონსტიტუციონალისტები — რევოლუციის მომხრენი, წარმოადგენდნენ თითქმის მთელ მესამე წოდებას, აგრეთვე ლიბერალურ თავადაზნაურობასა და სამღვდელოების ნაწილს, მათ შორის გამოირჩეოდა დეპუტატი არასის პროვინციიდან რობესპიერი.

კონსტიტუციონალისტები თავის მხრივ იყოფოდნენ ზომიერებად და რადიკალებად. ზომიერებში თვალსაჩინო როლს ასრულებდა გრაფი მირაბო. რევოლუციის დასაწყისში იგი მხარს უჭერდა დემოკრატიულ გარდაქმნებს, სასტიკად აკრიტიკებდა პრივილეგირებულ წოდებებს და მეფის კამარილიას. მაგრამ, როდესაც ძველი წყობილება

---

[1] დამფუძნებელი კრების სხდომების დროს რევოლუციის მომხრეები და მოწინააღმდეგეები, შემთხვევით სხდებოდნენ თავმჯდომარის მაგიდის სხვადასხვა მხარეს, პირველნი — მარცხნივ, მეორენი — მარჯვნივ. ასე წარმოიშვა ცნებები „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“.

დაემხო, ხალხთა მასების მოძრაობების გაძლიერებით დაშინებულმა მირაბომ შეიცვალა პოზიცია და რევოლუციის შემდგომი განვითარების წინააღმდეგ გამოდიოდა; მას მხოლოდ მეფის განუსაზღვრელი ძალაუფლების შეზღუდვა და რეფორმირებულ სახელმწიფოში მინისტრის სავარძლის დაუფლება სურდა. ამ მიზნით მან საიდუმლო კავშირიც კი დაამყარა მეფის კართან.

რადიკალებს შორის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა ბარნავი. იგი რევოლუციის დასაწყისიდანვე სისტემატურად გამოდიოდა აბსოლუტური ხელისუფლების წინააღმდეგ და მოითხოვდა ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარებას. მეფის გაქცევის წარუმატებელი ცდის (1791) შემდეგ, როდესაც მონარქიის დამხობისა და რესპუბლიკური მმართველობის დამყარების რეალური პერსპექტივა შეიქმნა, ბარნავმა, ისე როგორც მირაბომ, შეიცვალა შეხედულება და პირდაპირ განაცხადა: „რევოლუცია უნდა შეჩერდეს; კიდევ ერთი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ და ჩვენ გავანადგურებთ მეფის ხელისუფლებას; კიდევ ერთი ნაბიჯი თანასწოროობისაკენ და ჩვენ მოვსპობთ კერძო საკუთრებას“.

რევოლუციის განვითარების კვალობაზე სხვა „მემარცხენეებისა“ და „მემარჯვენეების“ პოზიციებიც იცვლებოდა.

§5. დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო საქმიანობა

მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესები და მისწრაფებები აისახა დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში. რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი საკითხი აგრარული საკითხი იყო. ამიტომ დამფუძნებელმა კრებამ, განსაკუთრებით თავადაზნაურთა დეპუტატებმა, ამ პრობლემას თავიდანვე მიაქციეს ყურადღება. 1789 წ. 4-11 აგვისტოს მიღებული კანონით უქმდებოდა მხოლოდ მეორეხარისხოვანი ფეოდალური ვალდებულებები („მკვდარი ხელის უფლება“, სენიორული სასამართლოები, სერვიტუტი, ნადირობის განსაკუთრებული უფლება და ა. შ.), ძირითადი, რე-

ალური გადასახადები და ვალდებულებები კი (ჩინში, ბეგარა, ერთჯერადი გადასახადი ცენზივის გაყიდვისა და მემკვიდრეობის მიღების დროს, საეკლესიო მეათედი და ა. შ.) რჩებოდა. მათი გამოსყიდვა გლეხის შესაძლებლობებს აღემატებოდა, ხელისუფლება კი მათ არავითარ დახმარებას არ უწევდა. ამიტომ გლეხთა გამოსვლები შემდგომშიც გაგრძელდა.

1790 წლის ივნის-ნოემბრის დეკრეტებით დაფუძნებულმა კრებამ განახორციელა საეკლესიო რეფორმა. ეკლესია, რომელიც მიწების 1/6 ფლობდა და მოსახლეობისაგან მეათედს იღებდა, პრივილეგირებული მესაკუთრე იყო. საფრანგეთის საზოგადოებაში, განმანათლებლების მოძღვრების ზეგავლენით, დომინირებდა აზრი იმის შესახებ, რომ „მორალის მქადაგებლებს" (მირაბო) არ შეიძლებოდა ჰქონოდათ უზარმაზარი სიმდიდრე მაშინ, როცა სახელმწიფო მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა. ეკლესიის მსახურთათვის საკმარისია ხელფასი, მათი ქონება კი უნდა მოხმარდეს საზოგადოებას. ამ მოსაზრების შესაბამისად საეკლესიო ქონება გამოაცხადეს ეროვნულ საკუთრებად და მათი გაყიდვით მიღებული შემოსავლით (სულ 400 მლ. ლივრი) უნდა გაესტუმრებინათ სახელმწიფო ვალები. სამღვდელოების დაბალმა ფენებმა, რომლებიც ნაკლებად სარგებლობდნენ საეკლესიო ქონებით, ბურჟუაზიასთან ერთად, მხარი დაუჭირა რეფორმას, თუმცა ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც საეკლესიო მიწების სეკვესტრის საკითხი დააყენა, იყო თავისი გამჭრიახობითა და მოქნილობით სახელგანთქმული ოტენის ეპისკოპოსი, შემდეგში ცნობილი დიპლომატი, ტალეირანი. მან სხვებზე ადრე შეიგრძნო თუ საიდან უბერავდა ქარი, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ამით რევოლუციის მომხრეთა ნდობა დაიმსახურა. მისი აზრით, საეკლესიო ქონება არ განეკუთვნებოდა საკუთრების სხვა ფორმებს და, ამდენად, მისი ჩამორთმევით არ შეილახებოდა კერძო საკუთრების უფლება საერთოდ.

საეკლესიო ქონების კონფისკაციით დამფუძნებულმა კრებამ არა მარტო სახელმწიფოს ვალების პრობლემა გადაწყვიტა, არამედ ფოდალურ წყობას გამოაცალა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი. მაგრამ ბურჟუაზია ამას არ დასჯერდა; მან გადაწყვიტა სამღვდელოების პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობაც. ამ მიზნით,

დამფუძნებელმა კრებამ გააუქმა არქიეპისკოპოსების თანამდებობა და შეამცირა ეპისკოპოსების რაოდენობა; ამიერიდან თვითონ მოსახლეობა ირჩევდა ეპისკოპოსებსა და მღვდლებს ისევე, როგორც სხვა თანამდებობის პირებს. არჩეული ეპისკოპოსი პაპის დამტკიცებას არ საჭიროებდა, პაპს მხოლოდ აცნობებდნენ ამის შესახებ. აუცილებელი არ იყო პაპისადმი მორჩილებაზე ფიცის დადება, სამაგიეროდ, სასულიერო პირს ფიცი უნდა დაედო კონსტიტუციის მიმართ ერთგულებაზე, უნდა აღეთქვა ერის, კანონისა და მეფისადმი მორჩილება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ემუქრებოდა თანამდებობის დატოვება და მოქალაქის უფლებების ჩამორთმევა. ეს ფაქტიურად ნიშნავდა რომთან კავშირის გაწყვეტას და საფრანგეთში კათოლიკობის გაუქმებას.

საეკლესიო რეფორმა აკნინებდა სამღვდელოების როლს და მას სახელმწიფოს უქვემდებარებდა. დამფუძნებელი კრების ჩარევა საეკლესიო საქმეებში ეწინააღმდეგებოდა მის მიერვე დეკლარირებულ რწმენის თავისუფლებას. პაპმა არ სცნო ახლადარჩეული ეპისკოპოსები; გათიშვა მოხდა თვით სამღვდელოებაშიც: ნაწილი დათანხმდა ფიცის მიღებას, ნაწილი კი არა.

დამფუძნებელი კრების კლასობრივი არსი ყველაზე ნათლად გამომჟღავნდა მუშათა მიმართ დამოკიდებულებაში. 1791 წლის 14 ივნისს დეპუტატ ლე შაპელიეს ინიციატივით მიიღეს დეკრეტი, რომლის მიხედვით მუშებს ეკრძალებოდათ სხვადასხვა სახის კავშირების, ასოციაციების შექმნა თავიანთი სოციალური ყოფის — ხელფასის გადიდების, სამუშაო დღის შემცირებისა და ა. შ., გაუმჯობესების მიზნით. ცხადია, ეს კანონი მეწარმეთა ინტერესებით გახლდათ ნაკარნახევი, მაგრამ მასში ფორმალურად ნათქვამი იყო, რომ თითქოსდა ყოველგვარი გაერთიანების შექმნა ეწინააღმდეგებოდა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციაში“ გაცხადებულ პრინციპებს და ზღუდავდა პიროვნების თავისუფლებას.

დამფუძნებელი კრების ასეთი განცხადების არაგულწრფელობა, მისი ორმაგი ბუნება, მჟღავნდება შემდეგი ფაქტით: დეკლარაციის ერთ-ერთი მთავარი დებულების — „ყველა მოქალაქეს აქვს უფლება პირადი ან თავისი წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობა მი-

იღოს კანონების გამოცემაში“ საწინააღმდეგოდ, 1789 წელს ოქტომბერ-დეკემბერში მიღებული დეკრეტებით, მოქალაქეები, ქონებრივი ცენზის საფუძველზე იყოფოდნენ აქტიურებად და პასიურებად. პირველს მიეკუთვნებოდნენ ის მოქალაქეები, ვინც იხდიდა პირდაპირ გადასახადს სამი სამუშაო დღის საფასურის მოცულობით და მხოლოდ ისინი სარგებლობდნენ პოლიტიკური უფლებებით, ე. ი. მონაწილეობდნენ არჩევნებში; იმისათვის, რომ თვითონ ყოფილიყვნენ არჩეულები კიდევ უფრო მეტი გადასახადის გადახდის შესაძლებლობა უნდა ჰქონოდათ. ღარიბები კი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნებს, მიეკუთვნებოდნენ პასიურ მოქალაქეებს, გარიყული იყვნენ პოლიტიკური ცხოვრებიდან და ადგილობრივ მმართველობაში მონაწილეობისაგან.

საფრანგეთში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრების საქმეში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1790 წლის 19 ივნისს გამოცემული დეკრეტი, რომლითაც **უქმდებოდა მემკვიდრეობითი თავადაზნაურობა** და მასთან დაკავშირებული ტიტულები: გრაფი, მარკიზი, თავადი, ჰერცოგი და ა. შ., იკრძალებოდა საგვარეულო გერბებით სარგებლობა. ყველანი ითვლებოდნენ საფრანგეთის მოქალაქეებად და შეეძლოთ მხოლოდ ოჯახის უფროსის გვარის ტარება.

ძველი რეჟიმის საფრანგეთი ადმინისტრაციულად იყოფოდა პროვინციებად, ჟენერალიტეებად, ბალიაჟებად და ა. შ. დამფუძნებელმა კრებამ გააუქმა პრივილეგიები, რომლებითაც ზოგიერთი პროვინცია სარგებლობდა (“სახელმწიფოები სახელმწიფოში“). ამ რეფორმას უეჭველად დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, **1790 წლის 15 იანვრის კანონით საფრანგეთი იყოფოდა 83 დეპარტამენტად**, რომლებსაც დაახლოებით თანაბარი ტერიტორიები ეკავათ. დეპარტამენტებს მართავდნენ ადმინისტრაციული საბჭოები და ხუთი კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი დირექტორები. ახალი ადმინისტრაციული სისტემის შემოღებით, ერთიანი საგადასახადო პოლიტიკის დაწესებით, ფეოდალური სასამართლოების გაუქმებით, შიდა საბაჟოების მოსპობით ქვეყნის სხვადასხვა მხარეები მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რაც ხელს უწყობდა სავაჭრო და სამრეწველო საქმიანობის განვითარებას. ამავე მიზნებს ისახავდა 1791 წლის თებერ-

ვალში გამოცემული დეკრეტი, რომელიც აუქმებდა ამქრებს და მათ პრივილეგიებს. უფრო ადრე გააუქმეს სამრეწველო საქმიანობის სამთავრობო რეგლამენტაცია.

ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფამდე ცოტა ხნით ადრე, 1790 წლის მაის-ივნისში, პარიზის მმართველობაშიც მოხდა ცვლილებები: ძველი დისტრიქტების ნაცვლად, იგი დაიყო 48 სექციად. სექციების კრებებზე დასწრება შეეძლოთ მხოლოდ „აქტიურ" მოქალაქეებს.

ასეთია დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული ძირითადი საკანონმდებლო აქტები, რომლებმაც შემდეგ ასახვა ჰპოვეს 1791 წლის კონსტიტუციაში.

1791 წლის კონსტიტუცია. კონსტიტუცია იწყებოდა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციით", რომელიც ეყრდნობოდა ამერიკის „დამოუკიდებლობის დეკლარაციის" ძირითად დებულებებს და ასახავდა იმდროინდელი საზოგადოების მოწინავე ნაწილის წარმოდგენებს სამართლიანი საზოგადოებრივი წყობის შესახებ; დეკლარაციის პირველ პუნქტში ნათქვამი იყო: „ადამიანები იბადებიან და რჩებიან თავისუფლები და თანასწორნი უფლებებში. საზოგადოებრივი განსხვავება შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ საერთო სარგებლობას".

აქედან გამომდინარე, უქმდებოდა ყველა წოდებრივი განსხვავებანი და უპირატესობები, დაბადებით მიღებული ტიტულები და პრივილეგიები, გადასახადები ვრცელდებოდა თავადაზნაურებზე და სამღვდელოებაზე და ა. შ. ცხადდებოდა სინდისის თავისუფლება და იკრძალებოდა ყოველგვარი შეზღუდვა პროტესტანტებისა და ებრაელების მიმართ; წესდებოდა პრესის თავისუფლება და უქმდებოდა ცენზურა; უნდა ჩატარებულიყო სასამართლო რეფორმა: სასამართლო იქნებოდა საერთო (არაწოდებრივი), უფასო და საჯარო, არსდებოდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

დეკლარაცია იზიარებდა ინგლისისა და ამერიკის რევოლუციების მოძღვრებას სახალხო ხელისუფლების შესახებ: „უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის ერს"; „კანონი ადამიანთა საერთო ნების გამოხატ-

ულებაა". ამავე დროს, მონტესკიეს მოძღვრების შესაბამისად, იქვე ნათქვამი იყო, რომ ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია უმაღლესი ხელისუფლების დაყოფა. მეფესა და მის მინისტრებს რჩებოდათ მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება, საკანონმდებლო კი გადადიოდა დეპუტატების (საკანონმდებლო კრების) ხელში.

მინისტრები, რომლებსაც მეფე ნიშნავდა, საკანონმდებლო კრების წინაშე ანგარიშვალდებულნი უნდა ყოფილიყვნენ, მათ ეკისრებოდათ კრების სხდომებზე დასწრება. მეფეს ჰქონდა სუსპენსიური (შემაკავებელი) ვეტოს უფლება, მაგრამ, თუ დეპუტატები საკითხის ორჯერ განხილვის შემდეგ არ შეიცვლიდნენ აზრს, მაშინ კრების დადგენილება, მეფის თანხმობის გარეშე, ძალაში შედიოდა.

საფრანგეთი ცხადდებოდა ერთიან და განუყოფელ სამეფოდ. მოხერხებული მართვისათვის ქვეყანა იყოფოდა 83 დეპარტამენტად; უქმდებოდა შიდა საბაჟოები, მარილზე გადასახადი და ა. შ. ძველი ბიუროკრატიის მიმართ სიძულვილის გამო შემოიღეს სრული თვითმმართველობა. დეპარტამენტებში, ოლქებში, თემებში ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს, მოსამართლეებს, ქალაქის თავებს, მამასახლისებს, გადასახადის ამკრეფთ და ა. შ. მოსახლეობა ირჩევდა. უმაღლეს ხელისუფლებას არ შეეძლო მათი დამტკიცება ან თანამდებობიდან მოხსნა. არაპირდაპირ გადასახადებთან ერთად უქმდებოდა მათი გამოსყიდვის უფლება; პირდაპირი გადასახადები წესდებოდა მიწაზე, სახლზე, სავაჭრო და სამრეწველო საქმიანობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ აგრარული საკითხი გადაუჭრელი დარჩა, მონობა არ გაუქმდა და საარჩევნო უფლებების მიხედვით ადამიანები იყოფოდნენ აქტიურებად და პასიურებად, 1791 წლის კონსტიტუცია უეჭველად მაინც პროგრესული მოვლენა იყო.

1791 წლის 13 სექტემბერს მეფემ ხელი მოაწერა კონსტიტუციას, ხოლო 30 სექტემბერს დამფუძნებელმა კრებამ შეწყვიტა არსებობა. იგი შეცვალა საკანონმდებლო კრებამ.

§6. რევოლუცია საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის პერიოდში (1791 წ. 1 ოქტომბერი – 1792 წ. 20 სექტემბერი)

დამფუძნებელი კრების საქმიანობა მიმართული იყო არა მთლიანად მესამე წოდების, არამედ მისი მხოლოდ ერთი ნაწილის – ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ. ამიტომ დაარსებიდან ორი წლის შემდეგ, 1791 წლისათვის, იგი არცთუ ისე პოპულარული იყო, როგორც დასაწყისში. ამიტომ იმ პროგრესული დადგენილებებისა და კანონების ცხოვრებაში გატარება, რომლებიც კრებამ უკვე მიიღო, საფრთხის ქვეშ მოექცა. მეფე თავის ნების საწინააღმდეგოდ ეთანხმებოდა კრების გადაწყვეტილებებს. იგი ელოდა ხელსაყრელ დროს იმისათვის, რომ უცხო ძალების მოშველიებით დაემხო არსებული კონსტიტუციური წყობა, რომლის ერთგულებაზე მან ფიცი დადო. მეფის ამ ფარულ ზრახვებს აქტიურად უჭერდა მხარს დედოფალი მარი ანტუანეტი, რომელიც ავსტრიის იმპერატორის იოზეფ II და იყო. რევოლუციის წინააღმდეგ უცხო სახელმწიფოთა ინტერვენციაზე და მეფის აბსოლუტური ხელისუფლების აღდგენისათვის აქტიურად საქმიანობდნენ ემიგრანტი პრინცები და ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები. ისინი სხვადასხვა სახელმწიფოებში, განსაკუთრებით პრუსიასა და ავსტრიაში, პროპაგანდას ეწეოდნენ იმის თაობაზე, რაოდენ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ევროპის მონარქებისათვის საფრანგეთში მიმდინარე მოვლენები.

ითვალისწინებდნენ რა მოსალოდნელ საფრთხეს, პრუსიისა და ავსტრიის მონარქები (ფრიდრიხ ვილჰელმ II და ლეოპოლდ II) 1791 წლის 27 აგვისტოს სათათბიროდ შეიკრიბნენ პილნიცში (საქსონიაში), სადაც საფრანგეთის მეფის დასახმარებლად ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას. პილნიცის დეკლარაციაზე ხელის მოწერა ფაქტიურად ნიშნავდა ფეოდალურ-მონარქიული ევროპის სახელმწიფოების პირველი კოალიციის შექმნას რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ. ამ მოვლენამდე ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა მირა-

ბო, რომელსაც, მართალია, სურდა მეფის გამოხსნა პარიზიდან (სადაც იგი რევოლუციონერთა დიქტატს ექვემდებარებოდა), მაგრამ, ამავე დროს, იგი ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა ლუი XVI განზრახვას გამოეყენებინა სხვა სახელმწიფოების სამხედრო ძალები საკუთარი ერის წინააღმდეგ. მეფე მაინც ჯიუტად ცდილობდა ემიგრანტებთან შეერთებას და უცხო სახელმწიფოების ორგანიზებას. ამ მიზნით იგი თავის ოჯახთან ერთად პარიზიდან გაიქცა, მაგრამ ბელგიის საზღვართან ახლოს, ვარენში, იგი დააკავეს (1791 წ. 21 ივნისი) და პარიზში დააბრუნეს. ამ ფაქტმა ხალხში დიდი მღელვარება გამოიწვია; ახლა უკვე კლუბებში, პრესაში, კრებებზე აშკარად გამოდიოდნენ მონარქიის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ რევოლუციის გაგრძელებას რესპუბლიკის დამყარებისათვის. დამფუძნებელმა კრებამ ერთის მხრივ მეფე დაიცვა და დროებით ჩამოაშორა იგი აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაგრამ, ამავე დროს, მკაცრად დაგმო რესპუბლიკელები.

მეფის გაქცევიდან ერთი თვის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო ფედერაციის (ე.ი. ფრანგი ხალხის ერთიანობის) დღესასწაული. პარიზთან ახლოს, მარსის მინდორზე, ანტიმონარქისტებმა შეადგინეს პეტიცია, რომლითაც მოითხოვდნენ ლუი XVI ტახტიდან ჩამოგდებას და მსურველებს მოუწოდებდნენ ხელი მოეწერათ ამ დოკუმენტზე. დამფუძნებელი კრებისა და პარიზის მუნიციპალიტეტის ბრძანებით მარსის ველზე გაიგზავნა ჯარი და ეროვნული გვარდია ლაფაიეტის ხელმძღვანელობით. ხალხმა ჯარისკაცებს ქვების სროლა დაუწყო, საპასუხოდ ჯარმა 1791 წლის 17 ივლისს უიარაღო ხალხს ტყვიები დაუშინა, რის შედეგადაც 50-მდე ადამიანი დაიღუპა.

მარსის მინდორზე დახვრეტას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. რევოლუციის დაწყებიდან პირველად ყოფილი მესამე წოდების ერთი ნაწილი — მსხვილი ბურჟუაზია იარაღით ხელში დაუპირისპირდა ახლო წარსულში თავის მოკავშირეს — ხალხს.

მარსის მინდორზე დახვრეტამდე ერთი დღით ადრე, 16 ივლისს იაკობელთა კლუბიც გაიყო ორ ნაწილად. ბარნავმა და კონსტიტუციური მონარქიის სხვა მომხრეებმა დატოვეს იაკობელები და დაარსეს

ახალი კლუბი, რომელმაც **ფეიანთა კლუბის** (სახელი ეწოდა სხდომების ადგილის მიხედვით, რომლებიც ტარდებოდა ფეიანთა მონაზონური ორდენის ყოფილ შენობაში) სახელწოდება მიიღო. იგი გახდა მსხვილი ბურჟუაზიის პოლიტიკური ცენტრი.

ფეიანთა გამოყოფის შემდეგ იაკობელთა კლუბი გადაიქცა რესპუბლიკური იდეების მთავარ გამავრცელებელ ცენტრად. მასში ძირითადად გაერთიანებული იყვნენ ადვოკატები, ლიტერატორები, ექიმები, მასწავლებლები, ტექნიკოსები. ეყრდნობოდა რა თავის ფილიალებს პროვინციებში, აგენტების საშუალებით იაკობელებმა ფართო პროპაგანდა გააჩაღეს ხალხში და მტკიცედ შეკრულ ძალად გამოდიოდნენ საქალაქო და სადეპარტამენტო თანამდებობებზე, აგრეთვე საკანონმდებლო კრების არჩევნებში; უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხალხი პოლიტიკურ არჩევნებს გულგრილად და უნდობლად უყურებდა; მასში, ზოგჯერ მონაწილეობას არ იღებდა აქტიური მოქალაქეების უმრავლესობა. ასეთ პირობებში ერთიან გუნდად გაერთიანებული იაკობელები, მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობაში იყვნენ, მაინც ახერხებდნენ თავიანთი კანდიდატების გაყვანას საქალაქო საბჭოებში. ამ გარემოებამ, აგრეთვე უცხოელთა შემოსევისა და მასთან დაკავშირებულმა რეაქციის გამო შიშმა, საშუალება მისცა იაკობელებს გაბატონებულიყვნენ მთელს საფრანგეთში.

აი, ასეთი პოლიტიკური ფონი დახვდა საკანონმდებლო კრებას, როდესაც იგი 1791 წლის 30 სექტემბრიდან შეუდგა მუშაობას.

დამფუძნებელი კრების დეპუტატებმა საარჩევნო კანონის განხილვის დროს ისეთი გადაწყვეტილება მიიღეს, რომელიც მათი უსაზღვრო პატრიოტიზმისა და უანგარობის დამადასტურებელია. **არც ერთი ჩვენთაგანი არ შეიძლება არჩეულ იქნას ახალ საკანონმდებლო ორგანოში** — ერთხმად განაცხადეს მათ და, მართლაც, საკანონმდებლო კრებაში წარმოდგენილი იყვნენ სრულიად ახალი ადამიანები, უმეტესად ახალგაზრდები, რომლებიც უფრო დემოკრატიული სიულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალული, ვიდრე წინა თაობის დეპუტატები. ახალ პალატაში კონსტიტუციური მონარქიის მომხრენი კონსერვატორ მემარჯვენეებს (ფეიანებს) წარმოადგენდნენ, დემოკრატე-

ბი – მემარცხენეებს, რომლებიც რესპუბლიკისაკენ იხრებოდნენ. მემარცხენეები თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ე. წ. ჟირონდელებად (სახელწოდება წარმოდგება ჟირონდას დეპარტამენტისაგან, საიდანაც იყვნენ ამ პარტიის ყველაზე გამოჩენილი დეპუტატები ბრისო, ვერნიო, ინარი და სხვ) და უკიდურეს მემარცხენეებად, ან კიდევ, როგორც მათ ზოგჯერ უწოდებენ, მონტანიარებად, ანუ მთად (საკანონმდებლო კრებაში ამ პარტიის წარმომადგენლები ყველაზე მაღალ ადგილებზე ისხდნენ. ფრანგულად Montagne – მთა).

ჟირონდელებს რესპუბლიკა იდეალური ფორმით წარმოედგინათ, რომლის დროსაც საყოველთაო თავისუფლება და თანასწორობა იქნებოდა. მისი დამყარება კი გონების ძალითა და ხალხთა მასების მისწრაფებებით შეიძლებოდა. ჟირონდელების ასეთი იდეალისტური შეხედულებები ყველაზე რელიეფურად წარმოდგენილია კონდორსეს (1743-1794) შემოქმედებაში. კონდორსე იყო გამოჩენილი მეცნიერი, მათემატიკოსი და ბუნებისმეტყველი, თანამშრომლობდა ენციკლოპედისტებთან, შედიოდა ტიურგოს სამინისტროში. იგი აქტიურად ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში, იყო თვითმმართველობის მომხრე, მოითხოვდა პრესის თავისუფლებას, ქალთა უფლებების დაცვას, მონობის გაუქმებას. მეფის გაქცევის შემდეგ, მან პირველმა გამოსცა რესპუბლიკური გაზეთი. საკანონმდებლო კრებაში და კომუნაში მოღვაწეობის დროს კონდორსე მოითხოვდა სახელმწიფოს ხარჯზე საყოველთაო სახალხო განათლების შემოღებას, ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლებას.

რადგანაც აგრარული საკითხი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი, საკანონმდებლო კრება კვლავ დაუბრუნდა მის განხილვას. დამფუძნებელი კრებისაგან განსხვავებით, საკანონმდებლო კრებამ სულ სხვანაირად დააყენა გლეხთა საკითხი. თუ დამფუძნებელი კრება გლეხებისაგან მოითხოვდა სათანადო დოკუმენტებს, რომლებიც დაადასტურებდნენ მის უფლებას უფასოდ განთავისუფლების შესახებ, საკანონმდებლო კრებამ პირიქით, მემამულეებს მოსთხოვა გლეხების მიმართ მათი უფლებების დამადასტურებელი საბუთები, რომელთა წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ყოველგვარი პირობების გარეშე, გლეხი

თავისუფლდებოდა ფეოდალური ვალდებულებებისაგან. ვინაიდან ასეთი დოკუმენტების წარდგენა თითქმის შეუძლებელი იყო (ფეოდალები ძირითადად ტრადიციის ძალით ფლობდნენ გლეხებზე უფლებებს), ფეოდალური ვალდებულებები ავტომატურად უქმდებოდა.

აგრარული საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ფაქტიურად ნიშნავდა ომის გამოცხადებას ძველი პრივილეგირებული მესაკუთრეებისადმი. მათი ნაწილი ამ დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა და საფრანგეთის რევოლუციას სამხედრო ძალით ემუქრებოდა. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ მიმართავდნენ რევოლუციონერები მათ წინააღმდეგ ასეთ მკაცრ ღონისძიებებს. საკანონმდებლო კრებამ გამოაცხადა ქონების კონფისკაცია და სიკვდილით დასჯა იმ ემიგრანტებისა, რომლებიც, გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, არ დაბრუნდებოდნენ სამშობლოში. საკანონმდებლო კრებამ ახალი წყობის მტრებად მიიჩნია ფიცდაუდებელი მღვდლებიც, ისინი დაითხოვეს თანამდებობებიდან და წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დაემუქრნენ ორი წლის პატიმრობით.

ლუი XVI არ დაამტკიცა დეკრეტები ემიგრანტებისა და ფიცდაუდებელი მღვდლების შესახებ. ამან უფრო გაზარდა მის მიმართ ოპოზიცია საკანონმდებლო კრებაში და ხალხში. უკვე აშკარად დაიწყეს ლაპარაკი მეფის ფარულ კავშირებზე უცხოეთის იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც შეიარაღებულ ინტერვენციას ამზადებდნენ საფრანგეთის წინააღმდეგ. მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით სხვადასხვა პოლიტიკური ძალები განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენდნენ. ჟირონდელები საჭიროდ თვლიდნენ მტრებთან პრევენტული ომის დაწყებას, რომელიც შემდეგ მეფეების წინააღმდეგ ხალხების ომად გადაიქცეოდა. ჟირონდელების მიერ ომის პროპაგანდამ მასებში მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა. იაკობელები რობესპიერის მეთაურობით უპირველეს ამოცანად მიიჩნევდნენ რევოლუციის შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლას. ლუი XVI ფიქრობდა, რომ ომი რთული მდგომარეობიდან გამოიყვანდა; ამიტომ მან შეადგინა სამინისტრო ჟირონდელებისაგან და ომი გამოუცხადა ავსტრიას; მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა მეფის ასეთ გადაწყვეტილებას. ათასობით


ინგლისი
ლონდონი
ბრიუსელი
ფლორიუსი
ლიერი
ვალანსიენი
ბამბენი
ლუქემბურგი
ტრირი
ზალბერსლაუტერნი
ბონნი
ბონლაუ
ტრაბანტი
ტრაბანტი
ტრაბანტი

მონარქიის დამხობა. ეს სახალხო მოძრაობა უპირველეს ყოვლისა წარიმართა მონარქიის წინააღმდეგ. ლუი XVI არ დაამტკიცა კრების გადაწყვეტილება პარიზთან ახლოს 20 000 ფედერატისათვის კარვების მოწყობის შესახებ; მაშინ ჟირონდელებისაგან შემდგარი სამინისტრო გადადგა. ჟირონდელები შეეცადნენ დიდი სახალხო დემონსტრაციებით ზეგავლენა მოეხდინათ მეფეზე. მაგრამ პარიზის გარეუბნების მუშებს შორის უფრო პოპულარობით სარგებლობდნენ იაკობელები. 1792 წლის 20 ივნისს მეფის სასახლისაკენ მსვლელობა თავდასხმაში გადაიზარდა. ხალხი შეცვივდა ტიულრიში; მეფე იძულებული გახდა დაეხურა წითელი ჩაჩი და ხალხის სადღეგრძელო დაელია ბოთლიდან. ამ დემონსტრაციას რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყოლია. მეფემ მაინც არ დაამტკიცა მის მიერ უარყოფილი დეკრეტები.

ფრონტებზე მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. პრუსიელები და ავსტრიელები საფრანგეთის საზღვრებში შემოიჭრნენ; მათ წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარები ცუდად იყვნენ მომზადებულები და უწესრიგოდ უკან იხევდნენ. „ორი სამყაროს გმირად" მონათლულმა ლაფაიეტმა (იგი მონაწილეობას იღებდა ამერიკის კოლონიების ომში დამოუკიდებლობისათვის, სადაც თავი გამოიჩინა), რომელიც ამ დროს ჯარს სარდლობდა, იმის ნაცვლად, რომ მტრის წინააღმდეგ ებრძოლა, დატოვა არმია, ჩავიდა პარიზში და საკანონმდებლო კრებას მოსთხოვა რევოლუციური კლუბების, იაკობელთა „ბანდების" გარეკვა და დახმარება აღუთქვა მეფეს. პარიზელები კიდევ უფრო გააცოფა მანიფესტმა, რომელიც გამოსცა პრუსიის არმიის მთავარსარდალმა ბრაუნშვაიგის ჰერცოგმა. მასში ნათქვამი იყო, რომ თუ მეფესა და მისი ოჯახის წევრებს მცირეოდენ შეურაცხყოფასაც კი მიაყენებდნენ, მაშინ პარიზში ქვას ქვაზე არ დატოვებდნენ.

ჟირონდისტ ვერნიოს წინადადებით, საკანონმდებლო კრებამ გამოაცხადა „სამშობლო საფრთხეშია" და თავის თავზე აიღო უმაღლესი მმართველობის სადავეები; მაგრამ პარიზი იაკობელთა ხელში იყო; მათ შექმნეს კომუნის ახალი ხელმძღვანელობა და 1792 **წლის 10 აგვისტოს მეორეჯერ დაესხნენ თავს მეფის სასახლეს.** ლუი XVI ოჯახით თავი შეაფარა საკანონმდებლო კრებას, სადაც მისი თან-

დასწრებით მეფის ხელისუფლება „შეჩერებულ“ იქნა, ე. ი. მას დროებით ჩამოართვეს სამეფო ტახტი და რეზიდენციად გამოუყვეს ლუქსემბურგის სასახლე, მაგრამ კომუნამ დააპატიმრა იგი და ტამპლის ციხეში ჩასვა.

მეფის საშველად ლაფაიეტმა ჯარით პარიზში შესვლა გადაწყვიტა, მაგრამ მის განზრახვას მტრულად შეხვდნენ და იგი საზღვარგარეთ გაიქცა. ჟირონდელებმა ხელახლა შეადგინეს სამინისტრო, რომელშიც 10 აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, იაკობელმა დანტონმა იუსტიციის მინისტრის პოსტი დაიკავა. მან პირველმა დაიწყო ტერორი რევოლუციის შინაური მტრების წინააღმდეგ. ამ დროს ყველა ლაპარაკობდა მონარქისტებისა და „არისტოკრატების“ შეთქმულებებზე, რომლებიც ემიგრანტებთან კავშირში ცდილობდნენ არსებული რევოლუციური ხელისუფლების დამხობას; დანტონის წინადადებით კრებამ მეფის მომხრეთა დასასჯელად დანიშნა საგანგებო სასამართლო; მანვე გასცა ბრძანება მთელს პარიზში ჩხრეკის ჩატარების შესახებ, რათა აღმოეჩინათ დამალული იარაღი და დაეპატიმრებინათ ეჭვმიტანილები. ციხეები გაივსო ადამიანებით, რომელთაგან ბევრი კომისრების პირადი ინტერესების გამო დააპატიმრეს. ერთი თვის შემდეგ, 1792 წლის 2-დან 5 სექტემბრამდე, გაავებულმა ბრბომ საპატიმროებში ამოხოცა რამდენიმე ათასი პატიმარი. მოგვიანებით ამ სისხლისღვრის ინიციატორებად ჟირონდელებმა იაკობელები დაასახელეს.

§7. ეროვნული კონვენტი (1792 წ. 21 სექტემბერი – 1795 წ. 26 ოქტომბერი)

მონარქიის დამხობასთან ერთად, 1791 წლის კონსტიტუციის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ამიტომ საკანონმდებლო კრებამ თავი დაშლილად გამოაცხადა. 1792 წლის 21 სექტემბერს იგი შეცვალა ეროვნულმა კონვენტმა, რომელსაც უნდა განესაზღვრა ქვეყნის მმართველობის ფორმა.

1792 წლის 21 სექტემბერს, თავის პირველსავე სხდომაზე, კონვენტმა მონარქია დამხობილად გამოაცხადა და იმავე დღეს, რესპუბლიკის დამყარება აუწყა ხალხს: **21 სექტემბერი გამოცხადდა „ახალი ერის“ დასაწყისად, მომდევნო წელი კი თავისუფლების IV და რესპუბლიკის პირველ წლად.** კონვენტის გახსნის წინა დღეს მთავარსარდლებმა დიუმურიემ და კელერმანმა **ვალმისთან** ბრძოლაში უკუაგდეს პრუსიელთა შემოტევა. ეს იყო საფრანგეთის პირველი წარმატებული ბრძოლა ევროპის კონტრრევოლუციური კოალიციის წინააღმდეგ. ამ გამარჯვებით აღფრთოვანებული ფრანგები სულ მალე შეტევაზე გადავიდნენ, გაათავისუფლეს ბელგია, რაინის მარცხენა ნაპირი და სარდინიის სამეფოს წაართვეს სავოია და ნიცა.

კონვენტში 750 დეპუტატი აირჩიეს. საკანონმდებლო კრებისაგან განსხვავებით, მემარჯვენეებს ახლა წარმოადგენდნენ არა ფეიანები, არამედ ჟირონდელები, რომლებიც 200 დეპუტატით იყვნენ წარმოდგენილი; მათ ძირითადად პროვინციებში უჭერდნენ მხარს. კონვენტის მემარცხენე ფრთას შეადგენდნენ იაკობელების ანუ „მთის“ 100 დეპუტატი. მართალია, „მთას“ ჟირონდელებთან შედარებით ორჯერ ნაკლები დეპუტატი ჰყავდა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ პარიზის მოსახლეობა მათ ემხრობოდა. პარიზიდან იყვნენ არჩეული რობესპიერი, დანტონი, მარატი და რევოლუციის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი.

კონვენტის უმრავლესობას შეადგენდნენ ის დეპუტატები, რომლებიც ფორმალურად არც მემარცხენეების „მთას“ და არც მემარჯვენე ჟირონდელებს არ მიეკუთვნებოდნენ. ამიტომ ირონიულად მათ „ჭაობი“ უწოდეს. თავიანთი უპრინციპობის გამო, ისინი ხან ჟირონდელებს, ხან კი იაკობელებს ემხრობოდნენ, იმის მიხედვით, თუ მოცემულ პერიოდში ვინ უფრო ძლიერი იყო. სწორედ ამით აიხსნება კონვენტის მერყეობა თავისი არსებობის სამი წლის (1792-1795) მანძილზე და რეაქციისაკენ შემობრუნება ჯერ ჟირონდელების, შემდეგ კი იაკობელების დამხობის შემდეგ.

იაკობელთა მმართველობა. 1793 წელი კონვენტის საქმიანობაში მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა. ამ წელს მიიღეს ახალი კონ-

სტიტუცია; მისი ამოქმედება კი ომებისა და შინაური შუღლის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტეს.

1793 წლის კონსტიტუცია, 1791 წლის ცენზიან კონსტიტუციასთან შედარებით, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. იგი ადამიანის განუყოფელ და ბუნებრივ უფლებებად აცხადებდა თავისუფლებას, თანასწორობას, უშიშროებას და საკუთრების ქონას. კონსტიტუციაში დეკლარირებული იყო პიროვნებისა და რწმენის თავისუფლება, საკანონმდებლო ინიციატივის, პრესის, პეტიციის წარდგენის, შრომის, განათლების, „თუ მთავრობა არ იცავს ხალხის ინტერესებს“ აჯანყების უფლება. არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლო 21 წლის ყველა ფრანგ მამაკაცს. როდესაც ყველა ფრანგი მოქალაქისათვის განათლების უფლებას აღიარებდნენ, კონსტიტუციის ავტორები ხელმძღვანელობდნენ მოსაზრებით: „უმეცარი ხალხი არ შეიძლება თავისუფალი იყოს“.

დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად იაკობელებმა იდეალური მოქალაქის სახის ჩამოყალიბებაც სცადეს. იგი უნდა ყოფილიყო სპარტანული მოთმინებისა და უბრალოების განსახიერება: წინა ეპოქისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი, მდიდრული ტანსაცმლის ნაცვლად მამაკაცები და ქალები იცვამდნენ სადა შავი ფერის კოსტიუმებს ყოველგვარი მორთულობის გარეშე, თავადაზნაურობისათვის დამახასიათებელი სალონური წეს-ჩვეულებების საწინააღმდეგოდ ერთმანეთს მიმართავდნენ შენობით, „მოქალაქე“ და ა. შ. იაკობელები ამით ცდილობდნენ ხაზი გაესვათ უბრალო, მშრომელ მოსახლეობასთან თავიანთი სიახლოვისათვის.

კონვენტის მუშაობა რთულ, დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლებში ადრე მიღწეული წარმატებები, 1793 წლის დასაწყისში წარუმატებლობით შეიცვალა: ავსტრიელების მიერ დამარცხებული დიუმურიე, ლაფაიეტის მსგავსად, საზღვარგარეთ გაიქცა. რესპუბლიკას ახალი მტრები გაუჩნდნენ ინგლისის, ჰოლანდიის, ესპანეთის, პაპისა და გერმანიის იმპერიის სახით. ახლა საფრანგეთი თითქმის მთელ ევროპას ებრძოდა. სხვადასხვა ძალები რევოლუციის წინააღმდეგ ქვეყნის შიგნითაც გააქტიურდნენ: ვანდეაში, საფრანგეთის ერთ-ერთ ჩამორჩენილ ოლქში, თა-

ვადაზნაურები და ფიცდაუდებელი მღვდლების მომხრეები არ დაემორჩილნენ კონვენტს და მონარქიის დასაცავად ამბოხება მოაწყვეს. იგი მალე გავრცელდა ნორმანდიასა და ბრეტანში. სახელმწიფო ხაზინა დაცარიელებული იყო, ვალები დაუფარავი. ქვეყანა იძარცვებოდა, მოსახლეობა უიმედობამ მოიცვა. საჭირო იყო ქვეყნის მთლიანობისა და რევოლუციის მონაპოვართა დაცვა.

ასეთ რთულ დროში პოლიტიკური პარტიები და მოღვაწენი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საფრანგეთის გადარჩენისა და ბრძოლის საშუალებების საკითხებში. ჟირონდელებმა ვერ შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები. უფრო ენერგიულები აღმოჩნდნენ იაკობელები, რომლებიც რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ მკაცრი და დაუნდობელი ღონისძიებების გატარებას აპირებდნენ და რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად მართვის დიქტატორული მეთოდების განხორციელებას უჭერდნენ მხარს. ისინი 1792 წლის სექტემბერში დაწყებული ტერორის გაგრძელებას მოითხოვდნენ.

დაშინების უპირველეს ღონისძიებად იაკობელები მეფის გასამართლებას მიიჩნევდნენ. ისევე, როგორც ინდეპენდენტებს ინგლისში, იაკობელებსაც მეფის სიკვდილით დასჯით სურდათ საბოლოოდ გაეწყვიტათ კავშირები წარსულთან. ამ მიზნის განხორციელებას მათ უადვილებდათ ის ფაქტიც, რომ 1792 წლის 10 აგვისტოს, ტიულრის სასახლის აღების დროს, აღმოაჩინეს საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც მეტყველებდნენ რევოლუციის წინააღმდეგ მეფის სასახლის კარის საიდუმლო კავშირებზე უცხო სახელმწიფოებთან. იაკობელებს შორის ყველაზე გავლენიანი მოღვაწე რობესპიერი მოითხოვდა ლუი XVI სიკვდილით დასჯას, როგორც ერისა და კაცობრიობის მოღალატისა. ჟირონდელები მეფის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ მის სასამართლოზე გადაცემას მაინც დათანხმდნენ იმ იმედით, რომ ხალხი ასეთ მკაცრ განაჩენს არ გამოუტანდა მეფეს. ამ საკითხის გადაწყვეტაში გადამწყვეტი როლი პარიზის კომუნამ შეასრულა. კომუნის, იაკობელთა კლუბისა და პარიზის მუშათა შეიარაღებული რაზმების ზეწოლით კონვენტის წევრთა უმრავლესობამ ხმა მისცა ლუი XVI სიკვდილით დასჯას. 1793 წლის 21 იანვარს მეფეს გილიოტინით თავი მოჰკვეთეს. ეს აქტი ამავე დროს ჟირონდელების დაცემის დასაწყისი იყო.

ამის შემდეგ, დანტონის წინადადებით, კონვენტმა შექმნა საგანგებო სასამართლოები მოღალატეთა, მეამბოხეთა, კორუმპირებულთა, ყალბი ფულის მჭრელთა და ა. შ. წინააღმდეგ. ვანდეაში აჯანყების პასუხად კონვენტმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ყველა იმ ემიგრანტს და ფიცდაუდებელ მღვდლებს, რომლებსაც საფრანგეთში დაიჭერდნენ; დაიწყეს „ეჭვმიტანილთა“ დევნა. შექმნეს საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი, რომელსაც კონვენტმა საგანგებო აღმასრულებელი უფლებები მიანიჭა. კომიტეტს ემორჩილებოდნენ კომისრები, რომლებსაც კონვენტი პროვინციებში აგზავნიდა. ისინი ერეოდნენ ადგილობრივი მმართველობის საქმიანობაში და მონარქიისდროინდელი ინტენდანტების მსგავსად თვითნებურად, დესპოტური მეთოდებით, „აგვარებდნენ“ საქმეებს. კონვენტისა და კომიტეტის ღონისძიებებმა, კომისრების განკარგულებებმა და იაკობელთა საზოგადოებების დასმენებმა, პარიზში და პროვინციებში უკიდურესობამდე დაძაბეს წინააღმდეგობები მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილებს შორის.

ამ დაპირისპირების შედეგად ყველაზე დიდი მსხვერპლი ჟირონდელებმა გაიღეს. ეწინააღმდეგებოდნენ რა პარიზის დიქტატს პროვინციებზე, მათ მოითხოვეს დანტონის, მარატისა და სხვა იაკობელთა სასამართლოზე გადაცემა. თავის მხრივ, იაკობელები მათ ფედერალიზმში ადანაშაულებდნენ, ე. ი. საფრანგეთის დანაწევრების მცდელობაში. კომუნის წაქეზებით, წვრილი ხელოსნები და პარიზის გარეუბნის მუშები ორჯერ შეიჭრნენ კონვენტის სხდომათა დარბაზში და მოითხოვეს ვერნიოს, კონდორსესა და ჟირონდელების სხვა ცნობილი დეპუტატებისათვის მანდატის ჩამორთმევა. ისინი ჯერ დააპატიმრეს, ხოლო შემდეგ, სხვა მსჯავრადებულებთან ერთად, რევოლუციურმა ტრიბუნალმა მათ სიკვდილი მიუსაჯა. ზოგიერთებმა გაქცევა მოასწრეს. მაგალითად, კონდორსე რამდენიმე თვის განმავლობაში იმალებოდა, შემდეგ მაინც დაიჭირეს და აიძულეს თვითმკვლელობით დაემთავრებინა სიცოცხლე; სხვებმა პროვინციებში აჯანყებები მოაწყვეს, მათ შორის ყველაზე დიდი გამოსვლები ლიონში მოხდა. იაკობელებმა ახალი დამსჯელი ღონისძიებები განახორციელეს; ლიონი მიწასთან გაასწორეს, ნანტში კონვენტის კომისარი ათასობით ადამიანს ხვრეტდა და წყალში ახრჩობდა, ვანდეაში აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზა-

ვნეს ე. წ. „ჯოჯოხეთის კოლონები“. სიკვდილით დასჯილთა შორის იყვნენ პარიზის პირველი მერი ბელი, ბარნავი, ცნობილი ქიმიკოსი ლავუაზიე, პოეტი შენიე.

გამარჯვებულ იაკობელთა შორის განხეთქილება მოხდა: დანტონი ტერორის შეწყვეტას მოითხოვდა, რობესპიერი კი, რომელმაც ამ დროისათვის საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი დაიმორჩილა, — ახალ მსხვერპლს. რობესპიერი იმ რაციონალისტების წინააღმდეგაც გამოვიდა, რომლებსაც ქრისტიანული მღვდელთმსახურების გონების კულტით შეცვლა სურდათ. ჟირონდელების სიკვდილით დასჯისა და გაქცევის შემდეგ, კონვენტის წევრთა რიცხვი შემცირდა; დარჩენილები, იმის შიშით, რომ ეჭვმიტანილთა სიაში არ მოხვედრილიყვნენ, რობესპიერის ნება-სურვილის დამყოლნი გახდნენ, რამაც შესაძლებლობა მისცა „მოუსყიდველს“ (ასე ეძახდნენ რობესპიერს თავისი პირადი პატიოსნების გამო) გილიოტინაზე გაეგზავნა დანტონი თავის მეგობრებთან ერთად და „ათეისტები“.

რობესპიერმა მოკლე ხნით განუსაზღვრელი ძალაუფლება მოიპოვა. უარყოფდა რა ათეიზმს და კათოლიციზმს, მან თავისი ავტორიტეტი გამოიყენა იმისათვის, რომ დაეფუძნებინა ახალი რელიგია — „უმაღლესი არსების“ კულტი. ამის შესახებ იგი ვრცელი მოხსენებით გამოვიდა კონვენტში 1793 წლის 18 ფლორეალს (7 მაისს). იდეა „უმაღლესი არსების“ კულტის დაარსების შესახებ მანამდეც არსებობდა; რობესპიერს სურდა ეს ახალი რელიგია გამხდარიყო ახალი რესპუბლიკური საზოგადოების იდეური და მორალური საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ერის პოლიტიკური გაერთიანებაც მოხდებოდა. მისი ასეთი ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა. „უმაღლესი არსების“ კულტისადმი მიძღვნილ თეატრალურ-დრამატულ მსვლელობას პარიზის ქუჩებში თვით რობესპიერი მიუძღოდა წინ. ათასობით ადამიანი აღფრთოვანებით მიესალმებოდა მის ყოველდღიურ გამოჩენას, იგი ერთხმად აირჩიეს კონვენტის თავმჯდომარედ. მისმა პოპულარობამ და დიდებამ ზენიტს მიაღწია. რევოლუციური მთავრობის პრესტიჟი საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით განუსაზღვრელად დიდი იყო. ერთი შეხედვით ჩანდა, რომ მთავრობა, ისე როგორც არასდროს, მყარი და უძლეველი იყო. მაგრამ თვით

რობესპიერი და მისი ახლო მეგობრები კარგად ერკვეოდნენ ამ მოჩვენებითი სიძლიერის უკან არსებულ რეალურ ვითარებაში. მართალია, 1794 წლის მარტ-აპრილში გაანადგურეს დანტონისა და ებერის[1] მომხრეები, მაგრამ რობესპიერის წინააღმდეგ ახალი ძლიერი შეთქმულება მზადდებოდა. მისი ზედმეტი ეჭვიანობა საშიშად მიიჩნიეს საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის წევრებმაც კი. ანტირობესპიერული ბლოკის შექმნის ორგანიზატორი იყო შემდეგში ნაპოლეონის ცნობილი მინისტრი ჟოზეფ ფუშე.

როდესაც რობესპიერმა კონვენტში კვლავ წამოჭრა საკითხი ახალი რეპრესიების აუცილებლობის შესახებ, კონვენტის მრავალი წევრის არასაიმედობის შესახებ, დეპუტატები შიშმა მოიცვა; მათ კარგად იცოდნენ, რომ ხვალ შეიძლება ბევრი მათგანი გილიოტინაზე გაეგზავნათ. მოსალოდნელმა საფრთხემ შეთქმულებს გამბედაობა შემატა და რობესპიერს სიტყვის დამთავრება არ აცალეს; დარბაზში საყოველთაო მღელვარება და ქაოსი სუფევდა. ასეთ ვითარებაში მანამდე უცნობმა დეპუტატმა ლუშემ მოუწოდა შეთქმულებს დაეპატიმრებინათ რობესპიერი: დარბაზი წამიერად გაქვავდა. შეთქმულები მალე მოეგენ გონს და 1794 წლის 9 თერმიდორს (27 ივლისს) რობესპიერი დააპატიმრეს. კომუნის ძალისხმევით იგი გაათავისუფლეს, მაგრამ შემდეგ კვლავ დააპატიმრეს და 10 თერმიდორს მის თანამზრახველებთან ერთად გრევის მოედანზე გილიოტინით თავი მოჰკვეთეს. **9 თერმიდორის გადატრიალებით დასრულდა იაკობელთა მმართველობა ანუ იაკობელთა დიქტატურის პერიოდი.**

რობესპიერელები, ისევე როგორც მათი მოწინააღმდეგე ჟირონდელები, ახალგაზრდულ ასაკში დაიღუპნენ. მათ შორის ყველაზე უფროსი კუტონი 38 წლის იყო, რობესპიერი — 35, სენ-ჟიუსტი — 27.

თერმიდორის გადატრიალებამ რელიეფურად გამოააშკარავა ახალგაზრდა რესპუბლიკის სისუსტე. მის მხარდამჭერთა რაოდენობა თანდათანობით მცირდებოდა. რესპუბლიკელთა წინააღმდეგ თავადაზნაურებთან ერთად თითქმის მთელი სამღვდელოება დაირაზმა; მან

---

[1] ჟ. ებერი, მემარცხენე იაკობელი, 1794 წლის მარტში ხელმძღვანელობდა რობესპიერისა და საზოგადოების ხსნის კომიტეტის წინააღმდეგ მოწყობილ წარუმატებელ აჯანყებას.

ვერც გლეხობა მიიმხრო; მსხვილი ბურჟუაზიაც უკმაყოფილო იყო კონვენტის კომისრების თავგასულობით; რევოლუციისათვის ყველაზე მძიმე წლებში, დაბალი ფენების ინტერესების დასაცავად, კონვენტმა მიიღო კანონი პირველადი მოხმარების საგნებზე, განსაკუთრებით პურზე, ფასების მაქსიმუმის დაწესების შესახებ და მკაცრად სჯიდა ამ კანონის დამრღვევთ, მაგრამ სოციალური მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებისათვის არაფერი არ გაკეთებულა. მუშები უკმაყოფილო იყვნენ ლე შაპელიეს კანონის შენარჩუნების გამო.

უკმაყოფილების მიუხედავად, რევოლუციის წყალობით გამდიდრებული ბურჟუაზია და შეძლებული გლეხები მონარქიის აღდგენის შიშით, უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ ომებში იაკობელებს უჭერდნენ მხარს. მაგრამ, როდესაც 1794 წლის პრერიალსა (20-21 მაისი — 19-20 ივნისი) და მესიდორში (19-20 ივნისი — 18-19 ივლისი), განსაკუთრებით კი 26 ივნისს ფლერუსთან გამარჯვების შემდეგ ბურჟუაზიული ფენების მერყევი ნაწილი დარწმუნდა კოალიციის გამარჯვებისა და მონარქიის აღდგენის შეუძლებლობაში, ამის შემდეგ გაძლიერდა მათი სურვილი რაც შეიძლება ჩქარა დაეღწიათ თავი რევოლუციური რეჟიმისაგან.

იაკობელთა მმართველობის წინააღმდეგ ბურჟუაზიისა და გლეხობის ძირითადი ძალების ასეთმა შემობრუნებამ ანტირობესპიერისტულ ელემენტებს გამბედაობა შემატა და გააერთიანა ისინი ერთიან ბლოკში. ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა 1794 წლის 9 თერმიდორის (27 ივლისის) გადატრიალებაში.

თერმიდორული გადატრიალების შემდეგ გააქტიურდნენ მონარქიის მომხრე როიალისტები. 1795 წლის 12 ვანდემიერს (4 ოქტომბერს) 30 000 როიალისტი თავს დაესხა ტიულრის სასახლეს, სადაც ამ დროს კონვენტის სხდომები ტარდებოდა. აჯანყების ჩახშობა დაავალეს ნაპოლეონს. იგი სასტიკად გაუსწორდა ინსურგენტებს (მათ წინააღმდეგ ზარბაზნები გამოიყენა) და ამით ხელისუფლების ნდობა დაიმსახურა.

1795 წ. კონვენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია (რესპუბლიკის მესამე წლის კონსტიტუცია), რომელიც 1793 წლის კონსტიტუციასთან შედარებით ანტიდემოკრატიული იყო. საყოველთაო საარჩევნო

ხმის უფლება უარყოფილი იქნა. წესდებოდა მაღალი საარჩევნო ცენზი. საკანონმდებლო ხელისუფლება გადადიოდა ორი პალატის: უხუცესთა საბჭოსა და ხუთასთა საბჭოს ხელში. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა დირექტორიას, რომელიც ხუთი წევრისაგან შედგებოდა. მათი უფლებები მეტად დიდი იყო. დირექტორია ნიშნავდა მინისტრებს, რომლებიც პალატების წევრები არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. იმისათვის, რომ მონარქიის რესტავრაციის მცდელობები აღეკვეთათ, რევოლუციის დროს აღზევებულმა ბურჟუაზიამ ახალი კონსტიტუციით რესპუბლიკური მმართველობა შეინარჩუნა, ქვეყანაში თავიანთი ბატონობის უზრუნველყოფისათვის, თერმიდორელებმა მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვით კონვენტის დეპუტატთა 2/3 არჩევნების გარეშე უნდა შესულიყო ახალ პალატებში.

თავის უკანასკნელ სხდომაზე, 1795 წლის 26 ოქტომბერს, კონვენტის დადგენილებით რევოლუციის მოედანს (სადაც მრავალი ადამიანი სიკვდილით დასაჯეს) ეწოდა თანხმობის მოედანი. ამასთანავე, გადაწყვიტეს სიკვდილით დასჯის გაუქმება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში სიმშვიდე დაისადგურებდა. გამოაცხადეს, აგრეთვე, საყოველთაო ამნისტია, რომელიც არ ვრცელდებოდა ემიგრანტებზე, ფიცდაუდებელ მღვდლებზე, ყალბი ფულის მჭრელებზე და ვანდემიერში აჯანყებულებზე.

ნაკლოვანებების მიუხედავად, კონვენტმა დიდი როლი შეასრულა საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაში. მისი საქმიანობა შეიძლება ორიოდე სიტყვით შევაფასოთ: რევოლუცია მოხდა, ინტერვენცია მოგერიებულია.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ნაპოლეონის სასახლის კარის შედროვე მსახურნი დაცინვითა და ზიზღით მოიხსენიებდნენ კონვენტის წევრებს მათი პროვინციალური წარმოშობის, ჩაცმულობისა და შანერების გამო, კონვენტის ერთ-ერთმა ყოფილმა წევრმა სიამაყით თქვა: მაშინ, როდესაც ევროპის მონარქიული სახელმწიფოები ცდილობდნენ ჩვენს დასამარებას, მაშინ, როდესაც მათ დაიკავეს ჩვენი ტერიტორიების დიდი ნაწილი და წინ მოიწევდნენ, ამ უხეში მანერების მქონე, წითელთავსაბურიანმა, ხის ქოშებიანმა, უხეში ქსოვილის

ტანსაცმლიანმა, მხოლოდ პურითა და უვარგისი ლუდით დანაყრებულმა, კონვენტის წევრებისაგან შედგენილმა, მთავრობამ შესძლო შეუძლებელი. მეფეებმა მარცხი განიცადეს. ჩვენ გავანთავისუფლეთ საფრანგეთი მტრისაგან და ომი მათ ტერიტორიებზე გადავიტანეთ. აი, როგორმა ადამიანებმა გადაარჩინეს საფრანგეთი. მე ვამაყობ, რომ მათ რიგებში ვიყავი. თუ საფრანგეთს კვლავ საფრთხე დაემუქრება, მაშინ ვნახოთ რას მოიმოქმედებენ ორდენებით, მოოქროვილი მუნდირებით, ბუმბულებით და აბრეშუმის წინდებით დამშვენებული გაიძვერები.

§8. დირექტორია
(1795 წ. 26 ოქტომბერი – 1799 წ. 9 ნოემბერი)

დირექტორიის ომები. კონვენტის გაუქმებიდან მეორე დღეს, 1795 წლის 27 ოქტომბერს უხუცესთა საბჭომ და ხუთასთა საბჭომ მუშაობა დაიწყო ტიულრის სასახლეში, ხოლო ხუთი წევრისაგან შედგენილმა დირექტორიამ – ლუქსემბურგის სასახლეში. დირექტორებმა თავიანთი შესაძლებლობებისა და კომპეტენტურობის შესაბამისად გაინაწილეს სახელმწიფოს მართვის სხვადასხვა სფეროები: ლარევეილერი ხელმძღვანელობდა სახალხო განათლებას, მეცნიერებას, ლიტერატურას, ხელოვნებასა და მრეწველობას; ბარასი – პოლიციასა და საგარეო საქმეებს; რებელი – იუსტიციას, ფინანსებსა და დიპლომატიურ ურთიერთობებს; ლეტურნერი – ფლოტსა და კოლონიებს; კარნო – სამხედრო საქმეებს.

დირექტორიის პოლიტიკას განაპირობებდა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა. უპირველეს ამოცანას შეადგენდა რესპუბლიკის დაცვა როიალისტებისაგან, ქვეყანაში სტაბილურობისა და კანონიერების დამყარება, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა. ამ მიზნების განხორციელება შეუძლებელი იყო რევოლუციის მონაპოვართა სამხედრო ძალით განმტკიცების გარეშე.

თერმიდორის გადატრიალების შემდეგ, საფრანგეთის არმიამ, ჯერ კიდევ კონვენტის არსებობის დროს, უცხო სახელმწიფოთა წინაამ-

ლდეგ ომებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ბელგიის, პრუსიის რაინისპირა სამფლობელოებისა და საკურფიურსტროების დაკავების შემდეგ, საფრანგეთის რესპუბლიკის საზღვრებმა მდ. რაინს მიაღწია. გერმანიისა და ნიდერლანდების დაპყრობილი ტერიტორიები, საფრანგეთის მსგავსად, დეპარტამენტებად დაყვეს. შემოერთებულ მიწებზე გააუქმეს ბატონყმობა და დააწესეს სამოქალაქო თანასწორობა.

პირველი სახელმწიფო, რომელმაც საფრანგეთის რესპუბლიკის დაპყრობები სცნო, იყო პრუსია. მან გაწყვიტა კავშირი ავსტრიასთან და 1795 წლის 5 აპრილს ბაზელში (შვეიცარია) ზავი დადო საფრანგეთთან. იმავე წლის 17 მაისს, სამშვიდობო ხელშეკრულება დადებულ იქნა ჰოლანდიასთან, რომლის მიხედვით საფრანგეთმა დაისაკუთრა ფლანდრიის ნაწილი და ზოგიერთი სხვა ტერიტორიები; ესპანეთთან დადებული ზავით (1795 წ. 22 ივლისი) საფრანგეთმა მიიღო კ. ჰაიტის (სანტო-დომინგო) ნაწილი. ანტიფრანგული კოალიციის მონაწილე სახელმწიფოებიდან მხოლოდ ინგლისი და ავსტრია აგრძელებდნენ ომს საფრანგეთის წინააღმდეგ.

1795-1796 წწ. ფრანგები კიდევ უფრო მეტ წარმატებებს აღწევენ. გენერალმა პიშეგრიუმ ჰოლანდია დაიპყრო, ნაპოლეონმა ჩრდილო იტალია დაიკავა, სარდინიის მეფეს წაართვა სავოია, ნიცა და პიემონტი, ლომბარდიიდან გამოდევნა ავსტრიელები და რომს მიაღწია. ჩრდილო იტალიის სახელმწიფოებს, მათ შორის გენუას, ვენეციას და პაპის ოლქს, ნაპოლეონმა დიდძალი კონტრიბუცია დაადო, რამაც მას საშუალება მისცა არა მარტო ჯარისკაცები დაესაჩუქრებინა, არამედ საფრანგეთის რესპუბლიკის ხაზინაც შეევსო.

რომის დაკავების დროს ნათლად გამომჟღავნდა რევოლუციური საფრანგეთის სიძულვილი კათოლიციზმისადმი. რესპუბლიკური მთავრობის ჯარები შეიდნენ რომში და დაიკავეს პაპის სასახლე ვატიკანში. ოთხმოც წელს მიღწეული პაპი პიუს VII ძალით წაიყვანეს საფრანგეთში, სადაც ის გარდაიცვალა კიდეც.

ინგლისი კვლავ რჩებოდა საფრანგეთის მთავარ მოწინააღმდეგედ. დირექტორიამ მხარი დაუჭირა ინგლისელთა წინააღმდეგ ამბოხებულ ირლანდიელებს და იქ გაგზავნა თავისი ჯარები გენერალ გოშის ხელმძღვანელობით; დააკმაყოფილეს ნაპოლეონის თხოვნა და მისი

ხელმძღვანელობით მოეწყო დიდი ლაშქრობა ეგვიპტეში (1798 წ.), მაგრამ ეგვიპტის დაპყრობა ნაპოლეონის საბოლოო მიზანი არ იყო; აქედან იგი უნდა გადასულიყო ინდოეთში და მისი დაპყრობით ინგლისის ხაზინისათვის შემოსავლის მთავარი წყარო მოესპო.

დაპყრობილ ქვეყნებში ფრანგები ხელს უწყობდნენ სამოქალაქო თანასწორობის საფუძველზე ახალი მმართველობის დამყარებას; ყველგან იქმნებოდა რესპუბლიკები. პირველად დაარსებულ იქნა „ერთიანი და განუყოფელი" ბატავიის რესპუბლიკა ჰოლანდიაში (სახელი ეწოდა ნიდერლანდების ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ტომის — ბატავების მიხედვით). ასევე შვეიცარიაში, დამოუკიდებელი კანტონების ნაცვლად, გამოაცხადეს „ერთიანი, განუყოფელი" ჰელვეციის რესპუბლიკა (სახელწოდება წარმოდგა შვეიცარიის ლათინური სახელისაგან — ჰელვეცია). იტალიაში ომის დროს იქ რამდენიმე რესპუბლიკა შეიქმნა. ლომბარდიისა და პაპის სამფლობელოების ნაწილ მიწებზე ჩამოყალიბდა ციზალპური რესპუბლიკა (ლათ. cisalpinus — ალპების მთების იქეთ მდებარე). შექმნეს აგრეთვე, რომისა და ნეაპოლიტანიის რესპუბლიკები. გენუასა და ვენეციაშიც დემოკრატიული გარდაქმნები განხორციელდა. ზემოთდასახელებული რესპუბლიკების სახელწოდებები მეტყველებენ კლასიციზმით გატაცებაზე: ძველ ბერძნებსა და რომაელებში ხედავდნენ რესპუბლიკური სათნოების ნიმუშებს.

მაგრამ განთავისუფლებულ ხალხებს იმედები ნაწილობრივ გაუცრუვდათ. ევროპის სახელმწიფოებთან ომის დასაწყისში კონვენტი აცხადებდა, რომ არავის არ დაიპყრობდა და თავისუფალი საფრანგეთი უანგაროდ უნდა დახმარებოდა სხვა ხალხებს. იგი არავის არ მისცემდა თავის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლებას და არც თვითონ ჩაერეოდა სხვის საშინაო პოლიტიკაში. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს განმათავისუფლებელი მიზნების გარდა საფრანგეთის ჯარებს სხვა ინტერესები არ გააჩნდათ. მაგრამ წარმატებების კვალდაკვალ საფრანგეთი ივიწყებდა დანაპირებს: დაპყრობილი ხალხების ხარჯზე ჯარს გამდიდრება და სახელის მოხვეჭა სურდა ისევე, როგორც აბსოლუტური მონარქიის დროს, გენერლები დამორჩილებული ქვეყნებისაგან დიდ კონტრიბუციას მოითხოვდნენ.უფრო მეტიც: რესპუბლიკურმა საფრანგეთმა მოინდომა „ბუნებრივი საზღვრებ-

ის“ (რაც გულისხმობდა საფრანგეთის საზღვრების განვრცობას მდ. რაინიდან ალპების მთებამდე) შესახებ ლუი XIV ოცნების განხორციელება და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების საზიანოდ უზარმაზარი ტერიტორიები შეიერთა.

18 ბრიუმერის გადატრიალება. დირექტორიის მმართველობის დროს თანდათანობით ძლიერდებოდა რეაქცია რევოლუციის წინააღმდეგ. დაბრუნდა ბევრი ემიგრანტი, გააქტიურდნენ როიალისტები და ფიცდაუდებელი მღვდლები: ძველი რეჟიმის მომხრეებმა პარიზში დააარსეს თავიანთი კლუბი; „ოქროს ახალგაზრდობა“ დასცინოდა იაკობელთა უბრალოებას და დევნიდნენ მათ; დაივიწყეს 1793 წ. იაკობელების მიერ ფართოდ პროპაგანდირებული თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის იდეები; იქმნებოდა მდიდრების ახალი არისტოკრატია. როდესაც კონვენტი ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა, სასწრაფოდ იყიდებოდა ეროვნული ქონება და ემიგრანტებისაგან ჩამორთმეული მიწები. ამით ისარგებლეს გადამყიდველებმა და მდიდრდებოდნენ მიწების ყიდვა-გაყიდვით. ომმა ხელი შეუწყო მრეწველობის განვითარებას; გაიზარდა სახელმწიფოს დაკვეთები არმიის მომარაგებისათვის; ალაფის, დაპყრობილი ქვეყნებიდან კონტრიბუციის მიღებით საფრანგეთში შემოდიოდა დიდძალი კაპიტალი, რაც სტიმულს აძლევდა ახალი საწარმოების დაარსებას.

მსხვილი ბურჟუაზია აშკარად უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა იაკობელთა რესპუბლიკის მიმართ: კონვენტის დახურვიდან მეორე დღეს ცნობილი გახდა „თანასწორთა შეთქმულების“ შესახებ, რომელსაც გრაკქ ბაბეფი ხელმძღვანელობდა. „თანასწორებს“ სურდათ იაკობელთა მმართველობის აღდგენა და ღარიბებს შორის ქონებისა და მიწის გადანაწილება; ამ გეგმამ, რომელიც ვერ განხორციელდა (შეთქმულება ჩაახშვეს, ბაბეფი სიკვდილით დასაჯეს), კიდევ უფრო გააძლიერა შიში დემოკრატიისადმი; შეიცვალა რელიგიისადმი დამოკიდებულებაც. კონვენტისდროინდელი რესპუბლიკელების ათეიზმი და რელიგიისადმი გულგრილობა ადგილს უთმობს კათოლიკური სარწმუნოების პოპულარობის ზრდას. რევოლუციური ქარტეხილების შემდეგ, სიცოცხლის ხელყოფისა და ქონების დაკარგვის შიშმა, საზოგადოე-

ბა კვლავ მიიყვანა იმ აზრამდე, რომ რელიგია საზოგადოების სტაბილურობისათვის აუცილებელია.

ამასთანავე, არარეალურ მიზნებს ისახავდნენ ისინიც, რომლებიც მონარქიის აღდგენას ცდილობდნენ. ბურჟუაზიის უმრავლესობა ძველი რეჟიმის წინააღმდეგი იყო: ეშინოდათ ეკლესიისა და ემიგრანტების მიწებით გამდიდრებულებს, ეშინოდა ყველას, რომლებიც რევოლუციის წყალობით მაღალ თანამდებობებზე დაინიშნენ; რესპუბლიკის თითქმის ყველა გენერალი ძველი რეჟიმის დროს დაბალ სამხედრო წოდებას ვერ გასცდებოდა. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში თანდათანობით მწიფდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ საჭირო იყო „ძლიერი ხელის“ მქონე პიროვნება, რომელიც ქვეყანაში სიმშვიდესა და წესრიგს დაამყარებდა და ამით რევოლუციის დროს აღზევებულთ შეუნარჩუნებდა მოპოვებულ სიმდიდრეს, პრივილეგიებსა და თანამდებობებს. ამ მიზნით ისინი პოლიტიკური თავისუფლებების დაკარგვასაც კი შესაძლებლად თვლიდნენ; საფრანგეთის ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ იყო შეჩვეული თვითმმართველობას. სახელმწიფოს სათავეში მყოფთა მცირე ნაწილის გარდა, რომლებიც ურთიერთშორის ქიშპობდნენ, არსებულ წყობილებას არავინ არ უჭერდა მხარს; საფრანგეთში იყო რესპუბლიკა რესპუბლიკელების გარეშე.

უკვე დირექტორიის მმართველობის პერიოდში საფრანგეთში პოლიტიკური თავისუფლება არ არსებობდა. პალატების დეპუტატთა 2/3 ხალხის მიერ კი არ იყო არჩეული, არამედ კონვენტის მიერ იყო დანიშნული. კონსტიტუციით დაკანონებული პრესის თავისუფლება არ არსებობდა; პარიზში გამომავალი 70 გაზეთიდან მთავრობამ დახურა 54, მათი გამომცემლები და რედაქტორები გადაასახლეს, მთელი პრესა პოლიციის მეთვალყურეობას დაუმორჩილეს; ქუჩებში პოლიცია არბევდა იმ გაზეთების დამტარებლებს, რომელთა მიმართულება არ აკმაყოფილებდა მთავრობას.

რესპუბლიკა თავის მმართველობას სამხედრო ძალით ინარჩუნებდა. 1797 წელს პალატების დეპუტატთა უმრავლესობას როიალისტები შეადგენდნენ, მათ მხარს უჭერდა დირექტორიის ორი წარმომადგენელი. როდესაც ცხადი გახდა, რომ როიალისტები მზად არიან მონარქიის რესტავრაციისათვის, დანარჩენმა სამმა დირექ-

ტორმა ამის შესახებ აცნობეს არმიის მეთაურებს. ბონაპარტემ იტალიიდან გამოგზავნა გენერალი, რომელმაც დააპატიმრა როიალისტი დეპუტატები; მათი ნაწილი მონარქისტულად განწყობილ ორ დირექტორთან ერთად გადაასახლეს. რესპუბლიკელმა დირექტორებმა მთელ რიგ დეპარტამენტებში გააუქმეს არჩევნები და განაახლეს მკაცრი კანონები ემიგრანტებისა და მღვდლების წინააღმდეგ.

თვით რესპუბლიკური მთავრობა ამზადებდა პირობებს სამხედრო დიქტატურის დასამყარებლად. გასარკვევი ისღა რჩებოდა, რესპუბლიკის რომელი გენერალი ისარგებლებდა შექმნილი მდგომარეობით. 1799 წელს, იმ დროს, როდესაც რაინის არმიის მეთაური მორო არ ჩქარობდა, ნაპოლეონმა უეცრად დატოვა ეგვიპტე და საფრანგეთში დაბრუნდა. მას მხარს უჭერდა ორი დირექტორი, მათ შორის მსხვილი ბურჟუაზიის წრეებში პოპულარული სიეისი. ბონაპარტი დანიშნეს პარიზის კომენდანტად; იმ მოტივით, რომ თითქოსდა მზადდებოდა იაკობელთა შეთქმულება, უხუცესთა საბჭოსა და ხუთასთა საბჭოს სხდომები გადაიტანეს პარიზთან ახლომდებარე სენ-კლუს სასახლეში; სინამდვილეში კი ამით სურდათ მოსალოდნელი გართულებების შემთხვევაში პარიზის მოსახლეობა განცალკევებული ყოფილიყო, ამას გარდა აქ იმყოფებოდნენ ბონაპარტის ერთგული პოლკები. 1799 წლის 9 ნოემბერს (რესპუბლიკური კალენდარით VIII წლის 18 ბრიუმერს) ნაპოლეონის მომხრე ორი დირექტორი ნებაყოფლობით გადადგა თანამდებობიდან, მესამეც (ბარასი) აიძულეს მიებაძა მათთვის, დანარჩენი ორი კი დააპატიმრეს. მეორე დღეს ხუთასთა საბჭოს დეპუტატებმა ნაპოლეონი კანონგარეშედ გამოაცხადეს და ასეთი შეძახილებით შეხვდნენ: „ძირს დიქტატორი და ტირანი“, მაგრამ გენერალმა ლეკლერკმა გრენადერები შეიყვანა საბჭოს სხდომათა დარბაზში და სახალხო წარმომადგენლები გარეკეს. **საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორია მთავრდება 1799 წლის ბრიუმერის გადატრიალებით.** შემდეგ იწყება ერთპიროვნული მმართველობის ხანა — კონსულობა და იმპერია.

მთელი რიგი ნაკლოვანებებისა და უკიდურესობების მიუხედავად, დიდმა რევოლუციამ წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო საფრანგეთის, არამედ მსოფლიო ისტორიაშიც. საფრანგეთის რევოლუ-

ციამ დაანგრია ფეოდალურ-აბსოლუტისტური წყობა და გზა გაუხსნა უფრო პროგრესულ კაპიტალისტურ ურთიერთობებს, მოსპო მემკვიდრეობითი პრივილეგიები და გამოაცხადა კანონის წინაშე თანასწორობა, მოახდინა რესპუბლიკური იდეების არა მარტო დეკლარირება, როგორც ეს მანამდე არაერთხელ ყოფილა, არამედ შესძლო ამ იდეების ცხოვრებაში გატარება. ამიტომ ხვდებოდნენ სხვადასხვა ქვეყნების ხალხები ფრანგ ჯარისკაცებს, როგორც განმათავისუფლებლებს, ამიტომ ამბობენ, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში პროგრესული კაცობრიობა საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეებით ცხოვრობდაო.

თავი VII. საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ევროპა

რევოლუციის გამოძახილი ევროპისა და ლათინური ამერიკის ხალხებში. საფრანგეთში მიმდინარე რევოლუციურმა მოვლენებმა მთელს მსოფლიოში ჰპოვა გამოხმაურება. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში იქმნებოდა წრეები და კავშირები, რომელთა წევრები (უმეტესად საშუალო ფენების წარმომადგენლები) აღფრთოვანებით მიესალმებოდნენ რევოლუციურ გარდაქმნებს და მათ მხარდასაჭერად აწყობდნენ მთელ რიგ ღონისძიებებს, უძღვნიდნენ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, არ კითხულობდნენ იმ გაზეთებს, რომლებშიც არ იყო ცნობები რევოლუციის შესახებ და ა. შ. მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ჩადიოდნენ პარიზში, რათა თავისი თვალით ენახათ უდიდესი ისტორიული მოვლენები, „ესუნთქათ თავისუფლებით და დასწრებოდნენ დესპოტიზმის დასამარებას“.

გერმანიის გამოჩენილი ადამიანები, ფილოსოფოსი კანტი, პოეტები შილერი, კლოპშტოკი, ისტორიკოსი შლეცერი ადიდებდნენ რევოლუციას, ბერლინში ქალები სამფეროვან კოკარდას ატარებდნენ. რევოლუციამ დიდი იმედები ჩაუსახა ჰაბსბურგთა იმპერიაში ძალით მოქცეული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მესვეურებს. ბასტილიის აღების ცნობას მხურვალე თანაგრძნობით შეხვდნენ უნგრეთში; უნგრელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებმა იანოშ ბაჩანიმ, მარტინოვიჩმა, ლაცკოვიჩმა და სხვებმა ჩამოაყალიბეს ფარული საზოგადოება „თავისუფლება და თანასწორობა“, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებას ავსტრიელთა ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის. ჩეხეთის მოსახლეობაც თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას რევოლუციის წარმატებებს უკავშირებდა. საფრანგეთის რევოლუციის გავლენით პოლონეთში 1791 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელიც ადრე არსებულთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯი იყო; თურქეთის მორჩილებაში მყოფმა დუნაის სამთავროებმა და საბერძნეთმა ხმა აღიმაღლეს ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. ფრანგი განმანათლებლების იდეები დიდი

პოპულარობით სარგებლობდა სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის ხალხებში, რომლებიც ესწრაფვოდნენ ესპანელი და პორტუგალიელი კოლონიზატორებისაგან თავის დაღწევას.

ლათინური ამერიკის ერთადერთი ქვეყანა, სადაც საფრანგეთში მიმდინარე დიდმა სოციალურმა ძვრებმა რევოლუცია გამოიწვია, იყო ჰაიტი[1]. 1791 წ. აგვისტოში ჰაიტიზე იფეთქა მონა-ზანგების აჯანყებამ, რომელსაც ნიჭიერი მხედართმთავარი ტუსენ-ლუვერტიური ხელმძღვანელობდა. აჯანყებულები მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით იბრძოდნენ ესპანელების, ინგლისელებისა და ფრანგების წინააღმდეგ. 1801 წელს ფრანგმა გენერალმა ლეკლერკმა მოტყუებით შეძლო ტუსენ-ლუვერტიურის დაპატიმრება (მოლაპარაკებების დროს დააპატიმრა). აჯანყება დამარცხდა.

ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ ინგლისში მოსახლეობის ფართო ფენები გამოხატავდნენ თავიანთ სიმპათიებსა და თანაგრძნობას საფრანგეთის რევოლუციისადმი. პროგრესულ-დემოკრატიული ხასიათის მრავალრიცხოვან ორგანიზაციებს შორის, რომლებიც იმ დროს შეიქმნა ინგლისში, განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა „ლონდონის საკორესპონდენტო საზოგადოებამ". მას ხელმძღვანელობდა პუბლიცისტი, პროფესიით ხელოსანი, ტომას გარდი. ამ საზოგადოების ძირითადი მოთხოვნა იყო საყოველთაო, პირდაპირი საარჩევნო უფლებების შემოღება.

ცხადია, საფრანგეთის დიდი რევოლუციის გავლენა ევროპისა და, საერთოდ, მსოფლიოს სხვა ხალხებზე ზემოთდასახელებული ფაქტებით არ ამოიწურება. არა მარტო თანამედროვენი, არამედ შემდგომ პერიოდშიც, მრავალი ათეული წლების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნების პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ცდილობდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეების თავიანთ სამშობლოში განხორციელებას.

თავის მხრივ, ფრანგები სათანადოდ აფასებდნენ იმ ადამიანებს,

---

[1] XVII საუკუნის მიწურულიდან ჰაიტი საფრანგეთის კოლონია იყო. 1790 წ. აქ შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, მაგრამ იგი მალე ჩაახშვეს. ამის მიუხედავად დამფუძნებელი კრება იძულებული გახდა 1791 წელს მულატებისა და თავისუფალი ზანგებისათვის მოქალაქის უფლებები მიეცა. თუმცა ჰაიტის მოსახლეობის უმრავლესობა — ზანგები მონებად დარჩნენ.

რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რევოლუციური იდეებ-
ის პოპულარიზაციის საქმეში: შილერი და ბენტამი საპატიო მო-
ქალაქეებად აირჩიეს, პენი კონვენტის წევრად... მართალია, ლუი
XVI სიკვდილით დასჯამ და ტერორმა ბევრი მათგანი, ვინც 1789
წელს აღფრთოვანებით მიესალმებოდა რევოლუციას, დააშინა, კონ-
ტრრევოლუციის ბანაკს შეუერთა, მაგრამ საკმაოდ დიდი რაოდენო-
ბით ადამიანებისა კვლავ მოუთმენლად ელოდა ფრანგების სამხედრო
მხარდაჭერასა და თავიანთ ქვეყნებში პროგრესული ხასიათის ცვ-
ლილებებს.

ევროპული რეაქცია. რევოლუციის დაწყებამდე არსად, არავის, ხელოვნების, ლიტერატურისა თუ სახელმწიფო მოღვაწეს პირდაპირ არ გამოუხატავს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება განმანათლებლების რელიგიური და პოლიტიკური იდეების მიმართ. გაბატონებული კლასების წარმომადგენლები, ზოგიერთი მონარქიც კი მათ მიმართ გულგრილობასა და შემწყნარებლობას იჩენდნენ. როგორც ჩანს, მათი აზრით ეს იდეები განყენებული და განუხორციელებელი იყვნენ. რევოლუციის დაწყების შემდეგ, როდესაც განმათავისუფლებელმა იდეებმა ევროპის სხვა ქვეყნებშიც შეაღწია, ამ იდეებისადმი დამოკიდებულებაც შეიცვალა. ყველა, ვისი ინტერესებიც შეილახა სახელმწიფო გადატრიალებით, ერთხმად ალაპარაკდა ამ პრინციპების დამანგრეველ, დამღუპველ შედეგებზე, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ უტოპიურად მიაჩნდათ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ფრანგი ემიგრანტები, უფლებებშელახული უმაღლესი კათოლიკური სამღვდელოების წარმომადგენლები, შემდეგში მათ დაემატათ რევოლუციის უკიდურესობებით დაშინებული ბურჟუაზიის ნაწილი. ეს ადამიანები მისტიროდნენ წარსულ დროს და წყევლა-კრულვით მოიხსენიებდნენ რევოლუციის აქტიურ მოღვაწეებს.

ერთ-ერთი პირველი, ვინც რევოლუციის წინააღმდეგ გაილაშქრა, იყო ინგლისის პარლამენტის ცნობილი წევრი ედმუნდ ბიორკი. თავის ნაშრომში „მსჯელობა რევოლუციის შესახებ", რომელიც 1790 წელს გამოიცა, ე.ი. მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ტერორი და ომები, ავტორი უკვე წინასწარმეტყველებდა საშინელებას იმის

გამო, რომ ახლებურად მოაზროვნე ადამიანები ყველაფერს განსჯის, ანალიზისა და კრიტიკის ობიექტად აქცევდნენ, რომ ყველა მოვლენას ერთი თვალთახედვით შეაფასებდნენ: რამდენად სასარგებლო და გონივრული იყო ის პიროვნებისათვის. ადამიანის გონების ასეთი მიდრეკილება, ბიორკის აზრით, საუკუნის დამღუპველი ავადმყოფობა იყო. არ შეიძლება ცალკეული ადამიანების ზღვარდაუდებელ ფანტაზიას მივცეთ გასაქანი, არ შეიძლება ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გავათავისუფლოთ პიროვნება. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება რამდენიმე თაობის შემდეგ დაიღუპება, დაიშლება. ბიორკი წინააღმდეგია ინდივიდუალიზმისა და მხარს უჭერს წოდებების, ეკლესიის, სახელმწიფოს ოდითგანვე დამკვიდრებული ფუნქციების შენარჩუნებას; ცალკეული პიროვნების გონებრივი შესაძლებლობები სუსტი და შეზღუდულია; ამიტომ იგი უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ მიზნებს და ერთგულებდეს საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციებს; უმჯობესია ბრმად გვწამდეს და შევეგუოთ წინაპრების თავისებურებებსა და შეცდომებს, ვიდრე შევეცადოთ ჩავწვდეთ სამყაროს საიდუმლოებებს, — ამბობდა ბიორკი.

მოგვიანებით გამოჩნდნენ რეაქციონერი ფრანგი მწერლებიც. მათ შორის თავისი მახვილგონიერებით გამოირჩეოდა **ჟოზეფ დე მესტრი** — „რეაქციის ვოლტერი". ნაშრომში „მოსაზრებები საფრანგეთის რევოლუციის შესახებ" იგი დასცინის ფრანგების კონსტიტუციას, რომელიც ადამიანების თანასწორობას ამტკიცებდა. მხოლოდ ის კონსტიტუცია შეესაბამება ჭეშმარიტებას, რომელიც ბუნების კანონებს ეყრდნობა, ეს კანონები კი ამკვიდრებენ ადამიანებს შორის უთანასწორობას, ერთთა ბატონობას და მეორეთა მორჩილებას; უშედეგოა იმ ადამიანთა თავისუფლების გამოცხადება, რომლებიც მონებად არიან დაბადებულნი. დე მესტრს რევოლუცია მიაჩნდა ღვთის რისხვად, მაგრამ, ამავე დროს, საზოგადოების გამწმენდ მოვლენად. რელიგიის განადგურების მსურველნი თვითონ ვერ აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ თავიანთი ქმედებით ხელს უწყობენ მორწმუნეთა რიცხვის ზრდას. რელიგია აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, — ამბობდა იგი.

ნაშრომში „პაპის შესახებ" დე მესტრი ამტკიცებს, რომ აუცი-

ლებელია დედამიწაზე არსებობდეს უზენაესი ავტორიტეტი, უნდა იყოს ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც ადამიანებს ეტყვის: „თქვენ ცდებით“. იგი აღფრთოვანებულია შუა საუკუნეებით, როდესაც პაპი მბრძანებლობდა მონარქებზე და მომხრეა პაპის უცოდველობის აღიარებისა. ადამიანებს სჭირდებათ არა თავისუფლება, არამედ ბორკილები, დასჯა. აქედან გამომდინარე, დე მესტრი განადიდებდა ინკვიზიციას და მისი გადაწყვეტილებების აღმსრულებელ ჯალათებსაც კი.

ისევე, როგორც დე მესტრი, შვეიცარიელი ჰალერი წინააღმდეგია ადამიანთა თანასწორობისა და თავისუფლების იდეის, რადგანაც იგი უტოპიურია, XVIII საუკუნის განმანათლებელთა გონების ხელოვნური ნაყოფია, რომელიც ეწინააღმდეგება ღმერთისა და ბუნების განგებას. დედამიწაზე არსებობს მხოლოდ ძლიერის უფლება, რომლიდანაც გამომდინარეობს კერძო საკუთრების უფლებები. ხელმწიფე ფლობს სახელმწიფოს ისე, როგორც მემამულე თავის მამულს; იგი ყოველგვარი შეზღუდვებისაგან თავისუფალია. ვინც უკმაყოფილია სახელმწიფოებრივი წყობით, თავს გრძნობს დაუცველად, მას შეუძლია წავიდეს საზღვარგარეთ, ან თავი დაიცვას. ხალხის უზენაესობა უაზრობაა, რადგანაც ხალხი, როგორც ერთი მთლიანი მასა არ არსებობს.

რევოლუციის მიერ შერყეული და ზოგჯერ უარყოფილი ძველი უფლებების დასაცავად, რეაქციონერებმა მოინდომეს რელიგიისა და ეკლესიის მოშველიება. ფრანგმა მწერალმა შატობრიანმა 1802 წელს გამოაქვეყნა რელიგიის აპოლოგია „ქრისტიანობის გენია“, რომელიც ე. წ. კონსერვატული რომანტიზმის ესთეტიკურ და მხატვრულ მანიფესტად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს ნაწარმოები მიმართული იყო განმანათლებლობისა და რევოლუციის იდეური მემკვიდრეობის, დემოკრატიული ტენდენციების წინააღმდეგ. გერმანიაში რამდენიმე გამოჩენილმა მეცნიერმა და მწერალმა უარყო პროტესტანტიზმი და კათოლიკური სარწმუნოება აღიარა.

კათოლიკობა კვლავ გაძლიერდა. 1814 წელს პაპმა აღადგინა 40 წლის წინათ გაუქმებული იეზუიტების ორდენი. კათოლიკეთა შორის გამოჩნდნენ ნიჭიერი ადამიანები, რომლებმაც ეკლესიის სამსახურში

ჩააყენეს ახალი დროის მიღწევები: აარსებდნენ ჟურნალ-გაზეთებს, ქადაგებდნენ ხალხისათვის გასაგებ ენაზე, გააძლიერეს პროპაგანდა სკოლებში...

რეაქციონერები კარგად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ რევოლუციამ დაამხო ძველი სამყარო, მაგრამ ამავე დროს იმედის თვალით შეჰყურებდნენ მომავალს და ძველი რეჟიმის აღდგენისათვის იღწვოდნენ. მათი იდეალი შუა საუკუნეები იყო — რწმენის, მებრძოლი რაინდული სულისკვეთებისა და პატრიარქალური ყოფის ეპოქა. არ შეიძლება სამყარო მუდმივ ანარქიაში იმყოფებოდეს; მოვა დრო და კვლავ დაბრუნდება ისეთი წყობა, რომელიც ყველას თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს. „კუთვნილი ადგილი“ კი, მათი აზრით, ისტორიული წარსულით, ისტორიული უფლებებით იქნება განპირობებული. ასეთი უფლებებია: დინასტიების მემკვიდრეობითი და შეუზღუდავი ძალაუფლება, მიწიდან შემოსავლის ქონების უფლება, წოდებრივი უფლებები, ძველი კორპორაციების განსაკუთრებული უფლებები. რეაქციონერები საფრანგეთში თავადაზნაურობის წარმოშობას ფრანკების მიერ გალების დაპყრობას უკავშირებდნენ. გამარჯვებული ფრანკების მემკვიდრენი თანამედროვე ფრანგი თავადაზნაურები არიან, დამარცხებული გალებისა და რომაელთა შთამომავლები მათ უნდა ემორჩილებოდნენ — ამბობდნენ ისინი და ამგვარად ცდილობდნენ სამუდამოდ დაეკანონებინათ ადამიანთა შორის უთანასწორობა.

თავი VIII. საფრანგეთი კონსულობისა და იმპერიის წლებში

საფრანგეთის სახელმწიფოებრივი წყობა კონსულობის პერიოდში. 1799 წლის 18 ბრიუმერის გადატრიალების შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლება გადავიდა სამი კონსულის — **ნაპოლეონის, როჟე-დიუკოსა და სიეისის ხელში.** ამავე წლის დეკემბერში მიიღეს ახალი კონსტიტუცია (რევოლუციის დაწყებიდან მე-4 კონსტიტუცია), რომლის ავტორი სიეისი იყო. ეს კონსტიტუცია ("რესპუბლიკის VIII წლის კონსტიტუცია") ფორმალურად ინარჩუნებდა რესპუბლიკურ წყობას, მაგრამ ფაქტიურად ძალაუფლება სამი კონსულის ხელში გადადიოდა, რომლებიც 10 წლის ვადით ირჩეოდნენ. ნაპოლეონი გახდა პირველი კონსული. მას დიდი უფლებები ჰქონდა — მინისტრების, სახელმწიფო მოხელეების, ელჩების დანიშვნის, შეიარაღებული ძალების მართვის, აგრეთვე საკანონმდებლო ინიციატივის. მეორე და მესამე კონსულებს მხოლოდ სათათბირო ხმა ეძლეოდათ.

ფორმალურად 21 წლის ყველა ფრანგ მამაკაცს, ქირით მომუშავეთა გარდა, შეეძლო არჩევნებში მონაწილეობის მიღება, მაგრამ მათ ჰქონდათ არა დეპუტატების, არამედ დეპუტატობის კანდიდატების არჩევის უფლება. ამ კანდიდატების საერთო სიიდან მთავრობა ნიშნავდა სახელმწიფო საბჭოს, ტრიბუნატისა და საკანონმდებლო კორპუსის წევრებს.

სახელმწიფო საბჭო შეიმუშავებდა კანონპროექტებს, ტრიბუნატი განიხილავდა, საკანონმდებლო კორპუსი კამათის გარეშე იღებდა ან უარყოფდა მათ. სენატი, რომლის წევრთა უმრავლესობას ნაპოლეონი ნიშნავდა, იღებდა ან აუქმებდა ყველა საკანონმდებლო აქტს, რომლებსაც განსახილველად წარადგენდა ტრიბუნატი და მთავრობა. საკანონმდებლო ფუნქციების განაწილების ასეთი რთული სისტემა შესაძლებლობას აძლევდა მთავრობის მეთაურს თავისი შეხედულებისამებრ გავლენა მოეხდინა კანონმდებლობაზე.

სახელმწიფოს მართვის ამგვარი მეთოდი არჩევითობაზე და პარ-

ლამენტარიზმზე პაროდია იყო. არც პლებისციტი გამოხატავდა ხალხის ნებას (კონსტიტუციას მხარი დაუჭირა 3 მლ., წინააღმდეგი იყო 1,5 მლ.), რადგანაც ხმის მიცემა წარმოებდა მთავრობის წარმომადგენელთა თანდასწრებით.

1799 წლის კონსტიტუცია ეროვნული ქონების მფლობელებს, ე.ი. ძირითადად მსხვილ ბურჟუაზიასა და შეძლებულ გლეხებს, მათი მიწების ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა.

ნაპოლეონის ბატონობის დროს სახელმწიფო აპარატი ეფუძნებოდა პოლიტიკურ-ბიუროკრატიულ ცენტრალიზაციას. დეპარტამენტებს (ჯერ იყო 83 დეპარტამენტი, დაპყრობილი ტერიტორიების შემოერთების შემდეგ გახდა 130) სათავეში ედგნენ პირველი კონსულის მიერ დანიშნული პრეფექტები. მთავრობა ნიშნავდა, აგრეთვე, მერებსა და საქალაქო და სასოფლო კომუნების მერების თანაშემწეებს. ამგვარად, რევოლუციის დროს ჩამოყალიბებული ადგილობრივი და საოლქო თვითმმართველობები, რომლებიც თავის დროზე დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის ცხოვრებაში, გააუქმეს.

გააძლიერეს პოლიცია და მას დიდი უფლებები მიანიჭეს. პოლიციის თვითნებობა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა; პატიმრები გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე წლების განმავლობაში იყვნენ ციხეებში, 1800 წ. ნაპოლეონზე განხორციელებული წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ, ბევრი უდანაშაულო ადამიანი გადაასახლეს და სიკვდილით დასაჯეს.

ცენტრალიზებული ხელისუფლების გაძლიერების მიზნით გაიზარდა არმიის როლი, შექმნეს განსაკუთრებულად პრივილეგირებული გვარდია და ა. შ.

შენარჩუნებული იქნა რწმენის თავისუფლება, მაგრამ კათოლიკურმა ეკლესიამ კვლავ მოიპოვა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. **1801 წ. ნაპოლეონმა პაპ პიუს VII დადო კონკორდატი — შეთანხმება.** კონკორდატით კათოლიკობა ცხადდებოდა „ფრანგების უმრავლესობის რელიგიად“ (და არა გაბატონებულ რელიგიად). არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები უნდა დაენიშნა მთავრობას და დაემტკიცებინა პაპს. მღვდლებს მთავრობა ნიშნავდა. ისინი ხელფასებსა და პენსიებს სახელმწიფოსაგან იღებდნენ. ვატიკანმა სცნო რევოლუციის დროს გაყ-

იდული საეკლესიო მიწების ხელახალი გადანაწილების შეუძლებლობა. კათოლიკური სარწმუნოება, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა მოსახლეობაში (განსაკუთრებით სოფლად) ბონაპარტისტული რეჟიმის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი გახდა.

პრესის თავისუფლება გააუქმეს. 73 გაზეთიდან 60 დახურეს, დარჩენილები პოლიციის მინისტრს და პრეფექტებს დაუქვემდებარეს. მკაცრი ცენზურის პირობებში იბეჭდებოდა წიგნები და ბროშურები

ნაპოლეონის სამხედრო წარმატებები კიდევ უფრო აძლიერებდნენ მის ძალაუფლებას. ახალი კონსტიტუცია ("რესპუბლიკის მე-10 წლის კონსტიტუცია"), რომელიც 1802 წელს მიიღეს, ნაპოლეონს გარდაცვალებამდე აძლევდა სახელმწიფოს მეთაურის წოდებას. პირველმა კონსულმა მიიღო მემკვიდრის დანიშვნის, სამშვიდობო ხელშეკრულებების ერთპიროვნულად დამტკიცების, საკანონმდებლო კორპუსის დათხოვნის, სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუქმების უფლებები.

1802 წელს გამოაცხადეს ემიგრანტთა ამინისტია. ამით ნაპოლეონის მთავრობას სურდა ძველი თავადაზნაურობის თავის მხარეზე მომხრობა. ემიგრანტთა უმრავლესობა საფრანგეთში დაბრუნდა. მათი ნაწილი ახალი ხელისუფლების სამსახურში ჩადგა.

1804 წლის დასაწყისში გამომჟღავნდა ახალი შეთქმულება პირველი კონსულის წინააღმდეგ. მასში მონაწილეობდნენ ემიგრანტი თავადაზნაურები, რომლებსაც მხარს უჭერდა ინგლისის მთავრობა. შეთქმულების მონაწილე რვა კაცი სიკვდილით დასაჯეს; მაგრამ იმისათვის, რომ კიდევ უფრო დაეშინებინათ ემიგრანტები და მათი მფარველები, ნაპოლეონის ბრძანებით ბადენის საჰერცოგოდან მოიტაცეს ბურბონთა დინასტიის წარმომადგენელი ენგიენის ჰერცოგი და სიკვდილით დასაჯეს. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაამწვავა საფრანგეთის ურთიერთობები ევროპის სახელმწიფოებთან.

1804 წლის 18 მაისს სენატმა ნაპოლეონი გამოაცხადა „ფრანგთა იმპერატორად" მემკვიდრეობის უფლებით. ახალი იმპერატორი თავისი სახელის მიხედვით იწოდებოდა ნაპოლეონ I.

იმპერიის გამოცხადებისთანავე აღადგინეს სასახლის ტიტულები, შემოიღეს მარშალის წოდება. გაჩნდა ახალი თავადაზნაურობა,

რომლებმაც ნაპოლეონისაგან მიიღეს არა მარტო არისტოკრატიული ტიტულები, არამედ დიდძალი მამულებიც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე დამორჩილებულ ქვეყნებში. ნაპოლეონის განუსაზღვრელ ბატონობას ერთგვარად წინ ეღობებოდა ტრიბუნატი, ერთადერთი პალატა, სადაც ზოგჯერ აკრიტიკებდნენ მთავრობის პოლიტიკას. ამიტომ, 1807 წელს იგი გააუქმეს. საკანონმდებლო კორპუსს იშვიათად იწვევდნენ. მთელი ძალაუფლება ეკუთვნოდა იმპერატორს და მის მორჩილ სენატს.

იმპერიის წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა პოლიტიკური რეაქცია, მაგრამ იგი არ შეხებია დიდი რევოლუციის ძირითად შედეგს — კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრებას და მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობას.

ბურჟუაზიული ურთიერთობების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ნაპოლეონის კოდექსებს". 1804 წელს გამოსცეს „სამოქალაქო კოდექსი", 1807 წელს — „კომერციული კოდექსი", 1811 წელს — „სისხლის სამართლის კოდექსი".

„სისხლის სამართლის კოდექსი" დასაშვებად მიიჩნევდა პატიმრების წამებას, დადაღვას, რაც რევოლუციის დროს აკრძალული იყო.

„სამოქალაქო კოდექსი" არეგულირებდა ოჯახურ ურთიერთობებს, აკანონებდა ცოლის მორჩილებას ქმრისადმი, მამის განუსაზღვრელ უფლებებს შვილებზე.

ამტკიცებდა რა ბურჟუაზიულ ურთიერთობებს, ნაპოლეონის კოდექსები მუშათა ინტერესებს უგულებელყოფდა. იკრძალებოდა პროფესიული კავშირების შექმნა, მკაცრად იცავდნენ ლე შაპელიეს კანონს (1791), რომელიც არ აძლევდა მუშებს იმის საშუალებას, რომ თავიანთი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის მოეწყოთ გაფიცვები და შეექმნათ მუშათა გაერთიანებები. „სამოქალაქო კოდექსში" ნათქვამი იყო, რომ თუ მუშა დაარღვევდა მეწარმესთან დადებულ შრომით ხელშეკრულებას, იგი შეიძლებოდა დაეპატიმრებინათ, ხოლო თუ საწარმოს მფლობელი არ დაიცავდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მას მცირე რაოდენობის ფულადი თანხით დააჯარიმებდნენ.

პოლიცია ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მუშებსა და მათ შეკრებებს. ნაპოლეონმა ერთ-ერთ თავის დაახლოებულ პირთან გულახდილ საუბარში აღიარა, რომ უმუშევართა აჯანყებისა უფრო ეშინოდა, ვიდრე 200 ათასიან არმიასთან ბრძოლის. ამიტომ მთავრობა გარკვეულ ყურადღებას აქცევდა მუშათა დასაქმების საკითხებს. საწარმოების მფლობელებს აძლევდა მსხვილ შეკვეთებს და ფულად სუბსიდიებს. მაგრამ ფაბრიკების მიერ სახელოსნოებისა და მანუფაქტურების შევიწროება იწვევდა უმუშევრობის ზრდას, რაც განსაკუთრებით შეიმჩნეოდა 1810-1811 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს.

საფრანგეთის ეკონომიკური განვითარება კონსულობისა და იმპერიის პერიოდში. ფეოდალური ურთიერთობის გაუქმებამ და თავისუფალი სამეურნეო საქმიანობის დამკვიდრებამ განაპირობა საფრანგეთის ინდუსტრიალიზაციის წარმატებები XIX ს. დასაწყისში. წარმატებული საომარი მოქმედებების შედეგად საფრანგეთის მრეწველობამ პრივილეგირებული პოზიციები დაიკავა ევროპაში, გაფართოვდა ფრანგული სამრეწველო პროდუქციის გასაღების ბაზარი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საფრანგეთის მრეწველობის ტექნიკური აღჭურვილობა. 1812 წ. საფრანგეთის საფეიქრო მრეწველობა ითვლიდა 1 მლ. თითისტარს, ხოლო ნართის საერთო რაოდენობა 10,5 მლ. კილოგრამს. 1790 წ. საფრანგეთში იყო მხოლოდ 900 მექანიკური სართავი დაზგა „ჯენი", 1825 წლისათვის კი 12500; ამავე წლებში საქსოვი მანქანების რაოდენობა გაიზარდა 89-დან 33000 ერთეულამდე. მაგრამ ორთქლის მანქანები ჯერ კიდევ ცოტა იყო, ძირითადად წყლის ძრავა გამოიყენებოდა. სამრეწველო გადატრიალება, რომელიც საფრანგეთში დაიწყო XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ნელი ტემპით მიმდინარეობდა. მეტალურგიაც ნელა ვითარდებოდა: 1812 წ. საფრანგეთში ადნობდნენ 99 ათას ტონა თუჯს, 1787 წ. — 61,5 ათასს. საგრძნობლად გაიზარდა ქვანახშირის მოხმარება და რკინის მადნის ამოღება. ჩქარი ტემპით ვითარდებოდა შუშის წარმოება, სამეურნეო საქმიანობა, ფაიფურის წარმოება; გაჩნდა მრეწველობის ახალი დარგი — შაქრის ჭარხლის წარმოება.

ფეოდალური შეზღუდვებისაგან განთავისუფლებულ სოფლის

მეურნეობაშიც დიდი ძვრები შეიმჩნეოდა. მოსავლიანობა გაიზარდა; მევენახეობა დიდ აღმავლობას განიცდიდა. მიწის ნაკვეთების ფასმა ჰექტარზე საშუალოდ 400 ფრანკიდან (1789) 600 ფრანკამდე აიწია (1815).

ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა. კონსულობის დამყარების დროს (1799) საფრანგეთი ომს აწარმოებდა კოალიციასთან (მეორე კოალიცია). მართალია, ფრანგებმა დაიპყრეს ჩრდ. იტალია და ეგვიპტე, მაგრამ ინგლისის სამხედრო ფლოტმა ადმირალ ნელსონის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა მდ. ნილოსის შესართავში, აბუქირთან ბრძოლაში (1798), ხოლო რუსებმა სუვოროვის მეთაურობით გამოდევნეს ფრანგები ჩრდ. იტალიიდან[1]. ნეაპოლში და აპენინის ნ.კ. სხვა ნაწილებში კვლავ აღადგინეს ძველი მთავრობები (1799). კონსულობის დროს საფრანგეთმა აღადგინა თავისი უპირატესობები. რუსებმა უკან გაიწვიეს თავისი ჯარები და ჩამოსცილდნენ კოალიციას. პირველმა კონსულმა ხელახლა დაიპყრო ჩრდ. იტალია, ხოლო საფრანგეთის მეორე არმია შევიდა გერმანიაში და გახსნა გზა ვენისაკენ. კოალიციის მონაწილეებმა ავსტრიამ და ინგლისმა 1801-1802 წლებში ზავი დადეს საფრანგეთთან. ნაპოლეონმა თავი გამოაცხადა იტალიის პრეზიდენტად. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გერმანიაში. იმ გერმანული მთავრების კომპენსაციის წყალობით, რომლებმაც რაინის მარცხენა ნაპირზე დაკარგეს ტერიტორიები, საფრანგეთმა შეიძინა მოკავშირეები, განსაკუთრებით სამხრეთ გერმანიაში. კომპენსაცია კი უნდა მოეხდინათ სასულიერო კურფიურსტების სამფლობელოების, თავისუფალი საიმპერიო ქალაქებისა და იმ მიწების ხარჯზე, რომლებიც სარაინდო კუთვნილებას შეადგენდნენ. ამ გზით ბადენმა, ვიურტემბერგმა და ბავარიამ მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავიანთი ტერიტორიები. ამგვარად საფრანგეთისაგან დავალებული მთავრები მისი ვასალები გახდნენ:

---

[1] იტალიაში ლაშქრობისას სუვოროვის არმიაში მამაცურად იბრძოდა შემდეგში გამოჩენილი მხედართმთავარი, ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში სახელმოხვეჭილი გენერალი პეტრე ბაგრატიონი (1765-1812). იგი იყო ვახტანგ VI-ის ძმის, იესეს შვილიშვილის შვილი.

ბავარიისა და ვიურტემბერგის მთავრებმა ნაპოლეონისაგან მეფის ტიტულებიც კი მიიღეს. გერმანიის დანაწილებით პრუსიამაც ნახა სარგებელი: რაინის მარცხენა ნაპირზე დაკარგულის სანაცვლოდ მარჯვენა ნაპირზე ოთხჯერ მეტი მიწები მისცეს. ამგვარად, საფრანგეთის გავლენა ძალიან შორს — შუა ევროპამდე გავრცელდა. თუმცა მიღწეული წარმატებებით ნაპოლეონი მაინც არ იყო კმაყოფილი. იმპერატორის ტიტულის მიღებასთან ერთად, მას სურდა მთელს ევროპაზე ბატონობა, მსგავსად რომის იმპერიისა, მაგრამ ამ მიზნის მიღწევის გზაზე იმპერატორს წინ ეღობებოდა ინგლისი, რომელიც საფრანგეთის მთავარი მოწინააღმდეგე იყო ზღვებზე და კოლონიებში. რევოლუციის დაწყებიდან ვესტინდოეთის კუნძულებზე მონათა მოძრაობები დაიწყო. კონვენტმა ისინი გაანთავისუფლა; ინგლისმა ისარგებლა მონების გამოსვლებით და წაართვა საფრანგეთს მნიშვნელოვანი კუნძული სანტო-დომინგო (ჰაიტი). ნაპოლეონი ემზადებოდა ინგლისში ჯარების გადასხმისათვის და ამ მიზნით ბულონში ბანაკი მოაწყო (1803). ინგლისის პრემიერ მინისტრმა პიტმა შეძლო მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება. მან ევროპაში შექმნა ახალი კოალიცია (მესამე კოალიცია) ნაპოლეონის წინააღმდეგ ავსტრიისა და რუსეთის მონაწილეობით. სამხრეთგერმანული სახელმწიფოების დახმარებით, ნაპოლეონმა გაანადგურა ავსტრიელებისა და რუსების მთავარი ძალები მორავიაში **აუსტერლიცთან (1805 წ. 2 დეკ.)**. ავსტრია იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის სამფლობელოებზე იტალიასა და გერმანიაში. მაგრამ ნაპოლეონის ძველმა მოწინააღმდეგე ნელსონმა საფრაგნეთის ფლოტი, მის დამხმარე ესპანეთის ფლოტთან ერთად, დაამარცხა ტრაფალგარის კონცხთან (1805 წ. 21 ოქტ.) და ამით ინგლისი გადაარჩინა. ტრაფალგართან დამარცხებამ საბოლოოდ დაასამარა ნაპოლეონის ოცნება ინგლისში შეჭრის თაობაზე.

1806 წელს ნაპოლეონმა დიდ სამხედრო წარმატებებს მიაღწია, რამაც ევროპის პოლიტიკურ რუკაზე ახალი ცვლილებები გამოიწვია. ამ წელს საფრანგეთის წინააღმდეგ ინგლისმა და რუსეთმა (მოგვიანებით მათ შეუერთდნენ პრუსია და შვედეთი) შექმნეს რიგით მეოთხე კოალიცია. ნაპოლეონმა პირველი დარტყმა პრუსიის წინააღმ-

დეგ მიმართა. ერთიდაიმავე დღეს, 1806 წლის 14 ოქტომბერს, საფრანგეთის ჯარებმა, ნაპოლეონისა და მარშალ დავუს ხელმძღვანელობით, იენასა და აუერშტედტთან ბრძოლებში გაანადგურეს პრუსიელები. ამ გამარჯვებიდან ორი კვირის შემდეგ, ფრანგები შევიდნენ პრუსიის დედაქალაქ ბერლინში. ნაპოლეონმა დაიკავა პოლონეთის დანაწილების შედეგად პრუსიისათვის მიერთებული მიწები, გამოაცხადა აქ პოლონეთის დამოუკიდებლობა და გაათავისუფლა გლეხები ფეოდალური ვალდებულებებისაგან; ათასობით პოლონელი მის სამსახურში ჩადგა.

თავისი პოლონური სამფლობელოების ბედით შეწუხებულმა ალექსანდრე I პრუსიელთა დასახმარებლად ჯარები გაგზავნა. 1807 წლის 14 ივნისს ბრძოლა მოხდა ფრიდლანდთან. მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად რუსები დამარცხდნენ. ნაპოლეონს არ სურდა მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავება და ამიტომ ალექსანდრე I შესთავაზა ტილზიტში (ახლანდელი ქ. სოვეტსკი, კალინინგრადის ოლქი) შეხვედრა, სადაც 1807 წელს მათ შორის ზავი დაიდო.

ტილზიტის ზავით ევროპა გავლენის სფეროებად გაიყვეს: რუსეთმა მიიღო შვედეთის და თურქეთის, ხოლო საფრანგეთმა მატერიკის დანარჩენი ნაწილების მიმართ თავისუფალი მოქმედების უფლება. პრუსია იძულებული იყო დათანხმებოდა იმ პირობებს, რომლებიც იმპერატორებმა შეიმუშავეს ტილზიტში. იგი კარგავდა ტერიტორიის დიდ ნაწილს: მდ. ელბის დასავლეთით მდებარე მიწებს და პოლონეთის დანაწილების შედეგად მიღებულ იმ ოლქებს, რომლებმაც შემდეგ შეადგინეს ნაპოლეონის მიერ შექმნილი ვარშავის საჰერცოგო, რომლის მმართველად დაინიშნა მეფის ტიტულით აღჭურვილი საქსონიის კურფიურსტი[1]. ვარშავის საჰერცოგოს შექმნა ეწინააღმდეგებოდა რუსეთისა და პრუსიის ინტერესებს; პრუსიას უნდა გადაეხადა დიდი კონტრიბუცია და შეემცირებინა არმიის რაოდენობა 40 000 კაცამდე.

ტილზიტის ზავამდე და ზავის შემდეგ ნაპოლეონმა მთელი რიგი

---

[1] კურფიურსტი (გერმ. Kurfürsten – ამომრჩეველი მთავარი), „საღვთო რომის იმპერიაში" მთავრები, რომელთაც XIII საუკუნიდან მიენიჭათ მეფის (იმპერატორის) არჩევის უფლება.

ცვლილებები მოახდინა ევროპის პოლიტიკურ რუკაზე. დირექტორიის მიერ დაარსებული რესპუბლიკები გარდაქმნა სამეფოებად და მათ სათავეში დაუყენა თავისი ნათესავები. ბატავიის რესპუბლიკის ნაცვლად ჰოლანდიის სამეფო შექმნა; ჩრდილო იტალიაში მეფისნაცვლად დასვა თავისი გერი; პრუსიის კუთვნილი რაინისპირა მიწებისაგან იმპერატორის ძმის ჟერომისათვის ჩამოაყალიბეს ვესტფალენის სამეფო. მოგვიანებით იგი გერმანიის კავშირში გაერთიანებული გერმანელი მთავრების სათავეში დააყენეს. ნაპოლეონმა ნეაპოლიდან განდევნა ბურბონები და იქ მიკიტანის შვილი, თავისი სიძე, მიურატი დანიშნა. ასევე უცერემონიოდ ჩამოართვა მან პაპს საერო ხელისუფლება და შეცვალა სამეფო დინასტია პორტუგალიაში. და ბოლოს, მან აიძულა ესპანეთის მეფე გადამდგარიყო და იქ მის ნაცვლად თავისი ძმა დანიშნა.

დაპყრობილ ტერიტორიებზე განუწყვეტელი ცვლილებები ხდებოდა. მაგ. ნაპოლეონმა თავის პირად მმართველობას დაუქვემდებარა ჰოლანდია და საფრანგეთს შეუერთა ჩრდილოეთი გერმანია, აგრეთვე იტალიის ჩრდილო-დასავლეთი. საფრანგეთის ტერიტორია თავის ბუნებრივ საზღვრებს ძალიან შორს გასცდა. იმპერიის ტრიუმფის კიდევ ერთი დადასტურება იყო ნაპოლეონისა და ალექსანდრე I ერფურტის შეხვედრა (1808). აქ მიღებული კონვენცია წარმოადგენდა ტილზიტის ზავის განახლებასა და განმტკიცებას. ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ტილზიტის ზავის შემდეგ აშკარად გამოდიოდა საფრანგეთის წინააღმდეგ იყო ინგლისი. ნაპოლეონმა ვერაფერი ვერ მოუხერხა „ზღვათა მპყრობელს“ და განიზრახა კონტინენტური ბლოკადის[1] შემოღებით ინგლისის დაჩოქება.

---

[1] ჯერ კიდევ ბერლინში ყოფნის დროს, 1806 წლის 21 ნოემბერს, ნაპოლეონმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლითაც იკრძალებოდა ბრიტანეთის კუნძულებთან სავაჭრო, საფოსტო და სხვა ურთიერთობები. იგი ვრცელდებოდა საფრანგეთის ძალაუფლების ქვეშ მყოფ ან მის მოკავშირე ყველა ქვეყანაზე. ტილზიტის ზავით რუსეთი იძულებული გახდა შეერთებოდა კონტინენტურ ბლოკადას. დიდმა ბრიტანეთმა კონტინენტურ ბლოკადას უპასუხა კონტრბლოკადით და კონტრაბანდული ვაჭრობით.

ნაპოლეონი და საქართველო. ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის პრობლემას. საფრანგეთის ბურჟუაზიის დაპყრობითი გეგმები აღმოსავლეთში, რომლის რეალიზაციას ისახავდა მიზნად ნაპოლეონის არმიის შეჭრა ეგვიპტეში (1798), ბუნებრივია, დღის წესრიგში აყენებდა ამიერკავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხს.[1] ამაზე მეტყველებს ნაპოლეონის მცდელობა ეგვიპტიდან დაემყარებინა კავშირი აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელ მეფესთან გიორგი XII. ამ მიზნით მან თბილისში გამოგზავნა თავისი პირადი წარმომადგენელი და თან წერილი გამოატანა გიორგი XII გადასაცემად. აღნიშნული წერილის შინაარსი ჩვენთვის უცნობია (გამოგზავნილი პიროვნება გზაში შეიპყრეს და ახალციხის ფაშამ იგი სიკვდილით დასაჯა); სავარაუდოა, რომ წერილში ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების შესუსტების მიზანი იყო დასახული. თვით ის ფაქტი, რომ ნაპოლეონი დიპლომატიურ კურიერს აგზავნის ეგვიპტიდან თბილისში მიუთითებს მის მნიშვნელობაზე.

ნაპოლეონის ეგვიპტეში შეჭრას დიდი რეზონანსი ჰქონდა[2]. ამიტომ არცაა გასაკვირი ის, რომ მის ლაშქრობას თვალყურს ადევნებდნენ საქართველოშიც, განსაკუთრებით ისინი, ვისაც რუსეთის საწინააღმდეგოდ დასავლეთის ქვეყნებზე ჰქონდათ ორიენტაცია; ნაპოლეონის სამხედრო წარმატებებისა და ოსმანთა იმპერიის დაცემის შემთხვევაში გარკვეული პერსპექტივები იქმნებოდა დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის. კერძოდ, ასეთ იმედებს გამოთქვამდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე ლარიძე გიორგი XII შვილის

---

[1] საქართველომ თავისი მოხერხებული მდებარეობით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალ სავაჭრო გზებზე, ადრევე მიიპყრო ფრანგი ვაჭარ-მრეწველების ყურადღება. მე-17 ს. მეორე ნახევრიდან დაწყებული ფრანგები ცდილობდნენ დაემყარებინათ სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა სპარსეთთან. მე-18 საუკუნეში კიდევ უფრო გაიზარდა საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო წრეების დაინტერესება საქართველოთი. ფრანგი კონსული ყირიმში პეიზონელი თავის მთავრობას უდგენს კავკასიასა და შუა აღმოსავლეთში საქართველოს გზით საფრანგეთის ვაჭრობის განვითარების პერსპექტიულ გეგმას, მაგრამ მის განხორციელებას იმ დროს რეალური საფუძველი არ გააჩნდა: შავი ზღვის სრუტეები ბოსფორი და დარდანელი მტკიცედ ეპყრა თურქეთს, სულთანი კი არ აპირებდა მათ გახსნას საფრანგეთის ფლოტისათვის.

ეგვიპტის ლაშქრობის შემდეგ ნაპოლეონმა თავის პირად მცველად აიყვანა ქართველი მამლუქი რუსტამი (როსტომი), რომელიც იმპერატორის უახლოესი მრჩეველი გახდა.

ბაგრატისადმი თელავში გაგზავნილ წერილში (1799).

18 ბრიუმერის გადატრიალების შემდეგ საფრანგეთში მიმდინარე მოვლენების და, კერძოდ, ნაპოლეონის პიროვნების მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოში. ამაზე მეტყველებს გიორგი XII საუბარი პაპის წარმომადგენელთან პატრ ნიკოლისთან. როდესაც მისიონერისაგან მეფემ შეიტყო, რომ ნაპოლეონი იყო მორწმუნე კათოლიკე, რომ ის ებრძვის უღმერთოებსა და ცდილობს „აღადგინოს ტრაპეზი ქრისტესი, პატივს სცემს დიდ პაპასა წმინდას", მაშინ მეფემ შეაქო იგი და წარმატება უსურვა.

სახელმწიფოების დაინტერესება ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში პლაცდარმის მოპოვებისათვის, კიდევ უფრო ძლიერდება XVIII-XIX სს. მიჯნაზე, მას შემდეგ, რაც ამ რეგიონის სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა კიდევ ურო გაიზარდა. გეოგრაფიული ფაქტორისა და საერთაშორისო მდგომარეობის გამო (ინგლისი და საფრანგეთი ირანისა და თურქეთის დახმარებით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ რუსეთისათვის ამ რეგიონში გაბატონებისათვის, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთში ჰქონდათ გააფთრებული წინააღმდეგობები, რაც რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს), აგრეთვე ამიერკავკასიის ხალხების სურვილი თავი დაეღწიათ თურქეთისა და ირანის ბატონობისაგან, ხელს უწყობდა რუსეთის მიერ ამიერკავკასიის დაპყრობას. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი ამიერკავკასიაში რუსეთის პოლიტიკის ტრიუმფი იყო. ამასთანავე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ 800-იანი წლების დასაწყისში ნაპოლეონსა და იმპერატორ პავლეს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების თაობაზე, რასაც უნდა მოჰყოლოდა ერთობლივი ლაშქრობა ინდოეთში. ცხადია, საფრანგეთ-რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების შემდეგ, საფრანგეთის ყურადღება ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოსადმი მინელდა. ამიტომ, გასაგებია ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში რუსეთის პოლიტიკის აქტივიზაციას ამიერკავკასიაში არ მოჰყოლია საფრანგეთის მხრიდან საპასუხო ღონისძიებები.

1801 წლის ბოლოდან მდგომარეობა შეიცვალა. საფრანგეთის მთავრობამ ნაპოლეონის მეთაურობით ანტირუსული კურსის განხორ-

ციელება დაიწყო; იგი რუსეთის საწინააღმდეგოდ მხარს უჭერდა ირან-თურქეთის პრეტენზიებს ამიერკავკასიაში. ამას გარდა, 1802 წლის ივნისის პარიზის ხელშეკრულებით ბოლოს და ბოლოს ნაპოლეონმა აიძულა პორტა გაეხსნა საფრანგეთის სავაჭრო გემებისათვის შავი ზღვა. საფრანგეთში მკვეთრად გაიზარდა დაინტერესება შავიზღვისპირა ქვეყნებით, მათ შორის საქართველოთი. მარსელის სავაჭრო პალატამ ტალეირანისადმი გაგზავნილ 1802 17 ივლისის წერილით საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე მთელი სერიოზულობით დააყენა შავი ზღვის აუზის ქვეყნებში ფრანგული ვაჭრობისათვის ხელშეწყობის საკითხი. ნაპოლეონის კონსტანტინოპოლელი ელჩის მდივანი განდინი თავის წერილში ტალეირანისადმი გამოთქვამდა რწმენას, რომ საფრანგეთი კავშირს დაამყარებდა ისეთ ცენტრთან, როგორიცაა თბილისი, დაიწყებდა ვაჭრობას ჩერქეზეთთან, საქართველოსთან და მეზობელ ქვეყნებთან. თვით საფრანგეთში ამ მოსაზრებას ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა.

საფრანგეთის სავაჭრო ორბიტაში ამიერკავკასიის მოქცევა, თბილისის გადაქცევა ფრანგული სამრეწველო ნაწარმით ვაჭრობის ბაზად, მოითხოვდა საქართველოდან რუსეთის განდევნას. ეს კი არცთუ ისე იოლი საქმე იყო. ნაპოლეონმა დახმარების ხელი გაუწოდა ამიერკავკასიაში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლ თურქეთსა და ირანს. ფინკენშტეინის 1807 წლის 4 მაისის ხელშეკრულებით ირანთან, ნაპოლეონმა შაჰის კუთვნილ ტერიტორიად სცნო საქართველო და ივალდებულა აეძულებინა რუსეთი გაეყვანა ჯარები საქართველოდან და ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიებიდან. რა თქმა უნდა, ირანის ბატონობის აღდგენა არ შეესაბამებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ იგემეს რუსეთის „განმათავისუფლებელი მისიის“ მთელი „მშვენიერებანი“, კვლავ საფრანგეთისაკენ მიაპყრეს თვალი. იმერეთის უკანასკნელი, დევნილი მეფე სოლომონ II ახალციხიდან ნაპოლეონთან აგზავნის სამი კაცისაგან შედგენილ დელეგაციას მფარველობისა და დაცვის სათხოვნელად. როგორც ჩანს, დელეგაციას ნაპოლეონამდე არ მიუღწევია, მაგრამ დელეგაციის გაგზავნის თვით ფაქტიც ბევრის მეტყველია.

ნაპოლეონის იმპერიის წარმატებების მიზეზები. ნაპოლეონის ჯარჩვეულებრივი წარმატებები აიხსნება მაშინდელი საფრანგეთის მდგომარეობითა და ევროპის დანარჩენი ხალხებისა და სახელმწიფოების ცხოვრების პირობებით. რევოლუციის დროს საფრანგეთმა პირველმა შესძლო სახალხო ომის ორგანიზება: 1793 წელს კოალიციის დაქირავებული ჯარების წინააღმდეგ იბრძოდნენ ფრანგი მოხალისეები და სახალხო ლაშქარი, რომლებიც მოსახლეობის ყველა კლასისაგან იყო შედგენილი. მართალია, შემდგომ ომმა დაპყრობითი ხასიათი მიიღო, მაგრამ ჯარში მაინც იწვევდნენ მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლებს და, ამგვარად, შეიქმნა საფუძველი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შემოღებისათვის. 21 წლის ყველა ფრანგ ჯანსაღ ახალგაზრდას ჯარში იწვევდნენ. ასეთი სისტემის გამო საფრანგეთს, სხვა ქვეყნებთან შედარებით სადაც ჯერ კიდევ ძველი წესები არსებობდა, შეეძლო უზარმაზარი არმიის შექმნა. ნაპოლეონმა ეს სისტემა უკიდურესობამდე მიიყვანა: ჯარში იწვევდა მოზარდ ახალგაზრდებს, ჭაბუკებსა და ბავშვებსაც კი; ის მოითხოვდა, აგრეთვე, დიდძალ ცოცხალ ძალას დამორჩილებული და ვასალი ქვეყნებიდან, ჰოლანდიიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან.

ნაპოლეონმა რევოლუციის მიერ არმიაში დამკვიდრებული კიდევ ერთი ნიშნით ისარგებლა: მასში არ იყო კლასობრივი განსხვავება, არ იყო ჯოხის დისციპლინა, ის იყო დემოკრატიზირებული, გაბატონებული კლასების წარმომადგენლები სამხედრო სამსახურს დაბალი საფეხურიდან იწყებდნენ, დაბალი კლასების წარმომადგენლებს კი შეეძლოთ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დაწინაურება[1]. ნაპოლეონი ყოველნაირად უწყობდა ხელს თავის ჯარისკაცებსა და ოფიცრებში პატიმოყვარული გრძნობების გაღვივებას. ისინი თავს

[1] დაბალი კლასებიდან იყო დაწინაურებული ნაპოლეონის ცნობილი მარშალი, ნეაპოლის მეფე იოაჰიმ მიურატი, რომლის შვილიშვილმა აშილ მიურატმა ცოლად შეირთო სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის ქალიშვილი სალომე. ისინი საქართველოში ცხოვრობდნენ და სწორედ მათი დამსახურებაა ის, რომ ქ. ზუგდიდის მუზეუმში არის საფრანგეთის ისტორიის ბევრი ძვირფასი რელიქვია — ნაპოლეონ I ნიღაბი, იმპერატორის ზოგიერთი პირადი ნივთი, უნიკალური ლიტერატურა ნაპოლეონის შესახებ და სხვ.

გრძნობდნენ დიდი ერის, უძლეველი ხალხის წარმომადგენლებად. ამავე დროს იმპერატორი უხვად აჯილდოებდა მათ პენსიებით, საჩუქრებით, წოდებებით; მის მარშლებს მილიონობით შემოსავალი ჰქონდათ, ზოგიერთი მათგანი მეფეც კი გახდა.

ნაპოლეონის მოწინააღმდეგებს არ ჰყავდათ ასეთი მრავალრიცხოვანი, მოძრავი, დემოკრატიული არმიები; მათ არ შეეძლოთ საფრანგეთის არმიისათვის დაეპირისპირებინათ სახალხო ლაშქარი ისევე, როგორც ეს შეძლეს ფრანგებმა 1793 წელს. ნაპოლეონის წინააღმდეგ იბრძოდნენ არა ხალხები, არამედ სასახლეები, რომლებიც მმართველობის ძველ სისტემას, პრივილეგირებულ კლასებს, ყმა გლეხებისაგან შედგენილ არმიებს ეყრდნობოდნენ. იმ დროს, 1789 წლიდან მოყოლებული, საფრანგეთის ბურჟუაზია წარმოადგენდა ერის წამყვან, შემოქმედ ძალას, რომელიც უკეთესი მერმისისათვის იბრძოდა, ამიტომ პრუსიაში ბიურგერები გულგრილად ხვდებოდნენ დამპყრობლებს, გლეხები კი — ფარული სიხარულით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვარშავის საჰერცოგოს პრუსიისაგან წართმეულ პოლონურ ოლქებში ნაპოლეონმა გლეხები გაათავისუფლა. როდესაც პრუსიასა და ავსტრიაში სამხედროები ტოვებდნენ სიმაგრეებსა და ქალაქებს, მოსახლეობა ოდნავი პროტესტის ნიშნებსაც კი არ ამჟღავნებდა, არ ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას. ამ ქვეყნების ხალხებს თვითმმართველობის ელემენტარული ჩვევები არ გააჩნდა; სახელმწიფო, რომელიც მათ მოხელეების მეშვეობით მართავდა, ნერგავდა იმ აზრს, რომ პოლიტიკა ობივატელების საქმე არაა; ხალხიც, ქვეყნისათვის განსაცდელის ჟამს, გულგრილობით პასუხობდა.

ნაპოლეონ I იმპერიის დამხობა. ნაპოლეონის განუწყვეტელმა ომებმა გაამწვავა საფრანგეთის საშინაო და საგარეო ურთიერთობები, რამაც ბიძგი მისცა იმპერიის მოწინააღმდეგე ძალთა გააქტიურებას როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის გარეთაც.

1810-1811 წლებში იმპერია სავაჭრო-სამრეწველო კრიზისს განიცდიდა. მან მოიცვა არა მარტო საფრანგეთის სამრეწველო ცენტრები, არამედ სავაჭრო ნავსადგურებიც. ინგლისის მიერ განხორციელებული კონტრბლოკადის შედეგად, საფრანგეთის ნავსადგურებთან ერთად,

დაზარალდნენ ჰოლანდიის, ბელგიისა და ჩრდილოეთი გერმანიის ნავსადგურებიც: მთავრობა იძულებული შეიქნა ნაწილობრივ დაერღვია კონტინენტური ბლოკადა და ზოგჯერ გაეცა ლიცენზიები აუცილებელი საქონლის ინგლისიდან შემოტანის შესახებ.

ნაპოლეონის პოლიტიკით იმედგაცრუებული სამრეწველო ბურჟუაზია მტრულად განეწყო მთავრობის მიმართ. მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს საფრთხეს უქმნიდა იმპერატორისა და მისი კამარილიის მიერ შეუზღუდავი ძალაუფლების მოპოვების სურვილი. იგრძნეს რა იმპერიის მოახლოებული კრახის გარდუვალობა, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი თანდათან განუდგნენ ნაპოლეონს და ზოგიერთი მათგანი უცხო ქვეყნის ინფორმატორიც კი გახდა. ტალეირანი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, 1807 წლიდან ალექსანდრე I საიდუმლო ცნობებს აწვდიდა ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და ნაპოლეონის გეგმების შესახებ.

გადასახადების განუწყვეტელი ზრდა და არმიაში მასობრივი გაწვევები გლეხების უკმაყოფილებას იწვევდა. ბევრი მათგანი თავს არიდებდა სამხედრო სამსახურს. „სამოქალაქო კოდექსითა“ და პოლიციურ-ბიუროკრატიული აპარატის თვითნებობით შეწუხებული მუშები უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ ბონაპარტისტული რეჟიმის მიმართ. 1810-1811 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს უმუშევართა რიცხვის ზრდამ და 1812 წლის მოუსავლიანობამ ბიძგი მისცა ქალაქებსა და სოფლებში მთელ რიგ გამოსვლებს ხელისუფლების წინააღმდეგ.

ქვეყნის შიგნით უკმაყოფილო ადამიანთა რიცხვის ზრდას თან ერთვოდა დაპყრობილ და დამოკიდებულ ქვეყნებში საფრანგეთის ხელისუფალთა დესპოტური და აგრესიული პოლიტიკით აღშფოთებული ხალხების გამოსვლები.

გერმანიაში, იტალიაში და სხვა დამორჩილებულ ქვეყნებში არ წყდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები. განსაკუთრებით ფართო ხასიათი ჰქონდა ესპანეთში გაჩაღებულ პარტიზანულ ომს („გვერილია“), რომელმაც დიდად შეარყია იმპერიის არსებობის საფუძვლები. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ევროპის ხალხების მიერ



5. დასავლეთ ევროპა ნაპოლეონის ბატონობის ეპოქაში

ნაპოლეონის რეჟიმის დამხობის ყველა ცდა წარუმატებლად მთავრდებოდა. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა 1812 წელს გამანადგურებელი მარცხი განიცადა რუსეთში, ეს განზრახვა განხორციელდა.

1812 წლიდან იწყება იმპერიის სამხედრო ძლიერების საბოლოო განადგურება. ტილზიტში დადებული შეთანხმება არამყარი აღმოჩნდა. ნაპოლეონი უკმაყოფილო იყო, რადგან ალექსანდრე I სათანადოდ არ იცავდა ინგლისის წინააღმდეგ მიმართულ კონტინენტურ ბლოკადას; რუსეთის იმპერატორი, პირიქით, შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს იმის გამო, რომ ვარშავის საჰერცოგოს შექმნით ნაპოლეონი პირდებოდა პოლონელებს დამოუკიდებელი პოლონეთის სახელმწიფოს ძველ საზღვრებში აღდგენას, რომელშიც საკუთრივ პოლონური მიწების გარდა უნდა შესულიყო ლიტვა, ბელორუსია და მარჯვენა ნაპირის უკრაინა, ე. ი. ის ტერიტორიები, რომლებიც რუსეთის შემადგენლობაში შედიოდნენ. ტილზიტში მიღწეული შეთანხმების წინააღმდეგნი იყვნენ რუსი მემამულეები, რომლებმაც, კონტინენტურ ბლოკადასთან შეერთების გამო, დაკარგეს თავიანთი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების ბაზარი და, აგრეთვე, რუსი ვაჭარ-მრეწველები, რომლებსაც ძირითადად ინგლისიდან შემოჰქონდათ მათთვის საჭირო საქონელი. იყო სხვა მიზეზებიც, რომლებიც თანდათანობით ძაბავდნენ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობებს.

ნაპოლეონმა გადაწყვიტა ძალით დაემორჩილებინა რუსეთი, რომელიც წინ ეღობებოდა მის პატივმოყვარულ მისწრაფებებს. მოსკოვის აღების შემდეგ მას განზრახული ჰქონდა ლაშქრობის გაგრძელება ინგლისის აზიური კოლონიების ხელში ჩასაგდებად. ამ მიზნების განხორციელებისათვის დიდი მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. დამორჩილებული ქვეყნებიდან ნახევარ მილიონზე მეტი ჯარისკაცი შეაგროვეს.

1812 წლის 24 ივნისს ნაპოლეონის არმიამ გადმოლახა მდ. ნემანი და რუსეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. შედარებით მცირერიცხოვანი რუსეთის არმია უკან იხევდა; მოსკოვის დატოვებამდე, რუსებმა დიდი ბრძოლა გადაიხადეს სოფ. ბოროდინოსთან (1812 წ. 26 აგვისტო). მოსკოვი, ისევე როგორც სხვა ადგილები, ნაპოლეონს

გაძარცვული დახვდა. გაძნელდა არმიის მომარაგება, გახშირდა ჯარისკაცების მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევები (მარადიორობა, ლოთობა...). იმისათვის, რომ ჯარში სათანადო წესრიგი აღედგინა, ნაპოლეონი სიკვდილით სჯიდა თავის ჯარისკაცებს; იგი ამბობდა: უმჯობესია რამდენიმე ჯარისკაცი დავხვრიტო, ვიდრე მთელი არმია დავკარგოო. მოახლოებულმა ზამთარმა აიძულა ნაპოლეონი დაეტოვებინა მოსკოვი. უკანდახეულ ფრანგ ჯარისკაცებს დიდ ზარალს აყენებდნენ პარტიზანები. 1812 წლის დეკემბერში ნაპოლეონმა „დიდი არმიის" ნარჩენებთან (30 000 კაცი) ერთად დატოვა რუსეთის საზღვრები და დაბრუნდა საფრანგეთში იმისათვის, რომ მოსალოდნელი ახალი კოალიციის წინააღმდეგ ჯარი შეეკრიბა.

მომდევნო 1813-1814 წლების ომები არ ჰგავდა რესპუბლიკისა და იმპერიის წინააღმდეგ წარმოებულ წინა ომებს. სახელმწიფოთა მეთაურები იძულებული გახდნენ დახმარებისათვის მიემართათ იმ სახალხო ძალებისათვის, რომელთა დამარცხებას ისინი ცდილობდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. პრუსიის მეფემ ფრიდრიხ ვილჰელმ III კავშირი შეკრა ალექსანდრე I და გამოაქვეყნა „მიმართვა ხალხისადმი", რომელშიც აცხადებდა, რომ ხალხებს თავიანთი მომავლის განსაზღვრის უფლება აქვთ. ეს მიმართვა გაგებული იქნა ისე, როგორც არა მარტო მოწოდება უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, არამედ, აგრეთვე, როგორც დაპირება ხალხისათვის თავისუფალი წარმომადგენლობითი დაწესებულებების დაარსების შესახებ. გერმანელი პატრიოტები ერთიანდებოდნენ პრუსიის მეფის გარშემო, მაგრამ მთავართა უმრავლესობა ნაპოლეონს მიემხრო, რომელმაც შეძლო ახალი არმიის ჩამოყალიბება და თვითონ დაესხა თავს მოკავშირეებს. ავსტრიის შეერთების შემდეგ კოალიციის სამხედრო ძლიერება კიდევ უფრო გაიზარდა. 1813 წლის ოქტომბერში, ლაიფციგთან სამდღიან ბრძოლაში, ნაპოლეონი დამარცხდა. გერმანელი მთავრები ჩამოშორდნენ მას და კოალიციას მიემხრნენ იმ პირობით, თუ შეუნარჩუნებდნენ მათ ნაპოლეონის წყალობით მიღებულ მიწებს.

1814 წელს რუსები, პრუსიელები და ავსტრიელები აღმოსავლეთიდან შევიდნენ საფრანგეთში იმ დროს, როდესაც ინგლისელი

მთავარსარდალი უელინგტონი პირენედან უტევდა. საფრანგეთის ძალები გამოიფიტა. ნაპოლეონი იძულებული გახდა ჯარში გაეწვია სრულიად ახალგაზრდები. მოკავშირეები პარიზში შევიდნენ (31 მარტი). ნაპოლეონს სურდა ომის გაგრძელება, მაგრამ მისი მარშლების წინააღმდეგობის გამო, იგი ტახტიდან გადადგა თავისი მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოდ, თუმცა ამ აქტს პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. მოკავშირეებმა ყოფილ იმპერატორს მუდმივ სარგებლობაში გადასცეს იტალიის პატარა კუნძული ელბა, ხოლო საფრანგეთში, რომელიც 1792 წლის საზღვრებში უნდა დარჩენლიყო, აღადგინეს ტახტზე ლუი XVI ძმა, პროვანსის გრაფი – ლუი XVIII. იგი 1791 წლიდან ემიგრაციაში იმყოფებოდა. სხვა საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც ევროპის ტერიტორიების გადანაწილებას, იმ ქვეყნებში, რომლებიც რევოლუციისა და შემდეგ პერიოდში იქნენ დაპყრობილი, ძველი მმართველობების აღდგენასა და შიდა პოლიტიკური მართვის საკითხებს შეეხებოდნენ, გამარჯვებული სახელმწიფოების მეთაურებმა მოიწვიეს ვენის კონგრესი.

გერმანული სახელმწიფოები 1648-1815 წლებში

ოცდაათწლიანი ომის დამთავრებიდან (1648) გერმანული სახელმწიფოების მდგომარეობა მეტად მძიმე და რთული იყო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ამ ომამდე შეინიშნებოდა მრავალრიცხოვან გერმანულ დაქუცმაცებულ სახელმწიფოებში რაიმე წინსვლა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხრივ. უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზი ევროპაში სავაჭრო გზების გადაადგილება იყო. გერმანიამ იტალიის ბედი გაიზიარა. ევროპის დასავლეთ სანაპიროებზე საზღვაო და საოკეანო ნაოსნობის განვითარების შედეგად, ალპების მთების გადალახვით და გერმანიის დიდ მდინარეებზე სავაჭრო მიმოსვლა ძლიერ შემცირდა, რამაც გამოიწვია სავაჭრო გზების გასწვრივ მდებარე ქალაქების გაღატაკება და დაცემა. ველზერებისა და ფუგერების სავაჭრო-საბანკო საქმიანობა, რომელზეც დიდად იყო დამოკიდებული კარლ V იმპერიის (წმ. რომის საღვთო იმპერიის) ეკონომიკური ძლიერება, ჩაკვდა. საფუძველი შეერყა, აგრეთვე, ჩრდილო-გერმანული ქალაქების დიდ კავშირს – **ჰანზას**, (საშუალო ქვემოგერმან. Hanse – კავშირი, ამხანაგობა) რადგანაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრებმა გადმოინაცვლეს დასავლეთ ევროპის სანაპიროებზე, ლისაბონში, ანტვერპენში, ამსტერდამში. ამას გარდა, დასავლეთში წარმოიშვნენ ძლიერი სახელმწიფოები ინგლისი, დანია, შვედეთი; მათი გაერთიანებული ძალის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეძლოთ დაქუცმაცებულ, დამოუკიდებელი ქალაქებისაგან შედგენილ ჰანზას კავშირს.

ელიზაბეთის დროის (1558-1603), ინგლისელ ვაჭრებს, დიდი რაოდენობით მაუდი შემოჰქონდათ ჰამბურგში, რაც აფერხებდა გერმანიაში მრეწველობის ამ დარგის განვითარებას. ბალტიის ზღვაზე ჰანზას წინააღმდეგ შვედეთი გამოვიდა. შვედებმა დაიკავეს რეველი (ახლანდელი ტალინი) და ჰანზას ვაჭრებს აუკრძალეს მდ. ნარვას გავლით მოსკოვის სახელმწიფოსთან ვაჭრობა. ამგვარად, ჰანზა შეავიწროვეს; ამ გაერთიანებას თანდათან ჩამოსცილდნენ ქალაქები და XVII საუკუნის შუა ხანებში მან არსებობა შეწყვიტა.

ქალაქების დაცემის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდნენ მთავრე-ბი, რომლებიც თავიანთ საგამგებლო ტერიტორიებზე საბაჟო პუნ-ქტებს ქმნიდნენ და, ამგვარად, ხელს უშლიდნენ ვაჭრობისა და, საერთოდ, ეკონომიკის განვითარებას. ამას თან ერთვოდა რელიგიური შეუწყნარებლობა — ვაჭრები, რომლებიც არ იზიარებდნენ ტერიტო-რიების მფლობელი მთავრების რელიგიურ მრწამსს, იდევნებოდნენ სამთავროებიდან. სასაქონლოს ნაცვლად ნატურალური მეურნეობა მკვიდრდებოდა, რაც მძიმე ვირთად აწვებოდა გლეხობას; მემამულეე-ბისათვის კი ხელსაყრელი პირობები შეიქმნა: მათ თავიანთი პროდუ-ქტი, ძირითადად ხორბალი, ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვაში (გერმანიის ზღვაში) ჩამდინარე მდინარეებით გაჰქონდათ საზღვარგ-არეთ და ხელსაყრელ ფასებში ჰყიდდნენ. ფულად-სასაქონლო ურთ-იერთობის არარსებობის პირობებში, მემამულეებს არ შეეძლოთ და-ქირავებული შრომის გამოყენება. ამიტომ ისინი სხვა საშუალებებით ცდილობდნენ თავიანთი მიწების დამუშავება: ადიდებდნენ ბეგარას, აიძულებდნენ გაღატაკებულ გლეხებს მუქთად ემუშავათ, ზოგიერთ მიწებზე ბეგარა კვირა დღეებზეც ვრცელდებოდა და ა.შ. ამის გამო, საქსონიის კურფიურსტი მემამულეებს შეახსენებდა: „სადღესასწაუ-ლო დღეებში საქონელსაც კი ასვენებენო". მთავრების ძალაუფლების სისუსტის გამო, მეკლენბურგში, პომერანიაში, ლიფლანდიაში მემამ-ულეები გლეხებს, როგორც მონებს ისე ექცეოდნენ, ჰყიდდნენ მათ უმიწოდ და ა.შ.

გერმანული სახელმწიფოები ვესტფალენის ზავის შემდეგ. 1648 წლის 24 ოქტომბერს ქალაქებში მიუნსტერსა და ოსნაბრიუკში (ვესტფალენში) დაიდო ზავი ერთის მხრივ გერმანელი ერის წმ. რომის საღვთო იმპერიის იმპერატორსა და მის ქვეშევრდომ მთავრებ-სა და მეორეს მხრივ საფრანგეთსა და შვედეთს შორის. ამ ზავით დასრულდა ოცდაათწლიანი ომი. ზავის პირობების დაცვა იკისრეს საფრანგეთმა და შვედეთმა, რომლებმაც განიმტკიცეს ომის შედეგად იმპერიისაგან მიტაცებული ტერიტორიები: საფრანგეთმა მეცის, ტუ-ლონისა და ვერდენის საეპისკოპოსოები, აგრეთვე ტერიტორიები ელზასსა და ზემო რაინზე, შვედეთის მეფე გახდა იმპერიის მთავარი, მან მიიღო დასავლეთ პომერანია, ბრემენის საარქიეპისკოპოსო და

ა.შ. ანუ შვედეთი აკონტროლებდა მდინარეების ელბის, ოდერისა და ვეზერის შესართავებს.

გერმანელი ერის წმ. რომის საღვთო იმპერიამ ვესტფალენის ზავით გაიხანგრძლივა არსებობა. მაგრამ მის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილებები მაინც მოხდა: შვეიცარია და ნიდერლანდები გამოვიდნენ იმპერიის შემადგენლობიდან და სუვერენული სახელმწიფოები გახდნენ. იმპერიაში კვლავ შედიოდა არაგერმანელებით დასახლებული ტერიტორიები: ესპანეთის ნიდერლანდები, ფრანშ-კონტე, შლეზვიგის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ დანიელები, ჩეხეთში (ბოჰემიაში) და მორავიაში მოსახლეობის მეტ ნაწილს შეადგენდნენ ჩეხები და მორაველები, სილეზიაში ცხოვრობდნენ პოლონელები და ჩეხები, კარინთიაში და კრაინაში ბევრი სლოვენი იყო და ა.შ.

ვესტფალენის ზავით მოწესრიგდა რელიგიურ-სამართლებრივი პრობლემები. კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის გავრცელების ძირითადი საზღვრები დადგინდა 1624 წლის (ყველაზე ნორმალური წლის) მიხედვით, კალვინიზმი აღიარებული იქნა მესამე კონფესიად. საიმპერიო დაწესებულებებში კათოლიკებსა და პროტესტანტებს ეძლეოდათ პარიტეტულ საფუძველზე წარმომადგენლობის ყოლის უფლება. რაიხსტაგში რელიგიურ საკითხებს კათოლიკები და პროტესტანტები ცალ-ცალკე განიხილავდნენ და გადაწყვეტილებებს მხოლოდ მათი შეთანხმების შემდეგ მიიღებდნენ.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ის გადაწყვეტილებები, რომლებიც იმპერიის მთავრებს სუვერენულ უფლებებს ანიჭებდა. მათ ეძლეოდათ მუდმივი ჯარის ყოლის, ურთიერთშორის და სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების დადების უფლება. ამგვარად, ტერიტორიული სახელმწიფოები, როგორც მათ უწოდებდნენ, საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტები ხდებოდნენ, თუმცა ნამდვილი დამოუკიდებლობით მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, შედარებით დიდი ტერიტორიების მფლობელები, სარგებლობდნენ. ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს მეფე (საფრანგეთის, შვედეთის, მოგვიანებით კი ინგლისის, რომლის მეფე ჯეიმზ I ჰანოვერის კურფიურსტიც იყო), იმპერიის მიწებს ფლობდა, სამაგიეროდ ბრანდენბურგის კურფიურსტი, ჰოჰენცოლერნთა საგვარეულოს წარმომადგენელი, პრუსიის მიწებს

ისაკუთრებდა, პრუსია კი იმპერიის შემადგენლობაში არ შედიოდა, ჰამსბურგთა დინასტიის წარმომადგენელი, ბოჰემიის მეფე, ამავე დროს უნგრეთის მეფეც იყო; არც უნგრეთი შედიოდა იმპერიაში.

ამგვარად, გერმანელი ერის წმ. რომის საღვთო იმპერია წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებას, რომელსაც სათავეში ედგა კაიზერი (იმპერატორი) — სახელმწიფოსა და მთავართა ერთიანობის სიმბოლო. იმპერატორს ირჩევდა სასულიერო და საერო კურფიურტებისაგან შედგენილი კოლეგია, რომელსაც ხელმძღვანელობდა მაინცის არქიეპისკოპოსი. იშვიათი გამონაკლისის გარდა, იმპერატორი ავსტრიელი ჰაბსბურგების დინასტიიდან იყო. არჩევნები ხშირად არასამართლიანად ტარდებოდა. მაგალითად, კარლ V (1520-1555) გერმანიის მდიდარი კურფიურსტებისა და განსაკუთრებით კი აუგსბურგელი ვაჭრისა და ბანკირის იაკობ ფუგერის ფინანსური დახმარებით იმპერატორი გახდა. სამაგიეროდ ფუგერმა მიიღო ჰაბსბურგების კუთვნილი მდიდარი საბადოები ალპებში და საქმიანობის სრული თავისუფლება, რაც მან კარგად გამოიყენა უკანონო გამდიდრებისათვის. როდესაც მისი თავგასულობით შეწუხებულმა ხალხმა პროტესტი გამოთქვა, გადაწყვიტეს რაიხსტაგში მიეღოთ კანონები,. რომლებიც მსხვილი ვაჭრების შეუზღუდავ პარპაშს ბოლოს მოუღებდა. მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ძნელი იყო. იაკობ ფუგერმა კარლ V-ს მუქარით განუცხადა: „ცნობილია, რომ თქვენი აღმატებულება ჩემი დახმარების გარეშე ვერ მოიპოვებდა გვირგვინს, რაც მე შემიძლია დავადასტურო თქვენი რწმუნებულის ხელმოწერებით". ამ განცხადების შემდეგ ფუგერებისათვის ხელი არავის უხლია.

1663 წლიდან მთავრების წარმომადგენლებით შედგენილი რაიხსტაგი ქ. **რეგენსბურგში** იკრიბებოდა. რაიხსტაგის გადაწყვეტილება იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა და მხოლოდ ამის შემდეგ იქცეოდა იგი კანონად. **იმპერიის ცენტრალური დაწესებულებები იყო: იმპერიის სასახლის კანცელარია, რომელსაც სათავეში ედგა იმპერიის ერთადერთი მინისტრი — იმპერიის ვიცე-კანცლერი, იმპერიის სასახლის საბჭო, იმპერიის სასამართლო პალატა.**

გერმანელი ერის წმ. რომის საღვთო იმპერია შედგებოდა 300-

ზე მეტი საერო და სასულიერო სამთავროს, 51 საიმპერიო ქალაქისა და 1475 სარაინდო სამფლობელოსაგან.

ეკონომიკური მდგომარეობა. ოცდაათწლიან ომში გერმანული სახელმწიფოები ეკონომიკურად დიდად დაზარალდნენ. ამას გარდა, ტერიტორიული დაქუცმაცებულობა ხელს უშლიდა ახალი საწარმოო ურთიერთობების განვითარებას. მართალია, ომით ძლიერ დანგრეულ რეგიონებთან პომერანიასთან, თიურინგიასთან, პფალცთან და ნიურნბერგთან ერთად იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ომის საშინელებები ნაკლებად შეეხო (შლეზვიგ-ჰოლშტაინი, ზალცბურგი, ჰამბურგი), მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლიდა — დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით, გერმანულ სახელმწიფოებში ეკონომიკის ზრდის ტემპი დაბალი იყო. ომის მძიმე შედეგები განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, გაჩანაგებულ სოფლებში იგრძნობოდა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობდა.

გერმანულ სახელმწიფოებში აგრარული ურთიერთობები დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მდ. ელბის აღმოსავლეთით (ბრანდენბურგში, მეკლენბურგში, პრუსიაში) XVII-XVIII საუკუნეებში ვითარდებოდა მსხვილი მემამულური მეურნეობები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას ხორბალს, სელს, საქონელს ძირითადად საზღვარგარეთის ქვეყნებში ინგლისში, ჰოლანდიაში და შვედეთში აგზავნიდნენ. უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხები მიწის მფლობელებზე იყვნენ დამოკიდებული და იძულებული იყვნენ შეესრულებინათ ბეგარა. ასე ხდებოდა გლეხების ხელახალი დაკაბალება. იმპერიის სამხრეთ-დასავლეთში კი, (ბადენში, ვიურტემბერგში) საფრანგეთში არსებული სენიორული რეჟიმის მსგავსად, გლეხები თავიანთი მიწებისთვის იხდიდნენ ფეოდალურ რენტას. აქ მსხვილი ფეოდალური მეურნეობები არ იყო.

ოცდაათწლიანი ომისა და იმპერიის ტერიტორიებზე მიმდინარე სხვა ომების შედეგები, რასაც მოჰყვა გადასახადების გაზრდა და, საერთოდ, ექსპლუატაციის გაძლიერება, მოსახლეობის აქტიურ პროტესტს იწვევდა, უბიძგებდა მათ მასობრივი გამოსვლებისაკენ.

გლეხების გამოსვლები. განსაკუთრებით ხშირი იყო გლეხების საპროტესტო გამოსვლები. ისინი მრავალი წლის მანძილზე გრ-

ჭელდებოდნენ. 1684 წ. ობერგრაცსა და დიოლაის გლეხებმა, მას შემდეგ რაც არ დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნები გადასახადების შემცირების შესახებ, გადაწყვიტეს არ შეესრულებინათ ბეგარა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი მათი ძალით დამორჩილება. 1650 წ. გლეხთა მღელვარებები დაიწყო შიონბურგის საგრაფოში, რომელიც 30 წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა; წადირობის უფლების მოპოვებისა და გლეხთა ვალდებულებების გაუქმების მოთხოვნებით, 1699-დან 1735 წლამდე, ჰოენცოლერნ-ჰეხინგენში მიმდინარეობდა შეიარაღებული გამოსვლები.

საპროტესტო გამოსვლები სხვადასხვა ფორმებს იძენდა. მემამულეების თვითნებობის აღკვეთის მიზნით, გლეხები მოითხოვდნენ ვალდებულებების ფიქსაციას, უარს ამბობდნენ ბეგარის შესრულებასა და გადასახადების გადახდაზე, ტოვებდნენ საცხოვრებელ ადგილს, კლავდნენ და წვავდნენ მემამულეების სახლებსა და სასახლეებს.

1761-დან 1771 წლამდე სამხრეთ გერმანიის სხვადასხვა რაიონში, მატიას კლოსტერმაიერის ხელმძღვანელობით მოქმედებდა დიდი რაზმი, რომლებსაც აქტიურად უჭერდნენ მხარს გლეხები. ასეთივე რაზმები იბრძოდნენ თიურინგიაში, ფრანკონიაში და სხვა რაიონებში.

1705-1706 წწ. გლეხთა გამოსვლებმა ბავარიაში ვრცელი ტერიტორია მოიცვა. აჯანყებულები მისი დედექალაქის მიუნხენის დაპყრობასაც კი შეეცადნენ. ამ აჯანყების შესახებ თქმულებები თანამედროვე ბავარიულ ფოლკლორშიც არის შემონახული. გლეხთა არაერთ აჯანყებას ჰქონდა ადგილი პრუსიასა და სხვა გერმანულ სახელმწიფოებში.

ზოგიერთ ადგილებში გლეხების გამოსვლებს ამწვავებდა ეროვნული ჩაგვრა. სილეზიაში პოლონელი გლეხები ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

აქტიური ფორმების გარდა, გლეხები პროტესტს სხვა სახითაც გამოხატავდნენ: ერთიანდებოდნენ სხვადასხვა რელიგიურ სექტებში, მიდიოდნენ ემიგრაციაში და სხვ. XVIII ს. მეორე ნახევრიდან გერმანელი გლეხები დიდი რაოდენობით მიდიოდნენ ატლანტის ოკეანეს იქეთ ამერიკულ კოლონიებში და რუსეთში.

გერმანული ქალაქები. ოცდაათწლიანი ომის შემდეგ საიმპერიო ქალაქების რაოდენობა შემცირდა, მათი ორი მესამედი სამთავრო ქალაქებად იქცნენ, ტერიტორიული სახელმწიფოებისა და მათი მთავრების როლის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა სარეზიდენციო ქალაქების რიცხვი (ლათ. residens _ ადგილსამყოფელი), ე.ი. იმ ქალაქებისა, სადაც მთავრების (კურფიურსტების) ადგილსამყოფელი იყო.

მაგალითად, ვენის მოსახლეობა 1620 წ. 30 ათასს შეადგენდა, 1750 წლისათვის კი 175 ათასამდე გაიზარდა, ბერლინის მოსახლეობა 1661 წ. 6,5 ათას მცხოვრებს ითვლიდა, 1777 წ. – 140 ათასს. ქალაქი-რეზიდენციები იყვნენ, აგრეთვე, დრეზდენი, მიუნხენი, შტუტგარტი, ჰანოვერი და სხვ. ქალაქ-რეზიდენციებში მოსახლეობის უმეტესობა დასაქმებული იყო სასახლის კარზე და სახელმწიფო მმართველობაში.

ოცდაათწლიანი ომის შემდეგ ქალაქებში ხელოსნობა კრიზისს განიცდიდა. ამის მიზეზი ომთან დაკავშირებულ ნგრევასთან, ძარცვასა და მკვლელობებთან ერთად იყო ის, რომ გერმანულ სახელმწიფოებში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ უცხო სახელმწიფოთა სამრეწველო ნაწარმი და გაჰქონდათ ნედლეული. მხოლოდ XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისიდან იწყება მრეწველობის ზრდა, ძირითადად ქალაქ-რეზიდენციებში. სოფლად, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც გლეხები უმიწობის გამო სამიწათმოქმედო შრომით თავს ვერ ირჩენდნენ, გამოცოცხლდა კუსტარული მრეწველობა. ისინი ამზადებდნენ სხვადასხვა სახის ქსლვილს, ნართს, მაქმანებს, ამუშავებდნენ მეტალს. მათ ნაწარმს ყიდულობდნენ ცალკეული ვაჭრები და კომპანიები. გაჩნდა გაფანტული მანუფაქტურები; ცენტრალიზებული მანუფაქტურები იქმნებოდა საქსოვ და ლითონდამამუშავებელ წარმოებებში. ხშირად მსხვილ მანუფაქტურებს მთავრები აარსებდნენ. არმიის საჭიროებებზე მომუშავე, აგრეთვე ფუფუნების საგნების დამამზადებელი სახელმწიფო მანუფაქტურების (მაგ. 1710 წ. საქსონიაში მაისენში დაარსებული ფაიფურის მანუფაქტურა) მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო. მსხვილი მანუფაქტურების დაარსება დაკავშირებული იყო მერკანტილისტურ პოლიტიკასთან, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ იმდროინდელ დასავლეთ ევროპაში.

მანუფაქტურებმა დიდად შეავიწროვეს ამქრული ხელოსნობა, განვითარებულ სახელმწიფოებში (მაგალითად, პრუსიაში, საქსონიაში, ვიურტემბერგში) მათი როლი დიდად გაიზარდა. XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საფეიქრო და ლითონდამამუშავებელი მრეწველობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ბერლინი, სადაც 1782 წ. საფეიქრო წარმოებაში 65 მანუფაქტურა იყო. ამავე დროს ინერგება პირველი მანქანები. 1785 წელს საქსონიაში ამოქმედდა პირველი ორთქლის მანქანა. 1784 წელს, დიუსელდორფის მახლობლად ფუნქციონირება დაიწყო პირველმა სართავმა ფაბრიკამ, 1795 წელს ასეთივე ფაბრიკა გაიხსნა ბერლინში. ამგვარად, გერმანულ სახელმწიფოებში გაჩნდა სამრეწველო რევოლუციის პირველი სიმპტომები. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ბურჟუაზიის როლი, თუმცა ისინი ჯერ კიდევ სახელმწიფო ხელისუფლებაზე იყვნენ დამოკიდებული. ყველა ეს პროცესები გავლენას ახდენდა ქალაქებში მცხოვრებ დაბალ ფენებზე და მათ პროტესტს იწვევდა.

საპროტესტო გამოსვლებს ქალაქებში არავითარი კავშირი არ ჰქონდა სოფლებში მიმდინარე საპროტესტო მოძრაობებთან. ქალაქებში ამქრის წევრები, წვრილი ბიურგერების ხელმძღვანელობით გამოდიოდნენ ქალაქების პატრიციანული ოლიგარქიული მმართველობის წინააღმდეგ. ასეთ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა კელნში, მაინის ფრანკფურტში, ულმში, ერფურტში, მიულჰაუზენში და სხვ.

თანდათანობით ძლიერდება დაპირისპირება ოსტატებსა და ქარგლებს შორის, რომელიც ხშირად მათ შორის შეტაკებებში გადაიზრდებოდა. მწვავდება ურთიერთობები მუშებსა და მანუფაქტურების მფლობელებს შორის.

ამგვარად, გერმანული სახელმწიფოები, XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნეში, ადგილი ჰქონდა ფეოდალური ურთიერთობების წინააღმდეგ მიმართულ სახალხო გამოსვლებს, რომლებიც არყევდნენ ფეოდალურ წყობას და გზას უხსნიდნენ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ბრანდენბურგი-პრუსია. აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფო პრუსია იყო. იგი შეიქმნა XVII საუკუნეში ბრანდენბურგისა და საკუთრივ პრუსიის შეერთების შედეგად. პრუსი-

ის მიწები ადრე ტევტონთა ორდენს ეკუთვნოდა, რომელიც პროტესტანტიზმის (ლუთერანობის) გავრცელების შემდეგ საერო საჰერცოგო გახდა და პოლონეთს ემორჩილება. ოცდაათწლიანი ომიდან, XVIII საუკუნის ბოლომდე, თითქმის ასორმოცდაათი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ბრანდენბურგ-პრუსიის სახელმწიფოს როლი. ვესტფალენის ზავით ბრანდენბურგის კურფიურსტმა ფრიდრიხ ვილჰელმმა მიიღო მთელი რიგი ტერიტორიები, კერძოდ, ქვედა (აღმოსავლეთი) პომერანია. ყველა მდინარე, რომლებიც ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვებს უერთდებოდა, ბრანდენბურგის ტერიტორიაზე მიედინებოდა, რაც ხელს უწყობდა ეკონომიკის ზრდას, იძლეოდა იმის საშუალებას, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია საზღვარგარეთ გაეტანათ.

ფრიდრიხ ვილჰელმის — „დიდი კურფიურსტრის" მმართველობის დროს (1640-1688) პრუსია ევროპული მასშტაბის დიდ სახელმწიფოდ იქცა. მან აბსოლუტისტური რეჟიმი დაამყარა, მნიშვნელოვნად შეზღუდა წოდებებისა და წოდებრივი წარმომადგენლობის უფლებები, მოახდინა მმართველობის მკაცრი ცენტრალიზაცია, შექმნა მუდმივი ჯარი, საგარეო პოლიტიკაშიც დიდ წარმატებებს მიაღწია. საგარეო პოლიტიკის მიღწევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ 1660 წ. ოლივეში დადებული ზავით გაათავისუფლა პრუსია (აღმოსავლეთ პრუსია) პოლონეთზე ლენური დამოკიდებულებისაგან და მოიპოვა საჰერცოგოში პრუსიის სრული სუვერენიტეტი. მისი მმართველობის დროს გაჰყავდათ გზები და აშენებდნენ არხებს, აარსებდნენ მანუფაქტურებს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1685 წ. კურფიურსტის მიერ მიღებულ პოტსდამის ედიქტს, რომლის მიხედვით 20 ათასი ფრანგი პროტესტანტი — ჰუგენოტი დაასახლეს ბრანდენბურგში, ძირითადად ბერლინში, რამაც ხელი შეუწყო ბრანდენბურგში მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. ვაჭრობის განვითარების მიზნით დააარსეს კოლონია აფრიკაში, გვინეის სანაპიროზე, შექმნეს ბრანდენბურგ-აფრიკის სავაჭრო კომპანია და ააშენეს სავაჭრო ფლოტი.

ფრიდრიხ ვილჰელმის შვილმა კურფიურსტმა **ფრიდრიხმა** წმ. რომის საღვთო იმპერიის იმპერატორისაგან პრუსიის საჰერცოგოში

მეფის ძალაუფლება მოიპოვა, პრუსია კი იმპერიაში არ შედიოდა და, ამგვარად, იგი იმპერატორის ვასალი არ იყო. **1701 წელს კენიგსბერგში იგი ეკურთხა მეფედ და იწოდებოდა ფრიდრიხ I, პრუსიის მეფე (1701-1713).**

ფრიდრიხ I შვილი ფრიდრიხ ვილჰელმ I (1713-1740) ატარებდა მერკანტილისტურ პოლიტიკას, ყოველნაირად ხელს უშლიდა საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანას, რათა სახელმწიფოდან ფული არ გადინებულიყო. ამავდროულად იგი დიდ ყურადღებას უთმობდა სამხედრო საქმეს, რისთვისაც მას „მეფე-ჯარისკაცი" შეარქვეს. მან გაყიდა კოლონია აფრიკაში. 1717 წლს შემოიღეს საყოველთაო სავალდებულო სასკოლო სწავლება, ხოლო 1715 წელს აკრძალეს პროცესები ჯადოქრების წინააღმდეგ.

სახელმწიფო ხაზინის სახსრების დიდი წილი სამხედრო საქმეს ხმარდებოდა. ფრიდრიხ ვილჰელმ I-ის დროს მეფის აბსოლუტურმა ხელისუფლებამ ზენიტს მიაღწია. პრუსიელი ოფიცრისა და პრუსიელი სახელმწიფო მოხელის ტრადიციულ თვისებად იქცა მეფისადმი უსაზღვრო ერთგულება და მოვალეობის უსიტყვო შესრულების აუცილებლობა.

ფრიდრიხ ვილჰელმ I შვილის ფრიდრიხ II (1740-1786) დროსაც პრუსიულმა სამხედრო სისტემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეინარჩუნა. მამისაგან განსხვავებით, იმპერიაში და გერმანულ სახელმწიფოებში პირველობის მოპოვებისათვის მას მრავალი ომის გადახდა მოუწია, ძირითადად ავსტრიასთან.

ფრიდრიხ II დიდად განათლებული ადამიანი იყო; განმანათლებელთა იდეოლოგიის გავლენით, იგი ცდილობდა რეფორმების გატარებას და ქვეყნის ფეოდალური კრიზისიდან გამოყვანას. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა ვოლტერთან, რომელიც თავის სასახლეში საცხოვრებლადაც კი მიიწვია. ფრიდრიხ II მმართველობისა და სამართალწარმოების დარგებში რეფორმებს ატარებდა, აგრძელებდა მერკანტილისტურ პოლიტიკას; მის დროს დაარსდა მანუფაქტურები, გაიხსნა ბანკები, გაჰყავდათ არხები, დიდი საამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა ბერლინსა და პოტსდამში, გაუმჯობესდა განათლება, ფართოდ ინერგებოდა რჯულთშემწყნარებლობა. მეფე დიდ ყურა-

დღებას უთმობდა არმიას, რომელიც 150 ათას კაცს ითვლიდა და რომლის შენახვა მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას.

გერმანული სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობებში. ვესტფალენის ზავიდან თითქმის ასორმოცდაათი წლის განმავლობაში გერმანული სახელმწიფოების ტერიტორიები წარმოადგენდნენ დაპირისპირებული ქვეყნების საომარ ასპარეზს; განსაკუთრებული აგრესიულობით ლუი XIV დროინდელი საფრანგეთი გამოირჩეოდა, რომელმაც არაერთი გერმანული სახელმწიფოს ტერიტორია მიიტაცა.

ევროპულ პოლიტიკაში რუსეთის აქტიური ჩაბმა გარკვეულად აისახა გერმანული სახელმწიფოების საერთაშორისო მდგომარეობაზე. XVI ს. მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით პეტრე I მეფობის დროს, იზრდება გერმანულ სახელმწიფოთა პოლიტიკური კავშირები რუსეთთან. 1699 წ. რუსეთი დაუკავშირდა საქსონიის კურფიურსტსა და პოლონეთის მეფე ავგუსტ II შვედეთის წინააღმდეგ. ჩრდილოეთის ომის დროს (1700-1721) რუსეთის ჯარები გერმანიაშიც აწარმოებდნენ საომარ ოპერაციებს, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ პრუსია და ჰანოვერი, რისთვისაც ომის დამთავრების შემდეგ, მათ გარკვეული ტერიტორიები მიიღეს.

პეტრე I პოლიტიკურთან ერთად, ნათესაურ კავშირებს ამყარებდა გერმანულ სახელმწიფოებთან. ამ დროიდან მოყოლებული, რუსეთის სამეფო ოჯახის წევრების (მათ შორის, ყველა მეფის, ალექსანდრე III გარდა) დინასტიური ქორწინებები გერმანულ დინასტიებთან ხშირი იყო. 1714 წ. ჰანოვერის კურფიურსტრი ინგლისის მეფე ჯორჯ I გახდა, რომელმაც 1719 წ. შესძლო ინგლისის, ჰანოვერის, ავსტრიისა და საქსონია-პოლონეთის შემადგენლობით შეექმნა კოალიცია რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ. მართალია, ამ კოალიციამ აიძულა პეტრე I ზოგიერთ დათმობებზე წასულიყო (პრუსიის ტერიტორიის დანაწილების საკითხებში), მაგრამ სამაგიეროდ განამტკიცა რუსეთ-პრუსიის ურთიერთობები.

XVIII საუკუნის განმავლობაში პეტრე I მემკვიდრეები აქტიურად ერეოდნენ გერმანული სახელმწიფოების ტერიტორიებზე მიმდინარე საომარ ოპერაციებში. ასე იყო შვიდწლიანი ომის (1756-1763) დროსაც, როდესაც 1760 წ. რუსეთისა და ავსტრიის ჯარები ბერლინში

შევიდნენ (მეორედ რუსეთის ჯარებმა ბერლინი 1945 წელს დაიკავეს). პეტრე I ქალიშვილის, რუსეთის იმპერატორის, ელისაბედის გარდაცვალებამ იხსნა ფრიდრიხ II სრული განადგურებისაგან.

XVIII საუკუნეში, პოლიტიკურთან ერთად, გერმანულ სახელმწიფოებთან იზრდებოდა რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები, ფართოვდებოდა ურთიერთობები კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროებში. დიდი რაოდენობით გერმანელი სახლდებოდა რუსეთში; 1764-1767 წლებში სარატოვის რაიონში 23-27 ათასი გერმანელი დასახლდა. მოგვიანებით, 1817-1818 წლებიდან რუსეთის მთავრობამ დაიწყო საქართველოში გერმანელების გადმოსახლება. აქ მათ შექმნეს სოფლები: მარიენფელდი (სართიჭალაში), ალექსანდერდორფი (დიდუბეში), პეტერსდორფი (სართიჭალასთან), ელიზავეტალი (ახლანდელი ასურეთი), ეკატერინენფელდი (ბოლნისთან) და სხვ. სულ 496 ოჯახი ჩამოასახლეს. გერმანელმა კოლონისტებმა თან მოიტანეს გარკვეული სამეურნეო გამოცდილება და აქტიური მონაწილეობა მიიღეს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაში.

გერმანელი ერი. XVIII საუკუნის ბოლოსათვის იმპერიის განვითარების მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ იწყება გერმანელი ერის ჩამოყალიბების პროცესი, თუმცა იგი, ტერიტორიულ სახელმწიფოებად დაქუცმაცებულობის გამო, მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული; მაგალითად, ბავარიელი, საქსონელი, ბადენელი და სხვ. პირველ რიგში თავიანთ თავს მიიჩნევდნენ არა გერმანელად, არამედ იმ სახელმწიფოს წარმომადგენლად, სადაც ცხოვრობდნენ; არსებობდა მრავალი დიალექტი, რომლებიც დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგალითად, ბავარიელი ძლივს იგებდა „მეკლენბურგულ გერმანულს“, ეს კი აძნელებდა საერთო გერმანული თვითშეგნების ჩამოყალიბებას.

გერმანელი ერის ჩამოყალიბების პროცესი თავდაპირველად კულტურის სფეროში დაიწყო. ჯერ კიდევ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერები იღწვიან ერთიანი გერმანული ენის შექმნისათვის. ამ მიზნით იქმნება სპეციალური საზოგადოებები და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ლიტერატურული ენა ფართოდ ვრცელდება. გერმანული ენა სამეცნიერო ენა-

დაც იქცა. 1687 წ. იურისტმა ქრისტიან ტომაზიუსმა უნივერსიტეტში ლექციები წაიკითხა არა ლათინურად, არამედ გერმანულად, მანვე 1694 წელს დააარსა ჰალეს უნივერსიტეტი. ასე დაიწყო გერმანული განმანათლებლობის იდეოლოგიის ჩამოყალიბება, რომელშიც შერწყმული იყო დასავლეთევროპული მოწინავე იდეები გერმანულ ტრადიციებთან. განმანათლებლებმა დიდი როლი შეასრულეს გერმანელი ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებაში. გერმანელი განმანათლებლების თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ უნივერსალური განათლების მქონე მეცნიერები გ. ლაიბნიცი და ქ. ვოლფი, დიდი ფილოსოფოსი იმანუილ კანტი.

განმანათლებლების იდეების გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ გერმანული უნივერსიტეტები, რომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა სხვა ქვეყნებისას (1770 წლისათვის არსებობდნენ 40 გერმანული, 23 ფრანგული, 2 ინგლისური, 1 რუსული უნივერსიტეტი). გერმანელმა განმანათლებლებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის კულტურის საგანძურში.

თავდაპირველად კულტურა ვითარდებოდა ტერიტორიული დაქუცმაცების პირობებში: ამ სფეროში ერთიანობა იგრძნობოდა უპირველესად განათლებულ ადამიანებში. თვით გერმანელი ისტორიკოსების განსაზღვრით, გერმანელი ერი ამ დროს იყო არა „სახელმწიფო ერი" (Staatnation), არამედ „კულტურული ერი (Kulturnation)~. გერმანელთა ერთობისა და ერთიანი გერმანიის შექმნის იდეამ ფართო გავრცელება ჰპოვა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მომწიფების ეპოქაში.

XVIII საუკუნის საფრანგეთის რევოლუცია და გერმანული სახელმწიფოები. საფრანგეთში მიმდინარე რევოლუციურმა მოვლენებმა გავლენა იქონია გერმანულ სახელმწიფოებში. მეცნიერებისა და კულტურის მოწინავე წარმომადგენლები, ცნობილი ფილოსოფოსები, მწერლები, კომპოზიტორები (კანტი და შილერი, ფიხტე და ვილანდი, შლეგელი და ბეთჰოვენი) აღფრთოვანებული იყვნენ საფრანგეთის რევოლუციის იდეებით. ბურჟუაზიის წრეებშიც ინტერესითა და თანაგრძნობით ადევნებდნენ თვალს საფრანგეთის ეროვნული კრების საქმიანობას. მაგრამ საფრანგეთში და გერმანულ სახელმწიფოებში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა სხვადასხვა იყო: გერ-

მანული ბურჟუაზია საფრანგეთთან შედარებით სუსტი იყო; ხალხთა მასების მენტალიტეტიც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ამასთანავე დაქუცმაცებულ გერმანულ სახელმწიფოებში არ იყო პარიზის მსგავსი ერთიანი ცენტრი, სადაც ძირითადი რევოლუციური მოვლენები მიმდინარეობდა.

განსხვავებული პირობების მიუხედავად, საფრანგეთში გლეხთა გამოსვლებმა გავლენა იქონიეს გერმანელ გლეხებზე: 1789 წლის ზაფხულში საფრანგეთის საზღვართან ახლომდებარე ზოგიერთ გერმანულ სახელმწიფოში, მათ მთელი რიგი გამოსვლები მოაწყვეს; ამავე წლის შემოდგომაზე რაინისპირა ქალაქებში მოხდა მღელვარებები და ა.შ. 1790 წლის აგვისტოში ჩაახშეს გლეხთა გამოსვლები საქსონიაში, 1793-1794 წწ. კი — გლეხებისა და ფეიქართა აჯანყებები სილეზიაში.

რევოლუციური მოვლენები საფრანგეთში, გერმანულ სახელმწიფოებში მათი გამოძახილი მძაფრ უარყოფით რეაქციას იწვევდა საერო და სასულიერო ფეოდალებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. საფრანგეთში ფეოდალური უფლებების გაუქმებამ დააზარალა ის გერმანელი მთავრები, რომლებსაც მიწები ჰქონდათ ელზას-ლორენსსა და ფრანშ-კონტეში. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ საფრანგეთის კონტრრევოლუციურმა ემიგრაციამ რაინისპირა ქ. კობლენცში ჰპოვა თავშესაფარი. სოციალურმა და პოლიტიკურმა საფრთხემ, რომლებიც საფრანგეთიდან ემუქრებოდათ, გააერთიანა ავსტრია და პრუსია. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში.

1792 წლის 20 სექტემბერს, ვალმისთან გამარჯვების შემდეგ, საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს რაინისპირა გერმანული სახელმწიფოების ტერიტორიები. ამ ფაქტმა სხვა ქვეყნებში რევოლუციური იდეების გავრცელების შესაძლებლობისა და „მსოფლიო რესპუბლიკის“ შექმნის იმედი წარმოშვა, „მსოფლიო რესპუბლიკის“ შექმნის თავდადებული პროპაგანდისტი იყო გერმანელი რევოლუციონერ-ემიგრანტი იოჰან კლოოცი.

რევოლუციის სხვა ქვეყნებში გავრცელების იდეა პრაქტიკულად განხორციელდა რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე ქ. მაინცში, რომელიც

გახდა რევოლუციური მოძრაობების ცენტრი. 1792 წ. 21 ოქტომბერს ამ ქალაქში, იაკობელთა კლუბის მსგავსად, ჩამოყალიბდა კლუბი „თანასწორობისა და თავისუფლების მეგობართა საზოგადოება". 1792 წ. 15 დეკემბერს ქ. მაინცში და საფრანგეთის ჯარების მიერ დაკავებულ სხვა ტერიტორიებზე, საფრანგეთის კონვენტმა გამოაცხადა ხალხის სუვერენიტეტი, გაუქმდა ფეოდალური ვალდებულებები და დაწესდა ხელისუფლების ორგანოების არჩევა. **პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც დემოკრატიულად არჩეულმა კონვენტმა შექმნა, მაინცის რესპუბლიკა იყო,** (მისი პრეზიდენტი იყო განმანათლებელი და რევოლუციონერი დემოკრატი გეორგ ფორსტერი), მაგრამ მას დიდხანს არ უარსებია. 1793 წლის 30 მარტს საფრანგეთის კონვენტმა შემოიერთა მაინცი, მაგრამ, როდესაც ფრანგებმა დატოვეს ეს ტერიტორია, კოალიციის შეიარაღებულმა ძალებმა აღადგინეს კურფიურსტი — არქიეპისკოპოსის ხელისუფლება. 1794 წ. შემოდგომაზე საფრანგეთის არმიამ კვლავ შესძლო ამ ოლქის საფრანგეთიდან შეერთება.

გერმანული სახელმწიფოები ნაპოლეონის ომების დროს.,ნაპოლეონის ომებმა დიდი გავლენა იქონიეს გერმანელი ხალხის ბედზე. გერმანიაში ნაპოლეონის ჰეგემონია დამყარდა, ხოლო მისი ტერიტორიების ნაწილი საფრანგეთის ბატონობის ქვეშ მოექცა. 1803 წლიდან დაიწყო სასულიერო სამთავროებისა და წვრილი სამფლობელოების ლიკვიდაციის პროცესი. მათი მიწები შედარებით მსხვილ სახელმწიფოებს მიუერთეს. 1806 წელს შეიქმნა რაინის კავშირი, რომლის პროტექტორი ნაპოლეონი იყო. 1812 წ. კავშირში გაერთიანებული იყო ყველა გერმანული სახელმწიფო ავსტრიის, პრუსიისა და იმ მიწების გამოკლებით, რომლებიც საფრანგეთის შემადგენლობაში შედიოდნენ. **რაინის კავშირის შექმნის შემდეგ, გერმანელი ერის წმ. რომის საღვთო იმპერია ფაქტიურად არ არსებობდა და 1806 წ. აგვისტოში იგი ოფიციალურადაც გააუქმეს.**

რაინის კავშირში შემავალი სახელმწიფოები საფრანგეთთან სამხედრო ხელშეკრულებებით იყვნენ დაკავშირებული და ამიტომ ნაპოლეონი მათ ჯარებს ხშირად იყენებდა. რაინის კავშირის სახელმწიფოებში, საფრანგეთის მსგავსად, გატარდა ანტიფეოდალური გარდაქმნები, კერძოდ, გაუქმდა გლეხთა ფეოდალური ვალდებულებები; ზოგი-

ერთ მათგანში შემოიღეს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, განხორციელდა ებრაელთა ემანსიპაცია და ა.შ. მაგრამ გერმანულ სახელმწიფოებში მოდერნიზაცია ტარდებოდა იმ ფარგლებში, რომელიც ნაპოლეონის რეჟიმისათვის იყო სასურველი. საფრანგეთის ბატონობა ვლინდებოდა მასობრივ რეკვიზიციებში, იძულებით სესხებში, გადასახადების გადიდებაში, სარეკრუტო გაწვევებში. ყოველივე ეს, აგრეთვე კონტინენტალური ბლოკადა, რომელმაც მკვეთრად გააუარესა გერმანელი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა, იწვევდა უკმაყოფილებას და წინააღმდეგობას.

რაინის კავშირის შექმნასა და საფრანგეთის ჰეგემონობის განმტკიცებას 1806 წ. წინ აღუდგა პრუსია, მაგრამ იმავე წელს იენასა და აუერშტედტის ბრძოლებში ნაპოლეონმა დაამარცხა მისი ჯარები. საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ბერლინი და შემდეგ განახორციელეს პრუსიის ოკუპაცია. 1807 წლის ტილზიტის ზავით პრუსიამ დაკარგა მდ. ელბის აღმოსავლეთით მდებარე მიწები, რომლებიც ხელახლა აღდგენილ ვესტფალენის სამეფოს მიუერთეს, პოლონეთის დანაწილების შედეგად დაკავებული მიწები — ნაპოლეონის მიერ შექმნილ ვარშავის დიდ საჰერცოგოს. ამ ზავით პრუსიას უნდა გადაეხადა დიდი კონტრიბუცია და შეერთებოდა კონტინენტურ ბლოკადას.

საფრანგეთის ჰეგემონობისაგან თავის დაღწევისა და დამამცირებელი მდგომარეობიდან გამოსვლისათვის საჭირო იყო რეფორმების ჩატარება. 1807 წლიდან მინისტრის ფონ შტაინის ხელმძღვანელობით დაიწყეს რეფორმები, რომლებიც შემდეგ ფონ ჰარდენბერგმა გააგრძელა. გლეხებს მისცეს პირადი დამოუკიდებლობა და ვალდებულებების გამოსყიდვის უფლება, გააუქმეს ამქრული სისტემა. შექმნეს სამინისტროები დარგების მიხედვით. შემოიღეს საქალაქო თვითმმართველობა და სხვ. ჩატარდა სამხედრო რეფორმა, რომლის შედეგად მოისპო ოფიცრის თანამდებობებზე დანიშვნის თავადაზნაურთა პრივილეგიები, აიკრძალა ჯარისკაცების ფიზიკური დასჯა, შექმნეს სახალხო ლაშქარი — ლანდვერი.

1812 წ. სამამულო ომის დროს ბევრმა გერმანელმა პატრიოტმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ნაპოლეონის ბატონობის უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, თავშესაფარი რუსეთში

ჰპოვა, მათ შორის იყო **პრუსიის მინისტრი ფონ შტაინი.** 1812 წლის ივლისში მან გერმანელებისათვის შეადგინა ანტიფრანგული მოწოდება, რომელსაც შტაინთან ერთად ხელს აწერდა რუსეთის ჯარების მთავარსარდალი ბარკლაი დე ტოლი. ამ მოწოდების 10 ათასი ეგზემპლარი გაავრცელეს ბავარიის, ვესტფალენის, პრუსიისა და სხვა სახელმწიფოების ჯარის ნაწილებში. შტაინის ინიციატივით შეიქმნა, აგრეთვე გერმანულ-რუსული ლეგიონი, რომლის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში დიდ როლს თამაშობდა შემდეგში სამხედრო საქმის ცნობილი თეორეტიკოსი, პრუსიელი ოფიცერი კარლ-ფონ კლაუზევიცი. ალექსანდრე I ბრძანებით, შტაინი, დროებით, საქსონიის მმართველად დაინიშნა.

1813-1814 წწ. ნაპოლეონის უღლისაგან განმათავისუფლებელ ბრძოლებში რუსულ-გერმანული პოლიტიკური კავშირები მნიშვნელოვნად განმტკიცდა, გერმანიაში გაიზარდა ალექსანდრე I ავტორიტეტი.

ქრონოლოგია

1599-1658 — ოლივერ კრომველი.

1600 — დაარსდა ინგლისის ოსტინდოეთის კომპანია.

1602 — დაარსდა ჰოლანდიის ოსტინდოეთის კომპანია.

1603 — სტიუარტთა დინასტიის მმართველობის დასაწყისი.

1607 — ჩრდ. ამერიკაში დაარსდა პირველი ინგლისური კოლონია ჯეიმზთაუნი (ვირჯინია).

1618-1648 — ოცდაათწლიანი ომი. ვესტფალენის ზავი.

1625-1649 — ჩარლზ I მეფობა.

1626 — ჩრდ. ამერიკაში დაარსდა ჰოლანდიის კოლონია — ახალი ამსტერდამი (შემდეგში — ნიუ-იორკი).

1628 — ინგლისის პარლამენტმა მეფეს წარუდგინა „პეტიცია უფლებათა შესახებ“.

1629 წ. 3 მარტი — 1640 წ. 3 აპრილი — ჩარლზ I უპარლამენტო მმართველობა.

1640, 13 აპრილი — 5 მაისი — ხანმოკლე პარლამენტი ინგლისში.

1640, 3 ნოემბერი — ხანგრძლივი პარლამენტის მოწვევა ინგლისში (მოქმედებდა 1653 წ. 20 აპრილამდე). ინგლისის რევოლუციის დასაწყისი.

1641, ივლისი — ვარსკვლავიანი პალატისა და უმაღლესი კომისიის სასამართლოების გაუქმება.

1641, 22 ნოემბერი — ხანგრძლივი პარლამენტის მიერ „დიდი რემონსტრაციის“ მიღება.

1642-1646 — პირველი სამოქალაქო ომი ინგლისში.

1645, 11 იანვარი — ო. კრომველმა ხელი მოაწერა აქტს „ახალი ნიმუშის“ არმიის შექმნის შესახებ.

1645, 14 ივნისი — კრომველის არმიის გამარჯვება სოფ. ნეიზბისთან ბრძოლაში.

1647-1649 — ლეველერების მოძრაობა.

1648, თებერვალი-აგვისტო — მეორე სამოქალაქო ომი ინგლისში.

1648, 6 დეკემბერი — ხანგრძლივი პარლამენტის „პრაიდის წმენდა“.

1648 — 1653 — ფრონდა.

1649, 30 იანვარი — ჩარლზ I თავი მოკვეთეს.

1649, 19 მაისი — ინგლისი გამოცხადდა რესპუბლიკად.

1649-1650 — ინგლისის მიერ ირლანდიის დაპყრობა.

1649-1651 — დიგერების ანუ „ჭუშმარიტი ლეველერების“ გამოსვლები.

1649-1653 — ინდეპენდენტური რესპუბლიკა ინგლისში.

1650-1652 — ინგლის-შოტლანდიის ომი. შოტლანდიის შეერთება ინგლისთან.

1651 — ინგლისის პარლამენტმა მიიღო „სანავიგაციო აქტი“ (გააუქმეს 1849 წ.).

1652-1674 — ინგლის-ჰოლანდიის ომები (1652-1654; 1665-1667; 1672-1674).

1653, დეკემბერი — 1658, სექტემბერი — კრომველის პროტექტორატი.

1659, 4 აპრილი — ბრედას დეკლარაცია.

1660-1688 — სტიუარტების რესტავრაციის წლები.

1672-1678 — ინგლისის, საფრანგეთისა და შვეციის ომი ჰოლანდიის ხელმძღვანელობით შექმნილი კოალიციის წინააღმდეგ. ნიმეგენის სამშვიდობო ხელშეკრულებები (1678-1679).

1686-1697 — საფრანგეთის ომი აუგსბურგის ლიგასთან. რისვიკის ზავი.

1688-1689 — „სახელოვანი რევოლუცია“ („უსისხლო რევოლუცია“) და კონსტიტუციური მონარქიის დამყარება ინგლისში.

1689, 23 ოქტომბერი — ინგლისის პარლამენტის „ბილი უფლებათა შესახებ“.

1689-1702 — უილიამ III ორანელის მეფობა.

1689-1755 — შარლ ლუი მონტესკიე.

1694-1778 — ფრანსუა მარი ვოლტერი.

1701-1714 — ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის. უტრეხტის (1713) და რაშტატის (1714) სამშვიდობო ხელშეკრულებები.

1702-1714 — ენ სტიუარტის მეფობა.

1706-1790 — ბენჟამენ ფრანკლინი.

1707 — ინგლის-შოტლანდიის უნია.

1712-1778 — ჟან ჟაკ რუსო.

1713-1784 — დენი დიდრო.

1715-1774 – ლუი XV მეფობა.
1732-1790 – ადამ სმითი.
1732-1799 – ჯორჯ ვაშინგტონი.
1743-1793 – ჟან პოლ მარატი.
1743-1826 – ტომას ჯეფერსონი.
1751-1780 – საფრანგეთში ენციკლოპედია გამოსცეს (35 ტომი).
1756-1763 – შვიდწლიანი ომი.
1758-1794 – მაქსიმილიან რობესპიერი.
1760-1825 – ანრი დე სენ-სიმონი.
1769-1821 – ნაპოლეონ ბონაპარტი.
1770-1831 – გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი.
1771 – ინგლისში აშენდა პირველი ფაბრიკა.
1771-1858 – რობერტ ოუენი.
1772-1837 – შარლ ფურიე.
1773, დეკემბერი – „ბოსტონური ჩაის სმა".
1774-1792 – ლუი XVI მეფობა.
1775-1783 – ინგლისის ჩრდ. ამერიკული კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და აშშ-ს შექმნა.
1776, 4 ივლისი – მიიღეს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომლითაც გამოცხადდა აშშ-ს შექმნა.
1777, ოქტომბერი – ამერიკის არმიის გამარჯვება სარატოგასთან.
1781, 19 ოქტომბერი – ამერიკის არმიის გამარჯვება იორკთაუნთან.
1783, 3 სექტემბერი – ვერსალის საზავო შეთანხმება. ინგლისის მიერ აშშ-ს დამოუკიდებლობის ცნობა.
1787 – აშშ-ს კონსტიტუციის მიღება.
1789, 5 მაისი – გენერალური შტატების მოწვევა საფრანგეთში. რევოლუციის დაწყება.
1789, 17 ივნისი – გენერალური შტატების მესამე წოდების დეპუტატებმა თავი ეროვნულ კრებად გამოაცხადეს.
1789, 9 ივლისი – 1791, 30 სექტემბერი – დამფუძნებელი კრება საფრანგეთში.
1789, 14 ივლისი – სახალხო აჯანყება პარიზში. ბასტილიის აღება.

1789, 4-11 აგვისტო — დამფუძნებელი კრების დეკრეტები საფრანგეთში წოდებრივი პრივილეგიებისა და ზოგიერთი ფეოდალური ვალდებულებების გაუქმების შესახებ.

1789, 26 აგვისტო — საფრანგეთში დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია".

1789-1797 — ჯორჯ ვაშინგტონის პრეზიდენტობა.

1791, 27 აგვისტო — საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული პილნიცის დეკლარაცია, რომელსაც ხელი მოაწერეს ავსტრიამ და პრუსიამ.

1791, 13 სექტემბერი — ლუი XVI ხელი მოაწერა საფრანგეთის პირველ კონსტიტუციას.

1791 — დაარსდა ქ. ვაშინგტონი და შეიქმნა კოლუმბიის ფედერალური ოლქი.

1791, 1 ოქტომბერი —

1792, 20 სექტემბერი — საკანონმდებლო კრება საფრანგეთში.

1792, 20 აპრილი — რევოლუციური ომების დასაწყისი საფრანგეთში. ავსტრიის წინააღმდეგ ომის გამოცხადება.

1792, 10 აგვისტო — სახალხო აჯანყება პარიზში. მონარქიის დამხობა საფრანგეთში.

1792, 20 სექტემბერი — საფრანგეთის არმიის გამარჯვება ვალმისთან.

1792, 21-22 სექტემბერი — ეროვნული კონვენტის გახსნა საფრანგეთში. საფრანგეთის რესპუბლიკად გამოცხადება.

1792-1795 — ეროვნული კონვენტი საფრანგეთში.

1793, 21 იანვარი — ლუი XVI სიკვდილით დასჯა.

1793, 31 მაისი- 2 ივნისი — სახალხო აჯანყება პარიზში. იაკობელების ხელისუფლების სათავეში მოსვლა.

1793, 13 ივლისი — მოკლეს ჟან პოლ მარატი.

1794, მარტი — ნოემბერი — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პოლონეთში თადეუშ კოსტიუშკოს ხელმძღვანელობით.

1794, 26 ივნისი — საფრანგეთის არმიამ სოფ. ფლერუსთან (ბელგია) ბრძოლაში გაანადგურა ავსტრიის ძირითადი ძალები.

1794, 27 ივლისი (9 თერმიდორი) — თერმიდორის გადატრიალება. იაკობელთა დიქტატურის დამხობა.

1794, 28 ივლისი — რობესპიერისა და მისი მომხრეების სიკვდილით დასჯა.

1795, 1-2 აპრილი — 20-23 მაისი — სახალხო აჯანყებები პარიზში.

1795 — ბაზელის საზავო შეთანხმებები: 5 აპრილი — საფრანგეთსა და პრუსიას შორის, 22 ივლისი — საფრანგეთსა და ესპანეთს შორის.

1795, 1 ოქტომბერი — ბელგიის შეერთება საფრანგეთთან.

1795, 26 ოქტომბერი — 1799, 9 ნოემბერი (18 ბრიუმერი) — დირექტორის რეჟიმი საფრანგეთში.

1796 — „თანასწორთა შეთქმულება" გრაკქ ბაბეფის ხელმძღვანელობით.

1796-1797 — ნაპოლეონის ლაშქრობა იტალიაში.

1796-1799 — ციზალპური, ლიგურიის, რომისა და პარტენოპეის რესპუბლიკების შექმნა.

1797, 17 ოქტომბერი — კამპოფორმიოს ზავი საფრანგეთსა და ავსტრიას შორის.

1798 — ნაპოლეონის ლაშქრობა ეგვიპტესა და სირიაში.

1798-1803 — ჰელვეციის რესპუბლიკა (შვეიცარიაში).

1799, აპრილ-აგვისტო — ა. სუვოროვის ლაშქრობა იტალიაში.

1799, 9-10 ნოემბერი (18 ბრიუმერი) — ნაპოლეონმა მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება.

1799-1804 — კონსულობა საფრანგეთში.

1799-1815 — ნაპოლეონის ომები კონსულობისა და იმპერიის დროს.

1800, 3 ივნისი — აშშ-ს პრეზიდენტის რეზიდენცია ქ. ვაშინგტონში გადავიდა.

1800, 14 ივნისი — მარენგოსთან ბრძოლა.

1800, 2 ივლისი — ინგლის-ირლანდიის უნია (ძალაში შევიდა 1801 წ. 1 იანვრიდან).

1801, 9 თებერვალი — ლიუნევილის ზავი საფრანგეთსა და ავსტრიას შორის.

1801, 15 ივლისი — საფრანგეთისა და რომის პაპის კონკორდატი.

1802, იანვარი — შეიქმნა იტალიის რესპუბლიკა.

1802, 27 მარტი — ამიენის ზავი ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

1803, 2 მაისი — აშშ-მა საფრანგეთისაგან შეიძინა დასავლეთი ლუიზიანა.

1804, 18 მაისი — ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ ნაპოლეონ I სახელწოდებით საფრანგეთის იმპერატორის ტიტულის მიღება. საფრანგეთის რევოლუციის XII წლის კონსტიტუცია.

1804-1814 და

1815, მარტი-ივნისი — პირველი იმპერია საფრანგეთში.

1805, 18 მარტი — იტალიის რესპუბლიკა იტალიის სამეფოდ გარდაიქმნა და ნაპოლეონ I იტალიის მეფის ტიტული მიიღო.

1805, 21 ოქტომბერი — ტრაფალგარის კონცხთან ადმირალ ნელსონის მიერ საფრანგეთ-ესპანეთის ფლოტის განადგურება.

1805, 2 დეკემბერი — ნაპოლეონმა აუსტერლიცთან დაამარცხა რუსეთისა და ავსტრიის არმიები.

1805, 26 დეკემბერი — პრესბურგის ზავი საფრანგეთსა და ავსტრიას შორის.

1806, 12 ივლისი — რაინის კავშირში გაერთიანდა 16 გერმანელი სახელმწიფო.

1806, 6 აგვისტო — „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის" დასასრული.

1806, 24 მაისი — ნაპოლეონის მიერ ბატავიის რესპუბლიკის გარდაქმნა ჰოლანდიის სამეფოდ, რომლის სათავეში ნაპოლეონმა თავისი ძმა ლუი ბონაპარტი დასვა.

1806, 14 ოქტომბერი — პრუსიის არმიის განადგურება იენასა და აუერშტედტთან.

1806, 21 ნოემბერი — ნაპოლეონ I დეკრეტი ბრიტანეთის კუნძულების ბლოკადის შესახებ (გრძელდებოდა 1814 წ. აპრილამდე).

1807, 7-8 თებერვალი — პროისიშ-აილაუს ბრძოლა რუსეთისა და საფრანგეთის ჯარებს შორის.

1807, 14 ივნისი — ფრიდლანდთან ბრძოლა რუსეთისა და საფრანგეთის ჯარებს შორის.

1807, ივლისი — ტილზიტის სამშვიდობო შეთანხმებები: 7 ივლისს — საფრანგეთსა და რუსეთს შორის; 9 ივლისს — საფრანგეთსა და პრუსიას შორის.

1807 — ვარშავის საჰერცოგოს შექმნა. იარსება 1812 წლამდე.

1808, სექტემბერ-ოქტომბერი — ალექსანდრე I შეხვედრა ტალეირანთან ერფურტში.

1808-1809 — დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება რუსეთსა და აშშ-ს შორის.

1808-1809 — რუსეთ-შვედეთის ომი. ფინეთის შეერთება რუსეთთან ავტონომიური დიდი სამთავროს სახით.

1809, 5-6 ივლისი — ფრანგებმა დაამარცხეს ავსტრიელები ვაგრამთან.

1809, 14 ოქტომბერი — შიონბრუნის ზავი ავსტრიასა და რუსეთს შორის.

1809-1814 — პიუს VII ტყვეობა საფრანგეთში.

1810, 10 აპრილი — ნაპოლეონ ბონაპარტის დაქორწინება ავსტრიის იმპერატორის ასულ მარი ლუიზიზე.

1810, 9 ივლისი — საფრანგეთის მიერ ჰოლანდიის შემოერთება.

1812, 24 ივნისი — ნაპოლეონის არმიის შეჭრა რუსეთში.

1812-1814 — ინგლისს-ამერიკის ომი.

1813, 16-29 ოქტომბერი — ნაპოლეონის არმიის განადგურება ლაიფციგთან „ხალხთა ბრძოლაში".

1814, 31 მარტი — ანტიფრანგული კოალიციის ჯარების შესვლა პარიზში.

1814, 4 აპრილი — ნაპოლეონ I უარი თქვა ტახტზე თავისი შვილის სასარგებლოდ.

1814, 6 აპრილი — ნაპოლეონ I უარი თქვა ტახტზე მემკვიდრეების სახელითაც. სენატმა საფრანგეთის მეფედ ლუი XVIII გამოაცხადა.

1814, 30 მაისი — მოკავშირე სახელმწიფოების (რუსეთი, ინგლისი, ავსტრია, პრუსია) პარიზის პირველი ზავი საფრანგეთთან.

1814, სექტემბერი —

1815, ივნისი — ვენის კონგრესი.



ᩩᩣᩬᩣᩬᩣᩬ

ამერიკელი
კოლონისტები ამხობენ
ინგლისის მეფის
ჯორჯ III ძეგლს



ჯ. უატის ორთქლის მანქანა



სართავი დაზგა „ჯენი“

ოლივერ კრომველი

ინდიელების ნადირობა



აშშ-ს დროშა (1777 წ.)



აშშ-ს მოსახლეობის ზრდა 1790-1860წწ.

ამერიკელები აღნიშნავენ მადლიერების დღეს



ინდიელების საცხოვრებელი

ჯ. ვაშინგტონი, როშამბო და ლაფაიეტი იორკთაუნთან (1781)



გენერალური შტატების სხდომის გახსნა
(ვერსალი, 1789 წ. 5 მაისი)



ვერსალის სასახლე

ნაპოლეონი წმ. ელენეს
კუნძულზე

ლუაი XIV (1643-1715)



„სანკულოტები“

გილიოტინა

რობესპიერი (1758-1794)



მოსახლეობისა და ჯარის რაოდენობა 1740 წელს.

ფრიდრიხ II

საოჯახო სურათი: მარია ტერეზია, მისი მეუღლე ფრანც I, პრინცი იოზეფი (შუაში) ბავშვებთან ერთად.



XVIII საუკუნეში ფრანგული მოდა გერმანიაშიც გავრცელდა.

რკინის ჯვარი — თავისუფლების სიმბოლო. პრუსიის მეფემ ფრიდრიხ ვილჰელმ III დააარსა ნაპოლეონის წინააღმდეგ გამათავისუფლებელი ომების დროს.

პრუსიელი ჯარისკაცი

პრუსია, ავსტრია და რუსეთი პოლონეთს ინაწილებენ (კარიკატურა)



ნაპოლეონი შედის ბერლინში (1806 წ. 27 ოქტ.)

შინაარსი

შესავალი 3

თავი I. XVII საუკუნის ინგლისის
რევოლუცია 8

§1. რევოლუციის წინაპირობანი
და დასაწყისი 8

§2. სამოქალაქო ომები ინგლისში 27

§3. ინდეპენდენტური რესპუბლიკა
(1649-1653) 39

§4. კრომველის პროტექტორატი
(1653-1658) 45

თავი II. სტიუარტების რესტავრაცია და
1688-1689 წლების გადატრიალება 57

§1. აბსოლუტიზმის აღდგენის უშედეგო ცდები.
1688 წ. გადატრიალება 59

თავი III. ინგლისი XVIII საუკუნეში 71

თავი IV. ჩრდილოეთ ამერიკის
რევოლუცია 91

(ინგლისის ამერიკული კოლონიების ომი დამოუკიდებლობისათვის
და აშშ-ს შექმნა) 91

თავი V. ამერიკის შეერთებული შტატების
კონსტიტუცია 104

თავი VI. საფრანგეთის დიდი
რევოლუცია 114

§1. საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა
რევოლუციის დაწყებამდე 114

§2. განმანათლებლობა. რევოლუციის იდეოლოგიური
წანამძღვრები 121
§3. ფრანგული განმანათლებლობა და საქართველო 135
§4. რევოლუციური სიტუაცია. რევოლუციის დასაწყისი 141
§5. დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო საქმიანობა 148
§6. რევოლუცია საკანონმდებლო კრების მოღვაწეობის
პერიოდში (1791 წ. 1 ოქტომბერი –
1792 წ. 20 სექტემბერი) 154
§7. ეროვნული კონვენტი (1792 წ. 21 სექტემბერი –
1795 წ. 26 ოქტომბერი) 161
§8. დირექტორია (1795 წ. 26 ოქტომბერი –
1799 წ. 9 ნოემბერი) 170

თავი VII. საფრანგეთის დიდი რევოლუცია
და ევროპა 177

თავი VIII. საფრანგეთი კონსულობისა და იმპერიის
ღლეაში 183

გერმანული სახელმწიფოები
1648-1815 წლებში 202
ქრონოლოგია 219
დანართი 226

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჩიკვილაძე
ტექ. რედაქტორი ი. ნავროზაშვილი
კორექტორი მ. კილაძე

საბეჭდი ქაღალდი 60X84, 1/16
ნაბეჭდი თაბახი 14,75
შეკვეთა №11 ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ., 112.